

თაობა გარდამავალ პერიოდში

ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი

პუბლიკაცია დაიბეჭდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის ინიციატივით და დაფინანსებით.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ მხარდაჭერილი ნებისმიერი პუბლიკაციის კომერციული მიზნებით გამოყენება, იკრძალება ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისი
რამიშვილის ქუჩა 4, 0179
თბილისი, საქართველო



ფრიდრიხ ებერტის ფონდი

თაობა გარდამავალ პერიოდში

ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო

თბილისი
2017

საქართველოს ახალგაზრდობის კვლევა 2016
თბილისი, 2017

გამომცემლები
ფრიდრიხ ებერტის ფონდი
სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისი
რამიშვილის ქუჩა 4, 0179
http://www.fes-caucasus.org
თბილისი, საქართველო
ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი (ACT)
საირმის გორა #51, 0194
თბილისი, საქართველო

ინფორმაცია გამომცემელთათვის
იულია ბლეზიუსი (FES), სალომე ალანია (FES)

ავტორები
სოფო ომანაძე (ACT)
ნინო გაჩეჩილაძე (ACT)
ანა ლებანიძე (ACT)
სოფო ჩაჩანიძე (ACT)

დიზაინი
პერტექსტი, ბერლინი, www.pertext.de
შპს პოლიგრაფი, www.poly.ge

დაკაბადონება
გელა ბაბაკიშვილი, www.poly.ge

ილუსტრაცია
ფრანცისკა ულიგი, www.franziskauhlig.de

თარგმნა და კორექტურა
თამარ გოგიჩაიშვილი
სალომე მინესაშვილი
სუზან გრეჰემი

ყდის ფოტო
Rawpixel.com (shuterstock.com)
საქართველოს რუკა: გელა ბაბაკიშვილი, (შპს „პოლიგრაფი“)

ბეჭდვა
შპს „პოლიგრაფი“

ტირაჟი
150

ISBN 978-9941-0-9603-7

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, არ არის პასუხისმგებელი პუბლიკაციაში მოცემული მონაცემების სიზუსტეზე.

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი 2017

წინასიტყვაობა

სხვა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების მსგავსად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიც გარდამავალ ფაზაშია. ამ რეგიონში საქართველო, ბევრი ფაქტორის გამო, მოწინავედ ითვლება. მან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა როგორც დემოკრატიზაციის, ისე საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლის კუთხით. აღნიშნული პროცესების მთავარ მამოძრავებელ ძალას ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობა წარმოადგენს. ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს საგარეო ურთიერთობების პოლიტიკის მთავარი ნაწილია და რუსეთთან არსებულ მწვავე ურთიერთობის დაბალანსების მიზანს ემსახურება. პოლიტიკური კულტურის კუთხით, საქართველო ისევ საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობის გავლენის ქვეშაა.

კვლევა მოიცავს საქართველოს ახალგაზრდების პრობლემებსა და მისწრაფებებს, ღირებულებებისა და ცხოვრების სტილის გარშემო არსებულ საკითხებს. 14-29 წლის ასაკის ახალგაზრდები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ საქართველოში გაიზარდნენ. ისინი მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, საბჭოთა მემკვიდრეობასთან მიმართების და, მეორე მხრივ, მათ მიერ საზოგადოების მომავალი განვითარების კუთხით.

ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევა მოიცავდა 14-29 წლის ახალგაზრდებს. კვლევა ჩატარდა 2016 წლის მაისი-ივნისის პერიოდში. აღნიშნული კვლევა სათავეს იღებს შელის ახალგაზრდული კვლვისგან (Shell Youth Study), რომელიც პერიოდულად ტარდებოდა გერმანიაში 1953 წლიდან მოყოლებული და ითვლება რომ წარმოადგენს მნიშვნელოვან მაჩვენებელს საზოგადოების შუალედური განვითარების კუთხით. ფრიდრიხ ებერტის ფონდმა მსგავსი კვლევები განახორციელა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებსა და ცენტრალურ აზიაში. წინამდებარე კვლევა, არის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ჩატარებული სერიების ნაწილი, სომხეთში ჩატარებულ კვლევასთან ერთად, რომელიც უკვე დასრულდა. აღნიშნული კვლევები შექმნილია იმისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს გამოკითხვაში მონაწილე ქვეყნების შედეგების შედარება.

კვლევის შედეგებით უფრო თვალსაჩინო გახდა ის გამოწვევები, რის წინაშეც ახალგაზრდები დგანან პირადი, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების კუთხით. საქართველოში, ახალგაზრდები ერთმანეთისაგან გამოყოფენ პირად ცხოვრებას, საჯარო/პოლიტიკური ცხოვრებისაგან და უმეტესად კონცენტრირდებიან პირად ცხოვრებაზე. მათთვის, ოჯახი წარმოადგენს ყველაზე მყარ სოციალურ კონსტრუქციას. ამასთან, კარგი ოჯახის ქონა პრიორიტეტებს შორის ყველაზე მაღლა დგას. ამავე დროს, ახალგაზრდებს შორის ხშირია პოლიტიკური ინდიფერენტულობა და

პოლიტიკურ და სამოქალაქო ჩართულობის კუთხით პასიურობა. პოლიტიკური ინ-სტიტუტების მიმართ ნდობა დაბალია და გავრცელებულია შეხედულება, რომ სახე-ლმწიფო ადექვატურად არ აღიქვამს ამ ჯგუფის ინტერესებს. ახალგაზრდა თაობამ ასევე მიაღწია კონსენსუსს ევროკავშირში და ნატოში შესვლასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ შესვლამ შესაძლოა გამოიწვიოს რუსეთთან ურთიერთობ-ის გამწვავება. აღნიშნულ ინსტიტუტებში შესვლა დაკავშირებულია ეკონომიკურ განვითარებასთან და ცხოვრების უკეთეს პირობებთან.

ახალგაზრდები აქტიურად არიან გატაცებული ქართული კულტურის შენარჩუნებისა და ტრადიციული ფასეულობების აღდგენის იდეით. ეკლესია, რომელიც ამ ღირე-ბულებებს ასახავს, ყველაზე სანდო ინსტიტუტად ითვლება. ამავე დროს, ტოლერა-ნტობის დონე და მრავალფეროვნების მიმღებლობა საკმაოდ დაბალია. გამოკი-თხვამ ასევე აჩვენა დედაქალაქსა და სოფლებში მცხოვრებ, ასევე მდედრობითი და მამრობითი სქესის ახალგაზრდებს შორის განსხვავებები. მაშინ, როდესაც სო-ფლებში ახალგაზრდები უფრო კონსერვატულები არიან, მათი თანატოლები ურბა-ნულ დასახლებებში მეტად იზიარებენ ლიბერალურ ღირებულებებს.

წინამდებარე კვლევა შესაძლოა ჩაითვალოს როგორც საწყისი წერტილი უფრო ღრმა ანალიზისა და პოლიტიკური დისკუსიისთვის. მის მიზნობრივ ჯგუფს წარმოა-დგენს გადაწყვეტილების-მიმღები პირები, აკადემიური სივრცის წარმომადგენლე-ბი, არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდული ორგანიზაციები საქართვე-ლოსა და მის ფარგლებს გარეთ. ახალგაზრდების პრობლემების, მისწრაფებების, სურვილებისა და ცხოვრების სტილის ჩვენებით, ახალგაზრდობას ეძლევა გამო-ხატვის შესაძლებლობა. კვლევა მიზნად ისახავს, წაახალისოს დებატები იმ გამო-წვევების გადალახვის შესახებ, რომელთა წინაშეც ახალგაზრდები დგანან, რათა შენარჩუნდეს ქვეყნის განვითარებისთვის არსებული მდიდარი შესაძლებლობა.

ბოლოს, მინდა გულისხმიერი მადლობა გადავუხადო ეისითის მთელ გუნდს, მთელი პროექტის განმავლობაში ისინი იყვნენ სანდო და პროფესიონალი პარტნიორები. განსაკუთრებული მადლობა სოფო ომანაძეს, რომელიც ხელმძღვანელობდა პრო-ექტის გუნდს. ასევე მადლიერი ვარ კლაუს ჰურელმანის, ჰერტის საჯარო მმართვე-ლობის სკოლიდან, მისი ღირებული რჩევებისთვის; ყველა ქართველ ექსპერტს, რომელიც პროექტში ჩართული იყო, როგორც კონსულტანტი; და, რა თქმა უნდა, ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს გუნდს, განსაკუთრებით პროექტის კო-ორდინატორს, სალომე ალანიას მისი დაუზოგავი და შესანიშნავი მუშაობისთვის.

იულია ბლეზიუსი

დირექტორი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი,

სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისი

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა 7

შესავალი 12

- კულტურული კაპიტალი 13
- დასაქმების სტატუსი 15
- ახალგაზრდების ოჯახების მატერიალური მდგომარეობა 15
- ახალგაზრდების ფინანსური და საცხოვრებელი პირობები 17

მეთოდოლოგია 21

განათლება და დასაქმება 24

- შესავალი 24
- ძირითადი მიგნებები 27
- ანალიზი 28
  - საგანმანათლებლო გარემოს ზოგადი მიმოხილვა 28
  - უმაღლესი და პროფესიული განათლების მნიშვნელობა 33
  - კურსდამთავრებულების მზაობა შრომის ბაზრისათვის 37
  - დამოკიდებულებები მოხალისეობრივი სამუშაოს მიმართ 46
  - კარიერული წინსვლა და მიზნები 46
- დისკუსია 49

დემოკრატია და მმართველობა 51

- შესავალი 51
- ძირითადი მიგნებები 53
- ანალიზი 54
  - დემოკრატია და პოლიტიკა 54
  - ახალგაზრდები და პოლიტიკური ჩართულობა 61
  - საინფორმაციო წყაროები პოლიტიკური მოვლენების შესახებ 67
  - მმართველობა - განვითარების პრობლემები და გამოწვევები 68
- დისკუსია 73

ახალგაზრდების შეხედულებები საგარეო პოლიტიკაზე 75

- შესავალი 75
- ძირითადი მიგნებები 78
- ანალიზი 79
  - ევროკავშირში/ნატოში ინტეგრაცია 79
- დისკუსია 91

პრობლემები და მისწრაფებები 92

- შესავალი 92
- ძირითადი მიგნებები 95
- ანალიზი 96

ცხოვრებით კმაყოფილება 96
ინდივიდუალური vs. კოლექტიური თვით აღქმა 97
მისწრაფება მიგრაციისკენ 98
დისკრიმინაციის გამოცდილება 103
დისკუსია 104

იდენტობა, ღირებულებები და რელიგია 106
შესავალი 106
ძირითადი მიგნებები 109
ანალიზი 110
მონაწილეობა 110
ნდობა 113
უნდობლობა და სოციალური დისტანცია 115
ახალგაზრდები და რელიგია 124
ახალგაზრდების ღირებულებები 130
ახალგაზრდების ღირებულებითი ტიპები 140
დისკუსია 146

ოჯახი და მეგობრები 148
შესავალი 148
ძირითადი მიგნებები 150
ანალიზი 151
ოჯახური გარემო 151
ქორწინება და თანაცხოვრება 160
საზოგადოება და სოციალური წრე 170
დისკუსია 173

დასვენება და ცხოვრების წესი 174
შესავალი 174
ძირითადი მიგნებები 176
ანალიზი 177
თავისუფალ დროს განხორციელებული აქტივობები 177
მედიისა და ინტერნეტის პრეფერენციები 183
სარისკო ქცევა 190
რა არის მოდური 196
სექსუალური ცხოვრება და აქტივობა 198
დისკუსია 200

დასკვნა 201

გამოყენებული ლიტერატურა 204

მოკლე მიმოხილვა

ახალგაზრდობა ქვეყნის ყველაზე დიდი რესურსია, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს რეგიონის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ამასთან, ახალგაზრდები არიან ცვლილებისა და ინიციატივების მოტივატორები სხვადასხვა სფეროში. სახელმწიფოს პოლიტიკა, როგორიცაა ახალგაზრდობის ეროვნული პოლიტიკა, ერთობლივად, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, თვითონ ახალგაზრდების ჩართულობით და კერძო სექტორის დახმარებით აწესრიგებენ უამრავ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია 14-29 წლის ახალგაზრდების განვითარებასთან. ახალგაზრდების ახლაც აწყდებიან უამრავ გამოწვევას პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. ბოლო წლებში არც ერთი სიღრმისეული კვლევა არ ჩატარებულა საქართველოს მასშტაბით, იმისათვის, რომ გამოევლინა ახალგაზრდების გამოწვევები და მისწრაფებები. ამ მიზეზით, ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) სამხრეთ კავკასიის რეგიონაოლურმა ოფისმა, გადაწყვიტა, ჩაეტარებინა კვლევა ქართველ ახალგაზრდებზე და ეკვლია მათი აღქმები, შეგნება, მოლოდინები და დამოკიდებულება ცვალებად გარემოსთან მიმართებაში. კვლევა ეყრდნობა შელის ახალგაზრდული კვლვის (Shell Youth Study) მოდელს, რომელიც 1953 წლიდან ტარდებოდა როგორც გერმანიაში, ასევე სხვა ევროპულ ქვეყნებში.

კვლევის მეთოდოლოგია შეიქმნა ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფის (ACT)-ის მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის მოთხოვნების გათვალისწინებით. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს, როგორც რაოდენობრივ, ისე, თვისებრივ მეთოდებს, კონკრეტულად პირისპირ ინტერვიუებს და ფოკუს ჯგუფის დისკუსიებს. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა 2016 წლის მაისი-ივნისის პერიოდში, ხოლო თვისებრივი კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის შედეგების პირველადი ანალიზის შემდეგ, კერძოდ 2016 წლის ივლისში. ჯამში, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 1200 პირისპირ ინტერვიუ და 24 ფოკუს ჯგუფის დისკუსია.

კვლევის ფოკუსს წარმოადგენდა ახალგაზრდა თაობის სოციალურ-ეკონომიკურ თემებთან არსებული გამოცდილებისა და დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევამ მოიცვა ისეთი საკითხები, როგორიცაა: დასაქმება, განათლება, დემოკრატია, საგარეო პოლიტიკა, ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობა, იდენტობა, რელიგია, ცხოვრების სტილი და სხვა მომიჯნავე საკითხები.

როგორც აღმოჩნდა, კვლევის ჩატარების პერიოდში ახალგაზრდების 41% სტუდენტი ან სკოლის მოსწავლე იყო. ისინი, ვინც სხვადასხვა ეტაპზე მიატოვა სწავლა (8%) აცხადებენ, რომ სწავლის მიტოვების მიზეზი მდგომარეობდა

გადახდისუუნარობაში (27%), ოჯახურ მდგომარეობაში (9%), ან გამოწვეული იყო ქორწინებით (19%). გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (52%) თვლის, რომ განათლების დონე საქართველოში დამაკმაყოფილებელია.

ახალგაზრდების 19% დასაქმებულია სრული განაკვეთით, 7% კი ნახევარი განაკვეთით ან თვით-დასაქმებულია. სტუდენტების უმეტესობა (71%) ოპტიმისტურად უყურებს საკუთარი დასაქმების შესაძლებლობებს და სჯერა, რომ შეძლებს სამსახურის პოვნას სწავლის დასრულების შემდეგ. ახალგაზრდების 75% მიიჩნევს, რომ სამსახურის პოვნის განმსაზღვრელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია მეგობრების/ნაცნობები. საინტერესოა, რომ სახელმწიფოს მიმართ დაბალი ნდობის მიუხედავად, ახალგაზრდა თაობის 42% დაინტერესებულია საჯარო სექტორში დასაქმებით.

ქართველმა ახალგაზრდებმა გამოხატეს დიდი ნდობა ოჯახების მიმართ. ახალგაზრდა თაობის 70% ცხოვრობს მშობლებთან ერთად, ხოლო გამოკითხულთა 62% ფინანსურ მხარდაჭერას იღებს მშობლებისაგან. ახალგაზრდების 55% კარგად ეწყობა მშობლებს, გამოკითხულთა იგივე რაოდენობა აცხადებს, რომ მისი პოლიტიკური შეხედულებები დაკავშირებულია მისი მშობლების შეხედულებებთან. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (48%) გადაწყვეტილებას იღებს მშობლებთან ერთად, თუმცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებს, რომ ისინი თავისუფალი და დამოუკიდებლები არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში (44%). გამოკითხულთა თითქმის 1/3 აცხადებს რომ დედის აზრი გავლენას ახდენს მათ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე (34%).

კვლევის შედეგების მიხედვით, ახალგაზრდებისთვის დასაფასებელია მჭიდრო ადამიანური ურთიერთობები. გამოკითხულთა 95% მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია პარტნიორის ყოლა, რომელსაც ენდობი. ამასთან, ახალგაზრდების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ასევე აუცილებელია კარგი ოჯახის ქონა (91%). ახალგაზრდების თითქმის 1/4 იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაშინ როდესაც 69% ჯერაც დასაოჯახებელია. როდესაც საქმე ეხება სამომავლო გეგმებს, ახალგაზრდების 90% გეგმავს დაქორწინებას. მათი 43% მიიჩნევს, რომ ქორწინების უპირატესობა არაოფიციალურ ურთიერთობასთან შედარებით არის პარტნიორებს შორის, შედარებით მაღალი პასუხისმგებლობა. ახალგაზრდების 25% ფიქრობს, რომ ქორწინება პრიორიტეტია, რადგან საქართველოში ქორწინება უფრო პატივსაცემია, ვიდრე თანაცხოვრება. გამოკითხულთა 1/3-ს სჯერა, რომ დაქორწინებისთვის იდეალური ასაკი არის 25 წელი, როგორც ქალებისთვის, ისე - მამაკაცებისთვის. მეუღლის არჩევისას, ახალგაზრდობის უმეტესობა ფიქრობს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ხასიათი (64%) და საერთო ინტერესებია (56%).

ახალგაზრდების უმეტესობას (74%) არ ჰყავს შვილი. გამოკითხულთა დიდ ნაწილს (41%) სურს ჰყავდეს ორი, ან სამი შვილი (34%), მაშინ როდესაც ყოველ მეათე ახალგაზრდას სურს ჰყავდეს 4 შვილი. კვლევის შედეგების მიხედვით, მათი უმეტესობა, ვინც არ არის მშობელი (45%) გეგმავს რომ ჰყავდეს შვილი 26- 31 წლის ასაკში.

კვლევის შედეგების მიხედვით, აქტივობები, რომლებშიც ახალგაზრდები რეგულარულად არიან ჩართულები მოიცავს გართობასა და რელაქსაციას, კერძოდ მუსიკის მოსმენას, ფილმის/ტელევიზორის ყურებას, მეგობრებთან ერთად დროის გატარებას. თავისუფალი დროის კონკრეტული სახით გატარების ტენდენცია საერთოა ყველა ასაკის ახალგაზრდას შორის და მოიცავს მუსიკის მოსმენას, მეგობრებთან ერთად დროის გატარებას, კითხვას, წერას, ხატვას, სპორტისა და კომპიუტერული თამაშების თამაშს. ასევე, აღსანიშნავია, რომ, რაც უფრო მაღალია ახალგაზრდების ასაკი, მით უფრო ნაკლებად არიან ისინი ჩართულები სხვადასხვა აქტივობებში.

მამაკაცების 65% და ქალების 7% არის აქტიური მწეველი. ახალგაზრდების 2% აღნიშნავს, რომ ისინი იღებენ ალკოჰოლურ სასმელს ყოველდღე. ზოგადად, ალკოჰოლის მიღება ხშირია ახალგაზრდების 70%-ში, რაც მოიცავს სასმელის დალევას როგორც იშვიათად, ისე - რეგულარულად. ახალგაზრდების 85%-ს არასდროს გაუსინჯავს მარიხუანა, მაშინ, როდესაც გამოკითხულთა 8% იშვიათად ეწევა მას. აღნიშნულ 8%-ში მამაკაცები დომინირებენ (14%).

ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ღირებულება ახალგაზრდებისთვის პოლიტიკური ჩართულობაა - ახალგაზრდების მხოლოდ 20% ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია პოლიტიკური ჩართულობა. დაინტერესებულობის ხარისხი დაბალია გლობალურ, რეგიონალურ და ეროვნულ პოლიტიკაში. თუმცა ისინი უფრო დაინტერესებული არიან ადგილობრივ პოლიტიკურ საკითხებში. ნიჰილისტური მიდგომა პოლიტიკური საკითხების მიმართ შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ შეხედულებით, რომ ახალგაზრდების ინტერესები არ აისახება ან ნაკლებად აისახება დღევანდელ პოლიტიკაში.

უარყოფითი დამოკიდებულება პოლიტიკური აქტივიზმის მიმართ დასტურდება ახალგაზრდების ნდობის მაჩვენებლით პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ - ახალგაზრდების მხოლოდ 25-26% ენდობა ადგილობრივ პოლიტიკურ ინსტიტუტებს - პოლიტიკურ პარტიებს, პარლამენტს, ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობას. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების საკითხიც საკმაოდ საინტერესოა. ამ ინსტიტუტების მიმართ ნდობა ნაკლებია ეკლესიასთან, ჯართან და პოლიციასთან მიმართებაში, თუმცა, მეორე მხრივ, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო იმსახურებენ ნდობას, ვიდრე ადგილობრივი პოლიტიკური ინსტიტუტები.

ახალგაზრდების 75% მხარს უჭერს საქართველოს შესვლას ევროკავშირში. ახალგაზრდა თაობას სჯერა, რომ ევროკავშირი დაეხმარება ქვეყანას ეკონომიკურ განვითარებაში (83%), რომელიც დაკავშირებულია დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებთან (80%) და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის განვითარებასთან (81%). ევროკავშირში გაწევრიანება, ასევე, ითვლება უკეთესი განათლების წინაპირობად (84%). გამოკითხულთა 84% მიიჩნევს, რომ ევროკავშირში გაწევრიანების უარყოფითი მხარე არის გაძლიერებული აგრესია რუსეთის მხრიდან. რესპოდენტების 28% ფიქრობს, რომ ევროკავშირში ინტეგრაციით, საქართველო საბოლოოდ დაკარგავს აფხაზეთისა და ცხინვალის

დაბრუნების შანსს. რესპოდენტთა უფრო მცირე ნაწილი უჭერს მხარს საქართველოს ნატოში შესვლას (68%). გამოკითხულთა 68% ფიქრობს, რომ ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავება არ არის სასურველი საქართველოსთვის, რადგან ეს გამოიწვევს რუსეთთან კონფლიქტის ესკალაციას. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი, რატომაც ქართველ ახალგაზრდებს არ სურთ საქართველოს ნატოში შესვლა არის ის, რომ ქართველი ჯარისკაცების რაოდენობა, რომლებიც ნატოს სამხედრო მისიებში მონაწილეობენ და იღუპებიან, გაიზრდება.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა უკანასკნელი წლების ტენდენცია, რომლის მიხედვითაც რელიგიური ინსტიტუტები უფრო მაღალი ნდობით სარგებლობენ. გამოკითხულთა 81%-ს ზოგადად სჯერა ეკლესიისა და რელიგიური ინსტიტუტების (ძალიან - 58 %, გარკვეულ დონემდე - 23%). საინტერესოა, რომ რელიგიური ინსტიტუტების შემდეგ, ჯარი (76%) და პოლიცია (62%) ნდობის ყველაზე მაღალი ხარისხით სარგებლობს. რელიგიური ლიდერები შედიან იმ სამი კატეგორიიდან ერთ-ერთში, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობა ხალხი. რელიგიურობისა და სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვნება ასევე დადასტურდა გამოკითხვის მონაცემებით - ახალგაზრდების უმეტესობას სწამს ღმერთის (90%).

ყველაზე ნაკლებ ნდობას ახალგაზრდებში ლგბტ საზოგადოება იმსახურებს. ეს არის ერთადერთი შედეგი, რომელიც უნდობლობის ნიშნულის ქვემოთა (5 აღნიშნავს ცენტრს). სოციალური დისტანციის მნიშვნელოვანი დონე იკვეთება ჰომოსექსუალებთან მიმართებაში - გამოკითხულთა 44% აღნიშნავს, რომ ის არ იქნებოდა ბედნიერი, თუკი ჰომოსექსუალი წყვილი იცხოვრებდა მის მეზობლად. გამოკითხულთა 45% ინდიფერენტულია და არ ინტერესდება ამ საკითხით.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის შედეგები ასახავს ტენდენციებს, რომლებიც ეხება შრომითი ბაზრის მიწოდებასა და მოსახლეობის მოთხოვნას შორის არსებულ შეუსაბამობებს. კვლევის მიხედვით, ახალგაზრდობას სჯერა, რომ შეუსაბამობა გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით. პირველ რიგში, ეს არჩევანი არაა მიღებული თავად ახალგაზრდობის მიერ, ხოლო, მეორე რიგში, უმაღლესი განათლების პროგრამა ნაკლებად შეიცავს სწავლების პრაქტიკულ ელემენტებს. როდესაც საქმე ეხება დასაქმებასა და განათლებას, გამოკითხულთა 1/5-ს სურს, რომ წავიდეს საზღვარგარეთ, რათა გაიუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები და ჰქონდეს მეტი ხელმისაწვდომობა განათლებასა და დასაქმებაზე.

გამოკითხვის შედეგები ასევე ადასტურებს ბოლო პერიოდში ჩატარებული სხვა კვლევებით გამოვლენილ შედეგებს, ახალგაზრდების პოლიტიკურ ინდიფერენტულობასთან დაკავშირებით. საქართველოში ახალგაზრდები არ არიან დაინტერესებული პოლიტიკით. გარდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლები ჩართულობისა, ასევე დაბალია სამოქალაქო ჩართულობაც. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული მონაცემებისა, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების სურვილი მაღალია. ახალგაზრდები აქტიურად უჭერენ მხარს ამ ინსტიტუტებთან მჭიდრო

კავშირს მიუხედავად საფრთხეებისა, რომლებიც საქართველოს შეიძლება დაემუქროს რუსეთის აგრესიის ესკალაციის, მიგრაციის გაძლიერების, და ნატოს მისიებში ქართველი ჯარისკაცების რაოდენობის გაზრდის შედეგად.

ღირებულებების გლობალურ დონეზე, საქართველო უფრო მეტად იხრება ტრადიციული ფასეულობებისა და თვითგადარჩენისკენ. ტრადიციული ღირებულებების დომინანტურობა შესაძლოა აიხსნას ტრადიციული სოციალური გარემოს გავლენით, რომელშიც ახალგაზრდები ახდენენ სოციალიზაციას მათ ბავშვობასა და ახალგაზრდობაში. მათ შეხედულებებზე ასევე დიდ გავლენას ახდენენ სხვა სოციალური ჯგუფები და უფროსი თაობა. ტრადიციული ღირებულებები ძირითადად აკუმულირდება ოჯახში, რამდენადაც ოჯახი ახალგაზრდებისთვის ერთერთ უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს.

შესავალი

ახალგაზრდები ყველა რეგიონის დემოკრატიული და სოციო-ეკონომიკური განვითარების მთავარ ძალას წარმოადგენენ. სწორედ ახალგაზრდები არიან ცვლილებების მაპროვოცირებელი და სხვადასხვა სფეროებში ინოვაციების მოტივატორი მთავარი აქტორები. სახელმწიფო პოლიტიკას, როგორიცაა ეროვნული ახალგაზრდული სტრატეგია, ახალგაზრდების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის საერთო ძალისხმევას შეუძლია დაარეგულიროს 14-29 წლის ახალგაზრდების განვითარებასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი. თუმცა, ახალგაზრდები დღემდე ბევრ გამოწვევას აწყდებიან პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. საქართველოში ბოლო წლების მანძილზე არ ჩატარებულა სიღრმისეული კვლევა, რომელიც შეისწავლიდა ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს და მათ მისწრაფებებს. სწორედ ამიტომ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) სამხრეთ კავკასიის რეგიონალურმა ოფისმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა კვლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით და შეესწავლა ახალგაზრდა თაობის ხედვები, ინფორმირებულობის დონე, მოლოდინები და მიდგომები ცვალებადი გარემოს მიმართ. კვლევა დაფუძნებულია შელის ახალგაზრდების კვლევის ცნობილ მოდელზე, რომელიც გერმანიასა და სხვა ევროპულ ქვეყნებში 1953 წლიდან ტარდება.

ახალგაზრდები საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილს წარმოადგენენ, არა მხოლოდ მომავალი განვითარების თვალსაზრისით, არამედ რაოდენობრივადაც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემთა მიხედვით, საქართველოში ყოველი მეხუთე ადამიანი 15-დან 29 წლამდე კატეგორიაში ხვდება. ქვეყანაში მოსახლეობის რიცხვის შემცირებამ იმოქმედა ახალგაზრდების წილის შემცირებაზეც. თუ 10 წლის წინ 15-29 წლის ახალგაზრდები საზოგადოების 24%-ს წარმოადგენდნენ, ახლა მათი წილი დაახლოებით 4%-ით არის შემცირებული.

ახალგაზრდების მიდგომები, ხედვები და მათი ქცევები აყალიბებს იმ საზოგადოების მომავალს, რომელიშიც ეს ახალგაზრდები ცხოვრობენ. ბოლო ოცი წლის მანძილზე საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ქვეყნის, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური გარემო. სოციალური ტრანსფორმაცია, როგორც წესი, იწვევს ღირებულებათა ცვლილების პროცესს, რაც ასევე აისახება ახალგაზრდების ღირებულებებში - იმ თაობის ღირებულებებში, რომელიც შეცვლილ გარემოში გამოვიდა ასპარეზზე (სუმბაძე, თაობები და ღირებულებები, 2012). სუმბაძისა და თარხან-მოურავის მიხედვით, საქართველოში ახალგაზრდები უფრო სწრაფად ხდებიან ზრდასრულები, ვიდრე დასავლეთის საზოგადოებებში. ახალგაზრდები ასევე ძალიან განსხვავდებიან უფროსი თაობისგან, რადგან 14-29 წლის ადამიანები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიბადნენ. საზოგადოების ეს ჯგუფი იზრდებოდა შეცვლილ გარემოში და არ იზიარებს კომუნისტურ იდეოლოგიას თუ სოციალისტური ცხოვრების გამოცდილებას, რამაც მათზე უფროსი თაობების ღირებულებათა სისტემა და ჩვევები ჩამოაყალიბა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები დასავლეთისკენ მიდრეკილად ითვლებიან, მათი ჩართულობა სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მაინც ძალიან დაბალია.

იმის გათვალისწინებით, რომ უფროს და უმცროს თაობებს შორის შეიძლება იყოს გარკვეული დისტანცია, მნიშვნელოვანია უფრო ყურადღებით დავაკვირდეთ ახალგაზრდების სოციო-ეკონომიკურ თავისებურებებს. იმ კონტექსტის განსაზღვირსთვის, რომელშიც ახალგაზრდები ცხოვრობენ, უფრო კონკრეტულად უნდა გავაანალიზოთ მათი კულტურული კაპიტალი, ოჯახური და საცხოვრებელი გარემო, ასევე მათი ფინანსური დამოუკიდებლობა.

კულტურული კაპიტალი

კვლევის მიმდინარეობისას, რეპონდენტებს ვუსვამდით კითხვას მათი და მათი მშობლების განათლების დონის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, ახალგაზრდების 41,4%-ს ჯერ არ დაუსრულებია განათლება. შედეგების მიხედვით, უმაღლესი განათლების მაჩვენებლით თბილისსა და სხვა ქალაქებს შორის განსხვავება არ არის (თბილისში მცხოვრები რესპონდენტების 21%-ს ჰქონდა ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი, ხოლო სხვა ქალაქებში ეს მაჩვენებელი 20% იყო). რაც შეეხება სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს, მათგან მხოლოდ 7%-ს აქვს ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი. მშობლების განათლების ხარისხი, რაც თავის მხრივ შესაძლოა მოქმედებდეს შვილების განათლების დონეზეც, ასევე განსხვავდება რეგიონების მიხედვით.

სურათი # 1.1 - განათლება, კვალიფიკაცია და კულტურული კაპიტალი



განათლების დონე ქალაქებში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში: თბილისში ბაკალავრის, მაგისტრის ან სადოქტორო ხარისხს ფლობს დედების 58,1%, სხვა ქალაქებში - 38,7%, ხოლო სოფლად - 15,4%. რაც შეეხებათ მამებს, თბილისში ბაკალავრის, მაგისტრის ან სადოქტორო ხარისხს ფლობს მამების 58,1%, სხვა ქალაქებში - 35,5%, ხოლო სოფლად - 15,2%.

იმისათვის, რომ განგვესაზღვრა ოჯახების კულტურული კაპიტალი, რესპონდენტებს ვკითხეთ მათ ოჯახებში არსებული წიგნების რაოდენობა. სახლში არსებული წიგნების რაოდენობა განსხვავებულია საცხოვრებელი ტიპის მიხედვით. თბილისში, რესპონდენტთა თითქმის ნახევარმა (49%) აღნიშნა, რომ სახლში 100 წიგნზე მეტი აქვს. საქართველოს სხვა ქალაქებში ეს მაჩვენებელი 36%ა. სოფლად 100 წიგნზე მეტი მხოლოდ რესპონდენტების 21%-ს აქვს. ზოგადად, რესპონდენტების მხოლოდ 5%-მა აღნიშნა, რომ მათ საერთოდ არ აქვთ წიგნები.

სურათი #1.2 - სახლში წიგნების რაოდენობა



დასაქმების სტატუსი

ახალგაზრდების 19% სრული განაკვეთით არის დასაქმებული, ხოლო 7% დასაქმებულია ნახევარ განაკვეთზე ან თვითდასაქმებულია. დასაქმების შესაძლებლობები ბევრად მეტია დედაქალაქში, თბილისში (27% - დასაქმებულია სრული განაკვეთით), მაშინ როცა სოფლად ახალგაზრდების მხოლოდ 11% არის დასაქმებული და თითქმის ყოველი მეორე (46%) ახალგაზრდა არის უმუშევარი. როგორც ჩანს, მამრობითი სქესის რესპონდენტებს აქვთ შედარებით უკეთესი მდგომარეობა და მათი მხოლოდ 28% არის დაუსაქმებელი, მაშინ როცა ახალგაზრდა ქალების 40% უმუშევარია.

სურათი #1.3 - ახალგაზრდების დასაქმების სტატუსი



ახალგაზრდების ოჯახების მატერიალური მდგომარეობა

ჩვენ ასევე ვიკვლიეთ იმ ოჯახების ცხოვრების დონე, რომელშიც ახალგაზრდები ცხოვრობენ. პირველ რიგში, ჩვენ ვკითხეთ ახალგაზრდებს თუ როგორია მათი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა. გაზომვის ეს მეთოდი დაფუძნებულია რესპონდენტების სუბიექტურ აღქმაზე. ახალგაზრდების მხოლოდ 3%-ს არ აქვს ფინანსური პრობლემები და მათ შეუძლიათ იყიდონ ის, რაც სურთ. ახალგაზრდების 11%-ს არ აქვს საკმარისი ფული საჭმლისთვის. ოჯახების მატერიალური მდგომარეობა განსაკუთრებით კრიტიკულია სოფლად, სადაც ყოველმა

მეხუთე რესპონდენტმა (20%) აღნიშნა, რომ მათ არ აქვთ საკმარისი ფული საჭმლისთვის. ახალგაზრდების მატერიალური სტატუსი დაკავშირებულია მათ საცხოვრებელ ადგილთანაც, რამდენადაც სიტუაცია ქალაქებში შედარებით უკეთესია, ვიდრე სოფლად.

სურათი #1.4 - ოჯახის ფინანსური სიტუაცია



მანქანებს ფლობს რესპონდენტების ოჯახების 47% (39,5% -ერთი ავტომობილი, 7,5% - ერთზე მეტი ავტომობილი), რესპონდენტების ოჯახების 53%-ს მანქანა არ ჰყავს. საცხოვრებელი ადგილი მეტწილად არ განაპირობებს მანქანის ქონას (არ ჰყავთ მანქანა: თბილისი - 51%, სხვა ქალაქები - 50%, სოფლად - 56,4%). თბილისსა და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას შორის არის მცირედი განსხვავება მანქანის ქონის მაჩვენებელში, თუმცა განსხვავება უფრო ნათელია თუ კომპიუტერის ფლობის მონაცემს შევხედავთ. თბილისში რესპონდენტების ოჯახების მხოლოდ 6%-ს არ აქვს კომპიუტერი, მაშინ როცა სხვა ქალაქებში კომპიუტერი არ აქვს რეპონდენტების ოჯახების 15%-ს, ხოლო სოფლად მცხოვრები რესპონდენტების 39%-ს.

სურათი #1.5 - ოჯახში კომპიუტერების რაოდენობა



ახალგაზრდების ფინანსური და საცხოვრებელი პირობები

ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხის შესამოწმებლად, ჩვენ ვთხოვეთ ახალგაზრდებს აღეწერათ მათი ყველა სახის შემოსავალი. ახალგაზრდებმა ასევე დაასახელეს პირები/წყაროები, ვისაც მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური შემოსავალი თავად არ გააჩნიათ. შედეგების მიხედვით, ახალგაზრდების 62%-ს ფინანსურად მშობლები ეხმარებიან. პირადი შემოსავალი უფრო ხელმისაწვდომია თბილისში, სადაც რესპონდენტების 35% აცხადებს, რომ აქვს პირადი შემოსავალი. სხვა ქალაქებში პირადი შემოსავალი აქვს ახალგაზრდების 27%-ს, ხოლო სოფლად ყოველ მეხუთე ახალგაზრდას.

ყველაზე მნიშვნელოვანი კავშირი ფინანსურ ავტონომიურობასთან, როგორც მოსალოდნელი იყო, ჰქონდა ასაკს. ასაკის ზრდის პარალელურად, იკლებს მშობლებზე ფინანსური დამოკიდებულების მაჩვენებელიც (14-18 წლის ასაკობრივ კატეგორიაში რესპონდენტების 96% ფინანსურად დამოკიდებულია მშობლებზე; 19-24 წლის ასაკობრივ კატეგორიაში - 64%, ხოლო 25-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაში - 35%).

სურათი #1.6 - ახალგაზრდების შემოსავალი და ფინანსური დამოუკიდებლობა



- მშობლები მარჩენენ
- პირადი შემოსავალი (ხელფასი, ანაზღაურება, ა.შ.)
- პარტნიორი (მეგობარი ბიჭი/გოგო, მეუღლე) მარჩენს
- მშობლებისგან / ნათესავებისგან მიღებული ფინანსური დახმარება
- ოჯახის პენსია
- სახელმწიფო შემწეობა
- სხვა
- არ ვიცი

N=1200

ხარჯების დიდი წილი მოდის მიმდინარე კრედიტების დაფარვაზე. ახალგაზრდების 20% იხდის მიმდინარე კრედიტს, რომლის საშუალო თვიური ხარჯი 190 ლარს შეადგენს. საყურადღებოა, რომ ასეთი ხარჯები განსაკუთრებით მაღალია თბილისის გარდა სხვა ქალაქებში მცხოვრები რესპონდენტებისთვის. სიდიდით მეორე ხარჯი - საშუალოდ 110 ლარი თვეში მოდის მოგზაურობაზე, ხოლო ტანსაცმლის და ფეხსაცმლის საყიდლად და სიგარეტისთვის ყველა კატეგორიის ხარჯი თვეში საშუალოდ 80 ლარია. ახალგაზრდები გართობაზე თვეში საშუალოდ 60 ლარს ხარჯავენ და ეს ხარჯი მოიცავს, როგორც კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებას, ასევე მეგობრების შეკრებებსაც, ხოლო მათი ყოველდღიური გადაადგილების სატრანსპორტო ხარჯი თვეში დაახლოებით 55 ლარია. სახლის გარეთ კვებას ასევე საგულისხმო წილი აქვს ხარჯებში და თვეში საშუალოდ 42 ლარს შეადგენს. წიგნების შესაძენად, მობილურისა და სილამაზის სალონის ხარჯებისთვის ახალგაზრდები თავიანთი ბიუჯეტის ყველაზე მცირე წილ ხარჯავენ.

სურათი #1.7 - ახალგაზრდების ხარჯები ლარში



დიდი ალბათობით, შედარებით მაღალი შემოსავლიდან გამომდინარე, ახალგაზრდა მამაკაცები უფრო მეტს ხარჯავენ ტრანსპორტზე, გართობაზე, გარეთ ჭამასა და სიგარეტზე, ვიდრე ქალები. ერთადერთი ხარჯი, რომელიც

ახალგაზრდა ქალებისთვის უფრო მაღალია, ვიდრე ამავე ასაკის მამაკაცებისთვის არის სილამაზის სალონის ხარჯები.

როგორც მოსალოდნელი იყო, დასაქმებულ ახალგაზრდებს უფრო მაღალი დანახარჯები აქვთ. ხარჯების მოცულობა ასევე მაღალია მონაწილეებისთვის, რომლებიც მაღალ სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან. ხარჯები ასევე იზრდება ასაკთან ერთად.

ახალგაზრდების 70% ცხოვრობს თავის მშობლებთან ერთად. მშობლებზე დამოკიდებულების ხარისხი, როგორც მოსალოდნელი იყო, იკლებს ასაკის ზრდასთან ერთად. 14-18 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ახალგაზრდების 90% ცხოვრობს მშობლებთან ერთად. საშუალო ასაკობრივ კატეგორიაში (19-24 წელი), ეს მაჩვენებელი 67% არის, ხოლო 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტების მხოლოდ 52% ცხოვრობს მშობლებთან ერთად.

სურათი #1.8 - ახალგაზრდების საცხოვრებელი ადგილი



ოჯახების 5,1% რომლებშიც ახალგაზრდები ცხოვრობენ, მხოლოდ ერთ ოთახში არაიან განთავსებულნი. რესპონდენტების 14% ცხოვრობს სახლში, რომელსაც 2 საძინებელი აქვს, 28% ცხოვრობს სახლში, რომელსაც 3 საძინებელი აქვს, ხოლო დანარჩენი რესპონდენტები ცხოვრობენ სახლებში, რომლებსაც 4 ან მეტი საძინებელი აქვს.

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია შემუშავდა ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფის (ACT) მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის მოთხოვნების შესაბამისად. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდებს, უფრო კონკრეტულად პირისპირ ინტერვიუს და ფოკუსურ ჯგუფების დისკუსიას.

რაოდენობრივი კვლევისთვის შერჩევა შემუშავდა ACT-ის შერჩევის სპეციალისტის მიერ. საქართველოს ახალგაზრდობის კვლევაში, გამოყენებული იქნა ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატიფიკაციით. შერჩევის ჩარჩოდ, აღებულია 2002 წლის აღწერის მონაცემები. შერჩევის პირველად ერთეულად (PSU) განისაზღვრა კლასტერი, მეორად ერთეულად (SSU) ოჯახი, ხოლო ფინალურ ერთეულად (FSU) ოჯახში შეირჩა 14-29 წლის ინდივიდი, რომელიც არჩეული იყო ამ ასაკობრივი ჯგუფის სხვა წარმომადგენლებიდან „ბოლო დაბადების დღის“ პრინციპით. სტრატიფიკაციისთვის გამოყენებული იყო ორი მთავარი კრიტერიუმი:

1. ადმინისტრაციული დაყოფა - 11 რეგიონი (დედაქალაქის ჩათვლით);
2. დასახლების ტიპი - ქალაქი და სოფელი

სტრატიფიკაციის ყველა კრიტერიუმის კომბინაციით მიღებული იქნა ჯამში 22 სუბ-სტრატა. კვლევის ფარგლებში სულ ჩატარდა 1200 დასრულებული ინტერვიუ. ინტერვიუები ტარდებოდა როგორც სოფლად, ასევე ქალაქებშიც. ქვემოთ მოცემული ცხრილი გადმოსცემს ჩატარებული ინტერვიუების განაწილებას საქართველოს რეგიონების მიხედვით.

ცხრილი 1 - ინტერვიუების განაწილება

რეგიონი	ინტერვიუების რაოდენობა
თბილისი (დედაქალაქი)	330
აჭარა	120
გურია	30
იმერეთი	170
კახეთი	100
მცხეთა-მთიანეთი	30
ქვემო ქართლი	140
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	20

სამცხე- ჯავახეთი	60
სამეგრელო- ზემო სვანეთი	120
შიდა ქართლი	80

რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი, პირისპირ ინტერვიუების ჩასატარებლად მოწოდებულ იქნა ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის მიერ. კითხვარის ქართულ ენაზე შედგენისას, ბაზად გამოყენებული იქნა სერბეთსა და სომხეთში ჩატარებული მსგავსი კვლევის ინსტრუმენტი. ინსტრუმენტის თარგმნასა და ქართულ ენაზე ადაპტაციაზე იზრუნა ACT-იმ. ინსტრუმენტი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს გაეცნოთ 2016 წლის 29 თებერვალს ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაზე. შეხვედრისას მონაწილეებმა გაგვიზიარეს მათი კომენტარები და იდეები. ყველა რეკომენდაცია მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული კვლევის საპილოტე ინსტრუმენტში. საბოლოო საველე სამუშაოებამდე ინსტრუმენტის საპილოტე კვლევამ (20 საპილოტე ინტერვიუ და ხუთამდე კოგნიტური ინტერვიუ) გამოკვეთა, როგორც ტექნიკური, ასევე, კითხვარის სირთულესთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული ხარვეზები გამოსწორდა საველე სამუშაოების დაწყებამდე. აღსანიშნავია, რომ კითხვარი შეიცავდა სენსიტიური კითხვების ბლოკს. ასეთი კითხვები რესპონდენტებს მიეწოდათ თვითადმინისტრირებადი კითხვარის სახით და რესპონდენტებმა თავად უპასუხეს მათ. მსგავსი მიდგომა იყო გამოყენებული სომხეთში 2016 წელს ჩატარებულ ახალგაზრდების კვლევაში. ამ მიდგომამ ხელი შეუწყო ახალგაზრდების გულწრფელობას. გთხოვთ, იხილოთ დანართი #1 რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტისთვის.

რამდენადაც კვლევის სამიზნე სეგმენტში ასევე შედიოდნენ ახალგაზრდები18 წელს ქვევით, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფთან თითოეული ინტერვიუს ჩატარებამდე მოპოვებული იყო თანხმობა რესპონდენტის მშობლის ან პასუხისმგებელი პირისგან.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები დამუშავდა SPSS 21.0.–ის საშუალებით. რაოდენობრივი მონაცემის ანალიზი ასევე მოიცავდა ფაქტორულ და კლასტერულ ანალიზს. კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემი მოცემულია წინამდებარე ანგარიშის ქვეთავებში.

იმისათვის, რომ ახალგაზრდების საჭიროებებზე, ხედვებსა და წარმოდგენებზე უფრო სიღრმისეული ანალიზის საშუალოება გვქონოდა, ACT-იმ ჩაატარა თვისებრივი კვლევა ფოკუს ჯგუფის (FG) დისკუსიის ტექნიკის გამოყენები.

ფოკუს ჯგუფის დისკუსიების დაწყებამდე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შემუშავდა კვლევის ინსტრუმენტი (FG სახელმძღვანელო). სახელმძღვანელო მომზადდა Youth Shell Study-ის ინსტრუმენტის ბაზაზე, ადაპტირდა ქართული კონტექსტის გათვალისწინებით. გთხოვთ, იხილოთ დანართი #2 თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტისთვის.

ჯამში ჩატარდა 24 ფოკუს ჯგუფური დისკუსია. წინამდებარე ცხრილი აჩვენებს ფოკუს ჯგუფების განაწილებას რეგიონების და შემადგენლობის მიხედვით.

ცხრილი # 2 - ფოკუს ჯგუფების განაწილება

რეგიონი	ფოკუს ჯგუფების რაოდენობა	შემადგენლობა
თბილისი	1	14-18 (შერეული სქესი)
	1	19-29 (შერეული სქესი)
კახეთი	1	14-18 (ქალაქის ტიპის დასახლება)
	1	19-29 (ქალაქის ტიპის დასახლება)
	1	14-29 (სოფლის ტიპის დასახლება)
ახალციხე	1	14-18 ეთნიკური უმცირესობები (შერეული სქესი/დასახლება)
	1	19-29 ეთნიკური უმცირესობები (შერეული სქესი/დასახლება)
აჭარა/გურია	1	14-18 (ქალაქის ტიპის დასახლება)
	1	19-29 (ქალაქის ტიპის დასახლება)
	1	14-29 (სოფლის ტიპის დასახლება)
იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ ქვემო სვანეთი	1	14-18 (ქალაქის ტიპის დასახლება)
	1	19-29 (ქალაქის ტიპის დასახლება)
	1	14-29 (სოფლის ტიპის დასახლება)
სამეგრელო/ ზემო სვანეთი	1	14-18 (ქალაქის ტიპის დასახლება)
	1	19-29 (ქალაქის ტიპის დასახლება)
	1	14-29 (სოფლის ტიპის დასახლება)
ქვემო ქართლი	1	14-18 ეთნიკური უმცირესობები (შერეული სქესი/დასახლება)
	1	19-29 ეთნიკური უმცირესობები (შერეული სქესი/დასახლება)
შიდა ქართლი	1	14-18 (ქალაქის ტიპის დასახლება)
	1	19-29 (ქალაქის ტიპის დასახლება)
	1	14-29 (სოფლის ტიპის დასახლება)
მცხეთა მთიანეთი	1	14-18 (ქალაქის ტიპის დასახლება)
	1	19-29 (ქალაქის ტიპის დასახლება)
	1	14-29 (სოფლის ტიპის დასახლება)

მიმდინარეობდა ფოკუს ჯგუფების დისკუსიების ვიდეო და აუდიო ჩაწერა, დისკუსიების მონაწილეების თანხმობით. მომზადდა დისკუსიების დეტალური ტრანსკრიპტები. თვისებრივი კვლევის ფარგლებში, შეგროვებული მონაცემები წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშში თემატურად ქვეთავების მიხედვით, რაოდენობრივი კვლევის მონაცემებთან ერთად.

განათლება და დასაქმება

შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში განათლების სისტემამ მრავალი ცვლილება განიცადა, თუმცა, ძირეული ცვლილებები სისტემაში 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ შევიდა. 2004 და 2007 წლებში საქართველომ მიიღო ახალი საკანონმდებლო ცვლილებები ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემებისათვის. 2005 წელს, საქართველო გახდა ბოლონიის პროცესის წევრი, რამაც უზრუნველყო საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხის შესაბამისობა ევროპული ქვეყნების განათლების ხარისხთან.

ეროვნული საგამოცდო ცენტრი, რომელიც 2006 წელს დაარსდა, ასევე მიიჩნევა უმაღლესი განათლების მიღების პროცესში წარმოქმნილი ბარიერების დასაძლევ უმნიშვნელოვანეს მექანიზმად, ვინაიდან ამ მექანიზმის საშუალებით შეიქმნა თანაბარი შესაძლებლობები და არაკორუფციული გარემო უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად.

საქართველოს განათლების სისტემა მრავალ ეტაპს მოიცავს დაწყებული სკოლამდელი განათლებით დამთავრებული დოქტორანტურით. ქვემოთ მოცემულ გრაფიკში წარმოდგენილია ქვეყანაში ამ დროისათვის მოქმედი საგანმანათლებლო სისტემა.

გრაფიკი # 2.1- საქართველოს განათლების სისტემა



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საგანმანათლებო რეფორმები კვლავ მიმდინარეობს, მიმდინარე კვლევების მიხედვით, რომლებიც საქართველოში შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას სწავლობს, ქვეყანაში მაინც არსებობს სერიოზული დისბალანსი სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. 2010 წელს აშშ-ს განვითარების ფონდისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, „დამსაქმებელთა 34% პრობლემებს აწყდება მოთხოვნადი პროფესიების მქონე პერსონალის გამო-

ვლენისა და გადამზადების დროს. კვლევის შედეგები ასევე ცხადყოფს, რომ ქვეყანაში არ ხდება პერსონალის მომზადება დამსაქმებელთა მიერ მოთხოვნილ კონკრეტულ პროფესიებში ან მომზადებული პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის დონე არადამაკმაყოფილებლად ფასდება დამსაქმებლების მიერ“ (USAID, IOM, 2011).

უნდა აღინიშნოს, რომ „უმუშევრობა წარმოადგენს ყველაზე მწვავე სოციო-ეკონომიკურ პრობლემას თანამედროვე საქართველოსთვის და ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას (USAID, IOM, 2011). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2015 წლის მარტიდან ივლისამდე ჩაატარა „კვლევა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების“ შესახებ”[1]. კვლევის თანახმად, 63, 387 ორგანიზაციაში დასაქმებულია 908, 374 ადამიანი. მათ შორის, დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილის მოდის თბილისზე (497, 135). თბილისის შემდეგ მოდის იმერეთის რეგიონი (78, 303), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (78, 766). რაც შეეხება დასაქმებულთა გადანაწილებას სქესის მიხედვით, ხსენებული კვლევის შედეგების თანახმად, დასაქმებულთა 51% (459, 349) მამაკაცია, ხოლო 49% (448, 689) - ქალი.

ამავე კვლევის შედეგების თანახმად, შრომის ბაზარზე არსებობს იმ პოზიციების ნაკლებობა, რომლებშიც ხდება პროფესიული განათლების მქონე პირების დასაქმება. ასევე აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების მიხედვით, შრომითი რესურსების დაქირავების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საჭირო უნარებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შრომის ბაზარზე საჭიროა გარკვეული ზომების მიღება არსებული პოლიტიკის კუთხით.

„ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნის კვლევის“ თანახმად, მომავალი თანამშრომლების მოძიების ყველაზე პოპულარულ გზას წარმოადგენს მათი მოძიება არაფორმალური კონტაქტების მეშვეობით. ეს მეთოდი მთლიანი ერთობლიობის 60%-ს შეადგენს. საჭირო პერსონალის არაფორმალური კონტაქტების მეშვეობით მოძიების ტენდენცია შეიძლება აიხსნას დაბალი კვალიფიკაციითა და უნარების ნაკლებობით. იმ შემთხვევაში, თუ განათლების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტების (სერთიფიკატი, დიპლომი და ა.შ.) მეშვეობით ვერ ხერხდება პიროვნების რეალური შესაძლებლობების იდენტიფიცირება, დამსაქმებლებს უწევთ საჭირო უნარების გამოვლენისათვის სხვა გზებს მიმართონ. ამ შემთხვევაში, არაფორმალური კონტაქტები და ნაცნობები ზრდიან დასასაქმებელი კანდიდატის მიმართ ნდობას.

ქვემოთ მოცემულ თავში წარმოდგენილია განათლების სისტემაში ჩართული ახალგაზრდების დამოკიდებულებები, მათი აღქმები საქართველოში მიღებული განათლების ხარისხთან დაკავშირებით, ასევე, მათი დამოკიდებულებები საკუთარი დასაქმების შანსებისა და სამომავლო მიზნების მიმართ.

---

[1] იხილეთ: http://www.moh.gov.ge/files/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf

ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდების 59% კავშირი არ აქვს არცერთ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, ასეთი ახალგაზრდების დიდ ნაწილს წარმოადგენს 19-24 (63%) და 25-29 წლის (95%) ასაკობრივ კატეგორიები;
- ათიდან ოთხი რესპონდენტი, ინტერნეტს იყენებს სკოლისათვის, სამუშაოდ ან ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოსაძებნად. მათ შორის უმრავლესობას წარმოადგენენ ახალგაზრდები 14-18 წლის ასაკობრივი კატეგორიიდან;
- ახალგაზრდების 58% ფიქრობს, რომ სკოლაში ან უნივერსიტეტში სიხარულით მიდის, თუმცა საქართველოს ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (51%) მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ყოველდღიური ცხოვრება რთული და სტრესულია;
- ახალგაზრდების 68% ფიქრობს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში პრაქტიკულად არ ხდება მასწავლებლების/ლექტორების მოქრთამვა და ნიშნების ყიდვა;
- ახალგაზრდების 52% მიიჩნევს, რომ საქართველოში განათლების ხარისხი საშუალოდ დამაკმაყოფილებელია. რაოდენობრივი კვლევის შედეგებისაგან განსხვავებით, თვისებრივი კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საგანმანათლებლო გარემო, ზოგადად არადამაკმაყოფილებელია. იგივე დამოკიდებულება დაფიქსირდა განათლების ხარისხის მიმართ;
- 19-24 წლის ახალგაზრდების 51% წიგნებს/გაზეთებს კითხულობს ხშირად ან ხანდახან, მაშინ როცა 25-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ასეთი ახალგაზრდების რიცხვი უფრო დაბალია (38%);
- ახალგაზრდების 79% ფიქრობს, რომ განათლების დონე ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია მომავალი მეუღლის შერჩევის პროცესში;
- რესპონდენტების საკმაოდ დიდ ნაწილი უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფო უნივერსიტეტებს საქართველოში (40%) ან მის ფარგლებს გარეთ (31%);
- ახალგაზრდების 85% ფიქრობს, რომ დასაქმების კუთხით ქვეყანაში საგანგაშო მდგომარეობაა;
- დასაქმებული ახალგაზრდების 31% საკუთარი პროფესიით მუშაობს ნაწილობრივ ან სრულად, ხოლო 35% არ არის საკუთარი პროფესიით დასაქმებული;
- რეგიონულ ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ კარგი იქნებოდა უკეთესი განათლების მიღების მიზნით შეეცვალათ საცხოვრებელი ადგილი (20% და 18% შესაბამისად).

ანალიზი

საგანმანათლებლო გარემოს ზოგადი მიმოხილვა

რაოდენობრივი კვლევის მონაცემების თანახმად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალგაზრდების ნახევარზე მეტს (59%), კავშირი არ აქვს რაიმე ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. თუმცა, აღნიშნული მონაცემის ასაკის ჭრილში გაანალიზებისას ნათლად ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროცესს მოკლებული არიან 19-24 (63%) და 25-29 (95%) ასაკობრივი კატეგორიის წამომადგენელი ახალგაზრდები. მათ შორის კი, ვინც სწავლა რომელიმე ეტაპზე შეწყვიტა (8%) ძირითად მიზეზებად სწავლის საფასურის გადაუხდელობა (27%), ოჯახური პირობები (9%) და დაოჯახება (19%) დაასახელა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაოჯახების მიზეზით სწავლა შეწყვიტა 36% მდედრობითი, ხოლო 5% მამრობითი სქესის ახალგაზრდამ.

გრაფიკი # 2.2 – განათლების დონე



რაოდენობრივი კლვევის შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმათგან, ვინც არ დადის სკოლაში ან უმაღლეს სასწავლებელში, უმრავლესობა წარმოადგენს დაბალ სოციალურ ფენას (დაბალი სოციალური ფენა - 54%, საშუალო ფენა - 48%, მაღალი კლასი - 33%). აღსანიშნავია, რომ ბაკალავრის ხარისხს ძირითადად მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელი ახალგაზრდები იღებენ (დაბალი სოციალური ფენა - 8%, საშუალო ფენა - 13%, მაღალი ფენა -22%).

გრაფიკი # 2.3 – განათლების დონე სოციალური ფენის მიხედვით



რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ისინი სკოლაში/უნივერსიტეტში დადიან მონდომებულად (ძალიან მონდომებულად: 22%; მონდომებულად: 36%; ზოგჯერ მონდომებულად, ზოგჯერ - არა: 34%.). მათ შორის ვინც თვლის, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონდომებულად დადის, უმრავლესობას მაგისტრატურის/დოქტორანტურის სტუდენტები წარმოადგენენ (91%), ხოლო უმცირესობას საშუალო სკოლის მოსწავლეები (51%).

მიუხედავად სკოლაში თუ უნივერსიტეტში სიარულის მხრივ მონდომების მაღალი დონისა, ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (51%) თვლის, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების ყოველდღიურობა რთული და სტრესულია. სხვებთან შედარებით, სასწავლო გარემოს უფრო მეტად სტრესულად აღიქვამენ მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები (65%). ხოლო მათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ სკოლის/უნივერსიტეტის ყოველდღიურობა მარტივი და არასტრესულია, უმრავლესობას სკოლის მოსწავლეები წარმოადგენენ (51%).

გრაფიკი # 2.4 - სკოლის / უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრება



პედაგოგოების/ლექტორების „მოსყიდვა“ და ნიშნების/ქულების „ჩაწყობა“ ახალგაზრდების დიდი ნაწილის მოსაზრებით დღესდღეობით საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფაქტიურად არ ხდება (68%). აღსანიშნავია, რომ მონაცემის განათლების კონკრეტულ საფეხურზე მყოფი ახალგაზრდების ჭრილში გაანალიზების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ შორის, ვისი აზრითად განათლების დონის შეფასებაზე შესაძლოა გარე ფაქტორები მოქმედებს, უმრავლესობას მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები წარმოადგენენ (49%).

გრაფიკი # 2.5 - მოსყიდვა/ქულების ყიდვა



რაოდენობრივი კვლევის შედეგების მონაცემების თანახმად ის ახალგაზრდები, რომლებიც სწავლით არიან დაკავებული, აღნიშნულ პროცესს დღის განმავლობაში საშუალოდ 3.5 საათს უთმობენ.

რაც შეეხება განათლების ხარისხით კმაყოფილებას, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (52%) თვლის, რომ განათლების დონე საქართველოში საშუალოდ დამაკმაყოფილებელია.

გრაფიკი # 2.6 -განათლების ხარისხით კმაყოფილება



ზოგად საგანმანათლებლო გარემოზე საუბრისას ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილე რესპონდენტების შეფასებები რაოდენობრივი კვლევის მონაცემებთან შედარებით სკეპტიკურია. ახალგაზრდები, რაოდენობრივი კვლევის მონაცემისგან განსხვავებით, ჯგუფური დისკუსიის ფარგლებში აღნიშნავდნენ, რომ ზოგადი საგანმანათლებლო გარემო და მისი ხარისხი არადამაკმაყოფილებელია.

„მეც, ვფიქრობ, რომ გაბერილი რიცხვია [76%], იმიტომ რომ უნივერსიტეტის მაგალითიდან რომ ავიღოთ, იმას არ ვამბობ რომ არ მასწავლიან რაიმეს, უბრალოდ ბევრი რაღაც ისეთია რაც საერთოდ არ გამოგვადგება და ბევრი ისეთი რაღაც შეიძლება დაინერგოს სისტემაში და შეიცვალოს ისე, რომ პრაქტიკაში გამოცდა მოგვიწიოს. ვინაიდან ყველგან სადაც მივდივართ გვთხოვენ გამოცდილებას და უნივერსიტეტი იმის საშუალებას არ გვაძლევს რომ ჩვენ გამოცდილება გვქონდეს.“
[კახეთი, სოფლის ტიპის დასახლება, მდედრობითი, 16-23 წლის ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

რაც შეეხება, ახალგაზრდების ზოგადი განათლების დონის რაოდენობრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების მიერ დაფიქსირებულ შეფასებას, მათი დიდი ნაწილი (76%) მიიჩნევს, რომ ახალგაზრდები უფრო მეტად განათლებულები არიან, ვიდრე გაუნათლებლები.

ზოგად განათლებასთან დაკავშირებით, კვლევის შედეგებმა ნათელი მოჰფინა ტენდენციას წიგნების კითხვის მიმართულებით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ წიგნთან ურთიერთობის სიხშირე კლებულობს ახალგაზრდების ასაკის მატებასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების თითქმის ნახევარის (49%)

განცხადებით, ისინი ხშირად ან ზოგჯერ მაინც კითხულობენ წიგნებს/გაზეთებს, მათ შორის უმრავლესობას 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი ახალგაზრდები წარმოადგენენ (62%). კვლევის მონაცემების თანახმად, 19-24 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა ერთი მეორედი (51%) ახორციელებს აღნიშნულ აქტივობას, ხოლო 25-29 წლის ახალგაზრდების შედარებით მცირე რაოდენობა (38%).

მაშინ, როდესაც ინტერნეტს ახალგაზრდების უმრავლესობა (86%) სოციალურ ქსელების გამოყენების მიზნით მოიხმარს, სკოლისთვის, სამსახურისთვის ან რაიმე სახის ინფორმაციის მოსაძიებლად, მას ათიდან მხოლოდ ოთხ შემთხვევაში იყენებენ. მათ შორის უმრავლესობას კი კვლავ 14-18 წლის ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდები წარმოადგენენ. აქვე უნდა ითქვას, რომ წიგნების/სტატიების ჩამოსატვირთად ინტერნეტს რესპონდენტების მხოლოდ 16% მოიხმარს, თუმცა მოცემულ მაჩვენებელში ყველაზე მცირე წილი 25-29 წლის ასაკობრივი კარეგორიის წარმომადგენლებს უკავიათ (14-18:18%; 19-24:20%; 25-29: 8%).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ ახალგაზრდების უმრავლესობას, რომლებიც არ არიან დაოჯახებულები, ათიდან რვა რესპონდენტს (79%) მიაჩნია, რომ მომავალი მეუღლის შერჩევისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მისი განათლების დონე წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნული მონაცემის დასახლების ტიპის ჭრილში გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ განათლების დონე შედარებით მეტად მნიშვნელოვანია თბილისში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (91%), ვიდრე სხვა ქალაქების (81%) ან სოფელში მაცხოვრებელი რაოდენობრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტებისთვის (68%).

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მსვლელობისას, რესპონდენტებს დაევალათ დაეხასიათებინათ „განათლებული ახალგაზრდა“. მათი უმრავლესობის აღქმით, განათლებულ ახალგაზრდას სასურველია ჰქონდეს კარგი ზოგადი განათლება და მეტ-ნაკლებად ერკვეოდეს ისეთ საკითხებში, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხოლოდ მის პროფესიულ ცოდნასთან. რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ისეთი საბაზისო ცოდნები, როგორიცაა მსოფლიო ისტორია, გეოგრაფია, ხელოვნება, კულტურა და ა.შ. გარკვეულ დონეზე უნდა გააჩნდეს იმ ახალგაზრდას, რომელსაც შეიძლება განათლებული ვუწოდოთ. ამას გარდა, თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების მოსაზრებით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს და ახალგაზრდას განათლებულობაზე მიუთითებს ისეთი თვისებების და მახასიათებლების არსებობა, როგორიცაა ზრდილობა, სხვისი პატივისცემის უნარი, ტოლერანტობა და ა.შ.

„მე მყავს ერთი მეგობარი, რომელსაც სკოლაც არ დაუმთავრებია, მაგრამ ბევრად მეტი იცის იმაზე, ვინც ოთხი წელი ისწავლა. ადამიანობა, ტოლერანტობა უფრო მეტად გააჩნია.“ [სამეგრელო/ზემო სვანეთი, სოფლის ტიპის დასახლება, მდედრობითი, 16-23 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

უმაღლესი და პროფესიული განათლების მნიშვნელობა

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა არჩევანის არსებობის შემთხვევაში პრიორიტეტს სახელმწიფო სასწავლებლებს ანიჭებს, იქნება ეს საქართველოში (40%), თუ საზღვარგარეთ (31%). რაც შეეხება პროგრამის შერჩევაზე მოქმედი ფაქტორების პრიორიტეტიზაციას, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალგაზრდების ნახევარი (50%) იმ სასწავლო პროგრამაზე სწავლობდა/სწავლობს, რომელზე ჩარიცხვაც ყველაზე მეტად სურდა. თუმცა, ათიდან დაახლოებით შვიდი რესპონდენტი ფიქრობს, რომ იმ პროგრამის არჩევა იყო/არის მისთვის პრიორიტეტული, სადაც დასაქმების მეტი შესაძლებლობა ექნება მიუხედავდ იმისა, იქნება/არის თუ არა მომავალი პროფესია ახლოს მის ინტერესებთან.

გრაფიკი # 2.7 პროფესიის არჩევა



თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდების მოსაზრებით, უმაღლესი განათლების მიღება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების დონეს არც თუ ისე მაღალ შეფასებას აძლევენ ახალგაზრდები, მის მნიშვნელობას, დამსაქმებლების მხრიდან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის მოთხოვნით ხსნიან. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების ერთი ნაწილის აზრით, კი თუ ახალგაზრდას ხელს უწყობს გონებრივი შესაძლებლობები, მან აუცილებლად უნდა მიიღოს უმაღლესი განათლება, რაც მის მომავალზე, კარიერასა და შემოსავლის ოდენობაზე, მათი გამოცდილებით, დადებითად აისახება. თუმცა, პირად გარემოცვაზე და სანაცნობო წრეზე დაყრდნობით ჯგუფური დისკუსიის ფარგლებში რესპონდენტებს მრავლად მოჰყავდათ მაგალითები იმისა, თუ როგორ შეიძლება უმაღლესი განათლების არ მქონე ახალგაზრდა უფრო მეტად განათლებული და ზოგიერთ შემთხვევაში წარმატებულიც იყოს, ვიდრე დიპლომის მქონე, თუნდაც პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული.

უმაღლეს განათლებას პრიორიტეტს ანიჭებს ასევე მშობლების და ოჯახის წევრების დიდი ნაწილი, რომელთა გავლენა ახალგაზრდების მიერ განათლებასთან დაკავშირებით არჩევანის გაკეთების პროცესზე საკმაოდ მაღალია. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდების მოსაზრებით, სწორედ მშობლებს და ოჯახის უფროსი თაობის წარმომადგენელ წევრებს გააჩნიათ სტერეოტიპული დამოკიდებულება უმაღლესი განათლების მიმართ და გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დიპლომის ფლობას, ვიდრე ახალი თაობის წარმომადგენლები. რესპონდენტთა დიდი ნაწილის მოსაზრებით, აღნიშნული დამოკიდებულება უფრო მეტად განაპირობებს იმას, რომ სტუდენტი სწავლის პროცესში ორიენტირებულია დაასრულოს სწავლა და მიიღოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობა, ვიდრე სწავლის პროცესზე და პროფესიულ განვითარებაზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ ახალგაზრდების ნაწილს, რომლებიც მშობლების ინიციატივით ირჩევს უმაღლეს განათლებას, ესმის მისი მნიშვნელობა, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს მათი ინტერესებისგან შორსაა.

“უმეტესად მშობლებისგან გვესმის, რომ უნდა ჩააბარო. დედაჩემი და მამაჩემიც ამას მეუბნებიან. რა თქმა უნდა მე თავს ვთვლი ვალდებულად ჩავაბარო, მაგრამ ადამიანმა უნდა აკეთოს ის, რაც სიამოვნებს და უყვარს, მაგალითად მე ჩავაბარებ რა თქმა უნდა უნივერსიტეტში და ამასთან ერთად ვითამაშებ რაგბს, მაგრამ მე დიპლომატიაზე მეტად სიამოვნებას რაგბი მგვრის. ... მარტო მშობლების ფაქტორი არ არის, მე რომ სულ ვარსკვლავებს ვწყვეტდე ისე ვთამაშობდე, ხვალ შეიძლება ისეთი ტრამვა მივიღო იძულებული გავხდე შევეშვა სპორტს.” [თბილისი, მამრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

თვისებრივი კვლევის მონაწილე ახალგაზრდების მოსაზრებით, სასურველია უმაღლესი განათლება მიიღონ იმ ახალგაზრდებმა, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი, მიზანები, სურვილი და თავად სურს, რომელიმე კონკრეტულ პროფესიას დაეუფლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შრომის ბაზარი იღებს არამოტივირებულ და განვითარებაზე ნაკლებად ორიენტირებულ კადრებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში არ არიან დამსაქმებლებისთვის მიმზდველები და საბოლოოდ, მათი პროფესიისგან სრულიად განსხვავებული მიმართულებით ცდილობენ დასაქმებას.

„უმაღლესი განათლების მიღება სასურველია ვისაც აქვს მიზანი, ვისაც არ აქვს მიზანი უმაღლეს სასწავლებლებს ამთავრებენ, მაგრამ ისინი განათლებას ვერ იღებენ, აქვთ მხოლოდ დიპლომი და გვყავს ორ დიპლომიანი ტაქსისტები და ოთხ დიპლომიანი ხელოსნები.“ [თბილისი, მდედრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

უმაღლესი განათლების მნიშვნელობაზე საუბრისას ფოკუს ჯგუფის დისკუსიის ფარგლებში რესპონდენტების მიერ გამოიკვეთა ისეთი ფაქტორები, როგორი-

ცაა სწავლების მაღალი ხარისხი ზოგიერთ კერძო უმაღლეს სასწავლებელში და ინტერესი ისეთი პროფესიების მიმართ, რომელთა დაუფლებაც მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშია შესაძლებელი (მაგალითად, მედიცინა, იურისპრუდენცია და ა.შ.). რესპონდენტების ინფორმაციით, არსებობს უმაღლესი განათლების მიმცემი დაწესებულებები, რომლებიც კურსდამთავრებულების განვითარებას და კარიერულ წინსვლას უზრუნველყოფენ. აღნიშნულ შემთხვევაში, როდესაც ახალგაზრდას უნარები და ინტელექტუალური მონაცემები უწყობს ხელს, „აუცილებელია“ მან მიიღოს უმაღლესი განათლება.

[სამეგრელო/ზემო სვანეთი, ქალაქი, 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]
მოდ: დღესდღეობით რამდენად მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების მიღება საქართველოში?
მამრ.: ძალიან კარგია, მაგრამ ყველას არ აქვს საშუალება.
მოდ: კარგი არის რისთვის?
მდედრ.: მომავლის უზრუნველყოფისთვის.
მამრ.: ნასწავლი ადამიანი ყველაფერს მიაღწევს.
მამრ.:ჩემი აზრით, არ არის აუცილებელი მაინცდამაინც უმაღლესის დიპლომი გქონდეს. მაინცდამაინც ყველა მინისტრი ხომ ვერ იქნება.
მოდ: რა შესაძლებლობას აძლევს უმაღლესი განათლება ახალგაზრდას?
მამრ.: მეტი შესაძლებლობა გექნება, უკეთესი სამსახური გქონდეს.
მდედრ.: უფრო მეტი პერსპექტივა აქვს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა აღიარებს უმაღლესი განათლების მიმართ არსებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას - „აუცილებლად უნდა დაამთავრო უნივერსიტეტი“, მიუხედავად პირადი ინტერესებისა და სურვილებისა.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდების ნაწილს, მნიშვნელოვნად მიაჩნია პროფესიული განათლების არსებობა. კითხვაზე - შეიძლება თუ არა პროფესიული განათლება ჩაითვალოს უმაღლესი განათლების ალტერნატივად, რესპონდენტთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ არჩევანი საკუთარ ინტერესებზე დაყრდნობით უნდა გააკეთოს ახალგაზრდამ და მნიშვნელობა არ აქვს ეს პროფესიული განათლება იქნება თუ უმაღლესი, ხოლო მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ მომავალმა სტუდენტმა საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაბამისად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდების ერთი ნაწილის მოსაზრებით, თუ სკოლაში მოსწავლე გამოირჩევა კარგი აკადემიური მოსწრებით, სასურველია მან სწავლა პროფესიულ სასწავლებელში არ გააგრძელოს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათივე თქმით არსებობს გამონაკლისები, როდესაც ახალგაზრდას სურს ისეთი პროფესიის დაუფლება, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში ვერ შეიძენს (მაგალითად, კულინარია). ამ შემთხვევაში კი, არჩევანის პროფესიული სასწავლებლის სასარგებლოდ გაკეთება რესპონდე-

ნტებს მართებულად მიაჩნიათ.

პროფესიული განათლების, როგორც უმაღლესი განათლების ალტერნატივად განხილვისას, თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი სპეციალობის მქონე ახალგაზრდები უკეთესად საქმდებიან დღესდღეობით, ვიდრე ისეთი პოპულარული პროფესიების მქონენი, როგორიცაა იურისტი, ეკონომისტი, ექიმი და ა.შ. აღნიშნულ ფაქტორს, რესპონდენტთა მოსაზრებით, შესაძლოა განაპირობებდეს პოპულარული ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა სიჭარბე შრომის ბაზარზე, როდესაც ამა თუ იმ სპეციალობის მქონე კადრების დეფიციტია.

„უფრო კარგი ალტერნატივაა, დღეს უნივერსიტეტში ყველას უნდა ჩაბარება, აბარებს 90% და ხელობას ირჩევს ძალიან ცოტა, შესაბამისად კარგი ხელობის მცოდნე იშვიათია, შესაბამისად საქართველოში უწევთ დააფასონ კარგი ხელობის მცოდნე, შესაბამისად ძვირს იღებს.“ [თბილისი, მდედრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

თუმცა, ასევე უნდა ითქვას, რომ თუკი რამე არის ორჭოფობის მიზეზი და ახალგაზრდების არჩევანს უმაღლესი განათლების სასარგებლოდ გადაწონის, ისევ დამსაქმებლების დამოკიდებულება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის მიმართ და პროფესიული განათლების ჯერ კიდევ ნაკლები პრესტიჟულობა. თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების მოსაზრებით, როდესაც პროფესიული განათლება „დაფასდება“ და შრომის ბაზარზე, კონკურენციას გაუწევს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს, მას შემდეგ შესაძლოა ჩაითვალოს უმაღლესი განათლების ალტერნატივად.

ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდების მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში შედარებით გაიზარდა ინტერესი პროფესიული განათლების მიმართ, მაინც არსებობს ინფორმაციის დეფიციტი, თუნდაც კონკრეტული პროფესიების, სპეციალობების შესახებ. დაწყებით საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული პროფორიენტაციის ეფექტურობას ახალგაზრდა რესპონდენტები განსხვავებულად აფასებენ. მათი ერთი ნაწილი ფლობს მის შესახებ ინფორმაციას და მიაჩნია, რომ პროფორიენტაციის სპეციალისტის დახმარება პროფესიის შერჩევასა და კარიერის დაგეგმვაში ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო მეორე ნაწილი ხშირ შემთხვევაში არ ფლობს ინფორმაციას სკოლებში არსებული აღნიშნული მომსახურების შესახებ.

კურსდამთავრებულების მზაობა შრომის ბაზრისათვის

„საქართველოს ახალგაზრდების კვლევის“ რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შესწავლილ საკითხებს შორის იყო ახალგაზრდების დასაქმებასთან დაკავშირებული თემები, მათ შორის კურსდამთავრებულების მზაობა შრომის ბაზრისათვის.

„საქართველოს ახალგაზრდების კვლევის“ რაოდენობრივი კომპონენტის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალგაზრდების უმრავლესობას (85%) დასაქმების თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა საგანგაშოდ მიაჩნია, ხოლო ათიდან ოთხი რესპონდენტი ფიქრობს, რომ აღნიშნული საკითხი დღესდღეობით ქვეყანაში ყველაზე პრობლემატურია.

რაც შეეხება, ზოგადად, ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებელს, რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალგაზრდების თითქმის ერთი მეოთხედი დასაქმებულია.

გრაფიკი # 2.8 – დასაქმების სტატუსი



ასევე აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი კვლევის მონაცემების თანახმად, ქართველი დასაქმებული ახალგაზრდების მხოლოდ ერთი მესამედი (31%) მუშაობს სრულებით ან გარკვეულწილად საკუთარი პროფესიით, დაახლოებით იგივე რაოდენობაა (34%) დასაქმებული პროფესიული კვალიფიკაციის გარეშე, ხოლო ასევე ერთი მესამედი (35%) საკუთარი პროფესიისგან განსხვავებულ სფეროშია დასაქმებული.

გრაფიკი # 2.9 – პროფესიით მუშაობა



კვლევაში მონაწილე სტუდენტი ახალგაზრდების უმრავლესობა (71%) ოპ-ტიმისტურად უყურებს საკუთარი დასაქმების შესაძლებლობებს. რესპონდე-ნტების მხოლოდ მცირე ნაწილი (14%) აყენებს ეჭვქვეშ თავისი დასაქმების პერსპექტივას, ხოლო ათიდან თითქმის ერთი ახალგაზრდა ამბობს, რომ ის სწავლის პარალელურად საკუთარი პროფესიითაც ახერხებს მუშაობას.

გრაფიკი # 2.10 – სტუდენტების დამოკიდებულება სწავლის დასრულების შე-მდეგ სამუშაოს პოვნასთან მიმართ



თვისებრივი კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ დასაქმების შესაძლებლობების მხრივ გამოვლინდა განსხვავება ასაკობრივი კატეგორიების ჭრილში. იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ფლობენ ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხს, შედარებით უჭირთ დასაქმება, გაცილებით მტკივნეულად და მწვავედ აღიქვამენ ზოგად, უმუშევრობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქვეყანაში. თუმცა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, დასაქმებულებს შორის, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 20-24 ასაკობრივი კატეგორიაა დასაქმების შედარებით მაღალი მაჩვენებლით მოცემული (საქსტატი, 2015).

გამოკითხულთა უმრავლესობისთვის (42%) დასაქმების სასურველ სექტორს საჯარო სამსახური წარმოადგენს, მაღალი ინტერესი არსებობს კერძო სექტორის მიმართაც (37%). რაც შეეხება არასამთავრობო სექტორს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდებში აღნიშნულ სექტორებში დასაქმების მსურველთა რიცხვი საკმაოდ მცირეა (4% და 9% შესაბამისად).

გრაფიკი # 2.11- დასაქმების სასურველი სფერო



რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების მხოლოდ ერთი მეოთხედი (19%) საუბრობს პრაქტიკულ ან სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის მიღების თაობაზე.

გრაფიკი # 2.12 – გამოცდილება სტაჟირების ან პრაქტიკული კურსების გავლის კუთხით



ახალგაზრდები ასევე ნაკლებად არიან დაკავებული ისეთი აქტივობებით, რომლებიც ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. კვლევის მონაცემების თანახმად, ახალგაზრდების ერთი მეხუთედი (24%) აცხადებს, რომ გასული წლის მანძილზე უცხო ენის შემსწავლელი კურსები გაიარა, ხოლო თითქმის იმავე რაოდენობის რესპონდენტები (22%) ჩართული იყვნენ სარეკრეაციო აქტივობებში (ექსკურსია, ბანაკი). შედარებით მცირე ნაწილი (17%) გასული წლის განმავლობაში რეგულარულად იყო დაკავებული სპორტული ან გამაჯანსაღებელი აქტივობებით (სპორტული შეკრებები, სპორტის აქტივობები და ა.შ.) და ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებული აქატივობები (13%). რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა საკმაოდ მცირე რაოდენობაა დაინტერესებული ისეთი აქტივობებით, რომელიც მათ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას (3 პროცენტი) და სხვადასხვა ტიპი სემინარებს/ტრენინგებს (6 პროცენტი) ეხება.

გრაფიკი # 2.13 – ფასიან აქტივობებში მონაწილეობის გამოცდილება



მიუხედავად იმისა, რომ განათლების ხარისხი საშუალოდ დამაკმაყოფილებლად ფასდება, თვისებრივი კვლევის მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ დღესდღეობით საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების დიდი ნაწილი ვერ ახერხებს უზრუნველყოს მათი კურსდამთავრებულების მზაობა შრომის ბაზრისთვის.

> *"ხომ ვახსენე საზიზღარი განათლების სისტემაა, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით ვერ წახვალ წინ იმიტომ, რომ ძირითადად თეორიაზეა გადატანილი ყურადღება. იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, სოფლის ტიპის დასახლება, მამრობითი, 16-23 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]*

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ სტუდენტების მზაობას შრომის ბაზრისთვის, თვისებრივი კვლევის მონაწილე ახალგაზრდების მოსაზრებით, ასევე განსაზღვრავს ისეთი უნარების ფლობა, როგორიცაა უცხო ენები, კომპიუტერული პროგრამები და ა.შ. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდებისთვის კონკურენციის გაწევა უჭირთ უფროსი თაობის წარმომადგენლებს. დამსაქმებლებისთვის უფრო მეტად მიმზიდველნი არიან ახალგაზრდები შრომისუნარიანობის, დატვირთვირთულ სამუშაო გრაფიკში მუშაობის პირობებშიც, სადაც მათივე აღქმით, თავად უფრო მეტად პროდუქტიულები და ნაყოფიერნი არიან.

კურსდამთავრებულების მომზადების დონეს, რესპონდენტების აზრით ერთის მხრივ განაპირობებს იმ კადრების პროფესიონალიზმი, რომლებიც ჩართულნი არიან სწავლების პროცესში, ხოლო მეორეს მხრივ თავად უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პოლიტიკა. ახალგაზრდების მოსაზრებით, ლექტორების ნაწილი არასათანადო კვალიფიკაციისაა და არ აქვს რესურსი იმისა, რომ განუვითაროს სტუდენტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ხშირ შემთხვევაში თავის მხრივ გამოწვეულია იმით, რომ თავად ლექტორებს არ გააჩნიათ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

„მე ენერგეტიკულზე ვსწავლობ, რომ დავამთავრო და „ენერგოპროში“ მივიდე, გავიარო სტაჟირება, გავივლი 3 თვიან სტაჟირებას და იქ სულ სხვა რამეს მასწავლიან და 4 წელი ბაკალავრიატზე და 6 წელი მაგისტრატურიანად რომ ვიარო, გამოდის, რომ ტყუილად ვისწავლე ოფიციალურობის გამო. სამსახურში სრულიად სხვა რამეს მასწავლიან/მთხოვენ და ამიყვანენ თუ ის ავითვისე... უმეტეს შემთხვევაში, უნივერსიტეტი, უპირატესობად ჩაგეწერება მხოლოდ ფურცელზე, დიდი ვერაფერი.“ [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სოფლის ტიპის დასახლება, მამრობითი, 16-23 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

თვისებრივი კვლევის თითქმის ყველა რესპონდენტი, რომელსაც შეხება ჰქონია ან აქვს უმაღლეს სასწავლებელთან, უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამს. კონკრეტულად, კი მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ უნივერსიტეტებს ხშირ შემთხვევაში პროგრამაში არ აქვთ გაწერილი პრაქტიკული მოდული და ვერც უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული ცოდნით აღჭურვას. ლექტორების კვალიფიკაციის დონის, სტუდენტების აკადემიური მოსწრების, პრაქტიკული მოდულის ან გასვლითი პრაქტიკების უზრუნველყოფის კუთხით მნიშვნელოვნად განსხვავებული მდგომარეობაა, რესპონდენტების მოსაზრებით, ერთეულ კერძო სასწავლებლებში (მაგალითისთვის დასახელდა თავისუფალი უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი და ა.შ.), რომლებიც სტუდენტების და კურსდამთავრებულების მცირე რაოდენობის გამო, საერთო სურათზე გავლენას ვერ ახდენენ.

ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდების მოსაზრებით, შრომის ბაზარზე ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობას განაპირობებს ანაზღაურების საკითხიც. გამომდინარე იქიდან, რომ მცირეხნიანი სამუშაო გამოცდილების მქონე, ან სულაც ახალბედა კადრებს, არ გააჩნიათ იმის ამბიცია, რომ საწყის ეტაპზე ჰქონდეთ მაღალი ანაზღაურება. აღნიშნული ფაქტი, მომგებიანია დამსაქმებლისთვის და ამავდროულად ხსნის იმ ფაქტს, რომ დაბალ/საწყის პოზიციებზე ძირითადად ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები არიან დასაქმებულნი.

„ის, რომ ახალგაზრდაა, უფრო მეტს მოთხოვ, უფრო ნაკლებად დაიღლება და უფრო ნაკლები ანაზღაურებითაც შეიძლება რომ მიიზიდო. კომპანიამ შეიძლება ისარგებლოს იმით, რომ ახალგაზრდას გამოცდილება არ აქვს და სტაჟიორად აიყვანოს და ა.შ. 40 წლის ადამიანს ვერ ეტყვი სტაჟიორად წადი 400 ლარზე იმუშავე იმიტომ, რომ მას ოჯახი ყავს სარჩენი.“ [თბილისი, მდედრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

ახალი და ძველი თაობის წარმომადგენლებს მენტალიტეტს შორის არსებულ განსხვავებებზე საუბრობდნენ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები. თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ გასულ წლებთან შედარებით, დღესდღობით ნაკლებად ეთაკილებათ ახალი თაობის წარმომადგენლებს ისეთ პოზიციებზე მუშაობა, როგორიცაა მაღაზიის კონსულტანტი, მიმტანი და ა.შ. რესპონტენდების აღქმით, ეს ტენდენცია პოზიტიურ ცვლილებას წარმოადგენს.

„მომწონს, როცა სტუდენტები მუშაობენ მაღაზიაში გამყიდვლად ან კონსულტანტებად.“ [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, ქალაქი, მდედრობითი, 14-18 წლის ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

„ძალიან დიდი ნაბიჯია ის, რომ ახალგაზრდა ბიჭს არ რცხვენია სადმე მუშაობის, თუნდაც ოფიციანტად.“ [თბილისი, მდედრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების შესაძლებლობებზე საუბრისას პირველი ასოციაციაციები ნეპოტიზმთან დაკავშირებით ჩნდებოდა. რესპონდენტების მოსაზრებით, ყველა იმ ფაქტორს შორის, რომელიც გავლენას ახდენს ახალგაზრდების დასაქმებაზე, ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური „საჭირო ნაცნობი/ახლობელია“. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებდნენ თითოეული ასაკობრივი კატეგორიის და სამიზნე რეგიონის წარმომადგენელი რესპონდენტები.

„ვაკანისები რომ აქვთ გამოცხადებული ,უკვე აყვანილი ყავთ და უბრალოდ ფორმალობაა, ნეპოტიზმი კიდევ შენარჩუნებულია სამსახურებში.“ [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სოფლის ტიპის დასახლება, მამრობითი, 16-23 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდების აღქმით, არსებობს პროფესიები, რომლებიც შედარებით მოთხოვნადია, თუმცა არსებობს პროფესიები, სადაც ჭარბად არიან კურსდამთავრებულები შრომის ბაზარზე, რაც დასაქმების შესაძლებლობებს ამცირებს. ამას გარდა, რესპონდენტების ნაწილის მოსაზრებით, არსებობს ისეთი პროფესიები, რომელთა მიმართულებებიც საქართველოს შრომის ბაზარი განვითარებული არ არის და შესაძლოა პირადი ინტერესების მიუხედავად, მსგავსი პროფესიის ახალგაზრდას რეალურად ძალიან გაუჭირდეს საკუთარი თავის დამკვიდრება და კარიერული განვითარება.

„მამაჩემს დამთავრებული აქვს მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, მაგრამ საქართველოში ფიზიკურად ვერ იმუშავებს ამ განხრით. არის კიდევ ათასი ფაკულტეტი სამთო გეოლოგია და მსგავსი რაღაცეები, რომელიც საქართველოში არ არის იმდენად განვითარებული.“ [თბილისი, მამრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ფიქრობს, რომ საქართველოში სამსახურის პოვნისას ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მეგობრები/ნაცნობები (75%) და რესპონდენტების უმრავლესობა სწორედ ამ ფაქტორს აყენებს პირველ ადგილზე (41%). მეორე ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება ცოდნა და გამოცდილება (74%). საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების აზრით, პოლიტიკური კავშირების არსებობა ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება დასაქმებაზე გავლენის კუთხით (VI ადგილი: 51%, პირველი სამი ადგილის ჯამი: 14%).

გრაფიკი #2.14-სამუშაოს პოვნისას, მნიშვნელოვანი ფაქტორების შეფასება



თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის და განათლების და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, არსებობს პრიორიტეტული პროფესიების და სპეციალობების ჩამონათვალი, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ უფასოდ მიიღონ განათლება, თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების მოსაზრებით, აღნიშნულმა მიდგომამ შრომის ბაზარზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა. ახალგაზრდების აღქმით, უფასო ფაკულტეტების არსებობამ, ერთის მხირვ, კიდევ უფრო შეუწყო ხელი მხოლოდ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის/დიპლომის ფლობის სურვილით დაინტერესებულ ახალგაზრდების ნაწილს, ხოლო, მეორეს მხრივ, პროვოცირება გაუკეთა უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან სტუდენტების მოზიდვის და შენარჩუნების მოტივით შეფასების სისტემების შესუსტებას.

„სახელმწიფო უნივერსიტეტში მაინც არ გაამართლა, ა. წერეთლის სახ. უნივერსიტეტში კი აბარებენ, მაგრამ სტუდენტების იმიტომ იზიდავენ, რომ სახელმწიფომ ჩაურიცხოს უნივერსიტეტს ფული, რეალურად სწავლის დონე გაუარესდა. მთავარია, უნივერსიტეტმა დაფინანსება მიიღოს და ამიტომ უნივერსიტეტი ცდილობს ახალგაზრდების მოზიდვას. შრომის ბაზარზე კი განათლება გჭირდება, სხვანაირად მაინც ვერ დასაქმდები.“ [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სოფლის ტიპის დასახლება, მამრობითი, 16-23 წლის ასაკობრივი კარეგორიის წარმომადგენელი]

დამოკიდებულებები მოხალისეობრივი სამუშაოს მიმართ

რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდების ერთ მეოთხედს, გასული წლის მანძილზე, ერთხელ მაინც შეუსრულებია მოხალისეობრივი სამუშაო. აღსანიშნავია, რომ მონაცემი ფაქტობრივად იდენტურია, როგორც ასაკის, ისე რეგიონის ჭრილში. მათ შორის უმრავლესობამ (36%) საზოგადოებრივი სამუშაო გასწია ან ჩართული იყო ამა თუ იმ საქველმოქმედო აქტივობაში (სპეციალური საჭიროებების მქონე / ხანშიშესული პირების დახმარება) (28%).

რაც შეეხება თვისებრივი კვლევის მონაწილე იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც მოხალისეობრივი სამუშაოს შესრულების გამოცდილება გააჩნიათ, უმეტეს შემთხვევაში დასუფთავების აქციებს და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა თავშესაფრებისთვის გაწეულ სხვაადსხვა სახის აქტივობებს ასახელებენ.

კარიერული წინსვლა და მიზნები

კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, შიდა მიგრაციის სურვილის მაჩვენებლი მაღალია რეგიონალურ ქალაქებში და სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები რესპონდენტების შემთხვევაში. თუ თბილისში გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ ერთი პროცენტი აცხადებს, რომ საცხოვრებელ ადგილს შეიცვლიდა (შიდა მიგრაცია) უკეთესი განათლების მიღების მიზნით, რეგიონა-

ლური ქალაქის ტიპის დასახლებებში და სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრებთა შემთხვევაში, ახალგაზრდების ერთი მეხუთედი (20%; 18%) ფიქრობს, რომ მათთვის ხელსაყრელი იქნებოდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. მსგავსი ტენდენციაა, დასაქმების შესაძლებლობების კუთხითაც. თბილისში გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ რვა პროცენტს მიაჩნია, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მისთვის დასაქმების შესაძლებლობებზე დადებითად აისახება. რეგიონში მდებარე ქალაქის და სოფლის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით მაღალია (16%, 15%).

ქვეყნის დატოვების მსურველთა მოტივატორებს კვლევის შედეგების მიხედვით უმეტეს შემთხვევაში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება წარმოადგენს (38%), თუმცა მას შემდეგ, კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკეთესი განათლება (17%) და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობებია (13%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მონაცემის რეგიონის ჭრილში გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ქვეყნის საზღვრებს გარეთ წასვლის სურვილი შედარებით მაღალია სოფლის ტიპის დასახლებებში მაცხოვრებელი ახალგაზრდების შემთხვევაში (52%), ვიდრე დედაქალაქში (28%), ან თუნდაც, ქალაქის ტიპის დასახლებებში მაცხოვრებელთათვის (41%). თბილისის მკვიდრი ახალგაზრდები უკეთესი განათლების მიღების მიზნით უფრო მეტად არიან დაინტერესებული (21%), ვიდრე სოფლის ტიპის (12%) და რეგიონში მდებარე ქალაქის ტიპის (14%) მაცხოვრებელი ახალგაზრდები.

გრაფიკი # 2.15 – მიგრაციის მთავარი მიზანი რეგიონების მიხედვით



საქართველოს საზღვრებს გარეთ წამსვლელთა მოტივები განსხვავებულია სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი ახალგაზრდების შემთხვევაშიც. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ქვეყნის დატოვების სურვილი თუ კი ასაკის მატებასთან ერთად იზრდება, უკეთესი განათ-

ლების მიღების სურვილით წამსვლელთა მაჩვენებელი შედარებით მაღალია (27%) 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი ახალგაზრდების შემთხვევაში.

გრაფიკი # 2.16 - მიგრაციის მთავარი მიზეზი ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით



კვლევის რესპონდენტებს ვკითხეთ სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილის შესახებ. კვლევის შედეგების თანახმად, კითხვაზე, ცდილობენ თუ არა მარტო ან სხვებთან ერთად ახალი ბიზნეს საქმიანობის დაწყებას, თვითდასაქმებას, ასევე სავაჭრო ან მომსახურების სფეროთი დაკავებას, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილმა (13%) გასცა დადებითი პასუხი.

გრაფიკი # 2.17 – ბიზნესის წამოწყების მცდელობა



თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამართული ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილე რესპონდენტების მიზნები, უმეტეს შემთხვევაში, კარიერულ წინსვლას და პროფესიულ განვითარებას უკავშირდება. 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნიათ მკაფიოდ გამოხატული სამომავლო გეგმები, მიზნები და ინტერესები, დარწმუნებულია, რომ უმაღლესი განათლება უნდა მიიღოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჯერ არ აქვს არჩეული პროფესია.

კარიერული წინსვლა, სწავლის წარმატებით დასრულება და საკუთარი შემოსავლის წყაროს მოპოვება, თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული, როგორც ბიჭების, ისე გოგონების მთავარ მიზანს წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების ერთი ნაწილი საკუთარ თავს მომავალში საზღვარგარეთ ხედავს, უმრავლესობას სწავლის, მუშაობის და ცხოვრების მისთვის სასურველ ადგილად საქართველო მიაჩნია. საზღვარგარეთ წასვლის მიზეზად კი უმეტეს შემთხვევაში, ტურისტული დანიშნულებით გამგზავრება წარმოადგენს, თუმცა ახალგაზრდების ნაწილი განათლების მისაღებადაც ისურვებდა სხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას. საკმაოდ მცირეა იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც ფოკუს ჯგუფის დისკუსიის ფარგლებში ღიად აცხადებდა, რომ საზღვარგარეთ წასვლა დასაქმების და უკეთესი ანაზღაურების ინტერესის გამო სურს.

დისკუსია

კვლევის შედეგებში შეინიშნება ტენდენციები, რომლებიც უკავშირდება შრომის ბაზარზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის არსებულ დისბალანსს მთელს მოსახლეობაში. საინტერესოა, რომ ახალგაზრდებმა მცირედ განსხვავებულად ახსნეს ამ დისბალანსის მიზეზები.

ერთი მხრივ, ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ მომავალი პროფესიის არჩევის გადაწყვეტილებაზე მათი მშობლები და ოჯახის წევრები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. მათი განცხადებით, ძველი თაობების პრეფერენციები ძირითადად განპირობებულია მათი სტერეოტიპული შეხედულებებით უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით. უფროსი თაობების წარმომადგენელთა აზრით, უმაღლესი განათლების მიღება აუცილებელია, ამასთან ერთად, ზოგიერთი პროფესია უფრო პრესტიჟულად ითვლება სხვებთან შედარებით. პრესტიჟულ პროფესიებში არ მოიაზრება პროფესიული განათლება. გარდა ამისა, პროფესიული განათლების შესახებ დამკვიდრებული სტერეოტიპის თანახმად, პროფესიული განათლება საერთოდ არ შედის უმაღლეს განათლებაში. მეორეს მხრივ, ახალგაზრდებს სჯერათ, რომ მომავალ საგანმანათლებლო კურსს თავად ახალგაზრდები უნდა ირჩევდნენ და ეს არჩევანი მათ მიზნებსა და სურვილებს უნდა შეესაბამებოდეს. თუ ახალგაზრდები უფროსი თაობების ინსტრუქციებს გაყვებიან, მაშინ შრომის ბაზარი გაჯერებული გახდება არამოტივირე-

ბული სამუშაო ძალით, რომელსაც არ აქვს განვითარების ან ახალი შესაძ-ლებლობების აღმოჩენის სურვილი საკუთარ პროფესიაში. არამოტივირებული პირი დამსაქმებლისთვის მიმზიდველი არ არის და საბოლოო ჯამში, ასეთი ადამიანები იმ სფეროში ცდილობენ სამუშაოს პოვნას, რაც მათ აინტერესებთ, თუმცა, ამ სამუშაოსთვის შეიძლება სულაც არ ჰქონდეთ სათანადო კვალიფი-კაცია. ახალგაზრდების აზრით, აი ასე იქმნება დისბალანსი მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, ისევე როგორც უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ნაკლებობა.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების დონე საქართველოში საშუალოდ და-მაკმაყოფილებლად ფასდება, ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ საგანმანათ-ლებლო დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ თავიანთი სტუდენტების აღ-ჭურვას სათანადო უნარებითა და ცოდნით შრომის ბაზარზე გასასვლელად. ეს შეიძლება ნაწილობრივ გამოწვეული იყოს უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებით, რომლებიც ნაკლებად ითვალისწინებენ სწავლის პროცესში პრაქტიკული კომპონენტის ჩართვას. ეს ხარვეზი სტაჟირების მეშვე-ობით შეიძლება აღმოიფხვრას, რომელიც გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს განათლებიდან შრომის ბაზარზე გასასვლელად - თუმცა, სტაჟირების გავლის ქცევის გავრცელება ძალიან დაბალია. თუ გამოცდილება სამუშაოს პოვნისას მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება, მაშინ პრაქტიკული კურსები და სტაჟი-რება ახალგაზრდებისათვის გამოცდილების მიღების საშუალება უნდა იყოს.

ახალგაზრდები, ასევე, ჩართულები არიან სასწავლო პროგრამის გარეთ არსე-ბულ აქტივობებში, რომელთა საშუალებითაც მათ საჭირო უნარების გამომუშა-ვება შეუძლიათ. სასწავლო პროგრამის გარეთ არსებულ აქტივობებში მონაწი-ლეობის არ მიღება შეიძლება უკავშირდებოდეს დაბალ ხელმისაწვდომობას, ფინანსურ სირთულეებს, ისევე როგორც მოტივაციის ნაკლებობას ახალგაზ-რდებში - ჩაერთონ ამგვარ აქტივობებში პერსონალური განვითარების მიზნით. ეს შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას იმ სოციალური გარემოთი, რომლებსაც ახალგაზრდები ხვდებიან სოციალიზაციის პროცესში და იმ სოციალური ჯგუფე-ბის გავლენით, რომლებთანაც ეს ახალგაზრდები ურთიერთობენ. აღნიშნული სოციალური ჯგუფები შეიძლება იყოს ოჯახი, ნათესავები ასევე სოციალური ჯგუფები თავიანთ სასწავლებლებში.

დემოკრატია და მმართველობა

შესავალი

პროდასავლური საქართველო, სხვა პატარა ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებიც ძლიერ მეზობლებთან 'მიტმასნებას' არჩევენ, ამ უკანასკნელისგან მიღებულ მატერიალურ სარგებელს, სხვა ღირებულებებს ამჯობინებს. ერთ-ერთი ასეთი ღირებულება, რომელსაც დასავლური სამყარო სთავაზობს, არის დემოკრატიის იდეა. 2003 წელს ახლადარჩეული ხელისუფლება, დემოკრატიის იდეის ქვეყნის ცხოვრებაში გატარებას რეფორმების, პოლიტიკის და კანონების საშუალებით შეეცადა. უახლესი გამოკითხვის შედეგები ასევე აჩვენებს, რომ ქართველი მოსახლეობის 47% სხვა ნებისმიერი ფორმის მმართველობას დემოკრატიას არჩევს და მათი წილი, ვისაც მმართველობის სხვა ფორმებს დემოკრატია ურჩევნია, უფრო დიდია 18-35 წლის მოსახლეობას შორის (51%) (CRRC, 2015).

დღესდღეობით, საქართველოს მოსახლეობის 46%-ს სჯერა, რომ დემოკრატია, მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, მაინც არსებობს ქვეყანაში (CRRC, 2015), თუმცა აღსანიშნავია, რომ სწორედ მოქალაქეთა მონაწილეობაა დემოკრატიის არსებითი ნაწილი (Print, 2007). დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობა რამდენიმე სახისაა და სამი ძირითადი ჩართულობის ფორმა შეიძლება განისაზღვროს: (1) სამოქალაქო ინდიკატორები - აქტიური წევრობა ჯგუფებში, ასოციაციებში, მოხალისეობა; (2) საარჩევნო ინდიკატორები - არჩევნებში ხმის რეგულარული მიცემა; და (3) პოლიტიკური ჩართულობის ინდიკატორები - პოლიტიკოსებთან კონტაქტი, პეტიციების წერა და ა.შ. (ibid.). უახლესი გამოკითხვები აჩვენებს, რომ ქართველები არ აქტიურობენ ამ სამი სახის ჩართულობის ფორმიდან არცერთში. 2015 წლის კავკასიის ბარომეტრის მიხედვით, ქართველების 79%-ს არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობაში, არ გამოუყენებია მედია მოსაზრების გამოსახატად (არ დაურეკავს/მიუწერია ტელევიზიის, გაზეთისა და რადიოსათვის - 95%; არ გაუკეთებია კომენტარი ინტერნეტ სტატიაზე - 87%), არ დასწრებია საჯარო შეხვედრას (83%) და არ მოუწერია ხელი პეტიციაზე (93%). შედარებით მაღალი ჩართულობა ფიქსირდება მოსახლეობის საარჩევნო აქტივობის მხრივ. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მიხედვით, 2003 წლიდან მოყოლებული საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობის მონაწილეობა 52%-64%-ს შორის მერყეობს მაშინ, როცა საპრეზიდენტო არჩევნები შედარებით დაბალი მონაწილეობით ხასიათდება (56%, 47%), თუმცა გამონაკლისია „ვარდების რევოლუციის" შემდგომი საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც ელექტორატის 88%-მა მიიღო მონაწილეობა (IFES საარჩევნო გზამკვლევი, 2016).

ახალგაზრდობა მოსახლეობის მხოლოდ ნაწილია, თუმცა მოზარდობაში დაწყებული ქცევა კრიტიკულ გავლენას ახდენს ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრებისეული კურსის ფორმირებაზე და ასევე მთლიანად საზოგადოების მომავალზე (Unicef, 2014). ცხოვრების ადრეულ პერიოდში მოხალისე ორგანიზაციებში მონაწილეობა ზრდასრულობაში მონაწილეობის საუკეთესო ინდიკატორია. შესაბამისად, ახალგაზრდების საჯარო ცხოვრებაში ჩართულობა არსებითი ხდება დემოკრატიისათვის (სუმბაძე, 2010).

MYPLACE კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც საქართველოს ორ დიდ რეგიონულ ქალაქში ჩატარდა, ახალგაზრდობა არ არის დაინტერესებული პოლიტიკური პროცესებით და არჩევნებში მონაწილეობას პოლიტიკური ჩართულობის მაქსიმუმად მიიჩნევს. გარდა ამისა, ისინი არ არიან რეგულარულად ჩართულები არასაარჩევნო ტიპის პოლიტიკურ აქტივობებში (MYPLACE, 2013). ახალგაზრდობის დაბალ პოლიტიკურ აქტივობას სხვა კვლევებიც ადასტურებს. 2015 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული ახალგაზრდობის ეროვნული კვლევის ანგარიშის მიხედვით, 15-29 წლის ახალგაზრდობა საქართველოში საკმაოდ პასიურ საჯარო ცხოვრებას ეწევა. აბსოლუტურ უმრავლეობას (90,4%) სჯერა, რომ აქვს უფლება ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში მიიღონ მონაწილეობა, მაგრამ 2013 წლის შედეგებით, მხოლოდ 10,9%-ს მიუღია მონაწილეობა ამ საკითხების გადაწყვეტაში და უმრავლესობა მხოლოდ ნაწილობრივ იყო ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში (UNICEF, 2014).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახალგაზრდობა მონაწილეობდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების და მთლიანი მოსახლეობის ჩართულობა უფრო სპორადულობით ხასიათდება, ვიდრე რეგულარული აქტოვობით და ეს აქტივობა ხშირად ემთხვევა საქართველოში სირთულეების პერიოდს. შესამჩნევად მაღალი სოლიდარობის და აქტივიზმის უახლესი მაგალითია 2015 წლის თბილისის წყალდიდობა. ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით, თბილისის ახალგაზრდობის 38% დაეხმარა სხვებს ბუნებრივი კატასტროფის დროს. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო მონაწილეობა დემოკრატიის მშენებლობის არსებითი ელემენტია და მონაწილეობას რეგულარული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

მოცემული კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ ახალგაზრდების დამოკიდებულებები პოლიტიკური და დემოკრატიული პროცესების მიმართ, ასევე მათი პოლიტიკური ჩართულობისა და აქტივიზმის დონე. კვლევა ასევე მოიცავს ქვეყანაში მიმდინარე განვითარების პროცესების შეფასებას.

ძირითადი მიგნებები

- საქართველოს ახალგაზრდობა, უფრო ნაკლებადაა დაინტერესებული რეგიონალური და გლობალური პოლიტიკის საკითხებით, ვიდრე საშინაო საკითხებით. შიდა პოლიტიკური პროცესები 45%-ის ინტერესს იწვევს.
- ქვეყანაში დემოკრატიის მდგომარეობის შეფასებისას, ახალგაზრდების 50%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს. ახალგაზრდა რესპონდენტების მხოლოდ 13% გამოხატავს პოზიტიურ შეფასებას (13%), მაშინ როცა 34%-ს ნეგატიური დამოკიდებულება აქვს.
- გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (53%) არასოდეს განიხილავს პოლიტიკურ საკითხებს მშობლებთან და მხოლოდ 9% განიხილავს ამ თემებს გარკვეული რეგულარობით (ძალიან ხშირად - 2%, ხშირად - 7%).
- ახალგაზრდების 16%-მა განაცხადა, რომ მათი შეხედულებები არ ემთხვევა მშობლებისას მაშინ, როცა 28%-მა ვერ შეძლო კითხვაზე პასუხის გაცემა.
- საქართველოს ახალგაზრდობა ყველაზე მეტად რელიგიურ ინსტიტუტებს ენდობა - ახალგაზრდა რესპონდენტთა 81% ენდობა ეკლესია და ზოგადად რელიგიურ ინსტიტუტებს.
- ახალგაზრდობა ყველაზე ნაკლებად ენდობა პოლიტიკურ პარტიებს, პარლამენტს, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას (25%-26%).
- უმუშევრობა მოსახლეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს (85%), რომელსაც მოსდევს სიღარიბის დონის ზრდა (84%).
- ახალგაზრდობას მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს სიღარიბის შემცირებას (69%) და ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას (63%).
- მემარჯვენე და მემარცხენე ორიენტაცია თანაბრადაა გადანაწილებული ქართველ ახალგაზრდობაში.
- ქართველი ახალგაზრდობის 21%-მა იცის რომელ პარტიას მისცემს ხმას არჩევნებში.
- გამოკითხული რესპონდენტების 56%-ს სჯერა, რომ არჩევნებში მათი მონაწილეობა მნიშვნელოვანია.
- ახალგაზრდების მხოლოდ 6% დასწრებია საჯარო შეხვედრას გასული 12 თვის განმავლობაში და ამავე რაოდენობას გამოუხატავს საკუთარი პოზიცია.

ანალიზი

დემოკრატია და პოლიტიკა

ახალგაზრდების გლობალური, რეგიონალური და ეროვნული პოლიტიკით დაინტერესების დონე დაბალია, თუმცა ისინი შედარებით მეტად დაინტრესებულები არიან შიდა პოლიტიკით. გამოკითხული რესპონდენტების 45% დაინტერესებულია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით (ძალიან დაინტერესებული - 14%; დაინტერესებული - 31%). რაც შეეხება ახალგაზრდობის ინტერესს პოლიტიკის მიმართ, ადგილობრივ პოლიტიკურ მოვლენებს მოჰყვება ევროკავშირის და მსოფლიო პოლიტიკა (25% და 22% შესაბამისად). აღსანიშნავია, რომ საქართველოს ახალგაზრდობა, არ გამოირჩევა რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური ამბების მიმართ ინტერესით - სამხრეთ კავკასიისა და მეზობელი ქვეყნების: სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთის მიმართ ინტერესი 12%-დან 19%-მდე მერყეობს.

გრაფიკი # 3.1 –სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკის მიმართ ინტერესი



საინტერესოა ის, რომ პოლიტიკური საკითხებისადმი ინტერესი ასაკთან ერთად იზრდება. გარდა ამისა, დასაქმებული ახალგაზრდობა უფრო მეტადაა დაინტერესებული პოლიტიკით.

პოლიტიკური საკითხებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, შეიძლება გამოწვეული იყოს ახალგაზრდობის მოსაზრებით, რომ მათი ინტერესები ან არ არის საკმარისად წარმოდგენილი ან საერთოდ არაა წარმოდგენილი დღევანდელ პოლიტიკაში. გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ ორი პროცენტი აღნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური დღის წესრიგი ახალგაზრდების ინტერესებს მნიშვნელოვნად ითვალისწინებს.

გრაფიკი # 3.2 – ახალგაზრდობის საკითხების ქართულ პოლიტიკაში გათვალისწინების დონე



პოლიტიკაზე, როგორც უინტერესო თემაზე, ახალგაზრდობის მიერ მშობლებთან პოლიტიკური პროცესების იშვიათი განხილვაც მიუთითებს. გამოკითხული რესპონდენტების ნახევარზე მეტი (53%), არასოდეს განიხილავს პოლიტიკურ საკითხებს მშობლებთან და მხოლოდ 9% განიხილავს გარკვეული რეგულარობით (ძალიან ხშირად - 2%, ხშირად - 7%).

გრაფიკი # 3.3 – მშობლებთან პოლიტიკის განხილვის სიხშირე



რაც შეეხება რესპონდენტების და მათი მშობლების პოლიტიკური შეხედულებების თავსებადობას, რესპონდენტების 35% აცხადებს, რომ მათი პოლიტიკური შეხედულებები რამდენადმე ახლოსაა მათ მშობლებთან (ძალიან - 6%; გარკვეულწილად - 29%) მაშინ, როცა 16% აცხადებს, რომ მათი პოლიტიკური შეხედულებები სრულიად განსხვავდება მათი მშობლების შეხედულებებისგან. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა რესპონდენტების დიდი ნაწილი (28%) ამ-

ბობს, რომ არ იცის რამდენად მსგავსი ან განსხვავებულია მათი მოსაზრებები მშობლებისგან. საკმაოდ საინტერესოა ის, რომ მშობლებისგან განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებების არსებობაზე ყველაზე მეტად 19-24 ასაკის კატეგორიის ახალგაზრდებმა გაამახვილეს ყურადღება.

გრაფიკი # 3.4- ახალგაზრდების პოლიტიკური მოსაზრებების თავსებადობა მშობლების შეხედულებებთან



ახალგაზრდობის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ორიენტაციის შეფასების მიზნით, კვლევაში გამოყენებული იქნა საპირისპირო მტკიცებულებების მეთოდი. შედეგების ანალიზზე დაფუძნებით შევეცადეთ განგვესაზღვრა ახალგაზრდების მხარდაჭერა მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკური იდეოლოგიებისადმი. აღსანიშნავია, რომ იმისათვის, რომ განგვესაზღვრა ახალგაზრდების ორიენტაცია, მოვახდინეთ მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიებთან დაკავშირებული კლასიკური შეხედულებების ფორმულირება.

როგორც ქვემოთ გრაფიკზეა მოცემული, შეფასების პარამეტრების უმრავლესობის მიმართ ახალგაზრდა მოსახლეობის პოზიციები უფრო ცენტრისტულია, ვიდრე რადიკალურად მემარცხენე ან მემარჯვენე. თუმცა, სურათი განსხვავდება ორ საკითხთან მიმართებაში: არსებობს ორი განცხადება, რომელზეც მემარცხენე ან მემარჯვენე იდეები დომინირებს. მაგალითად, ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ ხელისუფლებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ყველა ადამიანისთვის ძირითადი საჭიროებების უზრუნველყოფაზე. ახალგაზრდები უფრო კლასიკურ მემარჯვენე პოზიციას იკავებენ ბიზნეს გარემოსთან დაკავშირებით და სჯერათ, რომ კონკურენცია კარგია, რადგან ხელს უწყობს ადამიანების შრომას და ახალი იდეების განვითარებას. თუმცა ამ უკანასკნელი განცხადების მემარჯვენეობა ან მემარცხენეობა საკამათო საკითხია, რადგან დღესდღეობით უფრო მეტი მემარცხენე პარტია მიიჩნევს კონკურენციას პოზიტიურად გარკვეული კანონიერი საზღვრების ფარგლებში.

გრაფიკი # 3.5 -მემარცხენე და მემარჯვენე პოციზიები



კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ენდობა ახალგაზრდობა პოლიტიკურ და საჯარო ინსტიტუტებს. კვლევამ დაადასტურა ბოლო წლების ტენდენცია, რომლის მიხედვითაც რელიგიურ ინსტიტუტებს ყველაზე მაღალი ნდობის დონე აქვთ - გამოკითხული ახალგაზრდების 81% ენდობა ეკლესიას და ზოგადად რელიგიურ ინსტიტუტებს (ძალიან - 58%, გარკვეულწილად - 23%). საკმაოდ საინტერესოა ის, რომ ნდობის მხრივ რელიგიური ინსტიტუტების შემდეგ ჯარი (76%) და პოლიცია (62%) ლიდერობენ.

გრაფიკი # 3.6 – ნდობა სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ



3%
6%
9%
23%
58%
ეკლესია
4%
18%
30%
39%
9%
მედია
15%
19%
32%
30%
5%
პროფესიული კავშირები
10%
18%
29%
36%
7%
არასამთავრობო ორგანიზაციები
10%
16%
30%
36%
9%
საერთაშორისო ორგანიზაციები
10%
15%
27%
38%
11%
ევროკავშირის ინსტიტუტები
10%
16%
27%
36%
12%
ნატოს ინსტიტუტები
ძალიან
გარკვეულწილად
მცირედ
სრულებით არ ვენდობი
არ ვიცი
N=1200

ახალგაზრდობის ნეგატიური დამოკიდებულება პოლიტიკური აქტივიზმის მიმართ ადგილობრივი პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის დონითაც დასტურდება - პოლიტიკური პარტიები, პარლამენტი, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება ახალგაზრდობის მხრიდან ყველაზე ნაკლები ნდობით გამოირჩევიან (25%-26%). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების მხოლოდ 1% გამოხატავს აშკარა ნდობას (ძალიან ვენდობი) ადგილობრივი პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ. აღსანიშნავია, რომ თბილისში მცხოვრები ახალგაზრდობა ყველაზე ნაკლებად ენდობა პოლიტიკურ პარტიებს - ახალგაზრდა რესპონდენტების ნახევარზე მეტი (51%) აცხადებს, რომ საერთოდ არ ენდობა პოლიტიკურ პარტიებს, მაშინ, როცა ქალაქებსა და სოფლებში გამოკითხული ახალგაზრდების 29% არ ენდობა პოლიტიკურ პარტიებს.

საკმაო საინტერესოა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულება. ამ ორგანიზაციებისადმი ნდობა უფრო დაბალია, ვიდრე ეკლესიის, ჯარის და პოლიციისადმი, თუმცა მეორეს მხრივ, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო ენდობიან, ვიდრე ადგილობრივ პოლიტიკურ ინსტიტუტებს. გარდა ამისა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულება განსხვავდება რეგიონების მიხედვით: აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციების მიმართ ნდობა უფრო მაღალია სოფლებსა და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის, ვიდრე თბილისში (ვენდობი არასამთავრობო ორგანიზაციებს_ძალიან/გარკვეულწილად: თბილისი - 30.7%; ქალაქები - 48.6%, სოფლები - 49.4%; ვენდობი საერთაშორისო ორგანიზაციებს ძალიან/გარკვეულწილად: თბილისი - 37%, ქალაქები - 48.2%; სოფლები - 48.4%).

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებს ვთხოვეთ საქართველოში ზოგადი დემოკრატიული მდგომარეობის შეფასება. ყოველმა მეორე რესპონდენტმა (50%) გამოხატა ნეიტრალური დამოკიდებულება. მხოლოდ 13%-მა გამოხატა პოზიტიური დამოკიდებულება (ძალიან კმაყოფილი - 1%, კმაყოფილი - 12%), მაშინ, როცა ახალგაზრდობის 34%-მა ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა (უკმაყოფილო - 27%, ძალიან უკმაყოფილო - 7%).

გრაფიკი # 3.7 – საქართველოში დემოკრატიის მდგომარეობის შეფასება



ფოკუს ჯგუფის დისკუსიების შედეგად გამოვლინდა, რომ ახალგაზრდებს უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ პოლიტიკური ჩართულობისადმი, რაც ამცირებს მათ ნდობას პოლიტიკურად აქტიური ახალგაზრდების მიმართ. სტუდენტური თვითმმართველობის აქტივობების კრიტიკული აღქმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც აქტიური პოლიტიკური და საჯარო ცხოვრების მიმართ მათ ნეგატიურ დამოკიდებულებას განაპირობებს; აღსანიშნავია, რომ ჯგუფური დისკუსიების პარალელურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა საპროტესტო აქციები სტუდენტური თვითმმართველობის საწინააღმდეგოდ, რაც მოსახლეობის მხრიდან ნეგატიურ რეაქციას იწვევდა. ზოგადად, ახალგაზრდობის უმრავლესობა პოლიტიკას ბინძურ საქმიანობად მიიჩნევს და მიჩნეულია, რომ ის, ვინც ამ საქმიანობაში არის ჩართული, თავიანთი პირადი, ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ და არა საზოგადოების სასიკეთოდ.

პოლიტიკა ყველას ცხოვრებაშია, ვფიქრობ, რომ ახალგაზრდობა პოლიტიკურად აქტიურია. ყველა ახალგაზრდა აქტიური ვერ იქნება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ რა ხდება თსუ-ში - როცა საპროტესტო აქციები იმართება თვითმმართველობის გაუქმების მოთხოვნით და ლექციები არ ტარდება თვეობით, სასურველი არ არის. [თბილისი, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ვფიქრობ, სტუდენტების პოლიტიკური აქტივობის უკან მოტივაცია, სწავლისთვის თავიდან არიდებაა. [თბილისი, მდედრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ერთი და იგივე სახეებია პოლიტიკურად აქტიური. შესაბამისად, ახალგაზრდა ადამიანს არ აქვს მოტივაცია გამოიჩინოს ინიციატივა [აჭარა/გურია, ქალაქი, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

[პოლიტიკოსებს] ავიწყდებათ, რატომ არიან ხელისუფლებაში, მხოლოდ საკუთარ ჯიბეებზე ფიქრობენ და უნდათ რაც შეიძლება მეტი ფული გამოიმუშავონ და სხვები არ ადარდებთ. [სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქალაქი, მდედრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

საშინელებაა. ასევე ახლა წინასაარჩევნო პერიოდია და მთელი ახალგაზრდობა ჩართულია. [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, სოფელი, მამრობითი, 14-19 ასაკობრივი კატეგორია]

ყველა პოლიტიკური პარტია ცდილობს თავის პარტიაში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩართოს. გუშინწინ დავასრულე შეხვედრა მეშვიდე პოლიტიკურ პარტიასთან და მივხვდი, რომ ყველა თავისთვის ირჯება და არავის ადარდებს ახალგაზრდები, მთლიანად საქართველოზე ლაპარაკიც ზედმეტია. [შიდა ქართლი, სოფელი, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ახალგაზრდები და პოლიტიკური ჩართულობა

კვლევის ფარგლებში გამოვიკვლიეთ თუ რამდენად აქტიურობენ ახალგაზრდები საჯარო და სამოქალაქო ცხოვრებაში და ჩართულები არიან თუ არა სხვადასხვა აქტივობებში. როგორც რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობა მინიმალურია: მხოლოდ 6%

დასწრებია ბოლო 12 თვის მანძილზე რაიმე საკითხზე გამართულ საჯარო შეხვედრას და იგივე რაოდენობას გამოუხატავს პოზიცია ან ჩართულა ონლაინ ფორუმის დებატებში. ისეთ სხვა სამოქალაქო ატივობებში ჩართულობა, როგორიცაა ადამიანის უფლებების დასაცავად გამართულ აქციაში მონაწილეობა, პეტიციაზე ხელმოწერა, პოლიტიკურ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღება და ა.შ. საკმაოდ იშვიათია და 1% და 4%-ს შორის მერყეობს.

გრაფიკი # 3.8 – სამოქალაქო ჩართულობის აქტივობები



კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა რამდენიმე აქტივობა, რათა მოგვეხდინა გარკვეული ქმედებების დამაბრკოლებელი ბარიერების იდენტიფიცირება. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ სამოქალაქო ჩართულობა არამოდურია, დაბალი სამოქალაქო ჩართულობა ნაწილობრივ მაინც შეიძლება აიხსნას ახალგაზრდებში გავრცელებული სტერეოტიპებით. თუმცა, როგორც კვლევის

შედეგებმა აჩვენა, სამოქალაქო ან პოლიტიკური ჩართულობა არ ფერხდება ახალგაზრდების აღქმებით. პირიქით, სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობა, გარემოზე ზრუნვა ან დაცვა და პოლიტიკაში აქტიურობა უფრო მოდურად არის დახასიათებული, ვიდრე პირიქით, თუმცა ამ საკითხებზე მაინც ნეიტრალური დამოკიდებულება დომინირებს.

გრაფიკი # 3.9 – ჩართულობის აქტივობები - პოპულარული და არაპოლულარული



იმისათვის, რომ განგვესაზღვრა თუ რამდენად აქვს ქართველ ახალგაზრდობას პოლიტიკური სიმპათიები, რაოდენობრივი გამოკითხვის რესპონდენტებს ვთხოვეთ დაესახელებინათ პოლიტიკური პარტია, რომელსაც ხმას მისცემდნენ. საკმაოდ საინტერესოა ის, რომ ყოველმა მეხუთე რესპონდენტმა (21%) დაასახელა კონკრეტული პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ხმას მისცემდნენ, მაშინ როდესაც ყოველმა მეათემ (9%) განაცხადა, რომ არცერთი პოლიტიკური პარტია არ იმსახურებდა ხმის მიცემას. რესპონდენტების 23% იმ ასაკობრივი ჯგუფისაა, რომელსაც ხმის მიცემის უფლება ჯერ არ აქვს, ხოლო დანარჩენმა რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ არ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში (8%), ჯერ არ გადაუწყვეტიათ (28%) ან არ იციან/უარი განაცხადეს პასუხზე (11%). აღსანიშნავია, რომ იმ ახალგაზრდების წილი, რომელმაც არ გამოხატა პოლიტიკური სიმპათიები (ხმას არ მისცემს/არ გადაუწყვეტია/არ იცის) ყველაზე დიდია დედაქალაქში მცხოვრებ რესპონდენტებს შორის.

გრაფიკი # 3.10 – ხმის მიცემის პრეფერენციები



საინტერესოა ის, რომ პოლიტიკური პარტიების მიმართ სიმპათიების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ახალგაზრდების 45%-თვის არის ლიდერი და სხვა ფაქტორები, როგორიცაა პროგრამა (38%), წარსული გამოცდილება (29%) და ა.შ. მხოლოდ ლიდერის შემდეგ სახელდება.

გრაფიკი # 3.11 – პოლიტიკური პარტიების მიმართ მიზიდულობის განმსაზღვრელი ფაქტორები



საკმაოდ საინტერესოა ახალგაზრდებს რწმენა, რომ მათი ხმა მნიშვნელოვანია პოლიტიკური არჩევნების შედეგებისათვის - ახალგაზრდების 56%-ს სჯერა, რომ მათი მოსაზრება მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ის ახალგაზრდები, რომელთაც ხმის მიცემის უფლება აქვთ, ძირითადად მონაწილეობენ არჩევნებში.

გრაფიკი # 3.12 – არჩევნებში მოსაზრების მნიშვნელობა



● ძალიან მნიშვნელოვანია ● გარკვეულწილად მნიშვნელოვანია
● გარკვეულწილად უმნიშვნელოა ● სრულიად უმნიშვნელოა ● არ ვიცი

N=1200

გრაფიკი # 3.13 -ხმის მიცემის სიხშირე



- ყველა არჩევნებში
- არჩევნების უმრავლესობაში
- რამდენიმე არჩევნებში
- არასდროს
- ჯერ არ მქონია ხმის უფლება

N=1200

საინფორმაციო წყაროები პოლიტიკური მოვლენების შესახებ

როდესაც ვიკითხეთ პოლიტიკური მოვლენების ძირითადი საინფორმაციო წყაროების შესახებ, რესპონდენტების თითქმის ნახევარმა (49%) ინტერნეტი დაასახელა, თუმცა ტელევიზია მაინც რჩება პოლიტიკურ პროცესებზე ინფორმაციის მიღების ყველაზე პოპულარულ წყაროდ (73%). აღსანიშნავია, რომ საინფომაციო წყაროების მხრივ არსებული სიტუაცია განსხვავდებულია თბილისში, სხვა ქალაქებსა და სოფლებში. მაშინ, როდესაც ინტერნეტი თბილისის მოსახლეობის 73%-თვის მთავარი საინფომაციო წყაროა, სხვა ქალაქებში ეს საინფორმაციო წყარო ახალგაზრდების 53%-მა დაასახელა და სოფელში მცხოვრები ახალგაზრდების მხოლოდ მეოთხედი (27%) იყენებს ინტერნეტს, როგორც პოლიტიკურ საკითხებზე ინფორმაციის მიღების წყაროს. სოფელში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ტელევიზიას არ აქვს ალტერნატივა (83%).

გრაფიკი #3.14 – მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე მთავარი საინფორმაციო წყაროები



მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ პოლიტიკის მიმართ ინტერესი არ არის მაღალი და პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიებისადმი ძირითადად უარყოფითი დამოკიდებულებაა, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა პოლიტიკასთან დაკავშირებული რამდენიმე საინფორმაციო წყარო დაასახელეს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ახალგაზრდები ფლობენ ინფორმაციას პოლიტიკის შესახებ, მაგრამ

ნაკლებად დაინტერესებულები და პირდაპირ ჩართულები არიან პოლიტიკურ პროცესებში და ცდილობენ პოლიტიკისგან დისტანცირებას.

ახალგაზრდებმა იციან და ხედავენ თუ რა ხდება პოლიტიკაში, მაგრამ ცდილობენ არ ჩაერიონ. ისინი არ მონაწილეობენ პოლიტიკაში. [იმერეთ/რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, ქალაქი, მამაკაცი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

[ახალგაზრდებმა] უკვე ხელი ჩაიქნიეს. არც ერთი მათგანი [პოლიტიკოსები] არ გააკეთებს რამეს ჩვენთვის. [სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქალაქი, ქალი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ჩვენს გარშემო იმდენი პრობლემაა, რომ მეტისმეტად დაკავებულები ვართ პოლიტიკისათვის. [სამეგრელო-ზემო სვანეთი, სოფელი, ქალი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

მმართველობა - განვითარების პრობლემები და გამოწვევები

უმუშევრობა იმ პრობლემების სათავეშია, რომლის წინაშეც ქართველი მოსახლეობა დგას და რომელსაც ახალგაზრდა რესპონდენტების 85% ასახელებს. უმუშევრობას მოსდევს სიღარიბის ზრდა რესპონდენტების 84%-ში. ასევე, ეს ორი საკითხი ერთნაირად მნიშვნელოვანია თბილისში, სხვა ქალაქებსა და სოფელში მცხოვრები ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის. ზოგადად აღსანიშნავია, რომ ისეთ ფაქტორები, როგორიცაა სამუშაოს არასტაბილურობა (53% - ძალიან პრობლემური) და სამუშაო უსაფრთხოება (სიცოცხლის საფრთხე და უსაფრთხოება სამუშაო ადგილას) (36%) ახალგაზრდა ქართველებისათვის პრობლემად რჩება.

საკმაოდ საინტერესოა ის, რომ ეკონომიკური და დასაქმების საკითხებთან ერთად, პრობლემურ საკითხად სახელდება გარემოს დაბინძურება, რომელიც რესპონდენტების 60%-ს სჯერა, რომ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პრობლემაა.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი აჩვენებს თუ რამდენად პრობლემურად მიიჩნევა თითოეული საკითხი საქართველოში. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კვლევის ფარგლებში დასმული თითქმის ყველა პრობლემა შემაშფოთებელია ქართველი ახალგაზრდობისათვის, თუმცა როდესაც ვთხოვეთ, დაესახელებინათ საკითხი, რომელიც ყველაზე პრობლემურად მიაჩნიათ საზოგადოებისათვის, ახალგაზრდების უმრავლესობა ასახელებს ორ მათგანს: უმუშევრობა (40%) და სიღარიბის ზრდა (35%). შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება პრობლემებისათვის პრიორიტეტების მინიჭებას, სხვა საკითხები, როგორიცაა გარემოს დაცვა, სამუშაო არასტაბილურობა, უსაფრთხოება და სხვა პრობლემები მეორეხარისხოვან ადგილს იკავებენ.

გრაფიკი # 3.15 - მნიშვნელოვანი პრობლემები საქართველოში



გრაფიკი # 3.16 – ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები საქართველოში



- უმუშევრობა
- სიღარიბის ზრდა
- ქრონიკული დაავადებების რიცხვი
- გარემოს დაბინძურება
- ფემიციდი
- სამუშაო ადგილის უსაფრთხოება
- საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული მოქალაქეების სამუდამო ემიგრაციის რისკი
- სხვა
- არ ვიცი

N=1200

შეკითხვაზე, თუ რომელ საკითხებზე უნდა ფოკუსირდეს ხელისუფლება, ახალგაზრდები ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს ასახელებენ. ამ შემთხვევაში, პრიორიტეტულია უმუშევრობის შემცირება (69%) და ეკონომიკური ზრდა და განვითარება (63%).

გრაფიკი # 3.17 – ხუთი მთავარი პრობლემა, რომელიც ხელისუფლებამ უნდა გადაჭრას



ახალგაზრდების მიერ დასახელებული ხუთი პრიორიტეტული საკითხი მოიცავს ახალგაზრდებისთვის მდგომარეობის გაუმჯობესებას (52%), კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლას (46%) და ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვას (42%). აღსანიშნავია, რომ პრობლემური საკითხების სია არ მოიცავდა კრიმინალურ სიტუაციას და ადამიანის უფლებებს, მაგრამ ახალგაზრდებს სჯერათ, რომ მთავრობა უნდა ფოკუსირდეს კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლაზე და ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვაზე.

რაც შეეხება მომავლის მოლოდინებს, ახალგაზრდები საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილები - 74% ფიქრობს, რომ მომავალი 10 წლის განმავლობაში ეკონომიკური სიტუაცია საქართველოში გაუმჯობესდება (24% - მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, 50% - გარკვეულწილად გაუმჯობესდება). საკმაოდ საინტერესოა ის, რომ თბილისის ახალგაზრდა მოსახლეობა ყველაზე ნაკლებად ოპტიმისტურია მომავალ ეკონომიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით: თბილისელი ახალგაზრდების 67%-ს სჯერა, რომ ეკონომიკური სიტუაცია მომავალი 10 წლის განმავლობაში სასიკეთოდ შეიცვლება, მაშინ როცა ამ მოსაზრებას სხვა ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების 78% და სოფელში მაცხოვრებლების 77% იზიარებს.

გრაფიკი # 3.18 – ეკონომიკური განვითარება 10 წელიწადში



დისკუსია

გამოკითხვის შედეგები ადასტურებს ახალგაზრდების პოლიტიკური ინდიფერენტულობის შესახებ სხვა კვლევების მიგნებებს. საქართველოს ახალგაზრდობა, არ არის დაინტერესებული პოლიტიკით და პოლიტიკოსების და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ძირითადად ნეგატიური დამოკიდებულებებით გამოირჩევა. მათი შეხედულებით პოლიტიკა ბინძური საქმეა და სჯერათ, რომ პოლიტიკაში ჩართული ხალხი მხოლოდ პირად ინტერესებზე ზრუნავს და არა ქვეყნის პრობლემების მოგვარებაზე. გარდა დაბალი პოლიტიკური ჩართულობისა, ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობაც ძალიან უმნიშვნელოა.

რაც შეეხება პოლიტიკურ იდეოლოგიას, ახალგაზრდები უმეტესწილად არა მემარჯვენე ან მემარცხენე ორიენტაციას ირჩევენ, არამედ ძირითადად ცენტრისტული შეხედულებებისკენ იხრებიან. მათ სჯერათ, რომ ხელისუფლება პასუხისმგებელია საზოგადოებისათვის თანასწორი სოციალური გარემოს შემქმნასა და თითოეული მოქალაქისათვის ძირითადი საჭიროებების უზრუნველყოფაზე. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობას ხელისუფლება თანაბარი გარემოს შექმნაზე პასუხისმგებლად მიაჩნია, ადგილობრივი პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობა მაინც ძალიან დაბალია.

სუმბაძის მიხედვით, ახალგაზრდების დაბალი ჩართულობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მოტივაციის ნაკლებობაა. მოტივაცია კომპლექსური კონსტრუქციაა და რამდენიმე პირობას მოიცავს. ზოგადი შეთანხმებით, მონაწილეობის სურვილი, დროის ქონა, ხელშემწყობი გარემოს არსებობა და მონაწილეობისთვის მოწვევა ის პირობებია, რომლებიც ხელს უწყობს ზოგად და ასევე პოლიტიკურ ჩართულობას (სუმბაძე, 2010). იმავე კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების ჩართულობის სურვისი საკმაოდ მაღალია, თუმცა აღნიშნული მიზეზების შედეგად გამოწვეული დაბალი მოტივაცია აბრკოლებს ჩართულობის პროცესს. მოტივაციას ასევე აბრკოლებს სიღარიბე და განათლების ნაკლებობა (ibid.).

აღსანიშნავია, რომ 2012 წლამდე არ არსებობდა ახალგაზრდების ინტერესების მომცველი კონკრეტული საკანონმდებლო ჩარჩო, რის შედეგადაც ახალგაზრდებს ექმნებათ განწყობა, რომ მათი ინტერესები საკმარისად არ არის წარმოდგენილი. მხოლოდ 2012 წელს და მოგვიანებით 2014 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო „სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომლის მიზანიცაა ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ყოველმხრივი განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბებას, რათა მოხდეს მათი პოტენციალის სრული რეალიზაცია და საჯარო ცხოვრებაში აქტიური ჩართვა (საქართველოს მთავრობა, 2014). კონკრეტულად, კონცეპტუალური დოკუმენტი მიზნად ისახავს შემდეგის შექმნას: (1) სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის შესაძლებლობები; (2) მაღალი ხარისხის განათლების და დასაქმების შესაძლებლობა; (3) ჯანსაღი ცხოვრების წესი და (4) ახალგაზრდებში მათი სამოქალაქო უფლებების და

პასუხისმგებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლება. სხვა სიტყვებით, პოლიტიკის მიზანია გააუმჯობესოს ყველა ის ასპექტი, რომელიც შესაძლო ბარიერს შეიძლება წარმოადგენდეს ახალგაზრდების პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში ჩართულობისთვის. თუმცა, გათვალისწინებული უნდა იქნას ის, რომ ხელისუფლების მიმართ არსებობს ნდობის პრობლემა. ამიტომ შესაძლოა ახალგაზრდები არ იყვნენ ინსპირირებული ხელისუფლების მიერ ახალგაზრდების განვითარებისათვის მიღებული კონცეპტუალური დოკუმენტით. ხელისუფლების მიმართ დაბალი ნდობის საპირისპიროდ, აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდებში ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ ნდობა საკმაოდ მაღალია. მიმდინარე კვლევის მიხედვით, ახალგაზრდობა უფრო მეტად ენდობა საერთაშორისო ორგანიზაციებს, ევროკავშირის ინსტიტუტებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ვიდრე პოლიტიკურ პარტიებს, პარლამენტს, ხელისუფლებას ან ადგილობრივ ხელისუფლებას/პოლიტიკოსებს. მათი ნდობა შეიძლება აიხსნას საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების აქტიური როლით საქართველოს პრო-დასავლურ ორიენტაციაში. მაგალითისთვის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს პროგრამები საქართველოს ძლიერი სახელმწიფო სისტემის და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნაში ეხმარებიან, რაც მოქალაქეების საჭიროებებს პასუხობს.

ახალგაზრდების შეხედულებები საგარეო პოლიტიკაზე

შესავალი

პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიებზე არსებული კონვენციური ცოდნის მიხედვით, საფრთხის შემცველ დიდ ძალასთან პატარა ქვეყნები უფრო 'მიტმასნების' პოლიტიკას არჩევენ, ვიდრე დაბალანსების (Gvalia, Siroky, Lebanidze, Iashvili, 2013). თუმცა, საქართველოსთვის ეს ასე არაა. გვალია და სხვების (2013) მიხედვით, 'მაშინ როცა აზერბაიჯანი და დანარჩენი პატარა პოსტ-საბჭოთა ქვეყნები ფრთხილ 'მიტმასნების' პოლიტიკას ატარებენ რუსეთთან მიმართებაში, 'ვარდების რევოლუციის' შემდეგ პოსტ-საბჭოთა საქართველო გამუდმებით მიიწევს დასავლეთისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ 'ევროპული იდენტობა' შეიძლება ასევე მიჩნეული იქნას, როგორც ერთგვარი ბილეთი, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში, პატარა ქვეყნების დიდ ქვეყნებზე მიტმასნების თეორია ვერ ხსნის საქართველოს საგარეო პოლიტიკას, მატერიალისტური კუთხით.

'ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილების და სხვადასხვა ქვეყნებთან და რეგიონებთან საერთო კულტურული პრაქტიკის გამო, საქართველოს პოტენციურად რამდენიმე რეგიონთან შეუძლია თვით-იდენტიფიცირება. ესენია პოსტ-საბჭოთა სივრცე, კავკასია და თვით ახლო აღმოსავლეთი' (Kakachia, Minesashvili, 2015). მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყანამ ყველაზე გახსნილად დაიწყო აქტიური პრო-ევროპული მისწრაფება საშინაო და საგარეო რეფორმების საშუალებით, არსებობს არგუმენტი, რომ საქართველო და ევროპა ევროპულ იდენტობას ვარდების რევოლუციამდეც იზიარებდნენ.

კაკაჩია და მინესაშვილის მიხედვით, საქართველოს დასავლური თვით-იდენტიფიცირება და ევროპაში დაბრუნების კონცეფცია მეოცე საუკუნეში აღმოცენდა ცისფერყანწელებთან ერთად, რომლებმაც განათლება დასავლეთ ევროპაში მიიღეს. ბოლშევიკების რევოლუციის შემდეგ, რუსეთმა დაკარგა საგანმანათლებლო წყაროს იმიჯი ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის, რომლებიც აღარ აღიქვამდნენ რუსეთს ევროპის ნაწილად და სანაცვლოდ სურდათ ევროპის სტრუქტურებში ინტეგრაცია.

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები 1992 წელს დაიწყო, რასაც მოჰყვა ევროკავშირის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. 1997 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს პარლამენტის რეზოლუციით ქვეყანამ დაიწყო ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონთან ჰარნონიზაციის პროცესი. ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები კიდევ უფრო გაძლიერდა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ და მას შემდეგ ევროკავშირი აგრძელებს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების სრულ მხარდაჭერას. 2008 წლის აგვისტოში, ევროკავშირმა (ამერიკელ პარტნიორებთან ერთად) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთ-საქართველოს ომის შეჩერებაში და ევროკავშირის ჩართულობამ განაპირობა ექვს პუნქტიან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე ხელის მოწერა.

2014 წლის ივნისში ასოციაცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შედეგად ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები სრულიად ახალ დონეზე გადავიდა. 2015 წლის დეკემბერში, ევროკომისიამ გამოაქვეყნა საბოლოო ანგარიში, საქართველოს მიერ ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაზე, რომლიც მიხედვითაც ვიზა ლიბერალიზაციის ტექნიკური პროცესი წარმატებით დასრულდა. ამჟამად საქართველო ელოდება უვიზო მიმოსვლის შეთანხმების ძალაში შესვლას, რომელიც 2016 წლის ბოლოს, 2017 წლის დასაწყისისთვის არის მოსალოდნელი.

ევროკავშირთან ურთიერთობების მსგავსად, საქართველოსა და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (ნატოს) შორის ურთიერთობები 90-იან წლებში დაიწყო და მას შემდეგ ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად რჩება. 1999 წლიდან მოყოლებული საქართველო აქტიურადაა ჩართული ნატოს სამშვიდობო მისიებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს კონტრიბუცია ავღანეთის მისიაში, სადაც ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის საქართველო ყველაზე დიდი რაოდენობის ძალებით მონაწილეობს. საქართველო და ნატო განაგრძობენ თანამშრომლობას და ნატოს წევრობა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია როგორც საქართველოს ხელისუფლების, ისე საზოგადოებისათვის.

მიუხედავად ქვეყნის მიერ გაცხადებული ევრო-ატლანტიკური კურსის და ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციისათვის სისტემატიური მუშაობისა, ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციაზე საჯარო დისკუსიები კვლავ გრძელდება. ევროკავშირის და განსაკუთრებით ნატოს მიმართ დამოკიდებულება პოლიტიკური საჯარო დისკუსიების მნიშვნელოვან ნაწილად რჩება და წამყვან როლს თამაშობს პოლიტიკური პარტიების და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციების დღის წესრიგში.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ევროპული ინტეგრაციის პროგრამის ფა-

რგლებში ჩატარებული შვიდწლიანი (2009-2015) კვლევის მიხედვით, 2013 წლიდან მოყოლებული, ქართველი მოსახლეობის მიერ ევროკავშირთან ინტეგრაციის პირდაპირი მხარდაჭერა 78%-დან 62%-მდე შემცირდა. მათი წილი, ვინც ამბობს, რომ საქართველო ვერასოდეს გახდება ევროკავშირის წევრი 2009 და 2015 წლებს შორის 8%-ით გაიზარდა. კვლევის ანგარიში მხარდაჭერის შემცირების და მათი რაოდენობის ზრდის რამდენიმე მიზეზს ასახელებს, ვინც ფიქრობს, რომ საქართველო ვერასოდეს შევა ევროკავშირში. ამ მიზეზებს შორისაა ეროკავშირის მოთხოვნები, ის სირთულეები, რაც ამ მოთხოვნებმა შეიძლება გამოიწვიოს ქართული კულტურისა და ტრადიციებისთვის ზიანის მიყენება.

ქვემოთ მოცემული თავი განიხილავს საქართველოს ახალგაზრდობის დამოკიდებულებებს ევროკავშირის და ნატოს მიმართ, მათ მოლოდინებს ამ ორგანიზაციების მიმართ, იმ დადებით და უარყოფით მხარეებს, რომლებსაც ისინი ევროკავშირთან/ნატოსთან დაახლოების გზაზე ხედავენ და მათ ზოგად საგარეო პოლიტიკურ ხედვას.

ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდების 74% მხარს უჭერს ევრკავშირთან ინტეგრაციას, მაგრამ თბილისში და სხვა ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების შეხედულებები განსხვავდება სოფელში მცხოვრებთაგან: თბილისში და სხვა ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების 80%ს სურს ევროკავშირის წევრობა, მაშინ, როცა სოფელში მცხოვრები ახალგაზრდობის 66% პროცენტია იმავე მოსაზრებაზე.

- ახალგაზრდა რესპონდენტები თვლიან, რომ არ მიეწოდებათ საკმარისი ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ. შესაბამისად, ამ ინფორმაციის ნაკლებობამ შეიძლება გაზარდოს ნეგატიური დამოკიდებულება.

- ევროკავშირის წევრობის მთავარი სარგებელი გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას (83%), რომელიც უკავშირდება დასაქმების შესაძლებლობებს (80%) და სოციო-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებას (81%). გარდა ამისა, ევროკავშირში მიღება მიჩნეულია გაუმჯობესებულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის წინაპირობად (84%).

- ახალგაზრდების 52%-ს სჯერა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის არასასურველი შედეგი შეიძლება იყოს რუსეთის მხრიდან აგრესიის ზრდა, რაც შეიძლება კონფლიქტური რეგიონების სრული დაკარგვით დასრულდეს. ახალგაზრდების 45%-ს სჯერა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაცია გამოიწვევს ქვეყნიდან ახალგაზრდების და განსაკუთრებით ინტელექტუალური რესურსების გადინებას. ახალგაზრდა რესპონდენტების 30%-ს სჯერა, რომ ევროკავშირის წევრობა საფრთხეს შეუქმნის ქართულ იდენტობას.

- ახალგაზრდების 68% მხარს უჭერს საქართველოს ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატოში) ინტეგრაციას, თუმცა თბილისში და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ სოფლებში მცხოვრებლებთან შედარებით. ნატოსთან ახლო კავშირი ნაკლებად სასურველია სოფელში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (60%), მაშინ როცა მათი რიცხვი, ვინც მხარს უჭერს ამ პროცესს, შედარებით მაღალია თბილისსა და სხვა ქალაქებში (73%).

- ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი მოსალოდნელი საფრთხე რუსეთის აგრესიის ზრდაა. ახალგაზრდების 92%-ს სჯერა, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია რუსეთთან კონფლიქტს წარმოშობს.

- ქართველ ახალგაზრდებს სჯერათ, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია პოტენციურად გაზრდის ქართველი ჯარისკაცების დანაკარგს ნატოს სამხედრო ოპერაციებში (85%).

ანალიზი

ევროკავშირში/ნატოში ინტეგრაცია

რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, ახალგაზრდების 74% მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში შესვლას (სრულიად ვეთანხმები - 43%, ძირითადად ვეთანხმები - 31%). თორმეტ პროცენტს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება და მხოლოდ რვა პროცენტი არ ეთანხმება ზემოთ აღნიშნულ პროცესს (არ ვეთანხმები - 4%, სრულიად არ ვეთანხმები - 4%). მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება ქალაქში და სოფელში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის საქართველოს ევროკავშირში წევრობასთან დაკავშირებით: მაშინ როცა თბილისში და სხვა ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების 80% მხარს უჭერს ევროკავშირში შესვლას, სოფელში მცხოვრები ახალგაზრდების 66% უჭერს მხარს იგივე მოსაზრებას. ასევე აღსანიშნავია, რომ თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების მხოლოდ 0.8% აცხადებს, რომ სრულიად არ ეთანხმება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას.

გრაფიკი #4.1 – დამოკიდებულება ევროკავშირში შესვლის შესახებ



- სრულიად ვეთანხმები
- უფრო ვეთანხმები
- არც ვეთანხმები არც წინააღმდეგი ვარ
- უფრო არ ვეთანხმები
- სრულიად არ ვეთანხმები
- არ ვიცი

N=1200

კვლევის თვისებრივი ანალიზის ნაწილმა აჩვენა, რომ ახალგაზრდებს ევროკავშირზე მწირი ინფორმაცია აქვთ. როგორც ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდამჭერმა ახალგაზრდებმა აღნიშნეს, დაბალი ცნობადობა ზრდის ევროკავშირის მიმართ არასწორ შეხედულებებს და ნეგატიურ დამოკიდებულებას.

[ინფორმაცია] არ არის საკმარისი. პირიქით, არასწორი ინფორმაციაა, მაგალითად, თუ შევალთ ევროკავშირში, დავკარგავთ ტრადიციებს და კულტურას, შევერევით ევროპას. [თბილისი, მამაკაცი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

[ახალგაზრდობა] არ არის საკმარისად ინფორმირებული. მათ არ იციან სარგებელის შესახებ და სჯერათ, რომ მხოლოდ ნეგატიური შედეგები იქნება. [სამეგრელო-ზემო სვანეთი, სოფელი, ქალი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

ბევრი ფიქრობს, რომ თუ ევროკავშირის წევრი გავხდებით, საჭირო იქნება ჩვენი ტრადიციების დავიწყება [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, ქალაქი, მამაკაცი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

უმრავლესობა ვერ ხვდება რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს მას [ევროკავშირში შესვლას] და რა შეიძლება გვაღელვებდეს [სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქალაქი, ქალი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

რაც შეეხება ევროკავშირში შესვლას და ზოგადად ევროკავშირთან დაახლოების შედეგად მოსალოდნელ სარგებელს, რაოდენობრივმა კვლევამ რამდენიმე მნიშვანელოვანი საკითხი გამოავლინა. ახალგაზრდებს სჯერათ, რომ ევროკავშირი ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას (83%), რაც უკავშირდება დასაქმების შესაძლებლობებს (80%) და სოციო-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებას (81%). ევროკავშირში შესვლა ასევე მიიჩნევა უკეთესი განათლების წინაპირობად (84%). ხელმისაწვდომი განათლების მნიშვნელობა დასტურდება იმ ფაქტით, რომ 27% მათგან, ვინც უნივერსიტეტს თავი დაანება (8%), ასე თანხის გადაუხდელობის გამო მოიქცა.

გრაფიკი #4.2 –ევროკავშირში შესვლის დადებითი მხარეები



როგორც თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, ევროკავშირთან კავშირების გაძლიერება მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომი განათლების და ხარისხიანი განათლების მხრივ. ახალგაზრდების უმრავლესობას, მიუხედავად იმისა, უჭერენ თუ არა მხარს ევროკავშირში შესვლას, სჯერა, რომ ევროკავშირის ქვეყნები უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის განათლებას.

ფოკუს ჯგუფის დისკუსიების პროცესში, რესპონდენტებმა განიხილეს ევროკავშირთან ინტეგრაციის დადებითი მხარეები და წამყვან ფაქტორებს შორის დაასახელეს ეკონომიკური განვითარება და, შესაბამისად, მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება. ევროკავშირი აშკარად ასოცირ-

დება ძლიერ ეკონომიკასთან, ცხოვრების მაღალ სტანდარტებთან და სოციალურ კეთილდღეობასთან. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებული ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია თავისუფალი ვაჭრობის საკითხთან და ევროპის ბაზრების სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის გახსნასთან.

ზემოთ აღნიშნული სარგებლის გარდა, ახალგაზრდებისთვის ევროპის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა და მოგზაურობის შესაძლებლობა ძალიან მიმზიდველია. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რასაც მათი რწმენით ევროკავშირის ქვეყნები უზრუნველყოფს, მოიცავს სტაბილურ/უსაფრთხო გარემოს საქართველოში და ადამიანის უფლებების დაცვას. გარდა იმ ფაქტისა, რომ ევროკავშირთან ახლო კავშირი გაამარტივებს ევროკავშირში ადგილობრივი მოსახლეობის მოგზაურობას, ტურისტების რიცხვის მოსალოდნელი ზრდა საქართველოში ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევა, რადგან ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას.

[ევროკავშირის] სარგებელი მოიცავს ეკონომიკურ ზრდას და ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებას. ყველაფერი გაძვირდება, მაგრამ ხელფასებიც მაღალი იქნება. რამდენადაც ვიცი, იქნება სოციალური დახმარება, უმუშევრობის გადასახადი. [თბილისი, ქალი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

მოსალოდნელია ეკონომიკური გაუმჯობესება, რადგან შეგვეძლება ჩვენი პროდუქტის ექსპორტი და გაყიდვა [თბილისი, ქალი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

ევროკავშირი დაგვეხმარება იმ მხრივ, რომ ხალხს აღარ დაჭირდება საზღვარგარეთ წასვლა კარიერისათვის. შესაბამისად, ჭკვიან და ნიჭიერ ახალგაზრდებს ექნებათ შესაფერისი ხელფასი და მათი შრომა ისევე დაფასდება, როგორც ევროკავშირის ქვეყანაში [თბილისი, ქალი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

კარგი იქნება ტურისტული მოგზაურობის და სწავლისათვის. თავისუფალი ეკონომიკური ზონა ბუნებრივად ყველა მხრივ კარგი იქნება. [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, მამაკაცი, სოფელი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

გაიზრდება ინვესტიციები და ტურიზმი მეტად განვითარდება. [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, ქალაქი, ქალი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ევროკავშირი აერთიანებს ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებს და დასაქმების შესაძლებლობებიც უკეთესია. როცა ქვეყანას აქვს სათანადო იმპორტ-ექსპორტი, დასაქმების შანსი უფრო დიდია. [სამეგრელო/ზემო სვანეთი, სოფელი, მამაკაცი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

ევროკავშირი სავაჭრო სივრცეა. როცა საქართველოში ვვაჭრობთ, ჩვენს პროდუქციას მხოლოდ საქართველოს ბაზრებზე და ქართულ სუპერმარკეტებში ვყიდით. უფრო მეტი ექსპორტის შესაძლებლობა გვექნება მსოფლიოს მასშტაბით. [აჭარა/გურია, ქალაქი, მამაკაცი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის დადებით შედეგებზე დისკუსიისას, ტერიტორიული ერთიანობის აღდგენის საკითხი ყველაზე ნაკლებად დასახელდა სხვადასხვა პოზიტიურ მოლოდინებს შორის. შესაბამისად, ახალგაზრდების 52%-ს სჯერა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის არასასურველი შედეგი რუსეთის მხრიდან გაზრდილი აგრესიის შესაძლებლობაა (სრულიად ვეთანხმები - 16%, ვეთანხმები - 36%); ხოლო რესპონდენტების 28%-ს სჯერა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციით საქართველო საბოლოოდ დაკარგავს აფხაზეთის და ცხინვალის დაბრუნების შანსს. რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების შენელება დაკავშირებულია მეორე ფაქტორთან - ახალგაზრდების 47%-თვის, ეს ევროკავშირთან ინტეგრაციის მეორე მოსალოდნელი ნეგატიური შედეგია (სრულიად ვეთანხმები - 12%, ვეთანხმები - 35%).

ტერიტორიულ ერთიანობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები გასაკვირი არ უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაცია რუსეთისთვის გამაღიზიანებელ ფაქტორად მიიჩნევა. არსებობს რწმენა, რომ თუ საქართველო გახდება საერთაშორისო სტრუქტურების წევრი ამჟამინდელი ტერიტორიული სტატუსით, ის სრულიად დაკარგავს ტერიტორიული ერთიანობის აღდგენის შანსს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთთან ურთიერთობების სავარაუდო გაუარესების და კონფლიქტური რეგიონების დაბრუნების გართულების გარდა, ახალგაზრდების 45% არ ეთანხმება ევროკავშირთან კავშირების გაძლიერებას, რადგან ეს გამოიწვევს ქვეყნიდან მოსახლეობის მასიურ გადინებას მაშინ, როცა რესპონდენტების 30% ფიქრობს, რომ ევროკავშირი ემუქრება ქართულ ეროვნულ იდენტობას.

გრაფიკი # 4.3 - ევროკავშირში შესვლის უარყოფითი მხარეები



რუსეთის აგრესიის, როგორც ევროკავშირთან დაახლოების გზაზე საქართველოსთვის ყველაზე დიდი საფრთხის დასახელება გასაკვირი არ არის 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის გამო. გარდა ამისა, რესპონდენტებმა ახსენეს უკრაინის კონფლიქტი, სადაც მათი რწმენით ევროკავშირმა და ნატომ პრაქტიკულად ვერ გამოიყენეს ვერანაირი მექანიზმი რუსეთის შესაჩერებლად. რუსეთისგან მომავალი საფრთხის გარდა, რესპონდენტები ასევე შიშობენ, რომ უვიზო რეჟიმი კარს გაუხსნის ტერორისტულ დაჯგუფებებს.

ჩვენ მიმზიდველი მდებარეობა გვაქვს, რუსეთის პრიორიტეტი ისაა, რომ ჩვენ გვაქვს სატრანზიტო დერეფანი და თავს არ დაგვანებებს. [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო ქართლი, ქალაქი, ქალი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ნამდვილად გაზრდის საფრთხეს, რადგან რუსეთი უარს არ იტყვის საქართველოზე - ქართველი ხალხზე კი არა, საქართველოზე [აჭარა, გურია, სოფელი, მამაკაცი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

რადგან ევროკავშირის წევრობა მოინდომა, ახლა უკრაინას ემუქრება [რუსეთი]. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რას უზამს საქართველოს? [მცხეთა მთიანეთი, ქალაქი, მამაკაცი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

ჩვენ სერიოზული კონფლიქტი გვექნება რუსეთთან, რაც შეიძლება ომითაც დასრულდეს. ხომ იცით რასაც ამბობენ, აშშ შორსაა და ვერაფერს გააკეთებს მაშინ, როცა რუსეთი აქვე შენს გვერდითაა. ერთი დაჭერა, ერთი ბომბი და ეგაა. [თბილისი, ქალი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ძალიან მეშინია აისის. როდესაც ტელევიზორში ვუყურებ, ძალიან ვნერვიულობ. უვიზო რეჟიმის შემთხვევაში, ადვილად შეძლებენ ქვეყანაში შემოსვლას. [ქვემო ქართლი, შერეული დასახლება, ეთნიკური უმცირესობა, მამაკაცი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

ფოკუს ჯგუფების დროს, ახალგაზრდები აქტიურად განიხილავდნენ ევროკავშირთან დაახლოების შედეგად ქართველი მოსახლეობის განსაკუთრებით ინტელექტუალური რესურსების ქვეყნიდან გადინებას. როგორც ახალგაზრდები აცხადებენ, მათი თანატოლების უმრავლესობა ქვეყანაზე ფიქრობს, როდესაც ევროკავშირზე საუბრობენ. როგორც აღმოჩნდა ისინი არ არიან ინფორმირებულები უვიზო მიმოსვლის პირობების შესახებ და სჯერათ, რომ თუ საქართველო მიიღებს ვიზა ლიბერალიზაციას, შეეძლებათ მარტივად წავიდნენ ევროპის ქვეყნებში სასწავლად ან სამუშაოდ. მზარდი მიგრაცია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევა განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა გასული ორი ათწლეულის მანძილზე.

უვიზო მიმოსვლის შედეგად მასიური გადინება დაიწყება და ეს არის უარყოფითი მხარე [თბილისი, მამაკაცი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

ახალგაზრდობის ნაწილი დატოვებს საქართველოს და რადგან უვიზო მიმოსვლა იქნება, გავლენ ვითომ მოკლე ვადით, მაგრამ დარჩებიან და საქართველოს მოსახლეობა შემცირდება. საქართველო, როგორც ერი, შემცირდება და გახდება ძალიან პატარა. [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, ქალაქი, მამაკაცი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

ბევრი ქართველი შეიძლება წავიდეს ევროპაში და აღარავინ დარჩება აქ. [სამცხე-ჯავახეთი, შერეული დასახლება, ეთნიკური უმცირესობა, მამაკაცი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

მაშინ როცა ფოკუს ჯგუფის წევრები განიხილავდნენ საქართველოს ეროვნული იდენტობისადმი საფრთხეს, რესპონდენტების გარკვეული ნაწილი აქტიურად გამოხატავდა მოსაზრებას, რომ ევროკავშირთან დაახლოების პროცესში, საქართველო ვალდებული იქნება დაუშვას ერთი და იმავე სქესის ადამიანების კანონიერი ქორწინება, რაც მიუღებელია გამოკითხული ახალგაზრდებისათვის.

ახალგაზრდები შეიძლება ისე აღიზარდონ, რომ მათთვის მისაღები იყოს ერთი და იმავე სქესის ადამიანების ქორწინება ან ფემინისტური მოძრაობა ან სხვა მსგავსი. [თბილისი, მამაკაცი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

ჩვენი მენტალობით ვეწინააღმდეგებით ერთი და იმავე სქესის ადამიანების ქორწინებას. როდესაც ევროკავშირის წევრები გავხდებით, სავარაუდოდ მივიღებთ იმას, რაც იქ ხდება და არა ჩვენს ქვეყანაში [აჭარა/გურია, სოფელი, ქალი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

ჩვენ დავკარგავთ ტრადიციებს და გეი ქორწინება დაშვებული გახდება. ეს დაშვებულია [ევროკავშირის] ქვეყნების უმრავლესობაში. [შიდა ქართლი, სოფელი, მამაკაცი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

რაც შეეხება ახალგაზრდების დამოკიდებულებას ნატოს მიმართ, იმ რესპონდენტების რიცხვი, რომელიც ეთანხმება საქართველოს ნატოში შესვლას შედარებით დაბალია მათთან შედარებით, ვინც მხარს უჭერს ევროკავშირში შესვლას და უდრის 68%-ს (39% - სრულიად ვეთანხმები, 29% - ძირითადად ვეთანხმები). გამოკითხული რესპონდენტების 18%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს, მაშინ როცა 11% არ ეთანხმება საქართველოს ნატოში შესვლას. ნატოსთან ურთიერთობების გაღრმავება ნაკლებად სასურველია მათთვის, ვინც სოფლად ცხოვრობს (60%) მაშინ, როცა ეს რიცხვი შედარებით მაღალია იმ რესპონდენტებს შორის, ვინც თბილისში და სხვა ქალაქებში ცხოვრობენ (73%).

გრაფიკი # 4.4 - დამოკიდებულებები ნატოში შესვლის შესახებ



თვისებრივი კვლევის შედეგების მიხედვით, ახალგაზრდებს სჯერათ, რომ საქართველოს ნატოში შესვლა სტაბილურობის და უსაფრთხოების გარანტია იქნება ქვეყნისთვის, მაგრამ საქართველოს ნატოს წევრობის შანსი უახლოეს მომავალში არარეალურად მიაჩნიათ. როგორც რესპონდენტებს სჯერათ, რუსეთი არ მისცემს ალიანსს უფლებას საქართველოს ტერიტორიაზე განალაგოს ჯარები ან ეს ტერიტორია რაიმე სახის სამხედრო ოპერაციებისთვის გამოიყენოს. ასევე ნატოსთვის არ ღირს საქართველოს გამო რუსეთთან კონფლიქტში შესვლა. საქართველოს კონფლიქტური ტერიტორიები სერიოზულ ბარიერად მიიჩნევა და ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ პრობლემის მოგვარების გარეშე ნატოში ინტეგრაცია შეუძლებელია.

რუსეთისგან მომავალი საფრთხე ისეთი სერიოზულია - იმდენად უზარმაზარი იმპერიაა, რომ აუცილებლად გამოიწვევს სერიოზულ საფრთხეებს. [კახეთი, სოფელი, მამაკაცი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

თითქმის ყოველ დღე ვხედავთ საფრთხეს, მაგალითად მავთულხლართები, ძალადობა, რუსეთისგან მომავალი საფრთხეებო... უბრალოდ გაიხსენეთ 2008 წლის აგვისტოს ომი. [შიდა ქართლი, სოფელი, მამაკაცი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

ნატოში მიღება კარგი იქნება თუ ომის შემთხვევაში დაგვეხმარებიან. სხვა შემთხვევაში, არ არის ჩვენთვის კარგი. მე ისევ ვფიქრობ, რომ ეს უბრალოდ ოცნებაა და არ მიგვიღებენ. [კახეთი, ქალაქი, ქალი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ეს კავშირი საქართველოსთვის ძალიან სასარგებლო იქნება, რადგან ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა დაცული იქნება რუსეთის აგრესიისგან და შევძლებთ უფრო მეტად განვვითარდეთ . [კახეთი, ქალაქი, მამაკაცი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

სარგებელი ის იქნება, რომ თავს უსაფრთხოდ ვიგრძნობთ და დაცულები ვიქნებით. [თბილისი, ქალი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ნატოში მიღება ნიშნავს იმას, რომ ნატოს ჯარები ჩვენთან უფრო ახლოს იქნებიან. [თბილისი, მამაკაცი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

რესპონდენტებს სჯერათ, რომ ნატოს წევრობა საქართველოს ძალიან დაეხმარება. ქვეყნის უსაფრთხოება დასახელდა, როგორც მთავარი სარგებელი და მისი მიღწევის და რუსეთის აგრესიის რისკის შემცირების შემთხვევაში, საქართველოს ყველა მხრივ განვითარების მეტი შესაძლებლობა ექნება. თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ რესპონდენტებმა ნიჰილისტური დამოკიდებულება გამოხატეს სამხედრო ალიანსის და მიღების პროცესის მიმართ. მიუხედავად საქართველოს აშკარა სურვილისა და ქვეყნის მიერ არჩეული პოლიტიკური კურსისა, საქართველო წლების განმავლობაში ცდილობდა ნატოს წევრი გამხდარიყო, მაგრამ აშკარად უშედეგოდ.

ვფიქრობ მაშინ უნდა დაიწყო ამ საკითხის განხილვა, როცა ნამდვილად გახდება შესაძლებელი ჩვენი მიღება. აზრი არ აქვს ახლა ამაზე საუბარს, თუ არ მიგვიღებენ 10, 15 წელი. [თბილისი, მამაკაცი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

მჯერა, რომ 99% სასარგებლო იქნება საქართველოსთვის, მაგრამ არცერთი ევროპული ქვეყანა არ შეუქმნის თავის ქვეყნას პრობლემას, რათა ჩვენ დაგვიცვას, ეს 1000% მჯერა. [სამეგრელო/ზემო სვანეთი, ქალაქი, მამაკაცი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების 92%-ს სჯერა, რომ ნატოსთან საქართველოს დაახლოება არ არის სასურველი, რადგან ეს გამოიწვევს რუსეთთან კონფლიქტს. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ახალგაზრდები არ უჭერს მხარს საქართველოს ნატოში შესვლას არის ის, რომ ქართველი ჯარისკაცების დანაკარგი ნატოს მისიებში პოტენციურად გაიზრდება (85%).

გრაფიკი # 4.5 - ნატოში გაწევრიანების უარყოფითი მხარეები



აღსანიშნავია, რომ საქართველო კვლავ აქტიურადაა ჩართული ნატოს საერთაშორისო მისიებში და როგორც აღმოჩნდა, ახალგაზრდები ამის მიმართ ნეგატიურად არიან განწყობილები. იმედგაცრუების მთავარი მიზეზი ისაა, რომ ალიანსი არ დგამს რეალურ ნაბიჯებს საქართველოს წევრად მიღებისთვის. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ მიღების პროცესი გაიწელა და ორგანიზაციის დანაპირები ქვეყნის წევრად მიღებასთან დაკავშირებით ნაკლებ ნდობას იმსახურებს. შესაბამისად, ქართველი ჯარისკაცები ნატოს მისიებში უმიზეზოდ იღუპებიან და ამ დანაკარგის მიუხედავად, ნატოს მაინც არ შეუძლია საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

როცა ქვეყანა ამხელა რისკზე მიდის და იბრძვის, უნდა დააფასონ და მიიღონ წევრად დაგვიანების გარეშე. [კახეთი, ქალაქი, მამაკაცი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

ჩვენი მოსახლეობა კიდევ უფრო შემცირდება. უკვე ისედაც პატარები ვართ და კიდევ უფრო შევმცირდებით თუ მეტ ჯარისკაცს გავაგზავნით ავღანეთში. [თბილისი, მამაკაცი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

გამოკითხული ახალგაზრდების 74% ფიქრობს, რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების დაკარგვა, ნატოში ინტეგრაციის არასასურველი შედეგია. ამ ახალგაზრდებს სჯერათ, რომ თუ ქვეყანა არ ცნობს კონფლიქტური რეგიონებს დაკარგვას, ნატო ყოველთვის იტყვის უარს მსგავსი პრობლემების მქონე ქვეყანაზე და შესაბამისად, ეს პერსპექტივა ძალიან ბუნდოვანია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც რესპონდენტებმა დაასახელეს, იყო რადიკალური ისლამური დაჯგუფებებისგან მომავალი მზარდი საფრთხე (71%).

გარდა ამისა, როგორც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების 65%-ს სჯერა, საქართველოს ნატოში ინტეგრაცია გამოიწვევს ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას. სოფელში მცხოვრები რესპონდენტების 59% ასახელებს იგივე მიზეზს, მაშინ როცა თბილისში მხოლოდ 32% ვარაუდობს დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხეს.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე დისკუსიის მსგავსად, ბევრ რესპონდენტს სჯერა, რომ ნატოში მიღება ქართული ღირებულებების დაკარგვას გამოიწვევს (67%). ამ საფრთხეს ყველაზე ნაკლებად ელოდება თბილისში მოსახლე ახალგაზრდობა (50%), მაშინ, როცა სხვადასხვა ქალაქების და სოფლების ახლგაზრდობის 70%-ს სჯერა, რომ ქართული ღირებულებების დაკარგვა ამ პროცესის არასასურველი შედეგია.

დისკუსია

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ახალგაზრდობის უმრავლესობა მხარს უჭერს ევროკავშირში და ნატოში შესვლას, ორივე მათგანი მსგავს საფრთხეებთან არის დაკავშირებული. ევროკავშირის/ნატოს წევრობა/ასოცირება პირდაპირ უკავშირდება გაზრდილ რუსულ საფრთხეს და საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შემცირებულ შანსს. ევროკავშირთან დაახლოება გაამარტივებს ემიგრაციის პროცესს და ნატოს წევრობა გაზრდის ქართველი ჯარისკაცების რაოდენობას მის მისიებში, რაც ასევე გაზრდის დანაკარგებს. ორივე აღნიშნული მიზეზი დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობასთან. ახალგაზრდებს შორის ასევე არსებობს საფრთხის განცდა. მეზობლისგან მომავალი აგრესიის რისკი რეალური და ხელშესახებია. საფრთხის განცდას ზრდის დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვების ფაქტი. ეს ფაქტორები ახალგაზრდებს აფიქრებინებს, რომ ევროკავშირი დასუსტდა და შესაძლო საფრთხის შემთხვევაში დასავლელი პარტნიორები საქართველოს ვერ დაიცავენ. გარდა ამისა ახალგაზრდებში არსებობს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ რუსული ბაზარი ყველაზე დიდი და მოსახერხებელია ქართული პროდუქციის ექსპორტისათვის. ევროკავშირის მიერ დაწესებული მკაცრი რეგულაციები, მაღალი სტანდარტები და სურსათის ხარისხის კონტროლი ქართული პროდუქტის გაყიდვის პროცესს გაართულებს.

ყველა ეს მიზეზი მიჩნეულია ევროკავშირში და ნატოში შესვლის ნეგატიურ შედეგად და წარმოადგენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მატერიალურ მხარეებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ნეორეალიზმი, რომლის მიხედვითაც პატარა ქვეყნები იმ ქვეყნებს მიმართავენ, რომლებიც მათ კეთილდღეობას საფრთხეს უქმნის, ვერ ხსნის საქართველოს მაგალითს, რადგან საქართველო მიისწრაფვის ევროპული ღირებულებებისკენ მიუხედავად მისი ეკონომიკური, ენერგო და სხვა სფეროებში დამოკიდებულებისა. ამ მისწრაფების მიზეზი სხვა, უფრო ღრმა მიზეზებში უნდა იყოს და არა მატერიალისტურში. კაკაჩია და მინესაშვილის მიხედვით, ქართველი პოლიტიკოსები ხაზს უსვამენ ორ ქართულ ღირებულებას, რომელიც საქართველოს დასავლურ დემოკრატიულ ცივილიზაციასთან აერთიანებს. ეს ღირებულებებია ინდივიდუალიზმი და თავისუფლების სიყვარული. გარკვეულწილად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს პრო-დასავლური ვექტორი ქვეყნის ელიტის, უცხოური უმაღლესი განათლების მქონე პოლიტიკოსების არჩეული გზაა, რადგან ახალგაზრდობის ნაწილი ფიქრობს, რომ ევროკავშირში მიღება ღირებულებების და ტრადიციების დაკარგვასთანაა დაკავშირებული. ევროკავშირთან ასიმილაციის საფრთხე, რაც ქართული კულტურისთვის საპირისპირო საკითხების მიღებას ნიშნავს სოფელში უფრო აღინიშნა, ვიდრე ქალაქში. ქალაქსა და სოფელს შორის სხვაობა შესაძლოა უკავშირდებოდეს ტრადიციული კულტურისადმი უფრო მეტ მიჯაჭვულობას, რაც მის სიმართლეში ნაკლები ეჭვის შეტანას გულისხმობს.

პრობლემები და მისწრაფებები

შესავალი

ჰორბალის მიხედვით „კეთილდღეობა“ მისი ფართო გაგებით მრავალკომპონენტიანი ცნებაა, რომელიც კულტურული, სოციალური, ფსიქოლოგიური, ფსიქიკური და სულიერი ფაქტორებით განისაზღვრება. კეთილდღეობის ობიექტური ინდიკატორები (ჯანმრთელობა, ფინანსური მდგომარეობა, წარმატება და ა.შ.) რეალურად მხოლოდ არაპირდაპირ მოქმედებენ კეთილდღეობაზე. კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება პიროვნების დამოკიდებულებით საკუთარი თავის, ზოგადად სამყაროს და მისი სხვადასხვა სფეროების მიმართ (ჰორბალი, 2012).

მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური ინდიკატორები მხოლოდ არაპირდაპირ მოქმედებენ კეთილდღეობაზე, კეთილდღეობის სუბიექტური აღქმა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონტექსტზე. ‘Life in Transition’ (ცხოვრება გარდამავალ პერიოდში) კვლევის მიხედვით, იმ ქვეყნების უმრავლესობაში, რომლებიც გარდამავალ პერიოდში არიან, მათ შორის საქართველოშიც, ცხოვრებით კმაყოფილების დონე შესამჩნევად დაბალია დასავლეთ ევროპის ქვეყნების მონაცემებთან შედარებით. ცხოვრებით კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია დასაქმებასთან, უმაღლეს განათლებასა და ჯანმრთელობასთან, ასევე შემოსავალთან და ეკონომიკურ ზრდასთან (EBRD, 2010).

საქართველოში კრიტიკულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ, უმუშევრობის მაღალმა დონემ მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი განაპირობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო თანდათან იქცა გლობალური მიგრაციული სისტემის ნაწილად. ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოდან ემიგრაციის ხასიათი, მასშტაბი და მიმართულები (მიგრაციის სახელმწიფო კომისია, 2015). ქვემოთ მოცემული ცხრილები აჩვენებს 2012-2015 წლებში საქართველოდან ემიგრაციის დინამიკას და 2015 წელს ემიგრირებული მოსახლეობის განაწილებას ასაკობრივ ჯგუფებში. ემიგრირებული მოსახლეობის რაოდენობა 2012 წლის შემდეგ 90584-დან 95965-მდე გაიზარდა. 2015 წელს ემიგრირებულ მოსახლეობაში, ისევე როგორც წინა წლებში, ყველაზე დიდ ჯგუფს 15-29 წლის ახალგაზრდები წარმოადგენენ, სიდიდით მეორეა 30-44 წლის ასაკობრივი კატეგორია (საქსტატი, 2012-2015).

სურათი #5.1 ემიგრაცია 2012-2015 წლებში



სურათი #5.2 ემიგრაცია 2015 წელს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



მიუხედავად ამისა, ჭელიძის მიხედვით, ახალგაზრდების შრომითი ემიგრაცია შეიძლება განხილული იყოს როგორც პოზიტიური ფენომენი, თუ ეს ლეგალურია, მოკლევადიანია და გულისხმობს ახალგაზრდების დაბრუნებას ქვეყანაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდები არ ბრუნდებიან, ეს ქვეყნისთვის პირდაპირი ეკონომიკური და დემოგრაფიული დანაკარგია, რაც ქვეყნის შრომითი პოტენციალის შემცირებაში გამოიხატება (ჭელიძე, 2005).

ემიგრაციის პარალელურად, საქართველო უცხო ქვეყნების მოქალაქეებისთვისაც მიმზიდველია. 2005 წლიდან 2013 წლამდე საქართველოს მოქალაქეობა მიიღო 53,000-მა უცხოელმა, 40,000-ზე მეტმა უცხოელმა კი დროებითი ან მუდმივი ბინადრობის უფლება მოიპოვა (ICMPD, 2015). ეს ციფრები აჩვენებს ქვეყანაში უცხოელების წილს ბოლო ათწლეულის მანძილზე, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ისტორიულად წარმოადგენდა სხვადასხვა რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფების საცხოვრებელ ადგილს.

'Life in Transition' (ცხოვრება გარდამავალ პერიოდში) კვლევის მიხედვით, იმ ქვეყნებში, რომლებიც გარდამავალ პერიოდში არიან, მათ შორის საქართველოშიც, ზოგადად არ ეწინააღმდეგებიან განსხვავებული რელიგიის წარმომადგენლებთან თანაცხოვრებას, თუმცა შედეგები განსხვავებულია, როდესაც საუბარია განსხვავებული რასის წარმომადგენლებსა და იმიგრანტებზე. სხვადასხვა უმცირესობების ჯგუფების მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულება შეიძლება იყოს დისკრიმინაციის საფუძველიც, რაც თავის მხრივ შესაძლოა განაპირობებდეს სუბიექტური კეთილდღეობისა და ცხოვრებით კმაყოფილების დაბალ მაჩვენებელს.

წინამდებარე კვლევამ შეისწავლა ახალგაზრდების ცხოვრების რამდენიმე ასპექტი, რომელიც გავლენას ახდენს კეთილდღეობის სუბიექტურ აღქმაზე და პირდაპირ არის დაკავშირებული ცხოვრებით კმაყოფილებასთან. მიგრაციისა და იმიგრაციის გეგმები, ისევე როგორც დისკრიმინაციის გამოცდილება შესაძლოა ზემოქმედებდეს ზოგადად ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებელზე, ქვეყნის პრობლემებმა შესაძლოა გამოიწვიოს მიგრაციული ან ემიგრაციული პროცესები, მაშინ როცა პოზიტიური ან ნეგატიური დისკრიმინაციის გამოცდილება ახალგაზრდების სუბიექტურ კეთილდღეობაზე აისახება.

ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდები გამოხატავენ ოჯახური ცხოვრებით კმაყოფილების უმაღლეს ხარისხს (79%);
- პირადული/ინტიმური ურთიერთობებით და საქმიანობით კმაყოფილების იგივე გამოცდილება აქვს ახალგაზრდების დაახლოებით 60%-ს;
- ახალგაზრდების 56% ადასტურებს ძლიერ ეროვნულ კუთვნილებას;
- ახალგაზრდების 95% თვლის, რომ მომდევნო 10 წელიწადში საქართველოში სიტუაცია გაუმჯობესდება;
- ახალგაზრდების 59% აცხადებს, რომ მათ ქვეყნის დატოვება არ აქვთ განზრახული;
- ახალგაზრდების 21%-ს აქვს მიგრაციის ძლიერი სურვილი;
- მიგრაციის მოტივატორებია ცხოვრების უკეთესი სტანდარტი (38%) და უკეთესი განათლების შესაძლებლობები (17%);
- ახალგაზრდების 31% გამოხატავს საქართველოში საცხოვრებელი ადგილის შეცვლის სურვილს, ძირითადად განათლების მიღებისათვის;
- ათიდან ცხრა ახალგაზრდის მტკიცებით, ისინი არასდროს ყოფილან დისკრიმინირებული რელიგიური, ეთნიკური, გენდერული ნიშნით; ასევე პოლიტიკური კუთვნილების, რეგიონული ან სხვა ქვეყნის წარმომავლობის ან სხვა რომელიმე უმცირესობის წევრობის ნიშნით;
- განათლების დონისა და ეკონომიკური მდგომარეობის გამო დისკრიმინაცია განუცდია ახალგაზრდების 24% და 31%.

ანალიზი

ცხოვრებით კმაყოფილება

ცხოვრებით კმაყოფილების შესასწავლად, ქართველ ახალგაზრდებს სთხოვეს შეეფასებინათ თავიანთი კმაყოფილება ცხოვრების სამი ასპექტით: პირადი/ინტიმური ურთიერთობები, ოჯახური ცხოვრება და საქმიანობა.

კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდები კმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ოჯახურ ცხოვრებას აფასებენ. სამიზნე სეგმენტის დაახლოებით 4/5 ამტკიცებს, რომ თავიანთი ოჯახური ცხოვრებით საკმაოდ ან სრულიად ბედნიერია. პირადი/ინტიმური ურთიერთობებით და საქმიანობით კმაყოფილების იგივე გამოცდილება აქვს ახალგაზრდების დაახლოებით 60%-ს.

სურათი #5.3 - ცხოვრებით კმაყოფილება



კვლევა ასევე აჩვენებს, რომ ახალგაზრდები, რომლებიც თბილისის გარდა სხვა ურბანულ დასახლებებში ცხოვრობენ მეტად კმაყოფილები არიან ცხოვრების სამივე ასპექტით, ვიდრე თბილისში და სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები. ცხოვრებით კმაყოფილების დონეზე მოქმედებს მაღალი სოციალური ფენისადმი კუთვნილებაც, რამდენადაც მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები სხვა ფენებთან შედარებით მეტად კმაყოფილები არიან როგორც თავიანთი ოჯახური ცხოვრებით, ასევე საქმიანობით.

საქმიანობით კმაყოფილების მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო ქალების, 14-18 წლის ახალგაზრდების, ჯერ ისევ განათლების ეტაპზე მყოფი ახალგაზრდებისა და დასაქმებულ ახალგაზრდების ჯგუფებში.

აღსანიშნავია, რომ პირადი/ინტიმური ურთიერთობებით კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი უფრო ხშირია 25-29 წლის რესპონდენტებს შორის.

ინდივიდუალური vs. კოლექტიური თვით აღქმა

იმის დასადგენად, თუ როგორია ახალგაზრდების თვით აღქმა, რესპონდენტებს სთხოვეს აერჩიათ განაცხადი, რომელიც ყველაზე მეტად ახასიათებდა მათ ყოფას - საკუთარ თავს აღიქვამთ როგორც დამოუკიდებელ ინდივიდს, სამეზობლოს ნაწილს, სოფლის/ქალაქის ნაწილს, ქართველი ერის ნაწილს ან მსოფლიოს ნაწილს.

ეროვნული კუთვნილება აღმოჩნდა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელმაც მიიზიდა მონაწილეთა ნახევარზე მეტი. ასევე, ყოველი მეხუთე ქართველი განიხილავს საკუთარ თავს დამოუკიდებელ ინდივიდად, 12% საკუთარ თავს მსოფლიო მოქალაქედ ხედავს და 11%-სთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკუთარი სოფლის/ქალაქის წევრობაა.

სურათი # 5.4 - დამოკიდებულება სამყაროს მიმართ



საინტერესოა, რომ დამოუკიდებელ ინდივიდად და მსოფლიო მოქალაქედ უფრო ხშირად საკუთარ თავს აღიქვამენ თბილისში მცხოვრები და დასაქმებული რესპონდენტები, ასევე ახალგაზრდები სამუალო და მაღალი სოციალური ფენიდან. ასევე, სტუდენტები, რომლებიც ჯერ კიდევ ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლობენ, უფრო დამოუკიდებლად გრძნობენ თავს და საკუთარ თავს ასევე დამოუკიდებელ ინდივიდებად ხედავენ.

საკუთარ სოფელთან/ქალაქთან იდენტიფიცირება უფრო ხშირია დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლების, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის და ამჟამად უმუშევარი მონაწილეების ჯგუფებში.

მისწრაფება მიგრაციისკენ

საქართველოში ახალგაზრდების უმრავლესობას მომავლის საკმაოდ ოპტიმისტური მოლოდინები აქვს, მათი 95% თვლის რომ მომავალი 10 წლის მანძილზე ქვეყანაში სიტუაცია გაუმჯობესდება. საყურადღებოა, რომ ასაკობრივი, გენდერული და სოციალური ჯგუფების მიხედვით განსხვავებები არ ფიქსირდება.

სურათი #5.5 - მომავალი 10 წლის შემდეგ



პირადი მომავლის და მომავალში სოციალური სიტუაციის მიმართ არსებული მოლოდინების შედარება აჩვენებს მნიშვნელოვან განსხვავებებს. ახალგაზრდების 74% ოპტიმისტურადაა განწყობილი და თვლის, რომ მომავალი 10 წლის მანძილზე ქართველი ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება. მიუხედავად ამისა, სოციალური ცხოვრების მიმართ ოპტიმიზმი მაინც უფრო დაბალია ვიდრე მოლოდინები პირადი ცხოვრების მიმართ.

სურათი #5.6 - პირადი მომავლისა და მომავალში სოციალური სიტუაციის პროგნოზების შედარება



მიგრაცია საქართველოში მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით ახალგაზრდების მიგრაცია. მართალია, ახალგაზრდების უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას, მაგრამ ღია საზღვრები და უვიზო მიმოსვლა განიხილება როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე, რამდენადაც გაიზრდება მიგრაციის მაჩვენებელი.

კვლევა აჩვენებს ახალგაზრდებს შორის მიგრაციის ძლიერ სურვილს. ზოგადად, ყოველი მეორე რესპონდენტი (59%) აცხადებს, რომ არ აქვს განზრახული ქვეყნის დატოვება. ყოველი მეხუთეს (21%) განცხადებით, მას ქვეყნის დატოვების ძლიერ სურვილი აქვს და თითქმის იგივე რაოდენობას (19%) მეტნაკლებად სურს საქართველოს დატოვება. აღსანიშნავია, რომ მათი წილი, ვისაც არ სურს ემიგრირება, მაღალია შედარებით უფროს რესპონდენტებსა და განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ რესპონდენტებს შორის.

სურათი # 5.7 - მიგრაციის სურვილი



მათთვის, ვისაც ქვეყნიდან წასვლა სურს, ამერიკა და გერმანია ყველაზე სასურველი დანიშნულების ადგილებია (აშშ - 27%, გერმანია - 21%).

სურათი #5.8 - ემიგრაციისთვის სასურველი ქვეყნები



რაც შეეხება მიგრაციის მამოტივირებელ ფაქტორებს, ლიდერობს ცხოვრების უკეთესი სტანდარტი (38%), რასაც მოჰყვება უკეთესი განათლების შესაძლებლობები (17%). საინტერესოა, რომ მათი უმრავლესობა, ვისაც ემიგრირება სურს, ამისთვის ფაქტობრივად არაფერს აკეთებს (72%) და მხოლოდ მცირე ნაწილი (14%) სწავლობს უცხო ენას.

სურათი # 5.9 - მიგრაციის მთავარი მიზეზები



ეროვნული მიგრაციის პარალელურად, კვლევა მიზნად ისახავდა ქვეყნის შიგნით მობილობის საკითხების შესწავლასაც. პატარა ქალაქებიდან და სოფლებიდან ახალგაზრდების უმრავლესობა განათლების მისაღებად გადადის უფრო დიდ ქალაქებში, უფრო ხშირად დედაქალაქში. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ოფიციალური მონაცემი, მათი რიცხვი ვინც შემდეგ თავიანთ პატარა ქალაქს ან სოფელს უბრუნდება, ბევრად დაბალია. განათლებასთან ერთად, შრომითი მიგრაციაც არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც სულ უფრო მეტ შრომისუნარიან ადამიანს იზიდავს თბილისისკენ. ახალგაზრდების დაახლოებით 1/3-მა (31%) გამოთქვა საქართველოში სხვა ადგილას გადასვლის სურვილი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შიდა მობილობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი განათლების შესაძლებლობაა, ძირითადად საცხოვრებელი ადგილის შეცვლის სურვილს გამოხატავდნენ რეგიონებში და განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები 14-18 წლის ახალგაზრდები. ზოგადად, ახალგაზრდები საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზეზად ყველაზე ხშირად ცხოვრების უკეთეს სტანდარტს ასახელებდნენ.

სურათი # 5.10 - შიდა მიგრაციის განზრახვები



სურათი # 5.11 - შიდა მიგრაციის ძირითადი მიზეზები



დისკრიმინაციის გამოცდილება

ქართველ ახალგაზრდებს სთხოვეს, გაეხსენებინათ სხვადასხვა პარამეტრების საფუძველზე დისკრიმინაციის შემთხვევები და მათი სიხშირე. გამოკითხვის ფარგლებში საკვლევ თემებს შორის ჩამოთვლილი იყო შემდეგი პარამეტ-რები: განათლების დონე, ეკონომიკური მდგომარეობა, რელიგია, ეთნიკური წარმომავლობა, გენდერი, პოლიტიკურ პარტიასთან ასოცირება, რეგიონიდან წარმომავლობა, მშობლიური ქვეყანა და უმცირესობის ჯგუფის წევრობა.

სურათი # 5.12 - დისკრიმინაციის გამოცდილება



კვლევამ აჩვენა, რომ დისკრიმინაცია აღნიშნული პარამეტრების დიდი ნაწილის მიხედვით ქვეყანაში საკმაოდ დაბალია. ათიდან ცხრა ახალგაზრდას მტკიცებით, ისინი არასდროს ყოფილან დისკრიმინირებული რელიგიური, ეთნიკური, გენდერული, პოლიტიკური კუთვნილების, რეგიონიდან წარმოშობის, მშობლიური ქვეყნის ან სხვა რომელიმე უმცირესობის ჯგუფის წევრობის გამო. როგორც მოსალოდნელი იყო, მონაწილეები, რომლებმაც განაცხადეს, რომ განიცადეს დისკრიმინაცია საკუთარი სქესის გამო, ძირითადად ქალები იყვნენ.

თუმცა, განათლების დონისა და ეკონომიკური მდგომარეობის გამო დისკრიმინაციის მსხვერპლი გამხდარა სამიზნე სეგმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი (24% და 31%). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა 8% განცხადებით ისინი განიცდიდნენ ეკონომიკურ მდგომარეობის გამო დისკრიმინაციას ხშირად ან ძალიან ხშირად. ასევე საგულისხმოა, რომ თბილისსა და სხვა ქალაქებში მცხოვრები თანატოლებისგან განსხვავებით, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები დიდი ალბათობით არ ხვდებიან მათი ეკონომიკური მდგომარეობის ან განათლების დონის გამო დისკრიმინაციას.

დისკუსია

"Transition in Life" (ცხოვრება გარდამავალ პერიოდში) კვლევის მიხედვით, არსებობს საინტერესო ბმა ცხოვრებით კმაყოფილებასა და ოპტიმიზმს შორის; გარდამავალ პერიოდში მყოფ რეგიონში, შედარებით ბედნიერ ქვეყნებში ადამიანებს უფრო სჯერათ, რომ მათი შვილები მეტს შეძლებენ, ვიდრე უშუალოდ მათმა თაობამ შეძლო (EBRD, 2010). საქართველოს ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებელი 2006 წლიდან 2010 წლამდე ოდნავ გაიზარდა, თუმცა კმაყოფილი ისევ მხოლოდ მოსახლეობის მეოთხედია (Ibid). ჩვენი კვლევის მიხედვით, ახალგაზრდები მნიშვნელოვანწილად კმაყოფილები არიან ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებით, ხოლო მომავლის მიმართ ოპტიმისტურად ახალგაზრდების კიდევ უფრო დიდი ნაწილია განწყობილი. თუმცა, სადაოა რამდენად შეიძლება იყოს დაკავშირებული მომავალში უკეთესი ცხოვრების იმედი საქართველოში ან მის გარეთ ცხოვრებასთან, რამდენადაც რესპონდენტების ერთი მეხუთედის ძლიერი სურვილია საქართველოდან ემიგრირება, რაც ძირითადად განპირობებულია საცხოვრებელ პირობებთან, განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემებით. იგივეა ქვეყნის შიგნით მობილობის სურვილის გამომწვევი ძირითადი ფაქტორებიც. უნდა აღინიშნოს, რომ იმ ახალგაზრდების წილი, რომლებსაც მეტი დამოუკიდებლობა და თავისუფლება სურთ, უფრო მაღალია ქვეყნის შიგნით მობილობის მსურველებს შორის. თუმცა, საბოლოო ჯამში, როგორც ემიგრაციას ასევე შიდა მიგრაციის მასტიმულირებელი მიზეზები ძირითადად მატერიალურ ფაქტორებს უკავშირდება.

საინტერესოა, რომ ეკონომიკური პირობები, უფრო ზუსტად ფინანსურად არაპრივილეგირებული მდგომარეობა აღმოჩნდა დისკრიმინაციის საფუძველი, მაშინ, როცა თითქმის არ გამოიკვეთა რელიგიური, ეთნიკური, გენდერული და სხვა ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები. მიუხედავად იმისა, რომ საქართვე-

ლოში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის პრობლემა დგას, ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილმა განაცხადა რომ მათ განუცდიათ გენდერული დისკრიმინაცია. წინა კვლევები აჩვენებს, რომ ქვეყანაში გენდერულ როლებზე ტრადიციული შეხედულებები საკმაოდ ძლიერია: ქალის მთავარ ფუნქციად განხილულია შვილების აღზრდა და ოჯახზე ზრუნვა, სახლის საქმე; მაშინ, როცა კაცის ფუნქციაა ოჯახის ფინანსურად უზრუნველყოფა (UNDP, 2013). მსგავსი გენდერული სტერეოტიპების არსებობა და გენდერული დისკრიმინაციის საკითხების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე შესაძლოა ხსნიდეს კვლევის შედეგებს - ახალგაზრდებმა შესაძლოა არც იცოდნენ, რომ რიგი გარემოებებისა, რომლებსაც ისინი ყოველდღიურობაში ხვდებიან რეალურად გენდერული დისკრიმინაციის ფორმაა.

ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად, დისკრიმინაციის კიდევ ერთ მიზეზად დასახელდა განათლების დონე, კერძოდ განათლების დაბალი დონე სახელდება დისკრიმინაციის საფუძვლად. აღსანიშნავია, რომ იგივე მიზეზი, კონკრეტულად უკეთესი განათლების შესაძლებლობა დასახელდა მიგრაციის ერთერთ მოტივადაც. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დღესდღეობით ახალგაზრდების პრობლემებში გამოკვეთილია ორი მთავარი სფერო - სასურველი ფინანსური მდგომარეობა და უკეთესი განათლების ხელმისაწვდომობა. ეს ორი მთავარი საკითხი ურთიერთდაკავშირებულია, რამდენადაც უკეთესი განათლების ხელმისაწვდომობა შესაძლოა განაპირობებდეს მომავალში უკეთესად დასაქმებას, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ფინანსურ სტაბილურობასთან და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან.

იდენტობა, ღირებულებები და რელიგია

შესავალი

ღირებულებები, დამოკიდებულებები და რწმენები საფუძვლად უდევს ადამიანის ქცევას. ერთი მხრივ, ადამიანის მსოფლმხედველობა და ღირებულებითი ორიენტაცია განსაზღვრავს მის ქცევას საზოგადოებაში; მეორე მხრივ კი, სოციალური გარემო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის ღირებულებების, დამოკიდებულებების და რწმენების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, ვალიდური იქნება თუ ვიტყვით, რომ ღირებულებები შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, როგორც ერთგვარი რექცია სოციალური გარემოს ცვლილებებზე.

ღირებულებათა გლობალური რუკა (ველცერ-ინგლეჰარტის კულტურული რუკა) სხვადასხვა საზოგადოებებს ყოფს ორი ძირითადი ღირებულებითი განზომილების მიხედვით: პირველი განზომილება არის „ტრადიციული ღირებულებები და სეკულარულ-რაციონალური ღირებულებები“, ხოლო მეორე განზომილებას წარმოადგენს „გადარჩენის ღირებულებებისა და თვითგამოხატვის ღირებულებებს“ (Inglehart, Welzel, 2005). გამოცდილება აჩვენებს, რომ ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ გარემოში გავლენას ახდენს ამ ორ განზომილებას შორის მობილობაზე სხვადასხვა საზოგადოებებში.

პირველი განზომილების შემთხვევაში, ტრადიციული ღირებულებები ყურადღებას ამახვილებს რელიგიის მნიშვნელოვნებაზე, ეროვნულ სიამაყეზე, ავტორიტეტის პატივისცემაზე, მორჩილებაზე, ქორწინებაზე, მჭირდო კავშირებზე მშობლებსა და შვილებს შორის და ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებზე. ადამიანები, რომლებიც ტრადიციულ ღირებულებებს იზიარებენ, უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ განქორწინების, აბორტის, ევთანაზიის და თვითმკვლელობის მიმართ. სეკულარულ-რაციონალურ ღირებულებები გამოხატავენ ტრადიციული ღირებულებების საპირისპირო შეხედულებებს. ასეთი საზოგადოებები ნაკლებ აქცენტს აკეთებენ რელიგიაზე, ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებზე და ავტორიტეტზე. განქორწინების, აბორტის, ევთანაზიის და თვითმკვლელობის მიმართ არ არსებობს მძაფრად ნეგატიური რეაქცია.

რაც შეეხება მეორე განზომილებას, გადარჩენის ღირებულებები ეკონომიკურ და ფიზიკურ უსაფრთხოებას უფრო პრიორიტეტულად მიიჩნევს თავისუფლებასთან შედარებით; ასევე გადარჩენის ღირებულებები თავის თავში მოიცავს უარყოფით დამოკიდებულებას ჰომოსექსუალების მიმართ, პოლიტიკური აქტივობისგან თავშეკავებას, გამოირჩევა დაბალი ნდობისა და ტოლერანტობის ხარისხით. ეს ღირებულებები უკავშირდება ეთნოცენტრულ დამოკიდებულებებს. თვითგამოხატვის ღირებულებები აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში

საპირისპირო მოსაზრებებს ეფუძნება. თვითგამოხატვის ღირებულებები პრიორიტეტულად მიიჩნევს გარემოს დაცვას, უცხოელების და ჰომოსექსუალების მიმართ ტოლერანტობას, გენდერულ თანასწორობას და ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას (Inglehart, Welzel, 2016).

ამა თუ იმ განზომილების ღირებულებების დომინანტობა მჭიდრო კავშირშია ისეთ კონცეპტებთან, როგორებიცაა, ნდობა, სოციალური კაპიტალი, სოლიდარობა და სოციალური ინტეგრაცია.

სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თეორია ჩამოაყალიბა პატნემმა (1993), რომელიც განსაზღვრას სოციალურ კაპიტალს, როგორც სოციალური ორგანიზების მახასიათებლებს, როგორებიცაა, ქსელები, ნორმები და ნდობა, რომლებიც ხელს უწყობენ კოორდინაციას და თანამშრომლობას საერთო სარგებელის მიღების მიზნით. თემი ან სამეზობლო, რომელიც მდიდარია სოციალური კაპიტალით, შეიძლება დახასიათდეს როგორც სოციალურად შეკრული და თანამშრომლობაზე ორიენტირებული თემი, რომელშიც ინდივიდების ქცევა საერთო სარგებლისკენ არის მიმართული (Boneham and Sixsmith, 2003). როგორც ასეთი, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს: წებოს, რომელიც აერთიანებს საზოგადოებას და საპოხს, რომელიც ხელს უწყობს სოციალური ინტერაქციის შეუფერხებელ მიმდინარეობას (როგორც ინტერპერსონალურ ურთიერთობებს ასევე ინტერაქციას ჯგუფებს და ორგანიზაციებს შორის) (Smith, 1997, page 170 in Boneham and Sixsmith, 2003). სოციალური კაპიტალით მდიდარი საზოგადოება ხასიათდება მაღალი სოლიდარობით, მაღალი ნდობის ხარისხით ადამიანებისა და ინსტიტუციების მიმართ, და სოციალური ცხოვრების მაღალი პროგნოზირების შესაძლებლობით. სოციალური კაპიტალი ასოცირდება უნივერსალურ ღირებულებებთან, მრავალფეროვნების მიმღებლობასთან და თანასწორობასთან.

ამის საპირისპიროდ, თემი, რომელიც სოციალური კაპიტალის დაბალი დონით გამოირჩევა, შეიძლება დახასიათდეს, როგორც საზოგადოება, სადაც ადამიანები უფრო სოციალურად იზოლირებულები არიან, არ ენდობიან ერთმანეთს და ნაკლებად მონაწილეობენ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში (Boneham and Sixsmith, 2003). სოციალური კაპიტალის ნაკლებობა ასოცირდება დაბალი დონის სოლოდარობასთან, ასევე ნათესაურ კავშირებზე და ნეპოტიზმზე დაფუძნებულ სოლიდარობასთან, ადამიანების და ინსტიტუციების მიმართ დაბალი დონის ნდობასთან და ინსტიტუტების საქმიანობის პროგნოზირების სირთულესთან. უნივერსალისტური ღირებულებები ნაკლებად გავრცელებულია და უფრო ხშირად ვხვდებით ფავორიტიზმს და შესაბამისად, პარტიკულარისტულ ღირებულებებს.

სოციალური კაპიტალი და პიროვნებათშორისი ნდობა, დაკავშირებულია სოციალური დისტანციის კონცეპტთან, რომელიც გამოხატავს ტოლერანტობის დონეს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიმართ. არსებული კვლევები ხშირ შემთხვევაში მიუთითებენ შიდა-ჯგუფური ფავორიტიზმის არსებობაზე: შიდა-ჯგუფი, რომლის მიმართაც სოციალური დისტანცია მცირეა, უფრო პოზიტიურად

ფასდება გარე-ჯგუფისგან განსხვავებით, რომელიც შემთხვევაშიც სოციალური დისტანცია უფრო დიდია (Verkuyten, Kinket, 2000). მცირე სოციალური დისტანცია შეიძლება მივიჩნიოთ ნაყოფიერ ნიადაგად ნდობის, სოციალური შეკრულობის და კოოპერაციის განსავითარებლად, მაშინ როდესაც დიდი სოციალური დისტანცია მიანიშნებს ტოლერანტობის დაბალ ხარისხზე და კავშირშია უნდობლობასთან და საზოგადოებაში კოოპერაციის ნაკლებობასთან.

კვლევის ფარგლებში მოხდა ახალგაზრდების ღირებულებების, დამოკიდებულებების და რწმენების შესწავლა. კვლევა წარმოადგენდა მცდელობას, შეგვესწავლა ახალგაზრდების მსოფლმხედველობა და ღირებულებითი ორიენტაცია ისეთ საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებების შესწავლის გზით, როგორებიცაა, მონაწილეობა, ნდობა, სოციალური დისტანცია, რელიგიური შეხედულებები და სხვა მსგავსი თემები, რომლებიც კავშირშია ახალგაზრდების ღირებულებებთან. მსგავსმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა ახალგაზრდების ღირებულებების ანალიზი, ზემოთ აღწერილი ღირებულებათა განზომილებების მიხედვით.

ძირითადი მიგნებები

- ბოლო 12 თვის განმავლობაში, ახალგაზრდების 27%-მა მონაწილეობა მიიღო მოხალისეობრივ აქტივობაში. ახალგაზრდების უმრავლესობამ (36%) მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივ სამუშაოებში ადგილობრივ თემში.
- ახალგაზრდებმა ნდობის ყველაზე მაღალი ხარისხი გამოხატეს ოჯახთან (9.7 ქულა 10-ქულიან სკალაზე), მეგობრებთან (8.9) და ნათესავებთან მიმართებაში (8.4). ამ სამი ყველაზე სანდო სოციალური ჯგუფის შემდეგ ნდობის ხარისხის თვალსაზრისით, სახელდებიან რელიგიური ლიდერები (7.6.)
- ახალგაზრდები ნაკლებ ნდობას გამოხატავენ ეთნიკური უმცირესობის მიმართ (5.4.); ასევე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონეთა (5.4) და სხვა რელიგიის წარმომადგენელთა მიმართ (5.2).
- ყველაზე დაბალი ნდობის ხარისხი ფიქსირდება ლგბტ ჯგუფის მიმართ (3.4). საინტერესოა, რომ მდედრობითი სქესის რესპოდენტების ნდობა უფრო მაღალია ამ ჯგუფის მიმართ, მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან შედარებით.
- ახალგაზრდების უმრავლესობა მიაკუთვნებს საკუთარ თავს რაიმე რელიგიურ მიმდინარეობას: უდიდესი წილი აცხადებს, რომ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი (85%), წილის სიდიდის თვალსაზრისით მათ მოსდევენ მუსულმანი ახალგაზრდები (10%).
- ახალგაზრდების უმრავლესობას სწამს ღმერთის არსებობის (97%) და ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის (91%).
- ახალგაზრდების დიდი რაოდენობა ფიქრობს, რომ აბორტი უნდა იყოს აკრძალული კანონით (42%).
- ახალგაზრდების 27%-ს ნეგატიური დამოკიდებულება აქვს სექსუალური თავშეკავების მიმართ, მაშინ როდესაც ახალგაზრდების მესამედი მიიჩნევს მას გარკვეულ ღირებულებად ორივე გენდერისთვის (33%) ან მხოლოდ გოგონებისთვის (31%).
- გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა (46%) გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას ჰომოსექსუალების მიმართ. ახალგაზრდების მხოლოდ 16% ფიქრობს, რომ ჰომოსექსუალიზმი სრულიად ან მეტწილად მისაღებია.
- ქართველ ახალგაზრდებს შორის ღირებულებითი ტიპი მენეჯერი ყველაზე გავრცელებულია (39.5%). მას მოსდევს იდეალისტი (29.1%) და მატერიალისტი (23%). ახალგაზრდების ყველაზე მცირე რაოდენობა მიეკუთვნება ღირებულებათა ტიპს - მეორჭოფე.

ანალიზი

მონაწილეობა

მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობა სოციალური კაპიტალის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა. მოხალისეობრივ საქმიანობას მჭირდო კავშირი აქვს სოციალურ კაპიტალთან, რომელიც აქცენტს აკეთებს კოოპერაციაზე, თანაზიარობაზე, ნდობაზე და სოციალურ კავშირებზე (Boneham and Sixsmith, 2003).

კვლევის ფარგლებში მოხდა მოხალისეთა მონაწილეობის ხარისხისა და მიზეზების შესწავლა ანუ ისეთ აქტივობებში მონაწილეობის შესწავლა, რომლებიც ახალგაზრდებმა შეასრულეს მოხალისეობრივად, ანაზღაურების გარეშე. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდების 27%-მა მიიღო მონაწილეობა მოხალისეობრივ საქმიანობაში ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში.

სურათი # 6.1. მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართულობა ბოლო 12 თვის განმავლობაში



მოხალისეთა აქტივობების ტიპებს თუ შევხედავთ დავინახავთ, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა მონაწილეობდა საზოგადოებრივ სამუშაოებში ადგილობრივ თემში (36%). რესპოდენტების 28% ეხმარებოდა ხანშიშესულ ადამიანებს ან პიროვნებებს განსაკუთრებული საჭიროებებით. დაახლოებით ყოველი მეხუთე რესპოდენტი ეხმარებოდა თავის თანატოლებს სწავლაში (21%). ახალგაზრდების 19% დაეხმარა სხვა ადამიანებს ბუნებრივი კატასტროფის დროს. ამ ბოლო აქტივობაში ჩართულობაზე ყველაზე ხშირად თბილისის მაცხოვრებელი ახალგაზრდები საუბრობენ (38%). ეს შეიძლება აიხსნას ბუნებრივი კატასტროფით, რომელიც თბილისში მოხდა; კერძოდ, 2015 წლის წყალდიდობით თბილისის ერთ-ერთ უბანში და ასევე ზოოპარკში, რომელმაც დიდი სოლიდარობა და აქტიურობა გამოიწვია თბილისის ახალგაზრდა

მაცხოვრებლებს შორის (მთავრობის დახმარება წყალდიდობის დაფარული ადგილების გასუფთავებაში, ფონდების მოძიების აქტივობები მსხვერპლთა დასახმარებლად და ა.შ.)

გარკვეული განსხვავებები ფიქსირდება კაც და ქალ მოხალისეთა ჩატარებულ სამუშაოებს შორის. მაშინ როდესაც ქალები უფრო ხშირად კულტურული ღონისძიებების ორგანიზებაში არიან ჩართული (13%) და დახმარებას უწევენ თანატოლებს სწავლაში (29%), მამაკაცების უფრო დიდი რაოდენობა ჩართულია ისეთ აქტივობებში, როგორიცაა, ბუნებრივი კატასტროფების დროს დახმარება (24%) ან საზოგადოებრივი სამუშაოები ადგილობრივ თემში (39%). მამაკაცების ამ საქმიანობებში უფრო მაღალი ჩართულობა შეიძლება კავშირში იყოს ამ სამუშაოებისთვის საჭირო დიდ ფიზიკურ დატვირთვასთან, რაც მამაკაცებისთვის უფრო შესაბამისად მიიჩნევა.

სურათი # 6.2. ახალგაზრდების აქტივობები სქესის მიხედვით



ადგილობრივ თემში საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართულობა ქალაქის ტიპის მაცხოვრებელ ახალგაზრდებს შორის საკმაოდ გავრცელებული აქტივობაა (49%). განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების დახმარება უფრო მეტად სოფლის მოსახლეობაშია გავრცელებული (35%). თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები უფრო ხშირად ეხმარებიან თანატოლებს მეცადინეობაში (31%) ან ეხმარებიან სხვებს ბუნებრივი კატასტროფების დროს (38%).

სურათი # 6.3. ახალგაზრდების აქტივობები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით



კვლევის ფარგლებში მოხდა ახლგაზრდათა მოტივაციის შესწავლა მათი მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის დროს. ერთ-ერთ მთავარ მოტივატორს წარმოადგენს სხვების დახმარების სურვილი - გამოკითხული ახალგაზრდების 60% ასახელებს ამ ფაქტორს მთავარ მიზეზად. ასევე, ახალგაზრდების დიდი ნაწილი მიზეზად ასახელებს სოციალური ჩართულობის სურვილს (39%). ყოველი მეხუთე რესპონდენტის მიერ დასახელებული რიგით მესამე მოტივატორი არის კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის სურვილი (20%).

სურათი # 6.4. მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის მიზეზები

ნდობა

ორმხრივი ნდობა, სოლიდარობასა და ტოლერანტობასთან ერთად, სამოქალაქო ვალდებულების ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა (Putnam 1993 in Bagnasco, 2004). საქართველოს ახალგაზრდებს შორის ნდობის ხარისხის შესწავლის მიზნით, კვლევის ფარგლებში სხვადასხვა სოციალურ ჯგუფების მიმართ ნდობის ხარისხი იყო შესწავლილი.

როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს, ქართველ ახალგაზრდებს ნდობის ყველაზე მაღალი ხარისხი უშუალო ოჯახების მიმართ აქვთ. ასევე აღსანიშნავია, რომ ნდობა მეგობრების მიმართ უფრო მაღალია, ვიდრე ნათესავების ფართო ქსელის მიმართ.

ნდობის ყველაზე მაღალი ხარისხის მიხედვით პირველ სამ ადგილს შორის მესამე ადგილს იკავებენ რელიგიური ლიდერები. ბუნებრივია, ნდობის ხარისხი იმ რესპონდენტებს შორის უფრო მაღალია, რომლებიც საკუთარი თავს მიიჩნევენ რელიგიურებად, ასევე იმ რესპონდენტებს შორის ვინც მსახურებაზე რეგულარულად ან ხშირად დადის (საშუალო ქულა - 8.3) იმ რესპონდენტებთან შედარებით, რომლებიც მსახურებაზე ზოგჯერ ან არასდროს დადიან

(საშუალო ქულა - 7.3). თუმცა, აღსანიშნავია, რომ როგორც კვლევის მონაცემების მიხედვით ირკვევა, ახალგაზრდები, რომლებიც ნაკლებად აქტიურად ესწრებიან რელიგიურ მსახურებებს, რელიგიური ლიდერების მიმართ მაინც ნდობით მაღალი ხარისხით გამოირჩევიან.

ნდობის შედარებით დაბალი ხარისხი დაფიქსირდა ადამიანების ისეთი ჯგუფების მიმართ, რომლებიც რაიმე კონკრეტული ნიშნით განსხვავდებიან კვლევის სამიზნე აუდიტორიისგან (ეთნიკურობა, რელიგიური მოკუთვნებულობა ან პოლიტიკური შეხედულებები). ეს ჯგუფებია ეთნიკური უმცირესობები, ადამიანები, რომელთაც განსხვავებული პოლიტიკური მრწამსი აქვთ ან სხვა რელიგიის მიმდევრები არიან.

ნდობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ახალგაზრდები ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ გამოირჩევიან. აღნიშნული ჯგუფის მიმართ ნდობის მაჩვენებელი უნდობლობის მაჩვენებლის ქვემოთაა (10 ქულიან სკალაზე 5 აღნიშნავს ცენტრალურ მაჩვენებელს). აღსანიშნავია, რომ ნდობის საშუალო მაჩვენებლი ლგბტ ჯგუფის მიმართ შედარებით მაღალია მდედრობითი სქესის რესპონდენტებს შორის (საშუალო ქულა 3.8) მამრობითთან შედარებით (საშუალო ქულა 2.9).

სურათი # 6.5. სხვადასხვა ადამიანების მიმართ ნდობის ხარისხი (საშუალო მაჩვენებელი)



უნდობლობა და სოციალური დისტანცია

ნდობის კონცეფცია, რომელიც ზემოთ არის განხილული შესაძლოა დაკავშირებული იყოს სოციალურ დისტანციასთანაც, რომელიც გამოხატავს ტოლერანტობის ხარისხს სხვა სოციალურ ჯგუფებთან მიმართებაში. სოციალური დისტანციის საზომად, კვლევის რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვას, რომელიც ეხებოდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების სასურველ ან არასასურველ მეზობლობას.

კვლევის შედეგების მიხედვით, ყველაზე ნაკლები სოციალური დისტანცია იგრძნობა სტუდენტების მიმართ. რესპონდენტების 78% დააფიქსირა პოზიტიური დამოკიდებულება ქართველი სტუდენტების ჯგუფის მიმართ, ასევე 76% თავს კარგად იგრძნობს, თუ მის მეზობლად უცხოელი სტუდენტები დაიწყებენ ცხოვრებას. აღნიშნული მიგნება თანხვედრაშია ჯგუფის შიგნით არსებულ ფავორიტიზმის კონცეფციასთან. ახალგაზრდები ყველაზე ნაკლებ სოციალურ დისტანციას განიცდიან ჯგუფთან, რომელიც ყველაზე მეტად არის მათი მსგავსი ასაკისა და ცხოვრების სტილიდან გამომდინარე.

დამოკიდებულება ევროპული ან ამერიკული ოჯახის მიმართ, (თავს ვიგრძნობდი ძლიან კარგად -17%) და რუსული ოჯახის მიმართ (თავს ვიგრძნობდი ძალიან კარგად -15%) ერთმანეთისგან ძალიან მცირედით განსხვავდება ევროპული/ამერიკული ოჯახის სასარგებლოდ.

ისეთი ჯგუფების მიმართ, როგორიცაა დევნილები ან ოჯახები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ (აზერბაიჯანელი, სომეხი) იგრძნობა გარკვეული სახის სოციალური დისტანცია. შედარებით ნაკლები ახალგაზრდა გამოხატავს დადებით დამოკიდებულბას პოტენციური მეზობლებისადმი, რომელებიც ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე ჯგუფს მიეკუთვნება (67% დევნილები; 63% ეთნიკური უმცირესობები).

მნიშვნელოვანი სოციალური დისტანცია ფიქსირდება ჰომოსექსუალების მიმართ - რესპონდენტების 44% აცხადებს, რომ თავს არ იგრძნობდა კარგად თუ მათ მეზობლად ჰომოსექსუალი გადმოვიდა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტების წილი, რომლებსაც ნეიტრალური დამოკიდებულბა ექნებოდათ ჰომოსექსუალი მეზობლის მიმართ, ასევე მაღალია (45% - არ ვარ დაინტერესებული).

სურათი # 6.6. სხვადასხვა ადამიანების ჯგუფის მიმართ არსებული დისტანციის ხარისხი



სოციალური დისტანცია, რომელიც ჰომოსექსუალების მიმართ ფიქსირდება მნიშვნელოვნად განსხვავდება რესპონდენტების სოციო-დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ნეგატიური დამოკიდებულება ჰომოსექსუალების მიმართ იზდება ასაკის მატებასთან ერთად. თუ 14-18 ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტების 39% ამბობს, რომ თავს იგრძნობდა ცუდად ან ძალიან ცუდად, თუ მათ მეზობლად ჰომოსექსუალი გადმოვიდოდა, იგივე დამოკიდებულებას 19-25 ასაკის რესპონდენტების 41% და 25-29 ასაკის ახალგაზრდების 51% აფიქსირებს. მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს მონაცემების გენდერის ჭრილში განხილვისას: მაშინ როდესაც მდედრობითი სქესის წარმომადგენლების 39% იგრძნობდა თავს ცუდად, თუ მათ მეზობლად ჰომოსექსული წყვილი გადმოვიდოდა, მსგავსი დამოკიდებულების მქონე მამრობითი სქესის წარმომადგენლების წილი მნიშვნელოვნად დიდია (51%). განსხვავება ასევე საგრძნობია, თუ ერთმანეთს შევადარებთ დედაქალაქის, სხვა ქალაქის ტიპის დასახლებების და სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდების დამოკიდებულებებს. საგრძნობლად დიდია სოციალური დისტანცია სოფლის ტიპის დასახლებებში, დედაქალაქის ან სხვა ქალაქის ტიპის დასახლებებლში მცხოვრები ახალგაზრდების დამოკიდებულებებთან შედარებით. მაშინ როდესაც თბილისში მაცხოვრებელი ახალგაზრდების 21%

გაუჭირდებოდა ჰომოსექსუალების მეზობლად ცხოვრება, მსგავსი დამოკიდებულების მქონე რესპონდენტების წილი 41% სხვა ქალაქის ტიპის დასახლებებში და 59% სოფლის ტიპის დასახლებებში. აქვე აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტების წილი, რომელთაც კონკრეტული დამოკიდებულება არ გამოუხატავთ ჰომოსექსუალების მიმართ შედარებით მაღალია დედაქალაქში (თბილისი - 61%, სხვა ქალაქის ტიპის დასახლებები 45% და სოფლის ტიპის დასახლებები 32%).

სოციალური დისტანცია ლგბტ ადამინების მიმართ უფრო მაღალია იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტები საკუთარ თავს აიდენტიფიცირებენ, როგორც რელიგიურებს ან რეგუარულად ან ხშირად ესწრებიან მსახურებას რელიგიურ ინსტიტუტებში. აღსანიშნავია, რომ ნაკლებად რელიგიური ახალგაზრდების დამოკიდებულება ყველა შემთხვევაში უფრო ნეიტრალურია. ყველა კატეგორიაში, ნაკლებად რელიგიური ახალგაზრდების უფრო დიდი ნაწილი, გამოხატავს ნეიტრალურ დამოკიდებულებას.

დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების მიმართ დიდად არ განსხვავდება გენდერის და ასაკის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ საცხოვრებელ ადგილს აქვს გარკვეული გავლენა ეთნიკური უმცირესობებისადმი დაფიქსირებულ სოციალურ დისტანციაზე. მაშინ როდესაც თბილისში მაცხოვრებელი ახალგაზრდების წილი, რომლებიც ნეგატიურ დამოკიდებულბას გამოხატავენ („ცუდი“ ან „ძალიან ცუდი“) მხოლოდ 3%-ია, სხვა ქალაქის ტიპის დასახლებებში ეს მაჩვენებლი 5%, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 8%.

სურათი # 6.7. სხვადასხვა ადამიანების ჯგუფის მიმართ არსებული დისტანციის ხარისხი რელიგიურობის ჭრილში

	რელიგიური				ნაკლებად რელიგიური			
	ძალიან კარგი + კარგი	არ მაინტერესებს	ძალიან ცუდი + ცუდი	არ ვიცი	ძალიან კარგი + კარგი	არ მაინტერესებს	ძალიან ცუდი + ცუდი	არ ვიცი
ჰომოსექსუალი პირი ან წყვილი	6%	41%	50%	4%	9%	47%	41%	3%
საქართველოს სხვა რეგიონიდან სტუდენტების ჯგუფი	80%	16%	2%	2%	77%	21%	1%	0%
უცხოელი სტუდენტების ჯგუფი	79%	16%	2%	3%	74%	24%	1%	1%
იძულებით გადაადგილებული ოჯახი	83%	13%	2%	3%	75%	23%	2%	0%

ოჯახი რუსეთიდან	81%	15%	2%	3%	72%	24%	2%	1%
ოჯახი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ან ევროპის რომელიმე ქვეყნიდან	82%	13%	2%	2%	74%	23%	2%	1%
ლტოლვილები სხვა ქვეყნიდან	73%	19%	4%	4%	64%	30%	4%	2%
საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების (აზერბაიჯანელი, სომეხი) წარმომადგენელი ოჯახი	67%	25%	5%	3%	61%	32%	5%	2%

N=1200

ახალგაზრდების მონაყოლი ასევე ნათელს ჰფენს არსებულ სოციალურ დისტანციას რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების მიმართ. მაშინ როდესაც ფოკუსური დისკუსიის მონაწილეების გარკვეული ნაწილი გამოხატავს ტოლერანტობის მაღალ ხარისხს სხვადასხვა უმცირესობების ჯგუფების მიმართ, არიან ახალგაზრდები, რომლებიც აფიქსირებენ ცალსახად ნეგატრიურ დამოკიდებულბას. ამასთანავე, მიუხედავად მათი პრეფერენციებისა, თვისებრივი კვლევის მონაწილეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული ჯგუფების მიმართ სოციალური დისტანცია ქართველ ახალგაზრდებს შორის გარკვეულწილად არსებობს.

ახალგაზრდები საუბრობენ საქართველოს მოქალაქეებს შორის ეთნიკური უმცირესობებისადმი (ებრაელები, სომხები, აზერბაიჯანელები, ა.შ.) არსებულ ტოლერანტობის მაღალ ხარისხზე. ისტორიულად ეთნიკური ქართველების თანაარსებობა სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობებთან სახელდება როგორც ტოლერანტობის ნათელი მაგალითი. თუმცა, ახალგაზრდების მონათხრობიდან ჩანს, რომ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია არსებობს, მაგალითად სომხების მიმართ. მართალია, ახალგაზრდები ამბობენ, რომ სომხების მიმართ მძაფრი აგრესიას არ არსებობს, არსებობს დისკრიმინაციის უფრო მალული ფორმები, ისეთები როგორიცაა გარიყვა, მეგობრობის თავიდან აცილება, დაცინვა და სხვა უსამართლო მოპყრობის ფორმები. საქართველოში მცხოვრები სომხების შემთხვევაში, ახალგაზრდები აცხადებენ, რომ ადამიანის „სომხად“ მოხსენიება ნეგატიურ მნიშვნელობას ატარებს.

ებრაელები ჩვენს გვერდით ცხოვრობენ უკვე წლებია, ისინი არავის შეუწუხებია და მათ არავინ ავიწროებს. იგივე ეხება სომხებსაც. [მცხეთა მთიანეთი, ქალაქის ტიპის დასახლება, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

პიროვნული შეურაცხყოფაა, ბევრჯერ გამიგია სომეხი არისო და როგორ ვართ ტოლერანტულები? [მცხეთა მთიანეთი, ქალაქის ტიპის დასახლება, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ზოგიერთი ქართველი იყენებს ასეთ მიმართვას დაცინვის მიზნით, 'შე სომეხო!' [სამცხე-ჯავახეთი, შერეული დასახლება, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

რელიგიურ უმცირესობებზე საუბრისას ფოკუსური დისკუსიის მონაწილეებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. გარკვეულ შემთხვევებში, სხვადასხვა რელიგიის მიმდევარ ახალგაზრდებს შორის სოციალური დისტანცია არ არსებობს და ახალგაზრდები რელიგიური უმცირესობების მიმართ ტოლერანტობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. ზოგიერთი ახალგაზრდა იხსენებს ქართველების მრავალსაუკუნოვან მშვიდობიან თანაცხოვრებას სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან.

ახალგაზრდები თანხმდებიან, რომ რელიგიური უმცირესობების მიმართ სოციალური დისტანცია არსებობს და აღნიშნული დისტანციის დასაბუთების მიზნით, მაგალითად მოჰყავთ რელიგიური უმცირესობების დამცირების შემთხვევები, მაგალითად იეღოვას მოწმეების. იეღოვას მოწმეების მცდელობა საკუთარ რელიგიურ შეხედულებებზე გადმოიყვანონ ადამიანები, მძაფრი აგრესია მოჰყვება ხალხის მხრიდან, აგრესია შესაძლებელია გამოხატული იყოს მათთვის წიგნების სროლით.

გარკვეულ შემთხვევებში, ახალგაზრდები გამოხატავენ ნეგატიურ დამოკიდებულებას სხვა რელიგიის წარმომადგენელების მიმართ, რომლის მიზეზადაც პროზელიტიზმი სახელდება. მაგალითად, ფოკუსური დისკუსიის მონაწილე ერთ-ერთმა ახალგაზრდამ გაიხსენა შემთხვევა, როდესაც მისი თანატოლი ცდილობდა, გადმოებირებინა ის საკუთარ რელიგიაზე, რამაც გამოიწვია მისი ნეგატიური დამოკიდებულება.

მაგალითად მყავს მუსულმანი კურსელები, ძალიან ვმეგობრობ მათთან და ჩვენ რელიგია მეგობრობაში არ გვიშლის ნამდვილად ხელს [...] ყველას თავისი აზრი აქვს და პიროვნული თავისუფლება, ეგ თავისი ნებაა რა რელიგიის იქნება. [ჯახეთი, ქალაქი, მდედრობითი, 14-18 ააკობრივი კატეგორია]

ჩემი უბნისკენ არის იაღოველების შენობა სადაც იკრიბებიან ხოლმე და აი რომ ჩაუვლიან მაცხოვრებლების დასცინიან. [შიდა ქართლი, ქალაქი, მდედრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

პრეტენზია არანაირი არ გამაჩნია [რელიგიური უმცირესობების მიმართ], [...] უბრალოდ აგრესია მებადება მაშინ, როცა კარებზე მიკაკუნებს და მეუბნება ჭეშმარიტ ღმერთზე მელაპარაკოს იმიტომ, რომ მე ხომ არ მოვდივარ შენთან და არ გეუბნები წამოდი ტაძარში უნდა გასწავლო ეს შენ. [მცხეთა-მთიანეთი, ქალაქი, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

თვისებრივი კვლევის ყველა მონაწილე თანხმდება, რომ ყველაზე ნაკლებად ტოლერანტი საქართველოს ახალგაზრდობა ლგბტ ადამიანების მიმართ არის. ფოკუსური დისკუსიის მონაწილეები იხსენებენ 17 მაისის მოვლენებს. ამ დღეს, 2013 წელს, ლგბტ აქტივისტების მიერ მოწყობილი ანტიჰომოფობიური დემონსტრაცია დაარბია მოქალაქეების გარკვეულმა ჯგუფებმა. აღნიშნული მოვლენა განიხილება, როგორც საქართველოში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულებების ნათელი მაგალითი.

დამოკიდებულებები, რომლებსაც ახალგაზრდები ლგბტ საზოგადოების მიმართ გამოხატავენ შესაძლოა დაიყოს სამ ძირითად კატეგორიად:

(1) ნეიტრალური დამოკიდებულება

(2) თავშეკავებული დამოკიდებულება

(3) აგრესიული დამოკიდებულება

პირველ კატეგორიაში (ნეიტრალური დამოკიდებულება) არსებულ ახალგაზრდებს არ აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება ლგბტ ადამიანების მიმართ და მათთვის აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლებთან მეგობრობა ან მათი მეზობლობა პრობლემას არ წარმოადგენს. ზოგიერთი ახალგაზრდა აცხადებს, რომ მას ჰყავს გეი მეგობარი.

ჩემთვის არ წარმოადგენს პრობლემას იმიტომ, რომ მყავს მსგავსი მეგობარი, ყველას თავისი ცხოვრება აქვს და ისიც ჩვეულებრივი ადამიანია. [კახეთი, ქალაქი, მდედრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

მე არ შემაწუხოს და ჩემთან არ მოვიდეს, ზედა მეზობელი რომ იყოს ხმამ არ შემაწუხოს ზოგადად, თორემ მეზობელი მეზობელია და ადამიანია ისიც, ჩემთვის არ აქვს მაგას მნიშვნელობა, შეიძლება მეგობრად ვერ აღვიქვა, მაგრამ ჩვეულებრივი ურთიერთობა მექნება და შეიძლება კარგი გამარჯობაც ვუთხრა როგორც მეზობელს. [კახეთი, ქალაქი, მამრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

ჩემი აზრით, არა აქვს მნიშვნელობა შენ მეზობლად იცხოვრებს თუ შენ ქალაქში იცხოვრებს. თუ უშვებ, რომ ის ადამიანი არსებობს და უნდა არსებობდეს არაფერს არ ერჩი და იყოს თავისთვის, იცხოვროს შენ გვერდით რა მნიშვნელობა აქვს. [მცხეთა-მთიანეთი, სოფელი, მამრობითი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

ახალგაზრდები, რომლებიც მეორე კატეგორიაში (თავშეკავებული დამოკიდებულება) მოხვდნენ არიან ლგბტ ადამიანების მიმართ მკვეთრი აგრესიის გამოხატვის წინააღმდეგნი, თუმცა თავს არ იკავებენ აღნიშნული ჯგუფის მიმართ არასასიამოვნო გრძნობების გამოხატვისგან. მათი აზრით, ლგბტ ადამიანებს აქვთ უფლება იცხოვრონ ისე, როგორც მათ სურთ, თუმცა ეს მხოლოდ მათ

პირად სივრცეში, საკუთარ სახლში უნდა ხდებოდეს. მათი სექსუალური იდენტობის მიმართ გამოთქმული ნებისმიერი აგრესიული განცხადება ფასდება ნეგატიურად და განიხილება, როგორც ლგბტ ადამიანების ცხოვრების სტილის პოპულარიზაცია. ახალგაზრდების ნარატივები ცხადყოფს იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც საფუძვლად უდევს ტოლერანტობის დაბალ ხარისხს და სოციალურ დისტანციას აღნიშნული ჯგუფის მიმართ. ახალგაზრდები საუბრობენ შიშზე, რომელიც დაკავშირებულია „სხვასთან“ და „განსხვავებულთან“. ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდებს უჭირთ იმის დასაბუთება, თუ რა იწვევს მათ შიშს და რისი ეშინიათ კონკრეტულად. ყველაზე კონკრეტული მაგალითი, რომელიც ფოკუსური დისკუსიის ერთ-ერთმა მონაწილემ დაასახელა არის ის, რომ ლგბტ პროპოგანდა გავლენას იქონიებს ახალგაზრდა თაობაზე და მათ ახლანდელ ან მომავალ შვილებზე.

სახლიდან ვერ გავაგდებდი ნამდვილად, მაგრამ კონტაქტი არ მექნებოდა. [სამეგრელო-ზემო სვანეთი, სოფელი, მამრობითი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

ბავშვებისთვის ცუდია ეგეთი რამეები რომ ნახოს. ბავშვი რომ რასაც ხედავს, იმას სწავლობს. [ქვემო ქართლი, ქალაქი/სოფელი, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

რამდენიმე წლის წინ მქონდა შემთხვევა პატარა ბიძაშვილს ვასეირნებდი შევესწარი ბიჭის და ბიჭის კოცნას და ძალიან აგრესიული ვიყავი იმიტომ, რომ არ მინდა ჩემი ნათესავი თუ შვილი იქნება, გაიზრდება ისეთ საზოგადოებაში, სადაც შეესწრება და დაინახავს ამას და არ მინდა მისთვის ჩვეულებრივად მიღებული თემა იყოს და არ წარმოადგენდეს სირცხვილს. შეიძლება ძაან ცუდად ვლაპარაკობ, მაგრამ... [შიდა ქართლი, ქალაქი, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ჰომოსექსუალი თუ იქნება და თავისთვის იქნება, მაშინ კიდევ არაუშავს [...] უნდა ახერხებდეს, რომ თავისი ჰომოსექსუალური ცხოვრება იყოს დაფარული, ეს არ უნ და იყოს დასანახად. შეიძლება ვემეგობრო ჰომოსექსუალს, მაგრამ ის არც მე არ უნდა მეხებოდეს და საზოგადოებაში არ უნდა აჩენდეს. [შიდა ქართლი, ქალაქი, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ახალგაზრდები, რომლებიც მესამე კატეგორიაში (აგრესიული დამოკიდებულება) მოხვდნენ, ცალსახად ნეგატიურ დამოკიდებულებას აფიქსირებენ ლგბტ ადამიანების მიმართ. ზოგოერთი მათგანი ლგბტ ადამიანების დამცირების ისტორიებსაც იხსენებს. ფოკუსური დისკუსიის ამონარიდები ცხადყოფს ქართველ ახალგაზრდებს შორის ურთიერთსაპირისპირო აზრების არსებობას.

ფოკუს-ჯგუფი სამცხე-ჯავახეთში, ქალაქი, 19-29 წლის ახალგაზრდები

მამრობითი: ერთ მაგალითს მოგიყვებით. ჩამოვედი თბილისში და წავედი მეტროში ვარკეთილში. ვდგავარ და ერთი ბიჭი შემოვიდა კიკინებით, ელასტიკებით და არსად არ არის ადგილი და ჩემს გვერდზე დგას. ვუთხარი, ჩემს გვერდზე ნუ დადგებითქო და რატომო? ნერვებმა ამასხა. როგორც კი გაიხსნა კარი ეგრერვე ვკარი ხელი და გავაგდე ვაგონიდან. პოლიციელი იდგა იქ და დიდი თითი ამიწია, ყოჩაღო. არავის არ სიამოვნებდა მაგის შემოსვლა. [...] ტრადიციებია ჩვენთან ეგეთი. კიდევ კარგი გაეთრია ეგ დროზე.

მდედრობითი: ბოლო ბოლო ის არის ადამიანი...

მამრობითი:. ჩემთვის ის არ არის ადამიანი.

მდედრობითი: ამ შემთხვევაში შეიძლება შენ არ ხარ ადამიანი. გაჩუმდი. შეიძლება იმისთვის არა ხარ შენ ადამიანი. [...] ადამიანებმა საერთოდ დავკარგეთ ადამიანური და საღი აზროვნება. [...] და აქ ადამიანზეა ლაპარაკი, ის არის შენგან განსხვავებული, ისიც არის გაჩენილი და აქვს უფლება, რომ იცხოვროს. [...] შენ თუ არ მოგწონს, შეგიძლია, რომ წახვიდე.

ფოკუს-ჯგუფი კახეთი, ქალაქი, 19-29 წლის ახალგაზრდები

მამრობითი: რაც უფრო მეტი ესეთი ტიპი გამოჩნდება თავისუფლად ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა წინ წავიდა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ეს არის ჩემთვის კრიტერიუმი.

მდედრობითი: თუ ვსაუბრობთ ქართულ მენტალიტეტზე და ქართულ ღირებულებებზე. მე არ მყავს შვილი, მაგრამ როდესაც მეყოლება ძალიან არ მესიამოვნება უყუროს მათ კოცნას. [...] ჩემთვის გამაღიზიანებელია როდესაც ქუჩაში გამოდიან და თავზე გვახვევენ თავის შეხედულებებს, იყვნენ თავის ჩარჩოში და ნუ მოგვახვევენ თავზე. [...] „პარადებს“ რომ გვიწყობენ ეგ უკვე თავზე მოხვევაა.

მამრობითი: გოგო და ბიჭის კოცნას რომ უყუროს ეგ გესიამოვნება? მაშინ ჰეტერო სექსუალიზმიც უნდა აკრძალონ.

მდედრობითი: არა ტრადიციული ორიენტაციის ხალხი იყო ადრეც წინა საუკუნეებში, ეხლაც არიან და იქნებიან, ეს არის ბუნების მოვლენა, მაშინ ჩვენც ვახვევთ იმათ ვინც ვართ ნორმალური ტრადიციის ნორმალური ადამიანები, ჩვენც ვახვევთ მაშინ იმიტომ, რომ ისინი ესეთებად დაიბადნენ.

კვლევის ფარგლებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ჰომოსექსულობასთან დაკავშირებულმა დისკუსიამ. ზოგიერთი ახალგაზრდას აზრით, ჰომოსექსუალობა დაავადება ან ფსიქიკური აშლილობაა. აღნიშნული აღქმა ზოგჯერ გამოიყენება ლბგტ ჯგუფების „გასამართლებლად“, ზოგჯერ კი გამოიყენება, როგორც ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვის ფორმა.

ჩვენ შევიცვალეთ წინა თაობასთან შედარებით, მაგრამ მაინც შემოგვრჩა ისეთი ფიქრები რომ დავინახავთ სხვა ორიენტაციის ადამიანს არ მოგვეწონება, მაგრამ ისიც ჩვენნაირი ადამიანია. მე მათ ავადმყოფად არ ვთვლი. [მცხეთა-მთიანეთი, ქალაქი, მამრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

ეგ ჩემი სუბიექტური აზრია, მაგრამ მე ფსიქიკური გადახრა მგონია.[მცხეთა-მთიანეთი, ქალაქი, მამრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

ჩვენ, რომ აგრესიულად მოვექცეთ მათ მემგონი ეს არ იქნება სწორი, ისინი არიან ავადმყოფები ჩემი აზრით, უკაცრავად და შენი სქესის წარმომადგენელთან, რომ ცხოვრობ ეს არის ავადმყოფობა. [სამეგრელო ზემო სვანეთი, ქალაქი, მდედრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

საინტერესო ტენდენცია გამოავლინა ახალგაზრდების დისკუსიამ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მეზობლად გადმოსვლის თემასთან დაკავშირებით. საკმაოდ იშვიათად, თუმცა მაინც დაფიქსირდა პოზიტიური დამოკიდებულება უმცირესობის ჯგუფებების მიმართ. ზოგიერთმა ახალგაზრდამ აღნიშნა, რომ მათთვის შესაძლოა სასარგებლოც კი იყოს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის მეზობლად ცხოვრება, რადგან ასეთი გარემოება საშუალებას მისცემს მას ისწავლოს რაიმე ახალი განსხვავებული კულტურიდან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს უპირატესობა არ სახელდება ლგბტ ჯგუფზე საუბრისას.

მცდელობა ურთიერთობის დამყარების რა თქმა უნდა მექნება ისეთ ადამიანთან, რომელთანაც უფრო მეტი საერთო მაქვს, მაგრამ მე მიყვარს განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობა რადგან მათგან ბევრს ვსწავლობ. [მცხეთა-მთიანეთი, ქალაქი, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ეთნიკურად განსხვავებული მეზობელი საინტერესო იქნებოდა. . [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, ქალაქი, მდედრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

თუ პატარა ბავშვები გყავს სახლში, არ მინდა რომ ცუდი სცენების შემსწრენი გახდნენ. უცხოელისგან, ჩინელისგან ისწავლი რაღაცას და მათგან [ჰომოსექსუალისგან] რა უნდა ისწავლო?! [სამეგრელო-ზემო სვანეთი, სოფელი, მდედრობითი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

კვლევამ გამოავლინა ლგბტ ჯგუფების მიმართ არსებული ნეგატიური და პოზიტიური სტერეოტიპები. ზოგიერთი ახალგაზრდისათვის აღნიშნული ჯგუფის წარმომადგელები ასოცირდებიან წვეულებების მოყვარულ ადამიანებთან, რომელთა მეზობლად ცხოვრება უსიამოვნო იქნებოდა. არსებობს პოზიტიური სტერეოტიპების შემთხვევებიც, მაგალითად ზოგიერთი ადამიანი თვლის რომ გეები უფრო სანდოები და გონებაგახსნილები არიან, მათ ასევე მეტად აკავშირებენ ხელოვნებასთან.

აღსანიშავია ისიც, რომ ფოკუსური დისკუსიის მონაწილეები ლგბტ ჯგუფის მი-

მართ ტოლერანტობის მაღალ ხარისხს მიიჩნევენ საზოგადოების თავისუფლების და ადამიანის უფლებების დაცვის უფრო მაღალ მაჩვენებლად.

ხშირ შემთხვევაში მასეთი ადამიანები სექსუალურ უმცირესობას ვინც წარმოადგენს ცოტა გაუზდელებულები არიან, ხმაურობენ და ყურადღების მიმქცევები არიან. [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სოფელი, მამრობითი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

მე, უბრალოდ მოვაგროვებდი მთელი სოფლის ხელმოწერებს იმათი გასახლების მოთხოვნაზე. ეგღა გვაკლია, რომ ღამის 3 საათზე გამართავენ „ფართებს“. [ქვემო ქართლი, ქალაქი/სოფელი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

მე გავიცნობ პირველ რიგში და თუ კარგი ადამიანი აღმოჩნდება შეიძლება ჩემი საუკეთესო მეგობარიც აღმოჩნდეს, საერთოდ ესეთი ტიპები უფრო სანდოები არიან. [კახეთი, ქალაქი, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ახალგაზრდები და რელიგია

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, საქართველოში ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარ თავს რომელიმე რელიგიურ მიმართულებას აკუთვნებს. უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია (85%), ხოლო 10% მაჰმადიანი. შედარებით მცირე ნაწილი მიაკუთვნებს თავს აპოსტოლურ ეკლესიას (2%), კათოლიკე ქრისტიანს (1%), ათეისტს (1%) და სხვა აღმსარებლობას (1%).

აღნიშნული კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო დებულებები, რომლებიც უკავშირდება ისეთ ძირეულ რელიგიურ სწავლებებს, როგორიცაა მაგალითად ღმერთის არსებობა, ღმერთის მიერ სამყაროს შექმნა, ღმერთის მიერ მორალური ნორმებისა და მოვალეობების შექმნა. კვლევის შედეგების მიხედვით, ახალგაზრდების აბსოლუტურ უმრავლესობას სჯერა ღმერთის არსებობის (97%). ასევე, 80% სჯერა სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობის, ამავდროულად შედარებით ნაკლებ წილს სჯერა იმის, რომ მორალური ნორმები და მოვალეობები ღმერთისგან მომდინარეობს (75%).

სურათი # 6.8. რელიგიური რწმენები



სოციო-ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით მონაცემების ანალიზისას ნათელი ხდება, რომ მდედრობითი სქესის უფრო მეტი წარმომადგენელი გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებებს რწმენის მიმართ. მაშინ როდესაც თითქმის არ ფიქსირდება განსხვავება მდედრობით და მამრობით სქესს შორის ღმერთის არსებობის რწმენასთან დაკავშირებით, უფრო მეტ მდედრობითი სქესის წარმომადგენელს სჯერა სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობის, ვიდრე მამრობითს (78% მამრობითი, 83% მდედრობითი). ასევე ფიქსირდება მცირედი განსხვავება სამყაროს ღმერთის მიერ შექმნის რწმენასთან დაკავშირებით, მდედრობითის სქესის წარმომადგენლების 92% აცხადებს, რომ სჯერა აღნიშნული დებულების, ხოლო იგივე მოსაზრებას მამრობითი სქესის 90% იზიარებს. მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი ტიპის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირებულა, კლებადი ტენდენცია ვლინდება სოფლის ტიპის დასახლებებში. თბილისში ან სხვა ქალაქის ტიპის დასახლებებში მეტი ახალგაზრდა აცხადებს, რომ არ სჯერა სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობის (6% და 5% შესაბამისად), მაშინ როდესაც სოფლის ტიპის დასახლებებში იგივე მაჩვენებელი რესპონდენტების 3% ფიქსირდება. ამასთანავე, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების შედარებით დიდი ნაწილი იზიარებს მოსაზრებას, რომ მორალური წესები და ვალდებულებები ღმერთისგან მომდინარეობს (81%), თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდებთან (66%) და სხვა ქალაქის ტიპის მაცხოვრებლებთან (80%) შედარებით. მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირებულა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით.

რაც შეეხება რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნას საქართველოში, ასეთი ტიპის დღესასწაულების აღნიშვნა საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა (რეგულარულად და ხშირად - 83%). ეს უკანასკნელი ტენდენცია შესაძლოა აიხსნას

რელიგიური და საჯარო დღესასწაულების საყოველთაო აღნიშვნით, ამ მოსაზრების მხარდამჭერი არგუმენტად შესაძლოა მოვიყვანოთ ისიც, რომ ახალგაზრდები, რომლებიც თავისთავს მიიჩნევენ ათეისტებად, ასევე აღნიშნავენ რელიგიურ დღესასწაულებს.

ყოველი მეორე რესპონდენტი აცხადებს, რომ ლოცულობს რეგულარულად ან ხშირად (48%), ხოლო 33% ესწრება რელიგიურ სერვისებს რეგულარულად ან ხშირად. შედარებით მცირე ნაწილი რესპონდეტებისა მარხულობს (18%), თუმცა ყველაზე ნაკლებად გავრცელებული პრაქტიკა აღსარების ჩაბარებაა (16%).

სურათი # 6.9. ახალგაზრდების მიერ განხორციელებული რელიგიური აქტივობები



გენდერის კუთხით მნიშვნელოვანი განსხვავებები ფიქსირდება რელიგიური პრაქტიკასთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის კუთხით, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო აქტიურად ახორციელებენ ისეთ ქცევებს, როგორებიცაა აღსარების ჩაბარება, ლოცვა და მარხვა.

სურათი # 6.10. ახალგაზრდების მიერ განხორციელებული რელიგიური აქტივობები გენდერის ჭრილში



N=1200

თვისებრივი კვლევის მონაცემების მიხედვით, აზრთა სხვადასხვაობაა ახალგაზრდების რელიგიურობასთან დაკავშირებით. ფოკუსური დისკუსიის მონაწილეთა ნაწილი აცხადებს, რომ რელიგიურობა მოდაშია, ხოლო ნაწილი ამბობს, რომ ეს უკანასკნელი მოდაში იყო 5-6 წლის წინ და ამჟამად ათეისტობა უფრო მოდურია. ზოგიერთი მონაწილე ათეიზმის გავრცელებას დედაქალაქში საცხოვრებლად გადასვლას უკავშირებს, სადაც მათი აზრით ათეიზმი უფრო გავრცელებულია.

ჩემი რამდენიმე კლასელი უკვე ათეისტია, ათეისტობა უკვე მოდაა. [...] რელიგიაზე ლაპარაკს რომ დავიწყებთ [...] იწყებს დაცინვას, გადადიან ყველანაირ ზღვარს, აღარ აინტერესებთ თქვენი აზრი, არც ტრადიციები აღარ აინტერესებთ და ძალიან რთულია უკვე მათთან კონტაქტი, თავი ჩვენზე მაღლა გონიათ, [...] თქვენ რახან რელიგიას მისდევთ ვიღაცაზე ხართ დამოკიდებული და ჩვენ განსხვავებულები ვართო ასე გონიათ. [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთ, სოფელი, მდედრობითი, 14-29 ასაკობრივი კატეგორია]

რაც უფრო გადავიდნენ დიდ ქალაქში, იქ ამან ჩემი აზრით, გავლენა იქონია, [...] მოდას აყვნენ. თბილისში ძაან ბევრი ვიცი, რომ ათეისტები არიან და ნუ მოდაშია რა. . [აჭარა/გურია, ქალაქი, მდედრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რელიგიურობის ორი კატეგორიის გამორჩევა შეიძლება: ახალგაზრდები ანსხვავებენ (1) „მორწმუნეებს“ და (2) ”რელიგიურ ადამიანებს“ / „ეკლესიაში მოსიარულეებს.“ პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ახალგაზრდები, რომლებსაც სწამთ ღმერთის, მაგრამ არასოდეს ან იშვიათად თუ არიან ჩართულნი სხვადასხვა რელიგიურ რიტუალებში. „რელიგიური ადამიანები“/„ეკლესიაში მოსიარულეები“ კი ესწრებიან სხვადასხვა რელიგიურ სერვისებს, მარხულობენ, ჰყავთ საკუთარი მოძღვარი, აბარებენ აღსარებას და იცავენ სხვა რელიგიურ რიტუალებს, მეტნაკლებად რეგულარულად. ქრისტიანობის მსგავსად, ისლამის შემთხვევაშიც, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები იმავე პრინციპით აღწერენ რელიგიურ ადამიანებს. მაგალითად, ახასიათებენ ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც ისლამის მიერ დაწესებულ ისეთ წესებსა და ნორმებს იცავენ, როგორიცაა ლოცვა, მარხვა, მეჩეთში სიარული, ა.შ.

რელიგიური ჩემი აზრით არის ადამიანი, რომელიც დადის სისტემატიურად ეკლესიაში, იცავს იმ წესებს რა წესებიც არის განკუთვნილი, მარხულობს და ა. შ. მე ვერ ვიცავ მაგას, მე მწამს უბრალოდ. [თბილისი, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

კვლევის შედეგების მიხედვით, ათეისტების გარდა, გამოვლინდა დამატებითი ჯგუფი, რომელსაც ახალგაზრდები **„ეკლესიის კრიტიკოსებს“** უწოდებენ. ეს ახალგაზრდები უპირისპირდებიან არა ქრისტიანულ რელიგიას, არამედ საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიას. ისინი, ეჭვქვეშ აყენებენ და უპი-

რისპირდებიან სხვადასხვა სასულიერო პირების რელიგიურ განაცხადებს და თავიანთ საპირისპირო აზრს გამოთქვამენ. აღნიშნული ახალგაზრდების ჯგუფი თვლის, რომ სხვადასხვა რელიგიურ სწავლებებს „ეკლესიაში მოსიარულეები“ არასწორად იგებენ, და ზოგ შემთხვევაში საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიას დებენ ბრალს არასწორი ინტერპრეტაციების გავრცელებაში. „მორწმუნეებს“ და „რელიგიურ ადამიანებს“ შორის განსხვავებებზე მსჯელობისას, ფოკუს ჯგუფის ზოგიერთი მონაწილე, კრიტიკულად აფასებს ახალგაზრდების „ეკლესიაში მოსიარულე“ კატეგორიას. ზოგიერთი რესპონდენტის მოსაზრებით, ეკლესიაში სიარული და სხვადასხვა რელიგიური რიტუალების დაცვა ახალგაზრდების დიდი ნაწილისთვის „აზრს მოკლებულია“, და გამოწვეულია არა რწმენით, არამედ კონფორმიზმით. როგორც მონაწილეები აცხადებენ, ეკლესიაში სიარული, მარხვა, და სხვადასხვა რელიგიური რიტუალების დაცვა, მოდურად ითვლება, და სწორედ ამით არის განპირობებული ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის კავშირი ეკლესიასთან და არა მათი რწმენით.

ერთია რა წერია სახარებაში და მეორე რას გვეუბნებიან. [თბილისი, მამრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

მე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და დამაინტერესა რატომ არის თამბაქოს მოწევა ცოდვა; მითხრეს ქრისტეს აღდგომის დროს თუთუნის გარდა ყველა მცენარემ თავი დახარა და ეგ მე ვერ გავიგე. [თბილისი, მამრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორია]

მარხვა უნდა დაიცვა და ეს თითქოს მარტო ხორცის არ ჭამაა, ვერ ხვდებიან, რომ რელიგია უნდა იყოს მორალური სისუფთავე და სიწმინდე, მორალური აღზრდა, ამიტომ ნამდვილი რელიგიისგან ძალიან შორს არიან. [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, ქალაქი, მამრობითი, 19-29 აასკობრივი კატეგორია]

ვითომ და ეკლესიაში დადიან, მაგრამ აქედამ მხოლოდ 2% ექნება წაკითხული წიგნი, რომელსაც ჰქვია ბიბლია. [ახალციხე, ქალაქი/სოფელი, მდედრობითი, 19-29 ასაკობრივი

ეკლესიაში სიარული, ჩემი აზრით, არის მოდად ქცეული, [...] მარხვაზე ყოფნა ესეც მოდაა, ძალიან ბევრი ვიცი დადის ეკლესიაში, მაგრამ რაც მთავარია იმას არ იცავენ არც შემწყნარებელი, არც დამთმობი არ არის, არაფერს არ ცდილობს. მარხვაზე არის მხოლოდ ჭამის მხრივ; დანარჩენი არაფერი არ აინტერესებს და, ჩემი აზრით, მართლა მცირედი პროცენტია, რომელიც მართლა რელიგიურია. [კახეთი, ქალაქი, მდედრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორია]

ახალგაზრდების ღირებულებები

ახალგაზრდების ღირებულებების შესწავლა სხვადასხვა საზომების მეშვეობით განხორციელდა. კვლევის რესპონდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ (1) სხვადასხვა პიროვნული მახასიათებლების მნიშვნელობა; (2) მათი დამოკიდებულებები სხვადასხვა ქცევის მიმართ, რომელიც სექსს და სექსუალურ ცხოვრებას ეხება, როგორებიცაა აბორტი, სექსუალური თავშეკავება და არატრადიციული ორიენტაციის პირები და (3) სხვადასხვა ღირებულებებთან დაკავშირებული დებულებები. საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების ღირებულებათა ტიპოლოგია ამ შეფასებებზე დაყრდნობით შემუშავდა.

პიროვნული თვისებების შეფასება

ახალგაზრდებს ვთხოვეთ შეეფასებიდან სხვადასხვა ღირებულებები მათი მნიშვნელოვნების მიხედვით, ასევე, რამდენად აფასებენ თავად ამ ღირებულებებს. როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, რესპონდენტების არჩევანი წარმოადგენს ტრადიციული და სეკულარულ-რაციონალური ღირებულებების კომბინაციას. გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობამ დაასახელა ისეთი ღირებულებები, როგორიცაა პიროვნული ღირსება, ერთგულება, წესიერება/მართებულობა. ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა მატერიალური სიმდიდრე და სოციალური პრესტიჟი ბევრი რესპონდენტის მიერ არ დასახელებულა როგორც მნიშვნელოვანი პიროვნული მახასიათებელი, თუმცა, რესპონდენტების მცირე ნაწილმა დაასახელა უფრო სეკულარულ-რაციონალური ღირებულებები, როგორიცაა ალტრუიზმი, ტოლერანტობა და სულის ინოვაციურობა.

სურათი # 6.11. სასურველი პიროვნული თვისებები

71% პიროვნული ღირსება
60% ერთგულება
56% წესიერება /გულწრფელობა
36% პატიოსნება
22% მებრძოლი სული
15% იუმორი / ხალისიანობა
8% სოლიდარობა/თანგრძნობა/ ემპათია
8% ტოლერანტულობა
8% სიმდიდრე
7% სოციალური პრესტიჟი
6% ალტრუიზმი
4% ინოვაციურობა

N=1200

მონაცემთა სხვადასხვა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით გაანალიზების შედეგად გამოვლინდა ახალგაზრდებს შორის გენდერული კუთხით არსებული განსხვავებები. მამრობითი სქესის ახალგაზრდები უფრო მნიშვნელოვნად თვლიან მებრძოლი სულის, ანუ მიზნის მისაღწევად ბრძოლის საჭიროებას, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები (25 - მამრობითი, 18% - მდედრობითი). მეორეს მხრივ, მდედრობოთი სქესის დიდი ნაწილი აფასებს ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორებიცაა ტოლერანტობა (7% - მამრობითი, 9% - მდედრობითი), პატიოსნება (32% - მამრობითი, 40% - მდედრობითი), ერთგულება (59% - მამრობითი, 61% - მდედრობითი) და პიროვნული ღირსება (68% - მამრობითი, 73% - მდედრობითი).

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა გარკვეული განსხვავებები ახალგაზრდების რელიგიურობასა და რელიგიური აქტივობების სიხშირეს შორის. ის რესპონდენტები, რომლებიც საკუთარ თავს რელიგიურ ადამიანებად თვლიან და რეგულარულად ან ხშირად ესწრებიან ღვთისმსახურებას, უფრო მეტად უსვამენ ხაზს ალტრუიზმის (განსხვავება = 4%), პატიოსნების (განსხვავება = 5%, და წესიერების/მართებულობის (განსხვავება = 3%) მნიშვნელობას იმ ახალგაზრდებთან შედარებით, რომლებიც მხოლოდ ზოგჯერ ან არასდროს ესწრებიან წირვას. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავება მცირეა, მაინც აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები, რომლებიც უფრო ნაკლებად არიან რელიგიასთან დაკავშირებული აქტივობებით დაკავებული (წირვას ესწრებიან ზოგჯერ ან არასდროს) უფრო ხშირად ასახელებენ სულის ინოვაციურობასა (განსხვავება = 2%) და სოციალურ პრესტიჟს (განსხვავება = 2%) მნიშვნელოვან პიროვნულ თვისებებს შორის.

დამოკიდებულებები აბორტის, სექსუალური თავშეკავებისა და ჰომოსექსუალების მიმართ

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთი პირადი ხასიათის ქცევის მიმართ არსებული დამოკიდებულებები შეიძლება დაკავშირებული იყოს ტრადიციულ ან სეკულარულ-რაციონალურ ღირებულებებთან. მაგალითად, უფრო ტრადიციული ღირებულებების მიმდევარ საზოგადოებებს ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ აბორტის მიმართ, ხოლო იმ საზოგადოებაში, სადაც სეკულარულ-რაციონალური ღირებულებები სჭარბობს, აბორტის მიმართ უფრო მეტად შემწყნარებლური პოზიცია აქვთ.

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ აბორტი სრულიად უნდა იქნას აკრძალული კანონით (42%). რესპონდენტების თითქმის მესამედი მიიჩნევს, რომ აბორტი მისაღებია სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებულ შემთხვევებში (32%). რესპონდენტების მხოლოდ ხუთი პროცენტი ფიქრობს, რომ აბორტი ლეგალური უნდა იყოს, ხოლო რესპონდენტების ორი პროცენტისათვის აბორტი მისაღებია გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება სელექციურ აბორტს.

სურათი # 6.12. დამოკიდებულება აბორტის მიმართ



რაც შეეხება განსხვავებებს რესპონდენტების სქესის მიხედვით, უფრო მეტი მამრობითი სქესის წარმომადგენელი ფიქრობს, რომ აბორტი სრულიად უნდა აიკრძალოს კანონით (48%), ხოლო უფრო მეტი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ აბორტი უნდა აიკრძალოს გარდა სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებული შემთხვევებისა (40%). უფრო მეტია მამრობითი სქესის რესპონდენტების წილი, რომლებსაც არ აქვთ ჩამოყალიბებული შეხედულება ამ საკითხზე (18%).

რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, საკითხის მიმართ ლიბერალური მიდგომა მცირედით იზრდება ასაკის ზრდასთან ერთად. იმ ახალგაზრდების წილი, ვინც ფიქრობს რომ აბორტი კანონით სრულიად აკრძალული უნდა იყოს მცირდება უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში. ამასთან ერთად, პასუხი „არ ვიცის“ წილი მნიშვნელოვნად მაღალია ყველაზე დაბალ ასაკობრივ ჯგუფში - 14-18 წლის ახალგაზრდებში.

აბორტის მიმართ უფრო ლიბერალური დამოკიდებულება ფიქსირდება დედაქალაქში - რესპონდენტების მხოლოდ 33 პროცენტი მიიჩნევს, რომ საჭიროა აბორტის სრულიად აკრძალვა, მაშინ როცა ასეთი რესპონდენტების წილი ბევრად მაღალია სხვა უბრანულ (47%) და სოფლის ტიპის დასახლებებში (46%).

გასაკვირი არაა, რომ ტრადიციული შეხედულებები უფრო რელიგიურ ახალგაზრდებში სჭარბობს. იმ რესპონდენტების თითქმის ნახევარი, რომლებიც წირვას რეგულარულად ან ხშირად ესწრებიან, ფიქრობს, რომ აბორტი სრულიად აკრძალული უნდა იყოს. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ იმ ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილი (41%), რომლებიც წირვას მხოლოდ ზოგჯერ ან საერთოდ არ ესწრებიან, ასევე მიიჩნევენ, რომ აბორტის აკრძალვა აუცილებელია. ეს უკანასკნელი მიგნება ადასტურებს ახალგაზრდების მიდრეკილებას ტრადიციული ღირებულებებისადმი.

როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, ახალგაზრდების 23% ნეგატიური დამოკიდებულება აქვს სექსუალური თავშეკავების მიმართ - მათი 13% ფიქრობს, რომ ეს დრომოჭმული ცნებაა, 11% აზრით კი, ეს ფსიქოლოგიურ წნეხს წარმოადგენს ახალგაზრდებისათვის. ახალგაზრდების ერთი მესამედი მიიჩნევს, რომ სექსუალური თავშეკავება გარკვეულწილად ღირსებას წარმოადგენს ორივე სქესისთვის, ხოლო ასევე ერთი მესამედი ფიქრობს, რომ ეს ღირსებას წარმოადგენს მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის (31%).

სურათი # 6.13. დამოკიდებულება სექსუალური თავშეკავების მიმართ



სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს უფრო ტრადიციული შეხედულებები აქვთ. მათი უფრო დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ სექსუალური თავშეკავებულობა ღირსებაა ორივე სქესისთვის (41%) ან გოგონებისათვის (31%), მაშინ როცა ასეთი შეხედულებები ნაკლებად გავრცელებულია ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის (36% და 33% შესაბამისად). დედაქალაქში ახალგაზრდების უფრო დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ სექსუალური თავშეკავებულობა ახალგაზრდობისათვის ფსიქოლოგიურ წნეხს წარმოადგენს (17%) ან დრომოჭმული ცნებაა (18%), სხვა ქალაქებში (9% და 13% შესაბამისად) და სოფლებში (7% და 8% შესაბამისად) მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით. საცხოვრებელი ადგილის გარდა, განსხვავებები გამოვლინდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორისაც. უფრო პატარა ასაკის ახალგაზრდებს შორის, მცირედით მეტად ვლინდება სექსუალური თავშეკავებულობის დრომოჭმულ ცნებად (14% 14-18 და 19-24 ასაკობრივ კატეგორიებში და 11% 25-29 ასაკობრივ კატეგორიაში) ჩათვლის ტენდენცია. 25-29 წლის რესპონდენტები უფრო ტრადიციული ღირებულებების მატარებლები არიან, რადგან მათი აზრით, სექსუალური თავშეკავებულობა ღირსებას წარმოადგენს გოგონების შემთხვევაში (36%), მაშინ როცა ამგვარი მოსაზრების მქონე ახალგაზრდების წილი 14-18 ასაკობრივ კატეგორიაში უფრო ნაკლებია (25%). განსხვავება ასევე თვალსაჩინოა

ახალგაზრდების რელიგიურ აქტივობებში ჩართვის ინტენსიურობის კუთხითაც. იმ ახალგაზრდების დიდი ნაწილი, რომლებიც მხოლოდ ზოგჯერ ან საერთოდ არ ესწრებიან ღვთისმსახურებას, ფიქრობს, რომ სექსუალური თავშეკავება ფსიქოლოგიური წნეხი (13%) ან დრომოჭმული ცნებაა (14%), მაშინ როცა ამ აზრს ნაკლებად ეთანხმებიან ის ახალგაზრდები, ვინც რეგულარულად ან ხშირად ესწრებიან წირვას (8% და 10% შესაბამისად). სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა. მხოლოდ ბიჭების მცირედით მეტი რაოდენობა ფიქრობს, რომ სექსუალური თავშეკავება დრომოჭმული ცნებაა (14% - ბიჭები და 11% - გოგონები).

დამოკიდებულება ჰომოსექსუალების მიმართ წარმოადგენდა ახალგაზრდების ღირებულებების კიდევ ერთ საზომს. ამ საზომის მეშვეობით ხდება ახალგაზრდების ტოლერანტულობის დონის განსაზღვრა, იგი ასევე შეიძლება იყოს ინდიკატორი, თუ სად არის ახალგაზრდების ღირებულებები გადარჩენის - თვით-გამოხატვის განზომილებაში. როგორც კვლევის მონაცემები აჩვენებს, ახალგაზრდებში საკმაოდ გავრცელებულია ჰომოფობიური დამოკიდებულებები - გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა (46%) უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს ჰომოსექსუალების მიმართ. ახალგაზრდების მხოლოდ 16 პროცენტი ფიქრობს, რომ ჰომოსექსუალი მისაღები ან თითქმის მისაღებია.[2]

[2] ისენსიტიური კითხვები რესპონდენტებს გადასაცემი კითხვარების მეშვეობით მიეწოდა.

სურათი # 6.14. დამოკიდებულება ჰომოსექსუალების მიმართ



- სრულიად მისაღები
- უფრო მისაღები
- არც მისაღები, არც მიუღებელი
- უფრო მიუღებელი
- სრულიად მიუღებელი
- უარი პასუხზე

N=1200

დამოკიდებულება, რომ ჰომოსექსუალი მიუღებელია, ყველა კატეგორიის ახალგაზრდებს შორის სჭარბობს, თუმცა არსებობს გარკვეული განსხვავებები გენდერის კუთხით. ახალგაზრდა გოგონები უფრო ტოლერანტულ დამოკიდებულებას გამოხატავენ ჰომოსექსუალების მიმართ, მაშინ როცა ასეთი ადამიანები ძირითადად ან სრულიად მიუღებელია უფრო მეტი ბიჭისთვის (51%). აღმოჩნდა, რომ უფრო მაღალი ასაკობრივი კატეგორიის (25-29 წლის) წარმომადგენლები უფრო ჰომოფობიური დამოკიდებულებით გამოირჩევიან, ვიდრე უფრო დაბალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები. უფრო მეტად ტოლერანტული დამოკიდებულებები ჭარბობს ქალაქებში, განსაკუთრებით, დედაქალაქში.

ჰომოსექსუალების მიმართ არსებული დამოკიდებულებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ახალგაზრდები ურო მიდრეკილნი არიან ტრადიციული ღირებულებებისადმი და საკმაოდ შორს არიან თვით-გამოხატვის ღირებულებების მიმღებლობისაგან.

ღირებულებებთან დაკავშირებული დებულებების შეფასება

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, კვლევის რესპონდენტები აფასებდნენ დებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ღირებულებებთან. აღნიშნული დებულებების შეფასება ნათელს ფენს მათ ღირებულებით ორიენტაციას და მსოფლმხედველობას.

კვლევის შედეგების მიხედვით, პირადი ურთიერთობები ახალგაზრდებს შორის ყველაზე მეტად ფასობს. რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა ოჯახი და მეგობრები ყველაზე მნიშვნელოვანია. რესპონდეტების 95% მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია გყავდეს პარტნიორი, რომელსაც ენდობი, ამავე დროს რესპონდენტების იგივე წილი თვლის, რომ მნიშვნელოვანია გყავდეს კარგი მეგობრები, რომლებიც გაღიარებენ. ამასთანავე, რესპონდენტების უმრავლესობა (91%) თვლის, რომ მნიშვნელოვანია გქონდეს კარგი ოჯახური ცხოვრება.

რელიგიური ცხოვრებისა და სულიერების მნიშვნელობა კიდევ ერთხელ დასტურდება კვლევის მონაცემების მიხედვით - ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებს შორის, ახალგაზრდების უმრავლესობა ასახელებს ღმერთისადმი რწმენას (90%).

როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, მატერიალისტური ღირებულებები ნაკლებად მნიშვნელოვანია საქართველოს ახალგაზრდებისათვის - არც ისე დიდია იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც თვლიან, რომ მნიშვნელოვანია გქონდეს ძალაუფლება და გავლენა (46%). ახალგაზრდობა ასევე ნაკლებად იხრება კონფორმიზმისკენ, სულ მცირე დამოკიდებულებების დონეზე - ახალგაზრდების მხოლოდ 21% თვლის, რომ მნიშვნელოვანია აკეთო ის, რასაც სხვე-

ბი აკეთებენ. რესპონდენტების მხოლოდ 37% თვლის, რომ მნიშვნელოვანია ტოლერანტი იყო ისეთი დამოკიდებულებების მიმართაც, რომლებიც არ არის თავხვედრაში საკუთარ მოსაზრებებთან. ეს უკანასკნელი მიგნება თარნხვედრაშია ზემოთ განხილული ტოლერანტობის დაბალი მაჩვენებლისა და სოციალური დისტანციის მაჩვენებლებთან.

ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ღირებულება პოლიტიკური ჩართულობაა - რესპონდენტების მხოლოდ 20% თვლის, რომ მნიშვნელოვანია იყო პოლიტიკურად აქტიური.

კვლევის შედეგების მიხედვით ნათელია, რომ ახალგაზრდებს აქვთ ძლიერი სურვილი იცხოვრონ მშვიდობიან და უსაფრთხო გარემოში. ასეთი სურვილი თავს იჩენს ისეთი ღირებულებებისადმი სწრაფვაში, როგორიცაა უსაფრთხოება (84%) და კანონისა და წესრიგის პატივისცემა (85%).

ახალგაზრდებს აქვს მყარად ჩამოყალიბებული მოსაზრებები იმ პრინციპებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც უნდა იცხოვროს ადამიანმა. მათ მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია იცხოვრო და მოიქცე პასუხისმგებლობით (82%), იყო შრომისმოყვარე და ამბიციური (79%), დაეხმარო სოციალურად დაუცველ და გარიყულ ჯგუფებს (82%). აღნიშნული მოსაზრების მხარდასაჭერად, ახალგაზრდების შედარებით მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია საკუთარი საჭიროებების სხვაზე წინ დაყენება (41%). ახალგაზრდები ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჯანსაღი ცხოვრების წესს (83%).

ახალგაზრდებისათვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს წარსულის პატივისცემა. ახალგაზრდების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია ამაყობდე საქართველოს ისტორიით (81%). თუმცა საგულისხმოა ის, რომ ახალგაზრდების არც თუ ისე დიდი ნაწილი მიიჩნევს მნიშვნელოვნად ძველი ტრადიციების შენარჩუნებას (62%). აღნიშნული მიგნების მიხედვით შეიძლება ითქვას რომ ახალგაზრდების გარკვეული ნაწილისათვის მნიშვნელოვანია წარსული, თუმცა მათთვის ასევე მნიშვნელოვანია თანამედროვეობისათვის ფეხის აწყობა.

სურათი # 6.15. ახალგაზდების ღირებულებითი ორიენტაცია (%)



ახალგაზრდების ღირებულებითი ტიპები

ახალგაზრდების ღირებულებითი ორიენტაცია შეიძლება გამოვიყენოთ ახალგაზრდების მათი ღირებულებების მიხედვით კლასიფიკაციისთვის[3]. ტიპოლოგიის ფორმირებისას გამოყენებულია თერთმეტი დებულება, რომელნიც შეიძლება თემატურად დაჯგუფდეს სამ მსხვილ კატეგორიაში: (1) კონვენციონალიზმი, (2) იდეალიზმი და ჩართულობა და (3) ჰედონიზმი და მატერიალიზმი.

სურათი # 6.16. ღირებულებითი ტიპოლოგიისას გამოყენებული დებულებები

1.კონვენციონალიზმი	2. იდეალიზმი და ჩართულობა	3. ჰედონიზმი და მატერიალიზმი
1. კანონისა და წესრიგის პატივისცემა 2. უსაფრთხოებისკენ სწრაფვა 3. შრომისმოყვარეობა და ამბიციურიურობა	4. საკუთარი ფანტაზიისა და კრეატიულობის განვითარება 5. სოციალურად დაუცველებისა და დაჩაგრული/მოწყვლადი/ მარგინალური ჯგუფების დახმარება 6. პოლიტიკური ჩართულობა 7. ადამიანთა მრავალფეროვნების აღიარება და პატივისცემა	8. მაღალი ცხოვრების სტანდარტის ქონა 9. ცხოვრებით სრულყოფილად ტკბობა 10. ძალაუფლებისა და გავლენის ქონა 11. საკუთარი საჭიროებების სხვებისაზე წინ დაყენება / გატანა

ფაქტორული ანალიზის შედეგად (ვარიმაქსის როტაცია) ორი განზომილება - კონვენციონალიზმი და იდეალიზმი/ჩართულობა ერთად დაჯგუფდა (პოლიტიკური ჩართულობის გამოკლებით), მაშინ როდესაც მატერიალიზმი/ჰედონიზმთან დაკავშირებული დებულებები, მეორე ფაქტორზე დაჯდა. შესაბამისად, ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი განზომილება - „პრაგმატული იდეალიზმი“ (PI) და “მატერიალიზმი/ჰედონიზმი“ (M/H). საინტერესოა, რომ დებულება პოლიტიკური ჩართულობის შესახებ, რომელიც თავდაპირველი განაწილების მიხედვით მიეკუთვნებოდა პრაგმატული იდეალიზმის ჯგუფს (გერმანული კვლევის თანახმად), მეორე ფაქტორთან უფრო მაღალი კორელაციით გამოირჩევა. ეს მიგნება გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ საქართველოში პოლიტიკური ჩართულობა უფრო მეტად ასოცირდება მატერიალიზმთან/ჰედონიზმთან, ვიდრე პრაგმატულ იდეალიზმთან.

---

[3] სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა თომას გენსინკეს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. *იხილეთ: Gensicke Thomas, 1995. Pragmatisch und Optimistisch: Ueber die Beweltigung des Umbruchs in den neuen Bndeslaendern. In Bertram Hans ed. Ostdeutschland im Wandel: Lebensverhaeltnisse – politische Einstellungen.* სტატისტიკური ანალიზი გულისხმობდა ოთხი ღირებულებითი ტიპის შემუშავებას. სტატისტიკური ანალიზისთვის მოხდა რესპონდენტების მიერ სხვადასხვა დებულებების შეფასებების გამოყენება. დებულებების შეფასება მოხდა 7-ქულიან ლიკერტის სკალაზე, სადაც „1“ აღნიშნავს „უმნიშვნელოს“, ხოლო „7“ - მნიშვნელოვანს. ტიპოლოგია შექმნილია 11 დებულების შეფასებებზე დაყრდნობით.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ანალიზში გამოყენებული დებულებების ფაქტორული წონები ორ განზომილებასთან მიმართებაში. ეს ორი განზომილებაა პრაგმატული იდეალიზმი (PI) და მატერიალიზმი/ჰედონიზმი (M/H).

სურათი # 6.17. როტაციის შედეგად მიღებული კომპონენტების მატრიცა

პირველადი თემატური კატეგორიები	დებულებები	კომპონენტი 1 პრაგმატული იდეალიზმი (PI)	კომპონენტი 2 მატერიალიზმი / ჰედონიზმი (M/H)
კონვენციონალიზმი	კანონისა და წესრიგის პატივისცემა	.653	
	უსაფრთხოებისკენ სწრაფვა	.720	
	ვიყო შრომისმოყვარე და ამბიციური	.477	
იდეალიზმი და ჩართულობა	საკუთარი ფანტაზიისა და კრეატიულობის განვითარება	.418	
	სოციალურად დაუცველებისა და დაჩაგრული/მოწყვლადი/ მარგინალური ჯგუფების დახმარება	.600	
	ვიყო პოლიტიკურად ჩართული		.500
	ადამიანთა მრავალფეროვნების აღიარება და პატივისცემა	.453	
ჰედონიზმი და მატერიალიზმი	მაღალი ცხოვრების სტანდარტის ქონა		.582
	ცხოვრებით სრულყოფილად ტკბობა		.510
	ძალაუფლებისა და გავლენის ქონა		.725
	საკუთარი საჭიროებების სხვებისაზე წინ დაყენება / გატანა		.690

ექსტრაქციის მეთოდი: პრინციპული კომპონენტების ანალიზი. როტაციის მეთოდი: ვარიმაქსი კაიზერის ნორმალიზაციით.

ზემოთ ხსენებულ ორ ფაქტორზე დაყრდნობით მოხდა კლასტერული ანალიზი (quick cluster), რომლის მიზანს წარმოადგენდა ღირებულებითი ტიპოლოგიის შექმნა ოთხი განსხვავებული ღირებულებითი ტიპით. პრაგმატული იდეალიზმისა და მატერიალიზმის/ჰედონიზმის განზომილებების მიხედვით ღირებულებითი ტიპები შემდეგნაირად გამოიყურება:

სურათი # 6.18. ღირებულებით ტიპებისა და ღირებულებითი განზომილებების მიმართება

ღირებულებითი ტიპები	პრაგმატული იდეალიზმი, PI	მატერიალიზმი/ ჰედონიზმი, M/H
იდეალისტი	+	-
მეორჭოფე	-	-
მენეჯერი	+	+
მატერიალისტი	-	+

კლასტერული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ოთხი კლასტერი:

სურათი # 6.19. საბოლოო კლასტერების ცენტრები

	კლასტერი			
	1 იდეალისტი	**2 მატერიალისტი**	**3 მენეჯერი**	**4 მეორჭოფე**
REGR ფაქტორული ქულა 1 ანალიზისთვის 2	.45973	-.70177	.55858	-2.31503
REGR ფაქტორული ქულა 2 ანალიზისთვის 2	-1.12240	.43969	.66245	-.42630

სურათი # 6.20. ღირებულებითი ტიპების განაწილება



კვლევის შედეგების თანახმად, ღირებულებითი ტიპი მენეჯერი ყველაზე მეტად გავრცელებულია ქართველ ახალგაზრდებში (39.5%). ამ ტიპს მოსდევს იდეალისტი (29.1%) და მატერიალისტი (23%). ყველა მცირე წილი ახალგაზრდებს შორის უკავია ღირებულებით ტიპს მეორჭოფე.

სურათი # 6.21. ღირებულებითი ტიპების განაწილება სქესის მიხედვით



ღირებულებითი ტიპების განაწილება სქესის მიხედვით აჩვენებს, რომ მეორ-ჯოფეებს შორის მამაკაცების წილი მნიშვნელოვნად დიდია. ასევე, ახალგაზ-რდა მამაკაცების უფრო დიდი რაოდენობა არის მატერიალისტი ახალგაზრდა ქალებთან შედარებით. დანარჩენი ორი ღირებულებითი ტიპის - იდეალისტის და მენეჯერის შემთხვევაში, ქალების წილი უფრო დიდია.

სურათი # 6.22. ღირებულებითი ტიპების განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით



სხვადასხვა ღირებულებითი ტიპების განაწილება მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აჩვენებს, რომ იდეალისტების უფრო დიდი წილი ცხოვრობს სოფლად (34%), მაშინ როდესაც მენეჯერების ყველაზე დიდი ნაწილი თბილისშია კონცენტრირებული (44%).

დისკუსია

ღირებულებათა გლობალურ რუკაზე[4] საქართველო უფრო მეტად გადახრილია ტრადიციული და გადარჩენის ღირებულებების პოლუსისაკენ. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდების ღირებულებები ფართო საზოგადოების დამოკიდებულებებისა და აღქმების ანარეკლს წარმოადგენს - ახალგაზრდები, მათი წინა თაობის მსგავსად, ტრადიციული ღირებულებებისკენ იხრებიან. ასევე გადარჩენა-თვითგამოხატვის განზომილების შემთხვევაშიც, უფრო მეტად გადარჩენის ღირებულებები მძლავრობენ ახალგაზრდებს შორის. თუმცა, ტრადიციული ღირებულებების პოლუსისკენ გადახრის მიუხედავად, ზოგიერთ შემთხვევაში, ახალგაზრდები საკმაოდ ლიბერალურ და თანამედროვე პოზიციას აფიქსირებენ სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში.

დიდი სოციალური დისტანცია, დაბალი ტოლერანტობის ხარისხი უმცირესობების მიმართ, პოლიტიკური ჩართულობის დაბალი დონე, მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება რელიგიას, აბორტის დაბალი მიმღებლობა და მსგავსი შეხედულებები საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს ტრადიციული და გადარჩენის ღირებულებების პოლუსთან აახლოვებს. ტრადიციული ღირებულებების დომინანტობა შეიძლება აიხსნას იმ ტრადიციული სოციალური გარემოთი, რომელშიც ახალგაზრდები გადიან სოციალიზაციის პროცესს მათი ბავშვობის და ახალგაზრდობის განმავლობაში, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან ინტერაქციით და უფროსი თაობის გავლენით, რომელიც მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს.

თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, გამოიკვეთა ტენდენციები, რომელნიც სეკულარულ-რაციონალური და თვითგამოხატვის ღირებულებებისკენ გადახრაზე მიანიშნებენ. მაგალითად, სექსუალური თავშეკავება ახალგაზრდების მნიშვნელოვანი წილის მიმართ განიხილება როგორც მოძველებული კონცეპტი ან ფსიქოლოგიური მარწუხი ახალგაზრდებისთვის. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები პატივისცემას გამოხატავენ წარსული მიმართ, ამავე დროს აცნობიერებენ წინსვლის და დროისთვის ფეხის აწყობის საჭიროებას. კვლევის შედეგების თანახმად, არც ისე ბევრი ახალგაზრდა მიიჩნევს მნიშვნელოვნად ძველი წესებისა და ტრადიციების დაცვას.

ამ მიგნებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მათ სოციალურ გარემოში დომინანტურ ღირებულებებს, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი კრიტიკულ პოზიციას იკავებენ და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ამ ღირებულებებს. თვითგამოხატვის ღირებულებებისკენ გადახრის კარგ მაგალითს წარმოადგენს ახალგაზრდების რეაქცია დედაქალაქში 2015 წელს მომხდარი ბუნებრივ კატასტროფაზე (თბილისის რამოდენიმე უბნის და მათ შორის ზოოპარკის დატბორვა). ამ მოვლენამ გამოიწვია საკმაოდ მაღალი სოლიდარობა და შესაბამისად აქტივიზმი

[4] ველცერ-ინგლეჰარტის კულტურული რუკა

თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდებში (ქალაქის მთავრობის მხარდაჭერა წყალდიდობისგან დატბორილი ადგილების გასუფთავებაში, ფონდების მოძიების აქტივობები და ა.შ.). მსგავსი შემთხვევების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალგზარდებმა შეიძლება გამოიჩინონ სამოქალაქო აქტოვობა და გაერთიანდნენ საერთო მიზნისთვის იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს მნიშვნელოვანი მოტივატორი, რომელიც ხელს შეუწყობს ერთიანობის და სოლიდარობის გაღვივებას.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ახალგაზრდების ღირებულებითი ორიენტაცია განსხვავდება მათი სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების, მაგალითად, სქესის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მაგალითად, სოციალური დისტანცია უმცირესობეების მიმართ (მაგალითად, სექსუალური უმცირესობების მიმართ), რომელიც ტოლერანტობის დაბალი დონის მაჩვენებელია, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის ნაკლები მიმღებლობა და თვითგამოხატვისა და უნივერსალისტური ღირებულებების უარყოფა უფრო გავრცელებულია სოფლის ტიპის დასახლებებში. დედაქალაქში კი ნეიტრალური განწყობის მქონე ახალგაზრდების წილი ყველაზე მეტია. მოხალისეობრივ აქტოვობებში მონაწილეობა, რაც კავშირშია სოციალურ კაპიტალთან და აქცენტს აკეთებს კოოპერაციაზე, თანაზიარობაზე, ნდობასა და სოციალურ კავშირებზე, ასევე უფრო გავრცელებულია ქალაქის ტიპის დასახლებებში.

განსხვავებები ღირებულებით ორიენტაციაში ასევე აშკარაა ქალებს და მამაკაცებს შორის. ახალგაზრდა ქალები გამოირჩევიან უფრო ტოლერანტული დამოკიდებულებით ჰომოსექსუალების მიმართ, მაშინ როდესაც მამაკაცების უფრო დიდი ნაწილისთვის სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები მიუღებელია (51%).

ზოგადად, კვლევის შედეგებზე დატყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდები საქართველოში უფრო მეტად ტრადიციული და გადარჩენის ღირებულებებისკენ იხრებიან, თუმცა, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით აშკარაა თვითგამოხატვისა და სეკულარულ-რაციონალური ღირებულებებისკენ მოძრაობის ტენდენცია. აღნიშნული ტენდენცია უფრო თვალსაჩინოა ქალაქის ტიპის დასახლებებში, განსაკუთრებით დედაქალაქში.

ოჯახი და მეგობრები

შესავალი

ოჯახი და მეგობრები ის ორი მნიშვნელოვანი სოციალური ჯგუფია, რომლებიც პიროვნების ცხოვრების ადრეული ეტაპიდანვე ქმნიან ყველაზე გავლენიან კონტექსტებს. ეს ორი სოციალური კონტექსტი ქმნიან და გადასცემენ ნორმებს, დამოკიდებულებებსა და შეხედულებებს, შესაბამისად, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თაობიდან თაობაზე ღირებულებების გადაცემასა და კულტურული განგრძობითობის შენარჩენებაში. „ჩვეულებრივ, ოჯახი მიიჩნევა ყველაზე მნიშვნელოვან მექანიზმად ღირებულებათა სოციალიზაციაში. მაგრამ, ოჯახის გარეთ, თანატოლებისა და ასაკობრივი დაწესებულებების გავლენა ... აღიარებული იქნა სოციალიზაციის თეორიაში, როგორც ღირებულებათა განსაზღვრის მნიშვნელოვანი და ალტერნატიული დეტერმინანტი“ (ვერნ ლ. ბენგტსონი, 1975).

მაშინ როცა მშობლებს ენიჭებათ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა შეცვალონ თავიანთი შვილების ქცევა საყოველთაოდ შეთანხმებულ ნორმებთან შესაბამისად (აიმარი და სხვები, 1981; მენკიუზო, 1979), მეგობრებთან ურთიერთობა „დროსტარებად“ ითვლება (პარსონს, 1942) და მეგობრობის მთავარი აქტივობა გართობაა (კოლმენი, 1961; ჰოლინგშიდი, 1949). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებს უფრო უკეთ უგებენ და უფრო ახლოს არიან მეგობრებთან, ვიდრე ოჯახის წევრებთან, რაც ძირითადად შეიძლება გამოწვეული იყოს მეგობრების თავისუფლად არჩევის შესაძლებლობით და მეგობრულ ურთიერთობებში უფრო მეტი სიმეტრიის მიღწევის გამო. ვინაიდან მეგობრობაცა და რომანტიული ურთიერთობებიც დაახლოებით მიმსგავსებულ ფუნქციებს ასრულებს, ახალგაზრდებს შეუძლიათ მსგავსი კრიტერიუმები გამოიყენონ მეგობრებისა და რომანტიული პარტნიორების შესარჩევად (ფარმენი, ბრაუნი და ფეირინგი, 1999).

ოჯახი თანაბრად ღირებულია ქართველებისათვის მიუხედავად მათი ასაკისა, სქესისა, ოჯახური თუ ეკონომიკური სტატუსისა, თუმცა „ღირებულებათა და თაობათა კვლევა“ (სუმბაძე, 2003) აჩვენებს, რომ არსებობს განსხვავება ახალ და უფროს თაობებს შორის, რადგან ახალი თაობის წარმომადგენლები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ გართობას, მეგობრებს, რელიგიას, სამუშაოსა და განათლებას, ვიდრე უფროსი თაობის წარმომადგენლები.

სხვადასხვა თაობების ღირებულებათა შორის საუბრისას საჭიროა მხედველობაში მივიღოთ კონტექსტი. საქართველომ ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ძირეული ცვლილებები განიცადა. საბჭოთა კავშირიდან გამოყოფამ, შემდგომ

განვითარებულმა სამოქალაქო ომმა და ტერიტორიების დაკარგვამ უდიდესი გავლენა მოახდინა ქართველების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. „როდესაც საზოგადოება და კულტურა პარადიგმულ ცვლილებას განიცდიან, ახალი პარადიგმები მაშინვე არ ანაცვლებენ ძველ პარადიგმებს, როგორც აზროვნებისა და ქცევის დომინანტურ ნიმუშებს. ასეთი რე-კონფიგურაცია სოციალური ცვლილების უფრო ძირითადი პროცესის არსებითი ნაწილია, განსაკუთრებით ისეთ გარდამავალ გარემოში, როგორიც საქართველოში და იგი პირველ რიგში გავლენას ახდენს საზოგადოების ახალგაზრდა ნაწილზე, რომელიც უფრო ექვემდებარება შეცვალოს - უპირველესად ოჯახთან, სქესთან და თაობათა ურთიერთობები“ (სუმბაძე, თარხან-მოურავი, 2003).

ძირეული ცვლილებების მიუხედავად „საქართველოში ოჯახის სტრუქტურა შეიძლებოდა და კვლავაც შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ტრადიციული. ხშირად ურბანულ არეალში მცხოვრები ოჯახებიც სამი თაობის წევრებისგან შედგებიან, თუმცა ქალაქებში ძირითადად ბირთვული ოჯახები ცხოვრობენ - მშობლები და შვილები, მაგრამ მაინც, საკმაოდ ხშირად ბებია-ბაბუებიც მათთან ცხოვრობენ და ბავშვების აღზრდის პასუხისმგებლობას ინაწილებენ“.

ზოგადად, ოჯახისგან დამოუკიდებლობა საქართველოში ცხოვრების უფრო გვიან ეტაპზე დგება. ხშირ შემთხვევაში, ოჯახისგან დამოუკიდებლობის მოპოვების საფუძველი საკუთარი ოჯახის შექმნა ხდება გარდამავალი პერიოდის გარეშე. გოგონები, გათხოვების შემდეგ უფრო ხშირად ტოვებენ მშობლების ოჯახს, ვიდრე ბიჭები და ცხოვრებას იწყებენ მეუღლესთან და მეუღლის მშობლებთან.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველო აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში შედის, სადაც ადრეულ ასაკში დაქორწინება საკითხს წარმოადგენს. გაეროს ანგარიშის თანახმად, საქართველოში მცხოვრები ქალების 17%-მა ოჯახი შექმნა 18 წლის ასაკამდე (UNFPA, 2012). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ადრეულ ასაკში დაოჯახება უფრო გავრცელებული გოგონებს შორისაა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2014 წელს დაქორწინებული ახალგაზრდებიდან (16-19 ასაკობრივი კატეგორია) 84%-ს გოგონები შეადგენდნენ და მხოლოდ 16%-ს ვაჟები (საქსტატი, 2015).

საქართველოში ჩატარებული ახალგაზრდობის კვლევა მოიცავდა ახალგაზრდების ოჯახური ცხოვრებისა და მეგობრებთან ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტებს. მოპოვებულმა ინფორმაციამ წარმოდგენა შეგვიქმნა ოჯახური გარემოს, ოჯახთან დაკავშირებული სამომავლო გეგმებისა და ახალგაზრდების სოციალური ურთიერთობების შესახებ სხვადასხვა დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით.

ძირითადი მიგნებები

- ახალგაზრდების უმრავლესობა თავიანთ მშობლებთან და და-ძმებთან ცხოვრობს;
- დაუოჯახებელი ან განქორწინებული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა თავიანთი მშობლების სახლში ცხოვრობს, მშობლებთან ერთად;
- ახალგაზრდების 55% ძალიან კარგად ეწყობა საკუთარ მშობლებს;
- სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს უკეთესი ურთიერთობა აქვთ მშობლებთან ვიდრე, ქალაქებში, მათ შორის, თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდებს;
- დედები და მამები გავლენას ახდენენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით სამი მეხუთედის შემთხვევაში;
- მამის გავლენა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე შედარებით უფრო მაღალია ბიჭების შემთხვევაში (36%) გოგონებთან შედარებით (18%);
- მშობლების გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მნიშვნელოვნად მცირდება ასაკის მატებასთან ერთად;
- მშობლებისგან მიღებული ფინანსური მხარდაჭერა შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს ახალგაზრდების უმრავლესობისათვის (62%);
- ახალგაზრდების უმრავლესობა, ვინც შემოსავლის წყაროდ მეუღლეს/პარტნიორს ასახელებს, მდედრობითი სქესის წარმომადგენელია (ბიჭი - 1%, გოგონა - 27%);
- ახალგაზრდების 43% მიიჩნევს, რომ ქორწინების უპირატესობა არაოფიციალურ ურთიერთობასთან მიმართებაში არის მეტი პასუხისმგებლობის არსებობა პარტნიორებს შორის;
- გამოკითხული რესპონდენტების ერთ მესამედზე მეტი ფიქრობს, რომ დაქორწინებისათვის იდეალური ასაკი როგორც გოგონებისათვის, ისე ბიჭებისათვის არის 25 წელი;
- ახალგაზრდების 41% სურს ორი შვილი, ხოლო ყოველ მეათე ახალგაზრდას ოთხი შვილის ყოლა უნდა;
- მათ შორის, ვისაც ჯერ შვილი არ ჰყავს, 45% აპირებს მშობელი გახდეს 26-31 წლის ასაკში;
- ახალგაზრდების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მომავალი მეუღლის შერჩევისას ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს პიროვნულობა (64%) და საერთო ინტერესები (56%).

ანალიზი

ოჯახური გარემო

რაოდენობრივი კვლევის მონაცემების თანახმად, ახალგაზრდების უმრავლესობა მშობლებთან და დედმამიშვილებთან ერთად ცხოვრობს. მონაცემის ასაკის ჭრილში გაანალიზების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასაკის მატებასთან ერთად იკლებს მშობლებთან თანაცხოვრების მაჩვენებელი (დედა: 14-18 ასაკობრივი კატეგორია – 88%; 19-24 ასაკობრივი კატეგორია - 67%; 25-29 ასაკობრივი კატეგორია - 53%.), თუმცა რაც შეეხება პარტნიორთან/მეუღლესთან თანაცხოვრებას აღნიშნული მონაცემი ასაკის მატებასთან ერთად იზრდება (პარტნიორი/მეუღლე: 14-18 ასაკობრივი კატეგორია – 2%; 19-24 ასაკობრივი კატეგორია - 22%; 25-29 ასაკობრივი კატეგორია - 47%.). აღსანიშნავია, რომ მათ შორის ვინც დედასთან ან მამასთან ცხოვრობს უმრავლესობას ბიჭები წარმოადგენენ (დედა: 80%, მამა: 70%), ხოლო მათ შორის, ვინც მეუღლის ან პარტნიორის მშობლებთან ცხოვრობს დიდ წილი მდედრობითი სქესის ახალგაზრდები არიან (24%), ვიდრე ბიჭები (1%). რაც შეეხება მონაცემთა ანალიზს დასაქმების ჭრილში, შეიძლება დავასკვნათ, რომ შედეგები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ კუთხით. დასაქმებული ახალგაზრდების სამოცდათერთმეტი პროცენტი საკუთარ დედასთან ცხოვრობს, ასევე დედასთან ცხოვრებს დაუსაქმებელი ახალგაზრდების 67%. უმუშევარი ახალგაზრდების ოცდარვა პროცენტი აცხადებს, რომ პარტნიორთან/მეუღლესთან ცხოვრობს, მაშინ როცა ეს მონაცემი 24 პროცენტს უდროს უმუშევარი ახალგაზრდების შემთხვევაში. პარნტიორთან/მეუღლესთან ცხოვრების მაჩვენებლის მსგავსია შვილთან ან შვილებთან ცხოვრების მაჩვენებელი. მაშინ როცა დასაქმებული ახალგაზრდების 27% შვილთან ან შვილებთან ცხოვრობს, ეს რიცხვი შედარებით მცირეა უმუშევარი ახალგაზრდების შემთხვევაში (23%). რაც შეეხება პარტნიორის ან მეუღლის მშობლებთან ცხოვრების მაჩვენებელს, კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ უმუშევარი ახალგაზრდების 15% თავისი მეუღლის ან პარტნიორის მშობლებთან ცხოვრობს, დასაქმებული ახალგაზრდების შემთხვევაში ეს მონაცემი 6 პროცენტია. ასევე აღსანიშნავია, რომ რომ უმუშევარი ახალგაზრდების მხოლოდ 1% და დასაქმებული ახალგაზრდების 4% აცხადებს, რომ მარტო ცხოვრობს.

გრაფიკი # 7.1 - თანაცხოვრება



აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ათიდან შვიდი (70%) ახალგაზრდა მშობლების სახლში ცხოვრობს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მათ შორის ვინც მშობლების სახლში ცხოვრობს დიდ უმრავლესობას დასაოჯახებელი ახალგაზრდები წარმოადგენენ (85%). მშობლების სახლში ცხოვრობს ასევე განქორწინებული ახალგაზრდების უმრავლესობა (82%).

გრაფიკი # 7.2 - საცხოვრებელი სივრცის გაზიარება



თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ახალგაზრდები დღესდღეობით საქართველოში მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ოჯახის წევრებზე და განსაკუთრებით მშობლებზე, რაც მათი აღქმით გამოწვეულია როგორც თავად მშობლების მხრიდან შვილების მიმართ კონტროლის და გავლენის მძაფრი სურვილით, ისე თავად ახალგაზრდების მხრიდან დამოუკიდებელი ცხოვრების მიმართ ნაკლები ინტერესით.

"შეიძლება არ იყო ოჯახზე დამოკიდებული [ფინანსურად], მაგრამ მაინც რაღაცით იყო." [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სოფლად მცხოვრები, მამრობითი, 14-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

"არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება, მე მარტო ვცხოვრობ ხუთი წელია და გაცნობიერებული მაქვს რასაც ეხლა ვაკეთებ, იქნება ეს ოჯახის საქმეები, სწავლა თუ რაც იქნება მე ვიცი რასაც ვაკეთებ, დამოუკიდებლად, მშობლების გარეშე. ჩემი აზრით ახალგაზრდები დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ უნდა იღწვდონენ რაც ნაკლებად ხდება, ძირითადად მშობლებზე ან ნათესავებზე არიან და მათ გარეშე ვერც ცხოვრობენ, თუ მშობელმა თანხა არ მისცა ამ ადგილიდან ამ ადგილზე ვერ გადავა." [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სოფლის ტიპის დასახლება, მამრობითი, 14-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ახალგაზრდებს, მათი ინფორმაციით, ოჯახში ტრადიციულად გადამწყვეტი სიტყვა ოჯახის უფროს მამაკაცს ეკუთვნის და ახალგაზრდების ჩათვლით, ყველა ვალდებულია მას დაემორჩილოს.

"ანუ ეს საუკუნეებია მოყოლებული, რომ მამაა ოჯახში მთავარი და დანარჩენი ყველა ექვემდებარება მის სიტყვას. ეგეც ერთგვარი ტრადიციაა." [სამცხე-ჯავახეთი, შერეული ტიპის დასახლებებში მცხოვრები, ეთნიკური უმცირესობა, მდედრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

არასრულწლოვანი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი რესპონდენტების თქმით, მათი დამოუკიდებლობის დონე იმდენად დაბალია, რომ ნებისმიერი მიზეზით გადაადგილების შემთვევაშიც კი, შესაძლოა მშობლებისგან ნებართვის აღება იყოს საჭირო, მაშინაც კი, როდესაც საქმე განათლებას, პედაგოგთან წასვლას ეხება.

"ჩვენ რომ რაღაცას ვაპირებთ, ჯერ მშობლებს ვეკითხებით...მითუმეტეს, ჩვენ ჯერ 18 წელს არ მივაღწიეთ. ასე რომ არ ვფიქრობ, რომ დამოუკიდებლები ვართ. გაკვეთილებზეც რომ მივდივართ, მაგასაც მშობლებს ვეკითხებით." [ქვემო ქართლი, შერეული ტიპის დასახლება, ეთნიკური უმცირესობა, მამრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

რესპონდენტების ნახევარზე მეტი (55%) მშობლებს ძალიან კარგად ეწყობა. შედარებით მცირე ნაწილი აცხადებს, რომ მშობლებს კარგად ეწყობა, თუმცა

გარკვეულ საკითხებზე გააჩნიათ განსხვავებული მოსაზრებები (41%). ახალგაზრდების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ მშობლებს კარგად ვერ ეწყობა და ხშირად კამათობს მათთან ამა თუ იმ საკითხზე (4%). აღნიშნული მონაცემი ასაკის და სქესის ჭრილში მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, თუმცა რაც შეეხება რეგიონის ჭრილს, შეიძლება ითქვას, რომ სოფელში მცხოვრები ახალგაზრდებს უკეთესი ურთიერთობა აქვთ მშობლებთან, ვიდრე ქალაქში და თბილისში მცხოვრებთ (ძალიან კარგად ვეწყობით: თბილისი - 43%; ქალაქი - 56%; სოფელი - 64%.)

გრაფიკი # 7.3- მშობლებთან ურთიერთობა



თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მათი თანატოლები გაცილებით დიდ აგრესიას ავლენენ მშობლებთან ურთიერთობისას, ვიდრე მეგობრებთან.

> *„როცა სასწავლია რამე ვერ იგებენ და მაშინვე გადადიან ჩხუბზე, შენ ამას რატომ მასწავლი, შენზე მეტი ვიცი, მშობლებთან და ნებისმიერ ადამიანთან იწყებენ ჩხუბს არ იციან ზომა და წონა, ლაპარაკობენ ყველაფერს რაც მოსდით თავში და არ ფიქრობენ, ესენიც ვერ აკონტროლებენ თავს, აგრესიულები ხდებიან და გამოდიან უზრდელები და პატივისცემა არ გააჩნიათ უფროსების მიმართ.“ [იმერეთი/ რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სოფლის ტიპის დასახლება, მდედრობითი, 14-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]*

რესპონდენტების დაახლოებით მესამედი აცხადებს, რომ მის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა დედას შეუძლია (34%), ხოლო შედარებით მცირე ნაწილი ამბობს, რომ გადაწყვეტილებაზე გავლენის მომხდენი პირი უმეტეს შემთხვევაში მამაა (27%). ახალგაზრდების შედარებით მცირე ნაწილი აცხადებს (15%), რომ მათ მნიშვნელოვან გადაწყევტილებაზე გავლენას მეუღლე ან პარტნიორი ახდენს.

საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება აღნიშნული მონაცემი გენდერის ჭრილში. იმ შემთხვევაში, თუ გოგონების (38%) და ბიჭების (31%) თითქმის მესამედი აცხადებს, რომ მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გავლენას მომხდენი პირი დედაა, მამის გავლენა შედარებით მაღალია ბიჭების შემთხვევაში (36%), ვიდრე გოგონების შემთხვევაში (18%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეუღლის / პარტნიორის გავლენაზე უფრო თამამად საუბრობენ მდედრობითი სქესის ახალგაზრდები (26%), ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები (5%), თუმცა მათ შორის, ვინც აცხადებს, რომ მათ მიერ გადაწყევტილების მიღების პროცესზე ვერავინ ახდენს გავლენას, უმრავლესობას ბიჭები წარმოადგენენ (ბიჭი: 22%, გოგონა: 8%).

რაც შეეხება რეგიონის ჭრილს, მამის გავლენა შედარებით დაბალია თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების შემთხვევაში, ვიდრე რეგიონულ ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებთათვის (თბილისი: 18%; ქალაქი: 22%, სოფელი: 38%). თუმცა დედის გავლენა შედარებით თვალსაჩინოა თბილისში და რეგიონულ ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (თბილისი: 40%, ქალაქი: 38%), ვიდრე სოფელში მცხოვრები ახალგაზრდების შემთხვევაში (სოფელი:26%).

მათ შორის, ვინც აცხადებს, რომ მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე არავინ ახდენს გავლენას, უმრავლესობას თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები წარმოადგენენ (20%), რეგიონულ ქალაქებთან (14%) და სოფლებთან შედარებით (12%).

გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მშობლების გავლენა მნიშვნელოვნად იკლებს ასაკის ზრდასთან მიმართებაში (მამა: 14-18 ასაკობრივი კატეგორია – 35%; 19-24 ასაკობრივი კატეგორია – 27%, 25-29 ასაკობრივი კატეგორია – 21%; დედა: 14-18 ასაკობრივი კატეგორია – 47%; 19-24 ასაკობრივი კატეგორია – 35%, 25-29 ასაკობრივი კატეგორია – 23%). ასაკის მატებასთან ერთად იზრდება მეუღლის / პარტნიორის გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (14-18 ასაკობრივი კატეგორია – 1%; 19-24 ასაკობრივი კატეგორია – 13%, 25-29 ასაკობრივი კატეგორია– 29%), ვინაიდან თანაცხოვრებაში ან ქორწინებაში ყოფნის მაჩვენებელი იზრდება ასაკთან ერთად.

გრაფიკი # 7.4 - გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე



რესპონდენტების მოსაზრებით, მშობლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ არა მხოლოდ შვილისთვის მომავალი პროფესიის შერჩევაზე, არამედ იმაზეც, გააგრძელებს თუ არა ახალგაზრდა სწავლას უმაღლეს სასწავლებელში. მიუხედავად საკუთარი სურვილისა, ზოგიერთ შემთხვევაში მშობლების დაჟინებული მოთხოვნაა - შვილი უმაღლესი განათლების დამადასტურებელ მოწმობას ფლობდეს.

> *„ძირითადად არის მშობლებისგან ზეწოლა როგორც გითხარით შენ უნდა გქონდეს დიპლომი.“ [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სოფლის ტიპის დასახლება, მამრობითი, 14-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]*

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეგიონულ ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ მათგან განსხვავებით დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები შედარებით დამოუკიდებლები და ოჯახის წევრების გავლენისგან მეტნაკლებად თავისუფლები არიან, თუმცა აღნიშნული მოსაზრება თბილისში ჩატარებული ფოკუს ჯგუფის დისკუსიისას არ გაჟღერებულა.

„დედაქალაქისგან ჩვენი ქუთაისის და წყალტუბოს ახალგაზრდები განსხვავდება, იქ უფრო სხვანაირი მენტალიტეტია შედარებით, იქ უფრო მეტად არიან ახალგაზრდები დამოუკიდებლები მშობლებისგან, აქ მაინც მშობლებს უწევთ თანხმობა...ეხლა მაგალითად, ეროვნული გამოცდებია და როცა აბარებ ითვალისწინებენ და უფრო მეტად მშობლების გადაწყვეტილებაა, ვიდრე ახალგაზრდების. ფინანსურიც არის რა თქმა უნდა, თუ არ აქვთ ვერ ახერხებენ თავისი სურვილების ახდენას და ყოველთვის მშობლისთვის რაღაცის თქმა ძნელია.“ [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სოფლის ტიპის დასახლება, მამრობითი, 14-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (48%) გადაწყვეტილებებს მშობლებთან ერთად იღებს, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე აცხადებს, რომ თავისუფალი და დამოუკიდებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში (44%). რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილს (8%) მიაჩნია, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მისი მშობლები იღებენ მის მაგივრად. იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც აცხადებენ, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მათ მაგივრად, მშობლები იღებენ, სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები წარმოადგენენ (თბილისი - 2%; ქალაქები - 5%; სოფლები - 15%). ხოლო მათ შორის, ვინც აცხადებს, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თავისუფლება აქვს მინიჭებული, უმრავლესობა თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები არიან (თბილისი - 56%; ქალაქები - 46%; სოფლები - 13%).

გრაფიკი #7.5 – გადაწყვეტილების მიღების პროცესი



თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილე რესპონდენტების აღქმით, მშობლების მხრიდან ახალგაზრდების მიმართ არსებული კონტროლი გარკვეულწილად განაპირობებს დღევანდელი

ახალგაზრდა თაობის უუნარობას - დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და განსაზღვროს საკუთარი აწმყო თუ მომავალი.

„ძალიან ბევრი მშობელი ვიცი, რომელიც საერთოდ არ ასწავლის შვილს დამოუკიდებლობას, უნდათ, რომ ყველანაირად მათზე იყოს დამოკიდებული, უნდა გააკონტროლოს და კონტროლი ბევრ შემთხვევაში ძალიან ცუდად გამოსდის. ბოლოს ისე გამოდის ბავშვი სრულიად დამოკიდებული ხდება მშობლებზე და ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ იღებს.“ [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, ქალაქის ტიპის დასახლება, მდედრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

„მშობლების და წინა თაობის გავლენა მაინც სჭარბობს და იქნება... ახალგაზრდები კი არა ჩვენი მშობლები არიან დამოკიდებული თავიანთ დედ-მამაზე.“ [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სოფლის ტიპის დასახლება, მამრობითი, 14-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

ახალგაზრდების უმრავლესობისთვის, შემოსავლის ძირითად წყაროს მშობლები წარმოადგენენ (62%), თუმცა მცირე ნაწილი განცხადებით მათ ფინანსურ კეთილდღეობაზე პარტნიორი ზრუნავს.

რაც შეეხება შემოსავლის წყაროების ანალიზს ასაკის ჭრილში, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდების ასაკის მატებასთან ერთად იკლებს მშობლების მიერ დაფინანსების მაჩვენებელი (14-18 ასაკობრივი კატეგორია- 96%; 19-14 ასაკობრივი კატეგორია – 64%; 25-29 ასაკობრივი კატეგორია – 34%), თუმცა შემოსავლის წყაროდ პარტნიორს / მეუღლეს უფრო მეტი ახალგაზრდა ასახელებს 25-29 ასაკობრივი კატეგორიიდან (14-18 ასაკობრივი კატეგორია 1%; 19-14 ასაკობრივი კატეგორია – 13%; 25-29 ასაკობრივი კატეგორია – 25%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი შემოსავალი დაბალი ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლების ძალიან მცირე ნაწილს აქვს (14-18 ასაკობრივი კატეგორია 3%; 19-14 ასაკობრივი კატეგორია – 28%; 25-29 ასაკობრივი კატეგორია – 46%).

რაც შეეხება მონაცემების ანალიზს რეგიონულ ჭრილში, შეიძლება ითქვას, რომ თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების შედარებით დიდ ნაწილს აქვს საკუთარი შემოსავალი, ვიდრე რეგიონულ ქალაქებში ან სოფლებში მაცხოვრებლებს (თბილისი - 35%, რეგიონი - 27%, სოფელი - 22%).

აღსანიშნავია, რომ მათ შორის, ვინც შემოსავლის წყაროდ პარტნიორი/მეუღლე დაასახელა უმრავლესობა დაოჯახებულია (46%) ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება (59%) ხოლო აღნიშნული მონაცემის სქესის ჭრილში გაანალიზებისას კარგად ჩანს, რომ იმ ახალგაზრდების უმრავლესობას, ვინც შემოსავლის წყაროდ მეუღლეს / პარტნიორს ასახელებს გოგონები წარმოადგენენ (ბიჭი – 1%, გოგონა – 27%).

გრაფიკი # 7.6 - შემოსავლის წყაროები



- მშობლები მარჩენენ
- პირადი შემოსავალი (ხელფასი, ანაზღაურება, ა.შ.)
- პარტნიორი (მეგობარი ბიჭი/გოგო, მეუღლე) მარჩენს
- მშობლებისგან / ნათესავებისგან მიღებული ფინანსური დახმარება
- ოჯახის პენსია
- სახელმწიფო შემწეობა
- სხვა
- არ ვიცი

N=1200

თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდეტების მოსაზრებით, ოჯახზე დამოკიდებულებას მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს მშობლებზე ფინანსური დამოკიდებულების არსებობა, თუმცა რესპონდენტების ნაწილის მოსაზრებით ის ახალგაზრდებიც კი, რომელთაც საკუთარი ფინანსური შემოსავალი გააჩნიათ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დიდ წილად მშობლებზე არიან დამოკიდებული. მაგალითისთვის დასახელდა, როგორც წვრილმან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საკითხები, ისე ისეთი მნიშვნელოვანი და პირადული საკითხები, როგორიცაა მომავალი პროფესიის შერჩევა და ა.შ. ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნებოდნენ ასე ძლიერ დამოკიდებული მშობლებზე, შესაძლოა მათი ცხოვრება სრულიად განსხვავებული მიმართულებით განვითარებულიყო.

„ვფიქრობ, არ ვიცი დროის ბრალია, მშობლის ბრალია თუ რის ბრალია თავისუფლება ნაკლებად გვაქვს ანუ მშობლები თვლიან, რომ 18 წლისაც რომ გავხდით მაინც არ ვართ თავისუფლები და თავისუფლება აღიქმება 25 წლის ზემოთ ალბათ იმ კუთხით, რომ თუნდაც 18 წლის რომ იყოს ამას ისე შეხვდებიან ქვეყანა დაიქცა. თავისუფლება რომ გვქონდეს და მიჩვეულები ვიყოთ თავისუფლებას ყველაფერი სულ სხვა კუთხით წავა.“ [აჭარა/გურია, ქალაქის ტიპის დასახლება, მდედრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

ქორწინება და თანაცხოვრება

ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი (43%) მიიჩნევს, რომ ქორწინების უპირატესობა თანაცხოვრებასთან შედარებით უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ ქორწინება პარტნიორებს ერთმანეთის მიმართ მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს. თუმცა, კვლევის ფარგლებში გამოკითხული ახალგაზრდების ერთი მეოთხედი (25%) ფიქრობს, რომ ქორწინება მათთვის პრიორიტეტულია იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ქორწინებას უფრო მეტ პატივს სცემენს, ვიდრე ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას. ათი გამოკითხულიდან მხოლოდ ერთი (11%) რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ქორწინებას და თანაცხოვრებას შორის არანაირი განსხვავება არ არსებობს. ასაკის და სქესის ჭრილში მონაცემი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

რეგიონის ჭრილის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები, თბილისში და ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით ნაკლებად ფიქრობენ, რომ ქორწინების თანაცხოვრებასთან უპირატესობა, პარტნიორებს შორის მეტი პასუხისმგებლობის არსებობაში გამოიხატება (თბილისი: 47%, ქალაქი: 50%, სოფელი: 36%), თუმცა სოფელში მცხოვრები ახალგაზრდების შედარებით დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოში ქორწინებას უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას, ვიდრე თბილისში ან რეგიონულ ქალაქებში (თბილისი: 15%, ქალაქი: 26%, სოფელი: 33%).

აღნიშნული მონაცემი ოჯახური სტატუსის ჭრილში რამდენადმე განსხვავდე-

ბა ჯამური მაჩვენებლებისგან. მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოში ქორწინებას უფრო მეტ პატივს სცემენს ვიდრე ქორწინების გარეშე თანაცხოვრებას იზიარებს მეტი განქორწინებული ახალგაზრდა, ვიდრე პარტნიორთან თანაცხოვრებაში მყოფები (დაუოჯახებელი – 25%, რეგისტრირებულ ქორწინებაში – 26%, პარტნიორთან არარეგისტრირებულ ურთიერთობაში მყოფი – 15%, განქორწინებული – 34%). თუმცა, იმ აზრს, რომ არანაირი განსხვავება და უპირატესობა ქორწინებას თანაცხოვრებასთან მიმართებაში არ გააჩნია პროცენტულად უფრო მეტი თანაცხოვრებაში მყოფი ახალგაზრდა ეთანხმება, ვიდრე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ან განქორწინებული (დაუოჯახებელი - 11%, რეგისტრირებულ ქორწინებაში – 9%, პარტნიორთან არარეგისტრირებულ ურთიერთობაში მყოფი – 26%, განქორწინებული – 5%).

გრაფიკი # 7.7 – ქორწინების უპირატესობა თანაცხოვრებასთან მიმართებაში



რაც შეეხება თანაცხოვრების უპირატესობების განსაზღვრას ქორწინებასთან მიმართებაში, აქ გამოკითხულთა მესამედს (33%) მიაჩნია, რომ არანაირი უპირატესობა თანაცხოვრებას ქორწინებასთან მიმართებაში არ გააჩნია, თუმცა ახალგაზრდების ერთი მეხუთედის მოსაზრებით (20%) თანაცხოვრების შემთხვევაში გაცილებით მარტივია ურთიერთობის დასრულება პარტნიორთან, ვიდრე ქორწინების შემთხვევაში. რესპონდენტების გარკვეული ნაწილი (13%), კი მიიჩნევს, რომ თანაცხოვრებისას პარტნიორებით შედარებით მეტად დამოუკიდებლები არიან, ვიდრე ქორწინებაში მყოფები.

მონაცემის რეგიონულ ჭრილში გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ თბილისში და რეგიონულ ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდები, სოფლის მაცხოვრებელ ახალგაზრდებთან შედარებით უფრო მეტად ფიქრობენ, რომ თანაცხო-

ვრებისას პარტნიორებით შედარებით მეტად დამოუკიდებლები არიან, ვიდრე ქორწინებაში მყოფები (თბილისი: 18%, ქალაქი: 14%, სოფელი: 8%), თუმცა მათ შორის ვინც ფიქრობს, რომ თანაცხოვრებას ქორწინებასთან შედარებით არანაირი უპირატესობა არ გააჩნია, უმრავლესობას სოფელში და რეგიონულ ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდები წარმოადგენენ (თბილისი: 27%, ქალაქი: 34%, სოფელი: 37%). რაც შეეხება მოსაზრებას, რომ თანაცხოვრების შემთხვევაში შედარებით მარტივია ურთიერთობის დასრულება, თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების პროცენტული წილი უფრო მაღალია, ვიდრე რეგიონული ქალაქებში ან სოფლებში მცხოვრებთა (თბილისი: 26%, ქალაქი: 21%, სოფელი: 15%).

მათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ თანაცხოვრებას არანაირი უპირატესობა ქორწინებასთან მიმართებაში არ გააჩნია, უმრავლესობას 19-24 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები არიან (14-18 ასაკობრივი კატეგორია – 27%; 19-24 ასაკობრივი კატეგორია – 36%, 25-29 ასაკობრივი კატეგორია – 34%). მონაცემის სქესის ჭრილში გაანალიზებისას, მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა.

თუ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ახალგაზრდების 10% ფიქრობს, რომ თანაცხოვრების შემთხვევაში ნაკლებია კონფლიქტების ალბათობა, აღნიშნულ მოსაზრებას თავად თანაცხოვრებაში მყოფი ახალგაზრდების შედარებით მცირე ნაწილი იზიარებს (2%). ხოლო დასაოჯახებელი (31%) და დაქორწინებული (რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი) (33%) ახალგაზრდების თითქმის მესამედი ფიქრობს, რომ არანაირი განსხვავება და უპირატესობები თანაცხოვრებას ქორწინებასთან მიმართებაში არ გააჩნია, თანაცხოვრებაში მყოფი ახალგაზრდების პროცენტული წილი აქ შედარებით მაღალია (55%).

გრაფიკი # 7.8 – თანაცხოვრების უპირატესობა ქორწინებასთან მიმართებაში



გამოკითხულთა მესამედზე მეტს მიაჩნია, რომ როგორც ქალისთვის, ისე მამაკაცისთვის ოჯახის შექმნის ოპტიმალური ასაკი ოცდახუთი წელია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდების გარკვეული ნაწილისთვის (17%) მოსაზრებით, თუ ქალისთვის ოჯახის შესაქმნელად საუკეთესო ასაკი ოცი წელია, მამაკაცების შემთხვევაში ბარიერი ოცდაათ წლამდე იწევს (18%).

მონაცემის გენდერის ჭრილში გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ თუ გოგონების თითქმის ნახევარი (44%) ფიქრობს, რომ ოცდახუთი წელი იდეალური ასაკია ქალის ქორწინებისთვის, ბიჭების პროცენტული წილი აქ შედარებით მცირეა (28%).

რაც შეეხება კაცისთვის ქორწინების იდეალურ ასაკს, თუ ათიდან ოთხი ბიჭი (40%) ფიქრობს, რომ ოცდახუთი წელი ქორწინებისთვის საუკეთესო ასაკია, აღნიშნულ მოსაზრებას ათიდან დაახლოებით სამი (31%) გოგო ეთანხმება.

თუ ოცდახუთი წელი 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი ახალგაზრდების მესამედზე ნაკლებს (30%) მიაჩნია ქორწინებისთვის იდეალურ პერიოდად, შედარებით მაღალი ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლების შემთხვევაში პროცენტული წილი მეტნაკლებად მაღალია (19-14 ასაკობრივი კატეგორია – 38%; 25-29 ასაკობრივი კატეგორია – 38%). რაც შეეხება ბიჭების ოცდაათი წლის ასაკში ქორწინებას, აქ რესპონდენტების ასაკის მატებასთან ერთად, პროცენტული წილიც იმატებს (14-18 ასაკობრივი კატეგორია- 9%; 19-14 ასაკობრივი კატეგორია – 18%; 25-29 ასაკობრივი კატეგორია – 25%).

ქორწინებისთვის იდეალური ასაკის შესახებ მოსაზრებები მეტნაკლებად განსხვავდება რეგიონის ჭრილში. მაშინ, როდესაც გოგონების ქორწინებისთვის ოცი წელი მისაღებია, თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების ძალიან მცირე ნაწილისთვის (6%), რეგიონული ქალაქების და სოფლის მაცხოვრებლების პროცენტული წილი შედარებით მაღალია (17% და 25% შესაბამისად). თუმცა, რაც შეეხება ოცდახუთ წელს, როგორც ქორწინებისთვის ოპტიმალურ ასაკს, აქ ტენდენცია საპირისპიროა. თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების თითქმის ნახევარს (44%) მიაჩნია, რომ აღნიშნული პერიოდი საუკეთესოა ოჯახის შესაქმნელად გოგონებისთვის, თუმცა რეგიონულ ქალაქებში და სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების პროცენტული წილი აქ შედარებით მცირეა (რეგიონული ქალაქები - 35%, სოფლები - 29%). რაც შეეხება ბიჭების დაოჯახებისთვის იდეალურ ასაკს, თუ ოცდახუთი წელი სოფელში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის უფრო მეტად მისაღებია, ვიდრე რეგიონული ქალაქების და თბილისის შემთხვევაში (თბილისი - 26%, რეგიონული ქალაქები - 36%, სოფლები - 43%), ოჯახის შექმნისთვის ოცდაათი წელი იდეალურად მიაჩნია პროცენტულად მეტ თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდას, ვიდრე რეგიონულ ქალაქებში ან სოფლებში მცხოვრებლებს (თბილისი - 25%, რეგიონული ქალაქები - 19%, სოფლები- 11%).

გრაფიკი # 7.9 - საუკეთესო ასაკი ოჯახის შექმნისთვის



საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ უნდა ორი (41%) ან სამი (34%) შვილი ჰყავდეს, ხოლო ყოველი მეათე (11%) ახალგაზრდას ოთხი შვილი სურს. მათ შორის, რესპონდენტების თითქმის ნახევარს (52%) სურს, რომ ერთი გოგონა ჰყავდეს, ხოლო ნახევარს (50%) ერთი ბიჭი. ისინი, ვისაც ორი ბიჭის ან ორი გოგონას ყოლის სურვილი აქვს ახალგაზრდების დაახლოებით ერთი მეხუთედი ნაწილია (27%, 24%).

აღნიშნული მონაცემის რეგიონის ჭრილში გაანალიზებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების უმრავლესობას (39%) სურს 3 შვილი ყავდეს, ხოლო რეგიონულ ქალაქებში და სოფლებში მცხოვრებთა უმ-რავლესობას ორი შვილის ყოლის სურვილი აქვს (45%, 42%). აქვე უნდა აღი-ნიშნოს, რომ ბიჭების უმრავლესობას (37%) უნდა, რომ სამი შვილი ყავდეს, ხოლო გოგონების დიდ ნაწილს (47%) ორი შვილის ყოლა სურს.

გრაფიკი # 7.10 – შვილების სასურველი რაოდენობა



ახალგაზრდების უმრავლესობას (74%) არ ჰყავს შვილი. ბუნებრივია, რომ 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელ ახალგაზრდებს შვილი არ ჰყავთ (99%). 19-24 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელ ათიდან რვა (80%) ახალგაზრდას ასევე არ ჰყავს შვილი, თუმცა შედარებით მცირე ნაწილი ერთი (14%) ან ორი (6%) შვილის მშობელია. რაც შეეხება 25-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელ ახალგაზრდებს, აქ მშობელთა პროცენტული წილი შედარებით მაღალია. თითქმის ნახევარი (48%) აცხადებს, რომ შვილი არ ჰყავს, თუმცა ახალგაზრდების თითქმის მესამედი (29%) აცხადებს, რომ ორი შვილი ყავს, ხოლო შედარებით მცირე ნაწილს (18%) - ერთი. რეგიონის ჭრილში აღნიშნული მონაცემი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

გრაფიკი # 7.11 – შვილების რაოდენობა



კვლევის შედეგების თანახმად, მათ შორის, ვისაც შვილი ჯერ-ჯერობით არ ჰყავს, უმრავლესობა (45%) 26-31 ასაკის პერიოდში გეგმავს გაჩენას, ხოლო მათი დაახლოებით მესამედი (35%) 21-25 წლის ასაკის შუალედში. მართალია ახალგაზრდების დიდ ნაწილს პირველი შვილის გაჩენისთვის საუკეთესო ასაკი 26-დან 31 წლის ჩათვლით მიაჩნიათ, თუმცა, აღნიშნულ მონაცემში რეგიონულ ქალაქებში და სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების პროცენტული წილი უფრო მაღალია, ვიდრე თბილისში მაცხოვრებლების (თბილისი -23%, რეგიონული ქალაქები - 41%, სოფლები - 42%).

აღსანიშნავია, რომ თუ 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წრმომადგენელი ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარი (51%) ფიქრობს, რომ 21-25 წელი იდეალური ასაკია პირველი ბავშვის გასაჩენად, 25-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლებისთვის (80%) პირველი შვილის გასაჩენად იდეალური ასაკი 26-31 წელია.

გრაფიკი # 7.12 – საუკეთესო ასაკი პირველი შვილის გასაჩენად



ფოკუსური ჯგუფის რესპონდენტების აღქმები მათ მომავალთან, სამომავლო გეგმებთან და პერსპექტივებთან, ასევე ოჯახს და მშობლებს უკავშირდება. ახალგაზრდების დიდ ნაწილს, საკუთარ ცხოვრებისეულ მიზნად მიაჩნია მომავალში შეძლოს ოჯახის წევრების და მშობლების ფინანსური უზრუნველყოფა. თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების მოსაზრებით, ისინი გარკვეულწილად ანგარიშვალდებულები არიან მშობლების მიმართ, რადგან მათ გაიღეს გარკვეული ფინანსები და ზრუნავდნენ საკუთარი შვილების მომავალზე. ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდების აღქმით, იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეძლებენ საკუთარი მშობლებისთვის „ვალის დაბრუნებას“ და მათ ფინანსურად უზრუნველყოფას, ეს მათთვისაც ბედნიერების საწინდარი იქნება.

„რათქმაუნდა იმას, რომ შევიქმნა უზრუნველი ცხოვრება და დამოუკიდებლად ვარჩინო ოჯახი.“ [სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქალაქის ტიპის დასახლება, მდედრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ოჯახს და ახლობლებს ფინანსურად დავეხმარო. ჩემმა მშობლებმა იწვალეს, ფინანსები გაიღეს. იმ ამაგს რომ გადავუხდი, მე ხომ ბედნიერი ვიქნები.“ [სამეგრელო-ზემო სვანეთი, სოფლის ტიპის დასახლება, მამრობითი, 14-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

მომავალი მეუღლის შერჩევისას ახალგაზრდების უმრავლესობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას (ძალიან მნიშვნელოვანი – 64%) პიროვნულ თვისებებს და საერთო ინტერესებს ანიჭებს (ძალიან მნიშვნელოვანი – 56%), თუმცა ასევე ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს რელიგია (ძალიან მნიშვნელოვანი + მნიშვნელოვანი = 80%) და ოჯახის კეთილგანწყობა (ძალიან მნიშვნელოვანი + მნიშვნელოვანი = 86%). კვლევის მონაცემების თანახმად, ახალგაზრდებისთვის ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორს მომავალი მეუღლის შერჩევისას რეგიონული წარმომავლობა (46%) წარმოადგენს. რაც შეეხება ქალიშვილობა/ვაჟიშვილობის ფაქტორის მნიშვნელობას, თუ კი ჯამური სურათის შემთხვევაში ათიდან ექვსი ახალგაზრდა აცხადებს, რომ მომავალი მეუღლის შერჩევისას მნიშვნელოვანია, რომ მას სექსუალური გამოცდილება არ ჰქონდეს, თუმცა აღნიშნული მონაცემის სქესის ჭრილში გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ მათ უმრავლესობას, ვინც ფიქრობს რომ ქალიშვილობა/ვაჟიშვილობა მნიშვნელოვანი ფაქტორია მომავალი მეუღლის შერჩევისას ბიჭები წარმოადგენენ (80%), თუმცა აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ათიდან ოთხი მდედრობითი სქესის ახალგაზრდა (41%). აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური მდგომარეობა მომავალი მეუღლის შერჩევისას შედარებით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მდედრობითი სქესის ახალგაზრდებისთვის, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლებისთვის (მამრობითი – 34%, მდედრობითი – 69%). მომავალი მეუღლის შერჩევისას განათლების დონეს, როგორც გადაწყვეტილებაზე მოქმედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს შედარებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გოგონები, ვიდრე ბიჭები (მამრობითი – 73%, მდედრობითი – 85%).

გრაფიკი # 7.13 - მნიშვნელოვანი ფაქტორები მომავალი მეუღლის შერჩევისას



ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი (24%) რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება, ხოლო უმრავლესობა (69%) დასაოჯახებელია. რესპონდენტების მცირე ნაწილი აცხადებს, რომ ქორწინების გარეშე ცხოვრობს პარტნიორთან ერთად, ხოლო კიდევ უფრო მცირე ნაწილი განქორწინებულია (2%). დაოჯახებული ახალგაზრდების უმრავლესობა (45%) 25-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი ახალგაზრდები არიან, ხოლო დასაოჯახებელთა უმრავლესობა (96%) 14-18 ასაკობრივ კატეგორიას წარმოადგენენ. მათ შორის, ვინც პარტნიორთან თანაცხოვრებაში იმყოფება უმრავლესობა (7%) ასევე 25-29 წლისაა.

გრაფიკი # 7.14 - ოჯახური მდგომარეობა



რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ახალგაზრდების უმრავლესობა (90%) დაქორწინებას გეგმავს. მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოუდგენია საკუთარი თავი მომავალში, როგორც მარტოხელა, თუმცა შვილებთან ერთად (2%) და ასევე მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ შესაძლოა მომავალში იყოს მარტო და შვილების გარეშე (2%). მათ შორის, ვისაც მომავალში თავი ქორწინებაში მყოფი წარმოუდგენია, უმრავლესობას ის ახალგაზრდები წარმოადგენენ, ვინც ამჟამად იმყოფება რეგისტრირებულ ქოწინებაში (95%) ან თანაცხოვრებაშია პარტნიორთან (97%). მათ შორის, ვინც ამჟამად არ იმყოფება არც რეგისტრირებულ და არც არარეგისტრირებულ ქორწინებაში, უმრავლესობას (89%) მომავალში, თავი, ასევე, ქორწინებაში წარმოუდგენია, თუმცა მათი ძალიან მცირე ნაწილი აცხადებს, რომ შესაძლოა არარეგისტრირებული ურთიერთობა ჰქონდეს პარტნიორთან (3%). ასაკის და რეგიონის ჭრილში მონაცემი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

გრაფიკი # 7.15 –ქორწინებასთან და შვილებთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები



საზოგადოება და სოციალური წრე

ახალლგაზრდების ნახევარზე მეტი (57%) აცხადებს, რომ ხშირად ატარებს დროს მეგობრებთან ერთად, ხოლო გამოკითხულთა ერთი მეოთხედი (25%) აღნიშნულ ქმედებას იშვიათად ახორციელებს.

გრაფიკი # 7.16 – მეგობრებთან ერთად დროის გატარების სიხშირე



როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, მეგობრებთან ერთად დროის გატარება, ნაწილობრივ ჩაანაცვლა თანატოლებთან ინტერნეტის მეშვეობით კომუნიკაციამ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა (86%) ინტერნეტს სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით მოიხმარს. თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების მოსაზრებით, ინტერნეტი უმეტეს შემთხვევაში მეგობრებთან კომუნიკაციის აქტიურ საშუალებას წარმოადგენს.

გრაფიკი # 7.17 - ინტერნეტის გამოყენება სოციალიზაციისათვის

ფოკუსური ჯგუფების ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ თავისუფალი დროის დიდ ნაწილს მეგობრების წრეში ატარებს. რესპონდენტების ნაწილის ინფორმაციით, ისინი ცდილობენ, მეგობრებს როგორც გარეთ, კაფეში ან პიკნიკზე შეხვდნენ, ისე ერთმანეთის სახლში ფილმის ყურებით, მუსიკის მოსმენით და ერთმანეთთან საუბრით დრო ერთად და მხიარულად გაატარონ.

„მე და ჩემი მეგობრები, მაგალითად გავდივართ ქალაქშიც, გავდივართ ხშირად კონცერტებზე. ხშირად ვიკრიბებით ერთმანეთთან სახლში, ვუყურებთ ფილმებს, ვუსმენთ მუსიკებს, ვსაუბრობთ, კომპიუტერთანაც დიდ დროს ვატარებთ.“ [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, ქალაქის ტიპის დასახლება, მდედრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

„თავისუფალ დროს მეგობრებთან ერად ვატარებ, იშვიათად მაქვს, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ გარეთ გავიდე და გავერთო, საცეკვაოდ მივდივართ, ბუნებაში პიკნიკზე და ა. შ.“ [თბილისი, ქალაქის ტიპის დასახლება, მდედრობითი, 19-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

ფოკუსური ჯგუფის რესპონდენტები აცხადებენ, რომ პირისპირ ურთიერთობებს ახალგაზრდების ცხოვრებაში ძალიან მცირე ადგილი უკავია და მეგობრებთან კომუნიკაციის ძირითად საშუალებას სოციალური ქსელები წარმოადგენს. სოციალური ქსელების საშუალებით კომუნიკაციის დამყარება, ინფორმაციის გაცვლა და ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობა, თვისებრივი კვლევის მონაწილე ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, გაცილებით უმარტივდებათ დღესდღეობით ახალგაზრდებს, ვიდრე პირისპირ საუბარი.

ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდების მოსაზრებით, სამეგობრო წრე დიდ გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე, სამომავლო მიზნების განსაზღვრასა და ინტერესებზე. რესპონდენტების აღქმით და დაკვირვებით, ახალგაზრდები, რომელთა მეგობრებსაც ინტერესების დეფიციტი გააჩნიათ, თავადაც დროის დიდ ნაწილს უაზროდ და არამიზანმიმართულად ატარებენ.

„უმეტესობას არ აქვს, მაგრამ ჩემს სამეგობროში გართობაც ძალიან გვიყვარს, მოტივირებულები ვართ ძალიან სწავლაზე და გვინდა ჩვენი კარიერა და მომავალი ავაწყოთ და დავალაგოთ როგორც ჩვენ გვინდა...ბევრი ზარმაცია, არაფერი არ აინტერესებს. უმეტესობა გოგოების და ბიჭების გამოდიან ქალაქში და დგანან უაზრო და ლაპარაკობენ უაზრო თემებზე, მეტი არაფერი.“ [იმერეთი/რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სოფლის ტიპის დასახლება, მდედრობითი, 14-29 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფოკუსური ჯგუფის დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი ფიქრობს, რომ ახალგაზრდები აგრესიულები არიან საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ. ოჯახს და აღზრდას უკავშირებს თვისებრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების ნაწილი ახალგაზრდებში აგრესიის გამოვლენას. მათი აღქმით, ის, რასაც ოჯახში ხედავენ მოზარდები შემდგომ მათ აგრესიულ ქცევაში ვლინდება. თუმცა, ახალგზარდების მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ მსგავსი დამოკიდებულება არასწორია და ხშირ შემთხვევაში შესაძლოა ის მოზარდი, რომელიც ოჯახში აგრესიას აწყდება, თავად აღნიშნულ ქცევის მოდელს არ იმეორებდეს და პირიქით, აგრესიას ავლენდეს მაშინ, როდესაც მისი მშობლები ცდილობენ გაწონასწორებული და მშვიდი გარემო შექმნან ოჯახში. ასეთ შემთხვევაში, კვლევის მონაწილე რესპონდენტების მოსაზრებით, შესაძლოა სამეგობრო წრე და ის გარემო ახდენდეს გავლენას, რომელშიც მოზარდი ოჯახის გარეთ ხვდება.

„ოჯახიდან მოდის ეს ყველაფერი, ოჯახში რასაც ხედავენ იმას აკეთებენ. ვიღაცეები აგრესიულები არიან იმიტომ, რომ რაღაცეებს ეწინააღმდეგებიან და ამ აგრესიაში გადმოსცემენ თავიანთ ემოციას.“ [აჭარა/გურია, ქალაქის ტიპის დასახლება, მდედრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

„არ ვეთანხმები როდესაც ოჯახიდან მოდის აგრესია, მაგალითზე ვიცი ძალიან ნორმალური და ზრდილობიანი ადამიანია და მის ოჯახში არ არის დალეგებული სიტუაცია. ჩემი აზრით უფრო ქუჩა მოქმედებს.“ [აჭარა/გურია, ქალაქის ტიპის დასახლება, მდედრობითი, 14-18 ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი]

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, „საქართველოს ახალგაზრდების კვლევის“ ფარგლებში გამოკითხული ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილე რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ოჯახი და სამეგობრო წრე დიდ გავლენას ახდენს მოზარდის განვითარებასა და მისი გამოხატვის თავისებურებებზე.

დისკუსია

ოჯახი, საქართველოში, ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებად ითვლება. სამწუხაროდ, არ არსებობს მეცნიერული მტკიცებულება იმისა, რომ ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენდა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანებისათვის ორი ათწლეულის წინ, სანამ საქართველოში ძირეული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები განხორციელდებოდა. თუ ქართულ კულტურასა და ლიტერატურას გადავხედავთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოჯახური ღირებულებები საქართველოში, საუკუნეების წინ იყო აღიარებული. ეს ტენდენცია დასტურდება ბევრი ბოლოდროინდელი კვლევით, მათ შორის ახალგაზრდობის კვლევითაც, ვინაიდან ახალგაზრდების დიდმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ მომავალში დაქორწინება და ოჯახის შექმნა სურს. ოჯახური ღირებულებების გადაცემა ძველიდან ახალ თაობაზე ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს დიდ ოჯახში ცხოვრებას, რადგან დაქორწინებული წყვილები ხშირად კვლავ თავიანთ მშობლებთან ცხოვრობენ, ეს უკანასკნელნი კი ბავშვის აღზრდის პასუხისმგებლობას აქტიურად ინაწილებენ. ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უფროსი თაობების ანუ ბებია-ბაბუების ღირებულებები, რომლებსაც ახალგაზრდების მშობლები შეიძლება ცოტათი ნაკლებად იზიარებდნენ, ახალი თაობის წარმომადგენლებშიც შეიძლება შეგვხვდეს.

რაც შეეხება თაობათა შორის განსხვავებებს და ურთიერთობას მშობლებთან და მეგობრებთან, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი მშობლებს კარგად ეწყობა, დაახლოებით 40% ამბობს, რომ მშობლებისგან გარკვეულწილად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ახალგაზრდების მშობლებზე ფინანსურად დამოკიდებულების ძალიან მაღალი დონე. თუმცა, მიუხედავად ამ დამოკიდებულებისა, ასევე დიდია იმ ახალგაზრდების რიცხვი, ვინც გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს. არჩევანის თავისუფლება უფრო შეზღუდული ჩანს საქართველოს რეგიონულ ქალაქებსა და სოფლებში. სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები ასევე უფრო კრიტიკულები არიან მშობლების ჩართულობის მიმართ ახალგაზრდების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რადგან ფიქრობენ, რომ მშობლებს ურჩევნიათ აკონტროლონ თავიანთი შვილები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალგაზრდები უფრო ახლოს არიან თავიანთ მეგობრებთან, ვიდრე ოჯახის წევრებთან და ბუნებრივია, მეგობრებს უფრო კარგად ეწყობიან. მეგობრობა და რომანტიული ურთიერთობები დაახლოებით მსგავს ფუნქციებს ატარებს და სრულიად ბუნებრივია, რომ ახალგაზრდების აზრით, საერთო ინტერესების ქონა და პიროვნული თვისებები ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია რომანტიული პარტნიორის არჩევისას. საერთო ინტერესები და პიროვნული თვისებები ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს ჰქონდეთ უფრო სიმეტრიული ურთიერთობები თავიანთ მეგობრებთან და რომანტიულ პარტნიორებთან, ვიდრე თავიანთ მშობლებთან.

დასვენება და ცხოვრების წესი

შესავალი

კელის მიხედვით, თავისუფალ დროს განხორციელებული აქტივობები შედგება იმისგან, რის გაკეთებასაც ჩვენ თავად ვირჩევთ და ჩვენი ცხოვრების სხვა სეგმენტებისგან განსხვავებით, ეს ნაწილი შესაძლოა ნაკლებად პროგნოზირებადი იყოს (Kelly, 1975). დასვენების დროს განხორციელებულ აქტივობებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადამიანების კეთილდღეობა. განსხვავებით სამსახურის, სწავლის, მშობლობის თუ სხვა სოციალური ვალდებულებებისგან, დასვენების აქტივობები ნამდვილად გამოხატავენ ადამიანების სურვილებს და მისწრაფებებს; ეს აქტივობები შეგვიძლია განვიხილოთ როგორც რეგენერაციის და ენერგიის წყარო.

მიუხედავად იმისა, რომ დასვენების აქტივობები პიროვნების თავისუფალი არჩევანია, ეს არჩევანი მაინც შეზღუდულია დროით, წრით, სოციალური როლებით და ა.შ. ის, თუ რას დაუთმობენ ადამიანები საკუთარ თავისუფალ დროს, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რისგან შედგება მათი ცხოვრება და, როგორც კელი აღნიშნავს, დასვენების აქტივობები იცვლება ახალი შესაძლებლობების, ახალი კავშირებისა თუ ახალი სოციალური როლების შესაბამისად.

კელის მიხედვით, დასვენების აქტივობები შეიძლება დაიყოს სამ პირობით განზომილებად: (1) უპირობო დასვენება: აქტივობები, რომლებიც შერჩეულია პირადი სიამოვნებისთვის, შინაგანი მოთხოვნილებების კარნახით და მათ დასაკამაყოფილებლად. (2) კოორდინირებული დასვენება: აქტივობები, რომლებიც თავისი ფორმით გავს შრომას, თუმცა ნებაყოფლობითია და მათში მონაწილეობისგან თავშეკავებას არ მოსდევს ჯარიმა. (3) დამატებითი დასვენება: აქტივობები, რომელთა არჩევაც განაპირობა სამსახურეობრივი, ოჯახური თუ საზოგადოებრივი როლის გამო არსებულმა მოლოდინებმა. ეს განზომილებები ერთმანეთს არ გამორიცხავს და მათ შორის არ არსებობს მკვეთრი ზღვარი, თუმცა კვლევები აჩვენებს, რომ სწორედ სოციალური როლები განსაზღვრავს თავისუფალ დროს განხორციელებული აქტივობები არის უპირობო თუ დამატებითი. მაგალითად წყვილების თავისუფალი დროს განხორციელებული უპირობო აქტივობები იცვლება დამატებითი აქტივობებით მას შემდეგ რაც მათ უჩნდებათ შვილები და მათთვის ოჯახური როლები ხდება წამყვანი (Kelly, 1975).

სარისკო ქცევა, როგორიცაა მოწევა და დალევა, ასევე წარმოადგენს პიროვნების თავისუფალ არჩევანს, თუმცა ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ ეს აქტივობები შეიძლება განხილული იყოს როგორც დამატებითი ტიპის აქტივობა, რამდენადაც აშკარაა თანატოლებისა და გარემომცველი სიტუაციის წნეხი, რომელიც ახალგაზრდებში მოწევისა და დალევის დაწყებას ახალისებს. ჰორსტისა და კოფის მიხედვით, სამეგობრო წრის ხასიათი პირდაპირ არის დაკავშირებული სუბიექტურ კეთილდღეობასთან. ზოგადად, მეგობრების წრეს დადებითი გავლენა აქვს ჯანმრთელობასა და შესაბამისად სუბიექტურ კეთილდღეობაზეც, თუმცა მეგობრებმა ასევე შეიძლება წაახალისონ ინდივიდებში მოწევა და არანორმირებული კვება (Horst, Coffé, 2012).

დასვენების აქტივობები, ისევე როგორც სარისკო ქცევა, ახალგაზრდების ცხოვრების წესის ნაწილია. მოცემული კვლევა შეიცავდა კითხვების სპეციალურ ბლოკს ახალგაზრდების ცხოვრების წესთან დაკავშირებით. ამ კითხვების მიზანი იყო განესაზღვრა თუ როგორ ატარებენ ახალგაზრდები თავისუფალ დროს, აღმოეჩინა ახალგაზრდების სარისკო ქცევები და ეჩვენებინა, თუ როგორ განსხვავდება თავისუფალი დროის გამოყენება ასაკობრივი, გენდერული თუ სხვა მახასიათებლით განსხვავებულ ჯგუფებში.

ძირითადი მიგნებები

- ძირითადი აქტივობები, რომლებზეც ახალგაზრდები რეგულარულად ხარჯავენ დროს მოდის გართობასა და რელაქსაციაზე, როგორიცაა მუსიკის მოსმენა (70%), ფილმების/ ტელევიზორის ყურება (61%) და მეგობრებთან ერთად გართობა (57%);
- ახალგაზრდების 30% აცხადებს, რომ უყურებს ახალ ამბებს ტელევიზორით, კომპიუტერით, პლანშეტით ან სმარტფონით ყოველდღიურად;
- უცხოური ფილმებს ახალგაზრდების 16% ყოველდღიურად უთმობს დროს, ხოლო 73% კვირაში ერთხელ მაინც;
- ახალგაზრდების 88%-ს აქვს წვდომა ინტერნეტთან;
- ახალგაზრდების 12%, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ ინტერნეტზე, ძირითადად სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები არიან;
- ახალგაზრდები საშუალოდ 3.7 საათს ატარებენ ინტერნეტში;
- ახალგაზრდების უმრავლესობა ინტერნეტს სოციალური ქსელებისთვის იყენებს, ამავდროულად მათი ნახევარი ინტერნეტს ფილმების სანახავად და ადამიანებთან კომუნიკაციისთვის იყენებს;
- ახალგაზრდების 32% ეწევა სიგარეტს; მამრობითი სქესის წარმომადგენლების 36% რეგულარულად ეწევა, მაშინ როცა მდედრობითი სქესის ახალგაზრდების მხოლოდ 7% ეწევა რეგულარულად;
- ახალგაზრდების 2% აცხადებს, რომ ალკოჰოლს ყოველდღიურად მოიხმარს;
- ახალგაზრდების 88%-ს არასდროს მოუწევია მარიხუანა, 8% კი იშვიათად ეწევა;
- მამრობითი სქესის ახალგაზრდების 49%-სთვის ალკოჰოლი მისაღებია და 16% თვლის, რომ ალკოჰოლის მოხმარება აუცილებელია, რათა სხვებმა მიგიღონ;
- ახალგაზრდების უმრავლესობა (85%) თვლის, რომ მოდურია, როცა კარგად გამოიყურები და ატარებ ბრენდულ სამოსს (75%);
- ახალგაზრდების უმრავლესობა ძალიან ან უფრო მეტად კმაყოფილია საკუთარი გარეგნობით (71%);
- ახალგაზრდებს შორის მათი წილი, ვისაც არასდროს ჰყოლია სექსუალური პარტნიორი, ჰყოლია ერთი და რამდენიმე სექსუალური პარტნიორი თითქმის თანაბრადაა განაწილებული (35%, 30%, 30%);
- იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც ძალადობრივ ქმედებაში ყოფილან ჩართული, ძალიან დაბალია; თუმცა, როცა ასეთი ფაქტები ხდება, ეს ხდება სამეზობლოში ან სკოლაში/ უნივერსიტეტში (15%, 18%).

ანალიზი

თავისუფალ დროს განხორციელებული აქტივობები

კვლევის თანახმად, ძირითადი აქტივობები, რომლებზეც ახალგაზრდები რეგულარულად ხარჯავენ დროს მოდის გართობისა და რელაქსაციის ისეთ აქტივობებზე, როგორიცაა მუსიკის მოსმენა, ფილმების ან ტელევიზორის ყურება და მეგობრებთან ერთად გართობა. ამ აქტივობებს რეგულარულად მიმართავს ახალგაზრდების ნახევარზე მეტი. ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობები შეიძლება დავახასიათოთ როგორც არასტრუქტურირებული, რამდენადაც მათ განსახორციელებლად არ არის საჭირო კონკრეტული საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა. ამ აქტივობების უმრავლესობა შესაძლოა განხორციელდეს პრივატულად, თუმცა, მეგობრებთან გართობა შესაძლოა გულისხმობდეს აქტივობების ფართო სპექტს, მათ შორის იმ ვარიანტებსაც, რომლებიც ზემოთ არის ჩამოთვლილი. მეტად სტრუქტურირებულ აქტივობებს, რომლებიც მოითხოვენ გარკვეულ დონეზე ორგანიზებას და შეგვიძლია განვიხილოთ როგორც უფრო შემეცნებითი და კრეატიული აქტივობები, ახალგაზრდები რეგულარულად არ მიმართავენ. ყოველი მეოთხე ახალგაზრდა რეგულარულად კითხულობს წიგნს ან ჟურნალ-გაზეთებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დროგამოშვებით კითხვაზე თავისუფალ დროს ახალგაზრდების 61% ხარჯავს. ახალგაზრდების 50% ასევე დროგამოშვებით ხარჯავს თავისუფალ დროს სპორტულ აქტივობებსა და ლაშქრობებზე.

სურათი # 8.1 - თავისუფალ დროს განხორციელებული აქტივობები



კორელაციის ცხრილი აჩვენებს, რომ მეგობრებთან ერთად გართობა ხშირად გულისხმობს მუსიკის მოსმენასაც. მიუხედავად იმისა, რომ ვიდეო თამაშები ძირითადად პრივატულ აქტივობადაა მიჩნეული, საქართველოში ეს აქტივობა ახალგაზრდების მეგობრებთან სოციალიზაციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ასევე აღსანიშნავია, რომ ტელევიზორის ყურება ხშირად გამორიცხავს დასვენების სხვა საშუალებებს, როგორიცაა მუსიკის მოსმენა, კითხვა, მეგობრებთან ერთად გართობა ან სპორტული აქტივობები.

სურათი #8.2 - დასვენების დროს აქტივობებს შორის არსებული კორელაციის ხარისხი

სპირმანის რო	მეგობრებთან ერთად გართობა	წიგნების/ ჟურნალ-გაზეთების კითხვა	სპორტული აქტივობები	ტელევიზორის ყურება	ფილმების ყურება	წერა, ხატვა, მუსიკალურ საკრავებზე დაკვრა	ვიდეო თამაშები
მუსიკის მოსმენა	.236**	.151**	.177**	-.076**	.135**	.210**	.113**
მეგობრებთან ერთად გართობა		.076**	.298**	-.077**	.156**	.064*	.214**
წიგნების/ ჟურნალ-გაზეთების კითხვა			.162**	-.136**	-.001	.326**	-.024
სპორტული აქტივობები				-.147**	.022	.212**	.349**
ტელევიზორის ყურება					.304**	-.152**	.005
ფილმების ყურება						.039	.118**
წერა, ხატვა, მუსიკალურ საკრავებზე დაკვრა							.089**

ახალგაზრდების ოთხი მთავარი აქტივობა განსხვავდება თუ მონაცემებს შევხედავთ ასაკობრივი კატეგორიების ჭრილში. თუ მუსიკას აქტიურად უსმენენ 14-18 წლის (79%) და 19-24 წლის (71%) ახალგაზრდები, 25-29 წლის

ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლების მხოლოდ 62% უსმენს მუსიკას ხშირად. ტენდენცია იგივეა მეგობრებთან ერთად დროის გატარების თვალსაზრისით - რაც უფრო იმატებს ასაკი, მით უფრო ნაკლებია წილი ახალგაზრდების, რომლებიც ხშირად ატარებენ დროს მეგობრებთან. 14-18 და 19-24 წლის ახალგაზრდები ყველაზე აქტიურები არიან თავისუფალი დროის მეგობრებთან გატარების თვალსაზრისით (65%), მაშინ როცა 25-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 46% ატარებს მეგობრებთან დროს ხშირად.

ტელევიზორი ახალგაზრდების ცხოვრების წესის ნაწილია და ასაკთან ერთად იმატებს იმ ახალგაზრდების რაოდენობაც, რომლებიც ხშირად უყურებენ ტელევიზორს. თუ თავისუფალ დროს 14-18 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 40% უყურებს ტელევიზორს აქტიურად, შედარებით უფროს ასაკობრივ ჯგუფებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია (58%). თავისუფალი დროის კონკრეტული აქტივობებისთვის (მუსიკის მოსმენა, მეგობრებთან ერთად გართობა, კითხვა, წერა, ხატვა, სპორტი, ვიდეო თამაშები) რეგულარულად დათმობის ტენდენცია მსგავსია ახალგაზრდებში - ასაკთან ერთად მცირდება ახალგაზრდების წილი, რომლებიც კონკრეტული სტრუქტურირებული თუ არასტრუქტურირებული აქტივობით რეგულარულად არიან დაკავებული.

სოციალიზაციისთვის ან პირადი აქტივობებისთვის დათმობილი დროის შემცირება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ცხოვრების ახალ წესთან, რაც განპირობებულია ქორწინებით ან პარტნიორთან თანაცხოვრებით, ასევე შვილების გაჩენით. ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან ქორწინებაში მეტ დროს ატარებენ მეგობრებთან, უფრო ხშირად უსმენენ მუსიკას და დაკავებული არიან სპორტით, ვიდრე მათი დაქორწინებული ან პარტნიორთან ერთად მცხოვრები თანატოლები. მეორე მხრივ, დაქორწინებული ან პარტნიორთან ერთად მცხოვრები ახალგაზრდები მეტ დროს უთმობენ ტელევიზორს.

სურათი # 8.3 - თავისუფალ დროს განხორციელებული აქტივობები ოჯახური მდგომარეობის მიხედვით (ხშირად, %)



ახალგაზრდები, რომლებსაც ჰყავთ შვილები ნაკლებ დროს უთმობენ სოციალიზაციას ვიდრე მათი თანატოლები, რომლებსაც შვილები არ ჰყავთ. ახალგაზრდა მშობლების შედარებით მცირე ნაწილი უსმენს მუსიკას, თუმცა ტელევიზორი ბევრად პოპულარულია იმ ახალგაზრდებს შორის ვისაც შვილები ჰყავთ.

თავისუფალ დროს ახალგაზრდები განსხვავებულად იყენებენ სხვადასხვა ტიპის დასახლებულ პუნქტებში. მუსიკის მოსმენა ურბანულ სივრცეში მცხოვრები ახალგაზრდების უმრავლესობის რეგულარული აქტივობაა (თბილისი 79%, სხვა ქალაქები 74%), მაშინ როცა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების მხოლოდ 62% ატარებს თავისუფალ დროს ამგვარად. სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების უფრო დიდი ნაწილი (64%) უყურებს ტელევიზორს რეგულარულად თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდებთან (37%) და სხვა ქალაქებში

მცხოვრებ ახალგაზრდებთან (45%) შედარებით. სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების შედარებით მცირე ნაწილი (52%) ერთობა მეგობრებთან, თბილისსა (61%) და სხვა ქალაქებში (60%) ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია.

აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში 14-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 21% არის დაკავებული სპორტული აქტივობებით, თუმცა ფიზიკურად აქტიური ახალგაზრდების წილი ქალაქად და სოფლად თითქმის თანაბარია (თბილისი 20%, სხვა ქალაქები 22%, სოფლად 22%).

ახალგაზრდების ცხოვრების წესის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი აქვს სქესსაც. უფრო მეტი მამრობითი სქესის წარმომადგენელი (68%) უთმობს თავის თავისუფალ დროს რეგულარულად მეგობრებთან გართობას, ვიდრე მათი მდედრობითი სქესის თანატოლები (46%). ასევე მამრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო აქტიურები არიან ფიზიკურად (34%) ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები (7%).

მშობლების განათლების დონე ასევე ახდენს გავლენას ახალგაზრდების მიერ თავისუფალი დროის გამოყენებაზე. რაც უფრო მაღალია მშობლების განათლების დონე, მით უფრო დიდია წილი ახალგაზრდების, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საგანმანათლებლო და კრეატიულ აქტივობებში, როგორებიცაა წიგნების და ჟურნალ-გაზეთების კითხვა, წერა, ხატვა, სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა. ასევე ნაკლებია ახალგაზრდების წილი, რომლებიც ტელევიზორთან ატარებენ თავისუფალ დროს, როცა მშობლებს უმაღლესი განათლება აქვთ.

აქტივობები, რომლებზეც ახალგაზრდები თავისუფალ დროს ხარჯავენ, ინდივიდუალური შემთხვევების მიხედვით ცვალებადია, თუმცა საერთო ჯამში ახალგაზრდებს ურჩევნიათ საკუთარი თავისუფალი დრო გართობაზე დახარჯონ. აქტივობები, რომლებიც მონაწილეებმა ფოკუს ჯგუფებში დისკუსიისას აღწერეს, ძირითადად ემთხვევა რაოდენობრივი კვლევის შედეგებს. ახალგაზრდები საკუთარ დროს ძირითადად ისეთ აქტივობებზე ხარჯავენ, რომლებიც არ მოითხოვს თვითორგანიზებას და უფრო მეტად არასტრუქტურირებულია, მაგალითად მეგობრებთან ერთად გართობა, მუსიკის მოსმენა და ფილმების ყურება. მათთვის, ვისაც მეტი თავისუფალი დრო აქვს, მეგობრებთან ერთად გართობა ყველაზე მიმზიდველი აქტივობაა, მიუხედავად იმისა, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენლების შემთხვევაში ეს შეიძლება ქუჩაში დროის გატარებას ნიშნავდეს, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლების შემთხვევაში ერთმანეთთან შინ სტუმრობას.

მე სრულად ვეთანხმები, რომ გოგონები და ბიჭები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ბიჭები შეიძლება გავიდნენ შუაღამის 1 საათზე ქუჩაში და დალიონ ლუდი, როცა გოგოებისთვის მიუღებელია შუაღამისას პარკში დასხდომა და ლუდის დალევა. [სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქალაქში მცხოვრები, მდედრობითი სქესი, 19-29 წლის ასაკობრივი კატეგორია]

გოგოები ძირითადად ერთმანეთთან სახლებში იკრიბებიან. ჩემი მეგობრების უმრავლესობა დაოჯახებულია და, როგორც წესი, სწორედ მათთან ვიკრიბებით. ვლაპარაკობთ, შეიძლება კაფეში წავიდეთ. ბიჭები ძირითადად სათამაშოდ მიდიან, ან სვამენ და ა.შ. [სამეგრელო-ზემო სვანეთი, სოფლად მცხოვრები, მდედრობითი სქესი, 19-29 წლის ასაკობრივი კატეგორია]

გართობა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის უფრო კონსერვატიული ხასიათისაა.

დისკუსია ფოკუს ჯგუფში, სამეგრელო ზემო სვანეთი, ქალაქში მცხოვრები, 19-29 წლის ასაკობრივი კატეგორია

მდედრობითი: ჩვენს ახალგაზრდებს არ უყვართ ზღვარგადასული გართობა, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს აქ..
მოდერატორი: სად არის საზღვარი?
მდედრობითი: გართობისას ჩვენ რაღაც საზღვრები გვაქვს, სხვებს თბილისში და საზღვარგარეთ არ აქვთ ეს საზღვრები.
მდედრობითი: ეს მენტალობაა, ჩვენ სხვა ქალაქებთან შედარებით უფრო მაღალი კულტურული სტანდარტი გვაქვს..
მდედრობითი: ქალაქებში უყვართ ღამის ცხოვრება, კლუბები და გართობა.
მდედრობითი: ჩვენ უფრო მეოჯახე ხალხი ვართ

დასვენების დრო შედარებით შეზღუდულია მათთვის, ვინც სწავლობს და მუშაობს და მათთვის, ვისაც უკვე შვილები ჰყავს. ასევე ახალგაზრდა მამაკაცებს უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვთ, ვიდრე ახალგაზრდა ქალებს, რადგან ქალები, როგორც წესი, თანხმდებიან სხვადასხვა ტიპის სამუშაოს, როცა მამრობითი სქესის წარმომადგენლებისთვის რიგი სამუშაოებისა სამარცხვინოა.

დისკუსია ფოკუს ჯგუფში, აჭარა/გურია, ქალაქში მცხოვრები, 19-29 წლის ასაკობრივი კატეგორია

მოდერატორი: ბიჭებს უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვთ თუ გოგოებს?
მდედრობითი: ბიჭებს. გოგოებს მუშაობის არ რცხვენიათ.

მედიისა და ინტერნეტის პრეფერენციები

მედიაში ყველაზე პოპულარული ახალი ამბებია, რამდენადაც ახალგაზრდების 30% აცხადებს, რომ ახალ ამბებს ტელევიზიის, კომპიუტერის, პლანშეტის ან სმარტფონის საშუალები ყოველდღიურად უყურებს. ახალგაზრდების 51% ახალ ამბებს თვალს ადევნებს კვირაში 2-3-ჯერ. ფილმებიც საკმაოდ პოპულარულია ახალგაზრდებში. უცხოური ფილმები ახალგაზრდების 16%-ს ყოველდღიურად იზიდავს, ხოლო ახალგაზრდების 73% კვირაში ერთხელ მაინც ნახულობს უცხოურ ფილმს. ქართულ ფილმებსა და სატელევიზიო სერიალებს ყოველდღიურად უყურებს ახალგაზრდების 6%, აღსანიშნავია რომ ზოგადად ახალგაზრდების 43% უყურებს ქართულ ფილმებს და 35% ქართულ სატელევიზიო სერიალებს კვირაში ერთხელ მაინც. ახალგაზრდები ქართული სატელევიზიო შოუებითაც ერთობიან. ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (57%) კვირაში ერთხელ მაინც უყურებს ქართულ თოქ-შოუს ან კომედიურ შოუს. მედია კონტენტი, რომელსაც ახალგაზრდები ყველაზე ნაკლებად უყურებენ, არის რუსული სერიალები - საქართველოს ახალგაზრდების ნახევარზე მეტს (54%) არასდროს უნახავს რუსული სერიალი. ახალგაზრდების ყურადღებას ვერც რეალითი შოუები იზიდავს, ამ ტიპის შოუებს არასდროს უყურებს ახალგაზრდების 47%.

ახალგაზრდებისთვის საინტერესო მედიას არ განსაზღვრავს სოციო-ეკონომიკური ფაქტორები და საცხოვრებელი ადგილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო იმატებს ასაკი, იმატებს ახალი ამბების მიმართ ინტერესი - 25-29 წლის ახალგაზრდების 41% ახალ ამბებს ყოველდღიურად უყურებს, მაშინ როცა თინეიჯერებს შორის ახალი ამბების მაყურებელთა წილი ნაკლებია (14-18 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 13% უყურებს ახალ ამბებს ყოველდღიურად). ასევე ახალგაზრდა ქალები ყველაზე იშვიათად უყურებენ სპორტს და სპორტულ თოქ-შოუებს, მაშინ როცა ახალგაზრდა კაცების 53% კვირაში ერთხელ მაინც უყურებს სპორტულ გადაცემებს.

სურათი # 8.4 - პოპულარული მედია



ახალგაზრდების 88%-ს ხელი მიუწვდება ინტერნეტზე და მხოლოდ 12%-ს არ აქვს ინტერნეტთან წვდომა. ინტერნეტთან წვდომა უმეტესად სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს აქვთ შეზღუდული, მათი 24% აცხადებს, რომ არ აქვთ ინტერნეტთან წვდომა. თბილისს გარეთ ურბანულ დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდების 7%-ს ასევე არ აქვს წვდომა ინტერნეტთან. ასევე დასაქმებული ახალგაზრდების მცირე ნაწილს (7%) არ აქვს წვდომა ინტერნეტთან, თუმცა ეს რიცხვი უფრო მაღალია უმუშევარ ახალგაზრდებს შორის (14%). მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლების 100%-ს აქვს ინტერნეტთან წვდომა, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს შორის დაბალია ინტერნეტთან წვდომის მაჩვენებელიც (79%). ინტერნეტთან წვდომის მაღალი მაჩვენებელია სტუდენტებსა და დოქტორანტებს შორის (90%), შედარებით ნაკლებია ინტერნეტთან წვდომის მაჩვენებელი საშუალო განათლების ახალგაზრდების ჯგუფში და ასევე იმ ახალგაზრდების ჯგუფში, რომლებიც ამჟამად არ სწავლობენ ან შეჩერებული აქვთ სწავლა (85%).

ახალგაზრდები დღეში საშუალოდ 3.7 საათს ატარებენ ინტერნეტში. 19-24 წლის ასაკობრივი ჯგუფში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია და საშუალოდ დღეში 4 საათს აღწევს. მამრობითი სქესის წარმომადგენლები შედარებით მეტ დროს ხარჯავენ ინტერნეტში, ვიდრე ქალები (3.94 საათი დღეში, 3,60 საათი დღეში). თბილისელი ახალგაზრდები ინტერნეტში ყველაზე მეტ დროს ხარჯავენ (საშუალოდ 4.51 საათი დღეში) სხვა ურბანულ დასახლებებში და სოფლად მცხოვრებ მათ თანატოლებთან შედარებით (3.96 საათი დღეში, 3.04 საათი დღეში საშუალოდ). თუ შევადარებთ განათლების სხვა საფეხურებზე მყოფ ახალგაზრდებს, ინტერნეტში დახარჯული დრო შედარებით მაღალია სტუდენტებთან და დოქტორანტებთან.

სურათი #8.5 - ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა და ინტერნეტში დახარჯული დრო



ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ინტერნეტს სოციალური ქსელებისთვის იყენებს, ახალგაზრდების თითქმის ნახევარი ინტერნეტს ფილმების სანახავად და ადამიანებთან კომუნიკაციისთვისაც მოიხმარს. ყველაზე ნაკლებად ინტერნეტს იყენებენ გადასახადების გადასახდელად და ონლაინ შოპინგისთვის/ დაჯავშნისთვის.

ჯამში ახალგაზრდების 42% ინტერნეტს მოიხმარს სწავლის/სამსახურისთვის ინფორმაციის მოსაძიებლად ან ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. რაც უფრო იმატებს ასაკი, იკლებს ახალგაზრდების წილი, რომლებიც ინფორმაციას ინტერნეტით ეძებენ. ახალგაზრდების 16% ინტერნეტიდან იწერს წიგნებსა და სტატიებს, თუმცა ასაკის ზრდასთან ერთად წიგნების ინტერნეტიდან ჩამოწერა სულ უფრო ნაკლებ პოპულარული ხდება.

ახალგაზრდა ქალები უფრო ხშირად მოიხმარენ ინტერნეტს სწავლის/სამსახურისთვის ინფორმაციის მოსაძიებლად, ასევე მამრობითი სქესის ჯგუფთან შედარებით ისინი უფრო ხშირად იყენებენ ინტერნეტს სხვა ადამიანებთან კომუნიკაციისთვის. ინტერნეტს ფილმების საყურებლად იყენებს ახალგაზრდა კაცების 52%, მაშინ როცა იგივე მიზნით ინტერნეტით ახალგაზრდა ქალების მხოლოდ 46% სარგებლობს.

სურათი # 8.6 - ინტერნეტის მოხმარების მიზეზები



ინტერნეტის მოხმარება ცხრილში მოცემული პირველი სამი მიზნით მეტად დამახასიათებელია თბილისში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. სხვადასხვა მიზნით ინტერნეტის მოხმარების ტენდენციები იცვლება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით - დედაქალაქში, სხვა ურბანულ დასახლებებში თუ სოფლად.

სურათი # 8.7 - ინტერნეტის მოხმარების მიზნები დასახლების ტიპის მიხედვით



ფოკუს ჯგუფის დისკუსიის მონაწილეები ფიქრობენ, რომ მათი თაობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ელექტრონულ მოწყობილობებზე. ახალგაზრდების თავისუფალი დროის დიდი ნაწილი იხარჯება ინტერნეტზე და ძირითადად სოციალურ ქსელებზე. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების ნაწილი ინტერნეტის დადებით გავლენაზეც საუბრობს და მის საგანმანათლებლო ფუნქციასაც აღნიშნავს, ჩანს რომ სოციალურმა ქსელებმა თანატოლებს შორის კომუნიკაციის ტრადიციული ფორმები შეცვალა.

ჩვენ გვირჩევნია მივწეროთ, ვიდრე ველაპარაკოთ, ისინი (ახალგაზრდები) უკვე ვეღარც საუბრობენ ნორმალურად.. თავს კომფორტულად ვერ გრძნობ, მაგალითად როცა საუბრობ შენს მეგობართან, მე საკუთარ თავს წერის დროს უფრო კარგად გამოვხატავ. [იმერეთი/ რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, სოფლად მცხოვრები, მამრობითი სქესი, 14-29 წლის ასაკობრივი კატეგორია]

მათ ურჩევნიათ დარჩნენ სახლში კომპიუტერთან და იყვნენ სოციალურ ქსელში, ჰქონდეთ ურთიერთობა დისტანციაზე სოციალური ქსელის საშუალებით, თუმცა ვფიქრობ, რომ თუ ერთმანეთს შეხვდებოდნენ პირისპირ, ისინი სხვანაირები იქნებოდნენ. [მცხეთა-მთიანეთი, ქალაქში მცხოვრები, მამრობითი სქესი, 14-29 წლის ასაკობრივი კატეგორია]

ვფიქრობ, რომ მათთვის ურთიერთობები ღირებული აღარ არის, სოციალური ქსელები უფრო მნიშვნელოვანი გახდა.. ახალგაზრდებს ძალიან უჭირთ ერთმანეთთან კომუნიკაცია. [მცხეთა-მთიანეთი, სოფლად მცხოვრები, მდედრობითი სქესი, 14-29 წლის ასაკობრივი კატეგორია]

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ქსელების გამოყენება არ გამორიცხავს ახალგაზრდების აქტიურ ცხოვრების წესს, ზოგიერთი მათგანისთვის სოციალური ქსელი მეგობრებისთვის ინფორმაციის გაზიარების ერთგვარი საშუალებაა. ასევე საგულისხმოა, რომ მიუხედავად დროთა განმავლობაში კომუნიკაციის ფორმების ცვლილებისა, ამ ურთიერთობებში მონაწილე აქტორები კვალავაც იგივე დარჩნენ.

შეგიძლია მისწერო მეგობარს (სოციალურ ქსელში) წახვიდეთ ბარში ან ზღვაზე და მერე ყველა მოვა. [აჭარა/გურია, ქალაქში მცხოვრები, მამრობითი სქესი, 14-18 წლის ასაკობრივი კატეგორია]

ახალგაზრდები ფეისბუქით და სოციალური ქსელებით არ დისტანცირდებიან გარე სამყაროსგან. ისინი ფეისბუქზეც რეალურ ადამიანებს ეკონტაქტებიან. ჩვენ უნდა გვესმოდეს იმ ადამიანებისაც ვისაც პირისპირ კომუნიკაციის პრობლემები აქვთ... ისინი დამოკიდებული არიან სოციალურ ქსელებზე, თუმცა ცხოვრობენ აქტიური ცხოვრებით. [მცხეთა-მთიანეთი, სოფლად მცხოვრები, მამრობითი სქესი, 14-29 წლის ასაკობრივი კატეგორია]

სოციალურ ქსელებში დროის გატარება და ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა ასევე ასოცირებულია ონლაინ თამაშებთან.

ადრე არ შეგეძლო კაზინოში შესვლა ასაკობრივი შეზღუდვის გამო, ახლა შეგიძლია შენი მშობლის სახელზე გახსნა ანგარიში, ვერავინ ხედავს შენს ასაკს, შეიძლება 10 წლის ბავშვი იჯდეს კომპიუტერთან და თამაშობდეს. [მცხეთა-მთიანეთი, ქალაქში მცხოვრები, მამრობითი სქესი, 19-29 წლის ასაკობრივი კატეგორია]

ისინი დიდ დროს ხარჯავენ (კომპიუტერთან), ზოგი საერთოდ არ გადის გარეთ და მიჯაჭვულია კომპიუტერულ თამაშებს. (იმერეთი/ რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, ქალაქად მცხოვრები, მდედრობითი სქესი, 14-18 წლის ასაკობრივი კატეგორია)

ეს არის ახალგაზრდების ერთერთი პრობლემა, ისინი დამოკიდებული არიან კომპიუტერზე და თამაშობენ ონლაინ თამაშებს. (სამეგრელო, ზემო სვანეთი, სოფლად მცხოვრები, მდედრობითი სქესი, 14-29 წლის ასაკობრივი კატეგორია)

სარისკო ქცევა

კვლევის შედეგების მიხედვით, ახალგაზრდების 32% ეწევა სიგარეტს. შედეგები ეხმაურება ბოლო დროის კიდევ ერთ კვლევას, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 31% მწეველია (ISSA, 2016).

სურათი #8.8 - სიგარეტის მოწევის გავრცელება



მამრობითი სქესის წარმომადგენლების 36% რეგულარულად ეწევა, მაშინ როცა მდედრობითი სქესის ახალგაზრდების მხოლოდ 7% ეწევა რეგულარულად. რეგულარულად მოწევა მეტად გავრცელებულია 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში და არამწეველთა წილი ახალგაზრდებში შესაბამისად იკლებს ასაკის მატებასთან ერთად. ასევე მათი წილი, ვინც სიტუაციიდან გამომდინარე ეწევა ზოგჯერ, არ იცვლება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (9-10%). საცხოვრებელი ადგილი, როგორც ჩანს, ახდენს გავლენას ახალგაზრდებში მოწევის ჩვევაზე ან სენსიტიური კითხვების მიმართ მათ დამოკიდებულებაზე. თბილისსა და ურბანულ დასახლებებში მეტია რეგულარული მწეველების რიცხვი (27%, 22%) სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით (18%). მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს შორის მეტია რეგულარულ მწეველთა წილი (29%) ვიდრე საშუალო და დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებში (20%, 24%). თუმცა მათი რიცხვი ვინც ზოგჯერ ეწევა ნაკლებია მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებში (4%). რეგულარული მწეველების წილი საკმაოდ დიდია დასაქმებულ ახალგაზრდებს შორის (34%).

ახალგაზრდების 2% ალკოჰოლს მოიხმარს ყოველდღიურად. ზოგადად, ალკოჰოლის მოხმარება გავრცელებულია ახალგაზრდების 70%-ში და მათ შორის არიან ისეთებიც ვინც რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლს და ისინიც, ვინც უკიდურესად იშვიათად სვამენ ალკოჰოლს. ახალგაზრდების ის 2%, რომელიც ალკოჰოლს რეგულარულად მოიხმარს არის მამრობითი სქესის (3%), 25-29 წლის ასაკში (2%), ცხოვრობს სოფლად (4%) და მიეკუთვნება საშუალო ან დაბალ სოციალურ ფენას (2%). მათ შორის ვინც ყოველკვირეულად მოიხმარს ალკოჰოლს ახალგაზრდა კაცები დომინანტობენ (მამრობითი სქესის - 27%, მდედრობითი სქესი - 5%). არ არის მოულოდნელი, რომ ალკოჰოლის ყოველკვირეული მოხმარების მაჩვენებელი იზრდება ასაკის მაჩვენებელთან ერთად 8%-დან 22%-მდე.

სურათი # 8.9 - ალკოჰოლის მოხმარების გავრცელება გენდერულ ჭრილში



ახალგაზრდების 88%-ს არასდროს მოუწევია მარიხუანა, ხოლო 8% იშვიათად ეწევა მარიხუანას. ამ 8%-ს შორის კაცები დომინანტობენ (14%), მარიხუანას მოწევის წილი იზრდება ასაკთან ერთად 5%-დან 9%-მდე. ასევე ახალგაზრდები, რომლებიც იშვიათად ეწევიან მარიხუანას მიეკუთვნებიან მაღალ სოციალურ ფენას (16%) და ცხოვრობენ თბილისში (15%).

სურათი # 8.10 - მარიხუანას მოწევის გავრცელება გენდერულ ჭრილში



მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების დაახლოებით თანაბარი ნაწილი მიიჩნევს ალკოჰოლს მისაღებად ან მიუღებლად, ახალგაზრდა კაცების უფრო დიდი ნაწილისთვის (49%) ალკოჰოლი მისაღებია და ასევე მათი 16% თვლის, რომ ალკოჰოლის მიღება აუცილებელია, რათა სხვებმა მიგიღონ. იგივე მოსაზრებას იზიარებს ახალგაზრდა ქალების მხოლოდ 12%.

სურათი # 8.11 - ალკოჰოლის მიმღებლობა გენდერის მიხედვით



ასაკის ზრდასთან ერთად, ალკოჰოლი მისაღებია ახალგაზრდების უფრო დიდი ნაწილისთვის. 14-18 წლის და 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფებში თითქმის თანაბარია იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც თვლიან, რომ ალკოჰოლი აუცილებელია რათა სხვებმა მიგიღონ (16%, 15%), მაშინ როცა 19-24 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 11% იზიარებს ამ მოსაზრებას. სოფლად მცხოვრებთა შორის მნიშვნელოვნად მეტია ახალგაზრდების წილი, რომლებიც აღნიშნულ მსჯელობას იზიარებენ (20%), ასევეა დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს შორის (18%). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების უფრო მცირე ნაწილი მიიჩნევს ალკოჰოლს მისაღებად (59%, 26%). ასევე ალკოჰოლის მოხმარება მისაღებია მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელი ახალგაზრდების უფრო დიდი ნაწილისთვის დაბალ და საშუალო სოციალურ ფენასთან შედარებით (62%, 33%, 50%).

ახალგაზრდების თითქმის ნახევარი თვლის, რომ მარიხუანას მოხმარება მოდაში არ არის (45%), ახალგაზრდების თითქმის იგივე რაოდენობა თვლის რომ სიგარეტის მოწევა არ არის ან არის მოდური. იგივე შეიძლება ვთქვათ ალკოჰოლზეც - ახალგაზრდების თითქმის თანაბარი რაოდენობა თვლის რომ ალკოჰოლის მოხმარება მოდაშია ან მოდური არ არის.

სურათი # 8.12 - მოწევა და დალევა - მოდაშია VS მოდური არ არის



უფრო მეტ ახალგაზრდა კაცს მიაჩნია დალევა და მოწევა მოდურად, ვიდრე ქალს. თუმცა განწყობები მარიხუანას მოხმარების მიმართ თითქმის იდენტურია სხვადასხვა გენდერულ ჯგუფებში.

ფოკუს ჯგუფის დისკუსიებისას მონაწილეები მსჯელობდნენ ახალგაზრდებში მოწევის დაწყების მიზეზებზე და იმაზე, თუ რამდენად მისაღებია საზოგადოებისთვის მოწევა. აღმოჩნდა, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეების უმრავლესობის წარმოდგენით, ყველაზე დიდი წნეხი მოწევის ჩვევაზე მოდის თანატოლებისა და გარემოსგან.

ადამიანი იწყებს მოწევას იმიტომ, რომ გარემოა ისეთი, სადაც ყველა ეწევა. (მცხეთა-მთიანეთი, სოფლად მცხოვრები, მამრობითი სქესი, 19-29 წლის ასაკობრივი კატეგორია)

ყველა ეწეოდა და თუ მინდოდა მაგარი წრის წევრი ვყოფილიყავი, მეც უნდა მომეწია (სამცხე-ჯავახეთი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, მდედრობითი სქესი, 19-29 წლის ასაკობრივი კატეგორია)

ზოგი ეწევა მხოლოდ იმიტომ, რომ წავიდაქალაქში, დაიწყო სწავლა უნივერსიტეტში და თბილისელებთან ერთად მოწევა მაგარი იყო.. ვინმეს შეიძლება ეთქვა რომ ძველმოდური ხარ თუ არ ეწევი 21-ე საუკუნეში (სამეგრელო- ზემო სვანეთი, ქალაქში მცხოვრები, მამრობითი სქესი, 19-29 წლის ასაკობრივი კატეგორია.)

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით, საზოგადოება სხვადასხვანაირად იღებს კაც და ქალ მწეველებს. როგორც ჩანს, კაცი მწეველები უფრო მიღებული არიან საზოგადოებაში, ვიდრე ქალები. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების აზრით, ყველას შეუძლია ისე იქცეოდეს, როგორც სურს, უფროსი თაობისთვის მიუღებელია როცა ქალი ეწევა.

ადრე არ ეწეოდა ამდენი ქალი, რამდენიც ახლა. ეს ახალია და ისინი (საზოგადოება) თვლიან, რომ ძალიან ცუდია, როცა ქალი ეწევა (მცხეთა-მთიანეთი, ქალაქში მცხოვრები, მამრობითი სქესი, 14-18 წლის ასაკობრივი კატეგორია)

ეს სტერეოტიპი ძალიან ცუდია, თუ შედარებით ასაკოვანი ადამიანი დაინახავს რომ გოგო ეწევა, ეს ავტომატურად ნიშნავს მათთვის გოგონას ცუდ რეპუტაციას (მცხეთა-მთიანეთი, ქალაქში მცხოვრები, მამრობითი სქესი, 14-18 წლის ასაკობრივი კატეგორია)

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, ალკოჰოლიც, ისევე როგორც სიგარეტი დღის წესრიგში თანატოლების მხრიდან ზეწოლის შედეგად შემოდის. მოწევისგან განსხვავებით, ალკოჰოლის დალევა განხილულია როგორც ქართული კულტურის ნაწილი, შესაბამისად ქალი და კაცი ალკოჰოლის მომხმარებლების მიმართ მიმღებლობა საზოგადოებაში უფრო მაღალია, ვიდრე მწეველების მიმართ. თუმცა, ალკოჰოლის ხშირი მიღება მიუღებელია ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის.

ერთერთი ასპექტი, რომელსაც კვლევა სწავლობდა სხვა სარისკო ქცევების პარალელურად, როგორიცაა სიგარეტის, ალკოჰოლის და მარიხუანას მოხმარება, იყო სხვადასხვა კონტექსტში ძალადობრივ აქტებში ახალგაზრდების მონაწილეობა. ახალგაზრდებში ძალადობრივ ქმედებებში ჩართულობის მაჩვენებელი არ არის მაღალი და 18% იყო ყველაზე მაღალი წილი ახალგაზრდების, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ კითხვარში ჩამოთვლილი რომელიმე ტიპის ძალადობრივ ქმედებაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი მაღალი არ არის, კვლევის შედეგები ნათლად აჩვენებს იმ კონტექსტს, სადაც ძალადობრივ ქმედებები შეიძლება განხორციელდეს. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდები ძალადობრივ ქმედებებში ერთვებიან სამეზობლოში/ უბანში ან სკოლასა და უნივერსიტეტში.

სურათი # 8.13 - სხვადასხვა ტიპის ძალადობრივ ქმედებებში ჩართულობა



უბანში ან სამეზობლოში ძალადობრივ აქტებში ჩართულობა უფრო ხშირია ახალგაზრდა კაცებს შორის (25%) ვიდრე ქალებს შორის (5%). სკოლა და უნივერსიტეტიც ის გარემოა, სადაც მამრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო ხშირად არიან ჩართული კონფლიქტურ სიტუაციაში, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ქალების 13%-ს მიუღია მონაწილეობა ძალადობრივ ქმედებაში სკოლაში ან უნივერსიტეტში. საინტერესოა, თუ როგორ მცირდება ძალადობრივ აქტებში ჩართულობა ასაკის ზრდასთან ერთად. 14-18 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლების 30%-ს ჰქონია კონფლიქტური სიტუაცია უბანში, ხოლო 23%-ს სკოლაში ან უნივერსიტეტში; მაშინ როცა მაგალითად 25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფში ახალგაზრდების მხოლოდ 11% მოხვედრილა მსგავს სიტუაციაში.

რა არის მოდური

ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ მოდურია, როცა კარგად გამოიყურები (85%) და ატარებ ბრენდულ სამოსს (75%). თუმცა, როგორც ჩანს, ახალგაზრდების წარმოდგენაში კარგი გარეგნობა არ არის დაკავშირებული ჯანსაღ კვებასთან და სპორტულ აქტივობებთან, რამდენადაც ახალგაზრდების საგრძნობლად მცირე ნაწილი (59%, 49%) თვლის აღნიშნულ აქტივობებს მოდურად.

სურათი # 8.14 - გარეგნობა - მოდური VS არამოდური



გარეგნობასთან და მოდურობასთან დაკავშირებული პარამეტრები არ იცვლება ასაკობრივი, გენდერული ჯგუფებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ახალგაზრდებში. განსხვავებები, თუ ასეთი არსებობს სხვადასხვა ჯგუფებში, სტატისტიკურად უმნიშვნელოა.

მოდურობისა და არამოდურობის თემაზე საუბრისას, აღსანიშნავია ის, რომ კვლევაში დასმულმა კითხვებმა გამოავლინა არა მარტო ახალგაზრდების აღქმა ძირითად ტენდენციებთან დაკავშირებით, არამედ გამოკვეთა მათი სუბიექტური კეთილდღეობის განმაპირობებელი რამდენიმე ასპექტი. თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ ახალგაზრდები გარეგნობასთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხს სუბიექტური კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად თვლიან, მნიშვნელოვანია მათი კმაყოფილების დონის გარკვევა მათივე გარეგნობასთან დაკავშირება. როგორც აღმოჩნდა, ახალგაზრდების უმრავლესობა საკუთარ იმიჯს დადებითად აღიქვამს, რამდენადაც მათი 71% ან ძალიან ან უფრო მეტად კმაყოფილია საკუთარი გარეგნობით. საინტერესოა, რომ ახალგაზრდა მამაკაცების შედარებით დიდი ნაწილია (75%) კმაყოფილი საკუთარი გარეგნობით, ვიდრე ქალების (67%). სხვა ცვლადები (ასაკი, სა-

ცხოვრებელი ადგილი, დასაქმების სტატუსი, სოციალური ფენა) არ არის დაკავშირებული ახალგაზრდებში გარეგნობით კმაყოფილებასთან.

ახალგაზრდების დაახლოებით თანაბარი ნაწილი ფიქრობს, რომ მოდურია თუ იღებ უმაღლეს განათლებას, ხარ დამოუკიდებელი და გაქვს კარიერა. დაქორწინება მოდურია ახალგაზრდების მხოლოდ 42%-ის აზრით. ზოგადად, ახალგაზრდები თვლიან რომ თვითგანვითარებაზე ორიენტირება უფრო მოდურია, ვიდრე ოჯახთან დაკავშირებული მიზნები.

სურათი # 8.15 - განათლება და პირადი ცხოვრება - მოდური VS არამოდური



ეს ინდიკატორები უცვლელია მონაცემთა სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური ცვლადების მიხედვით დამუშავებისას. სხვადასხვა ჯგუფებს შორის არ ჩანს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ქორწინებას განიხილავდნენ არა იმდენად მოდურობის კონცეპტთან კავშირში, არამედ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ ასაკის ფაქტორს ქორწინებაში. ახალგაზრდები თვლიან, რომ ადრეულ ასაკში დაქორწინება არ არის მოდური და ერთგვარი გაქცევაა მათთვის, ვისაც სწავლა ეზარება. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებას იზიარებენ ახალგაზრდა ქალები, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ, სადაც ახალგაზრდები ისედაც მეტად არიან ორიენტირებული კარიერულ მიზნებსა და თვითგანვითარებაზე ვიდრე სხვა ტიპის დასახლებებში.

თბილისში ჩატარებული ფოკუს ჯგუფი, 19-29 წლის ასაკობრივი კატეგორია
მდედრობითი: თუ 25 წლამდე არ გათხოვდი, შენი საქმე წასულია..
მდედრობითი: ეს ტენდენცია დღეს შეცვლილია.
მოდერატორი: თვლიან თუ არა ახალგაზრდები, რომ ადრე უნდა დაქორწინდნენ?
მდედრობითი: კი, რა თქმა უნდა, უმრავლესობა იზიარებს ამ მოსაზრებას.
მდედრობითი: მხოლოდ ისინი, ვისაც სწავლა ეზარება
მდედრობითი: მე მყავს მეგობარი, რომელიც 20 წლისა დაქორწინდა და ეს ჩვენთვის დიდი შოკი იყო. ყველა გამოვთქვამდით ჩვენს მწუხარებას მის მიმართ, ჩვენ ყველანი სწავლაზე ვფიქრობდით, შვილები როცა გყავს კი ყველაფერი რთულდება.

სექსუალური ცხოვრება და აქტივობა

სექსუალური აქტივობის თვალსაზრისით, მათი წილი, ვისაც არასდროს ჰყოლია სექსუალური პარტნიორი, ჰყოლია ერთი და ჰყოლია რამდენიმე სექსუალური პარტნიორი თითქმის თანაბრადაა განაწილებული ახალგაზრდებს შორის.

სურათი # 8.16 - სექსუალური გამოცდილება



ბუნებრივად, სექსუალური გამოცდილების მაჩვენებელი უფრო მაღალია 25-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაში თინეიჯერების ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით. სექსუალური გამოცდილება უფრო გავრცელებულია ასევე მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. განსხვავებაა სექსუალური პარტნიორების რაოდე-

ნობაშიც, ახალგაზრდა მამაკაცებს ინტიმური ურთიერთობის გამოცდილება აქვთ რამდენიმე პარტნიორთან (57%), მაშინ როცა ქალების მხოლოდ 1%-ს აქვს მსგავსი გამოცდილება. მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლების უფრო დიდ წილს აქვს სქესობრივი ურთიერთობის გამოცდილება რამდენიმე პარტნიორთან (43%), მაშინ როცა დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლების 25%-ს და საშუალო სოციალური ფენის ახალგაზრდების 33%-ს აქვს მსგავსი გამოცდილება.

მაშინ როცა ახალგაზრდების 33% სექსუალურ თავშეკავებას ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვან ღირებულებად განიხილავს, ახალგაზრდების 31% იმავეს მხოლოდ გოგოების შემთხვევაში თვლის დადებით ღირებულებად.

სურათი # 8.17 - დამოკიდებულება სექსუალური თავშეკავების მიმართ



ქალწულობის საკითხის განხილვისას ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების ხედვებს შორის განსხვავებები არ არის, თუმცა ქალების შედარებით დიდი წილი თვლის რომ სექსუალური თავშეკავება ღირებულებაა ორივე სქესისთვის. ასაკთან ერთად იზრდება ახალგაზრდებში მათი წილი, ვინც თვლის რომ ქალწულობა გოგონებისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებაა. თუ 14-18 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 25% თვლის ასე, უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფში ეს რიცხვი 36%-მდე იზრდება. მაღალი სოციალური ფენის ახალგაზრდების 54% ასევე თვლის რომ ქალწულობა გოგონებისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებაა.

დისკუსია

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ახალგაზრდებს ისეთ აქტივობებში ურჩევნიათ ჩართვა, რომლებიც არასტრუქტურირებული და უპირობოა. ახალგაზრდებისთვის ერთერთი ყველაზე გავრცელებული დასვენების აქტივობაა მეგობრებთან ერთად გართობა, რომელიც შესაძლოა განხილული იყოს როგორც უპირობო, ასევე დამატებით აქტივობად, რადგან, ერთი მხრივ, აკმაყოფილებს ახალგაზრდების შინაგან მოთხოვნილებებს, და ამავე დროს, პასუხობს საზოგადოებაში ახალგაზრდების როლის მიმართ არსებულ მოლოდინებს. აქტივობები, რომლებსაც მხოლოდ პირადი სურვილები უდევს საფუძვლად, ძირითადად გვხვდება თინეიჯერობის ასაკში, ხოლო რაც უფრო იმატებს ასაკი, მით უფრო იკლებს სოციალური ინტერაქციისა და მეგობრებთან გატარებული დროის მაჩვენებელი, რაც ძირითადად ისეთი ინდივიდუალური აქტივობებით ნაცვლდება, როგორიცაა ტელევიზორის ყურება.

როგორც უკვე აღინიშნა, დასვენების აქტივობები თავისუფალი არჩევანია თუმცა მაინც განისაზღვრება სოციალური როლებით, წრით და ცხოვრების წესით. პირადი აქტივობების ან ურთიერთობების შემცირება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ცხოვრების ახალ წესთან რაც მოაქვს ქორწინებას ან პარტნიორთან თანაცხოვრებას, ასევე ბავშვების შეძენას. ახალგაზრდების აქტივობებში ასაკთან და ცხოვრების წესის ცვლილებასთან ერთად აქტივობების ცვლილებები შეიძლება დავუკავშიროთ იმ გარემოებას, რომ შედარებით ახალგაზრდა, ქორწინებაში არ მყოფ ადამიანებს უფრო მეტი არასტრუქტურირებული დრო აქვთ, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება დასაქმების შანსებიც და ოჯახური ცხოვრებაც მოითხოვს მეტ ძალისხმევას. შესაბამისად, ახალგაზრდები, რომლებიც დაოჯახებული არიან და მუშაობენ ხედავენ რომ სოციალურ აქტივობებს სჭირდება დაგეგმვა, რაც ყოველთვის არ ხერხდება და ეს გარემოება განაპირობებს მათ არჩევანს ისეთი ინდივიდუალური აქტივობების სასარგებლოდ, როგორიცაა ტელევიზორის ან ფილმების ყურება და ა.შ.

სარისკო ქცევა, როგორიცაა მოწევა ან დალევა, არის არჩევანი, რომელსაც როგორც წესი ადამიანები საკუთარი სურვილის მიხედვით აკეთებენ, თუმცა თუ ადამიანის სურვილია იყოს ისეთი თემის ნაწილი, რომელიც დალევას და მოწევას ჩვეულებრივ ქცევად იღებს, მსგავსი ქცევა შესაძლოა სოციალური ინტეგრაციის აუცილებელი წინაპირობა გახდეს. სოციალური ურთიერთობების კავშირი კეთილდღეობასთან, ილუსტრირებულია, ჯერ კიდევ, სუიციდზე, დიურკჰეიმის კლასიკურ კვლევაში. დიურკჰეიმის კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოებაში ინტეგრაცია ამცირებს სუიციდის ალბათობას. უფრო ახალი კვლევები აჩვენებს, რომ თუ გამოვრიცხავთ პიროვნულ და გენეტიკურ ფაქტორებს, სოციალური ურთიერთობები კეთილდღეობის ერთერთი უმთავრესი დეტერმინანტია (ჰორსტ, კოფი, 2012). ჩვენი კვლევის მიხედვით ახალგაზრდები აცნობიერებენ მოწევისა თუ ალკოჰოლის მიღების რისკს. თუმცა, სოციალური ინტეგრაციისა და კონკრეტულ წრეში მათ მიმართ არსებული მოლოდინებთან შესაბამისობაში ყოფნის სურვილი ბევრად დიდია, ვიდრე ახალგაზრდების უნარები უარი, თქვან სარისკო ქცევაზე.

დასკვნა

დასკვნით ნაწილში კვლევა აჯამებს ახალგაზრდების ცხოვრების იმ ასპექტებს, რომელიც შევისწავლეთ კვლევის ფარგლებში, რათა წარმოგვეჩინა იმ გარემოს კონტექსტუალური სურათი, რომელშიც ქართველ ახალგაზრდებს უწევთ ცხოვრება და გამოწვევებთან გამკლავება.

კვლევის რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოში განათლების დონე საშუალოდ დამაკმაყოფილებელია; თითქმის ამდენივე რესპონდენტი დადის სკოლაში ხალისით, თუმცა რესპონდენტთა 51% სკოლის/უმაღლესი განათლების დაწესებულების გარემოს სტრესულად და მძიმედ მიიჩნევს. ასევე აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 68%-ის აზრით საგანმანათლებლო სისტემაში კორუფცია არ არსებობს. სტუდენტების 71% ოპტიმისტურად არის განწყობილი მათი დასაქმების პერსპექტივების მიმართ და სჯერა, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ მალევე იპოვის სამუშაოს. თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალგაზრდების 75%-ის აზრით სამუშაოს პოვნისას მთვარი ფაქტორი მეგობრები და კონტაქტებია. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამუშაოს პოვნასთან დაკავშირებული ოპტიმიზმი არ არის აუცილებლად საგანმანათლებლო ინსტიტუციაში მიღებულ განათლების დონესა და შეძენილ უნარებზე დაფუძნებული.

კვლევის შედეგები იმეორებს შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობის ტენდენციებს. ერთი მხრივ, ახალგაზრდები თვლიან, რომ მათ არჩევანს მიიღონ უმაღლესი განათლება მნიშვნელოვნად განაპირობებს მშობლებისა და ოჯახის წევრების გავლენა; თუმცა, მეორე მხრივ, ახალგაზრდებს სჯერათ, რომ მომავალი განათლების გზა ადამიანმა თვითონ უნდა აირჩიოს და ეს არჩევანი უნდა პასუხობდეს მის პირად მიზნებსა და სურვილებს. ახალგაზრდები ასევე თვლიან, რომ თუ ყველა დაუჯერებს უფროსი თაობის ინსტრუქციას, შრომის ბაზარი გაჯერდება არამოტივირებული ადამიანებით. არამოტივირებული ადამიანი კი, არ არის მიმზიდველი დამსაქმებლისთვის. ახალგაზრდების რწმენით, სწორედ ასე იქმნება ბაზარზე არსებულ შესაძლებლობებსა და ახალგაზრდების უნარებს შორის შეუთავსებლობა, ასევე დასაქმებისათვის საჭირო უნარებისა და ექსპერტიზის ნაკლებობა. ასეთი აცდენის კიდევ ერთი მიზეზი, შესაძლოა, უმაღლესი სასწავლებლების პროგრამაც იყოს, რომლებიც, როგორც წესი, არ ითვალისწინებს სწავლის პროცესში პრაქტიკული კურსების ჩართვას, შესაბამისად სასწავლებელი ვერ გაწვრთნის ახალგაზრდას შრომით ბაზარზე საჭირო უნარებში.

როდესაც საუბარია განათლებასა და დასაქმებაზე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ რესპონდენტების ერთ მეხუთედს აქვს ემიგრაციის ძლიერი სურვილი, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საცხოვრებელ პირობებთან, განათლებასა და დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემებით. ანალოგიურია ქვეყნის შიგნით, მიგრაციის მთავარი მოტივებიც. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება დაკავშირებულია ცხოვრების უფრო მაღალ სტანდარტთან, დასაქმების უკეთეს პერსპექტივებთან და დასაქმებისას გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვასთან. ზოგადად, ახალგაზრდები განიხილავენ მიგრაციის პერსპექტივას იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიის სტანდარტი უფრო მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები აღიარებენ საქართველოში გარკვეული დემოკრატიული სტანდარტის არსებობას, დემოკრატიის ორი მთავარი წყარო - პოლიტიკური და სამოქალაქო ჩართულობა საქართველოში მაინც სუსტია. ჩვენი კვლევის შედეგებმა გაამყარა ბოლო დროს ჩატარებული რამდენიმე კვლევის მიგნება, ახალგაზრდების პოლიტიკურ ინდიფერენტულობასთან დაკავშირებით. ახალგაზრდები არ არიან საკმარისად დაინტერესებული პოლიტიკით. გარდა პოლიტიკური ჩართულობისა, ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობაც სუსტია.

მიუხედავად დაბალი პოლიტიკური ჩართულობისა, ახალგაზრდების უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის იმ საფრთხეების მიუხედავად, რომლებთანაც ასოცირებულია მსგავს კავშირებში გაწევრიანება საქართველოსთვის. ნატოსა და ევროკავშირის პოტენციური წევრობა განხილულია როგორც რუსეთის აგრესიის გააქტიურების პირდაპირი მიზეზი, შესაბამისად ეს პერსპექტივა ამცირებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების შანსებს. ევროკავშირის წევრობა დაკავშირებულია გაზრდილი მიგრაციის რისკებთან, ხოლო ნატოს წევრობა გაზრდის ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობას სამხედრო მისიებში, რამაც შეიძლება ქართველ ჯარისკაცებს შორის მსხვერპლიც გაზარდოს. ახალგაზრდების ნაწილი თვლის, რომ ევროკავშირში გაწევრიანება შეიძლება ღირებულებებისა და ტრადიციების დაკარგვის მიზეზი გახდეს. ევროკავშირთან ასიმილაციის შიში უფრო შეიმჩნევა სოფლად და წარმოდგენილია ქართული კულტურის საპირისპირო ცნებად. განსხვავებები სოფლისა და ქალაქების მონაცემებში შეიძლება აიხსნას სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უფრო ძლიერი მიჯაჭვულობით კულტურასთან, რომელიც ნაკლებად კრიტიკულად აფასებს კულტურასა და ღირებულებებს.

კულტურასთან მიჯაჭვულობა შესაძლოა აიხნას იმ ფაქტით, რომ ღირებულებათა გლობალურ რუკაზე საქართველო ტრადიციული და თვითგადარჩენის ღირებულებებისკენ უფრო იხრება. ტრადიციული ღირებულებების დომინაცია აიხსნება ტრადიციული სოციალური გარემოს გავლენით, რომელშიც ახალგაზრდები გადიან სოციალიზაციის პროცესს ბავშვობისას და ახალგაზრდობისას,

სოციალური ჯგუფებით, რომლებთანაც უწევთ ახალგაზრდებს ინტერაქცია და უფროსი თაობის წარმოდგენებით, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს ახალგაზრდების მსოფლმხედველობას. ეს გავლენა სრულიად ბუნებრივი ჩანს თუ შევხედავთ კვლევის შედეგებს ახალგაზრდების საცხოვრებელ გარემოსთან მიმართებაში. ახალგაზრდების 70% ცხოვრობს მშობლებთან ერთად, ხოლო 62%-ს მშობლები ფინანსურად ეხმარებიან. ახალგაზრდების ნახევარი გადაწყვეტილებებს მშობლებთან ერთად იღებს. ბოლოს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა ნდობის ყველაზე მაღალ დონეს გამოხატავს თავიანთი ოჯახების მიმართ და ასევე ძალიან მნიშვნელოვნად თვლის ოჯახურ ცხოვრებას. ოჯახის, როგორც მნიშვნელოვანი ღირებულების, როლი ჩანს ახალგაზრდების სამომავლო გეგმებშიც. ახალგაზრდების უმრავლესობა აპირებს მომავალში დაოჯახებას, ხოლო ახალგაზრდების ¼ ქორწინებას პრიორიტეტად განიხილავს, რადგან საქართველოში ქორწინება უფრო აღიარებულია, ვიდრე პარტნიორების თანაცხოვრება სტატუსის გარეშე.

ღირებულებებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებს შორის აშკარაა უმცირესობების ჯგუფებთან (სექსუალური უმცირესობები) სოციალური დისტანციის არსებობა. ახალგაზრდები ყველაზე ნაკლებად ენდობიან სექსუალური უმცირესობების, ლგბტ თემის წარმომადგენლებს. მნიშვნელოვანია ჰომოსექსუალების ჯგუფთან სოციალური დისტანცირება - რესპონდენტების 44% არ ისურვებდა მათ მეზობლად ჰომოსექსუალი წყვილის გადმოსვლას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომელთათვისაც ეს საკითხი უმნიშვნელოა, ასევე დიდია(45%). სოციალური დისტანცია, რაც ტოლერანტობის დაბალი დონის ინდიკატორია, უფრო თვალნათელია სოფლად.

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ახალგაზრდებს, რომლებიც თბილისსა და სხვა ქალაქებში ცხოვრობენ, ცხოვრების ყველა სფეროში აქვთ უკეთესი პირობები. მათი კულტურული კაპიტალი და დასაქმების შანსები შედარებით უკეთესია, ვიდრე სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების. ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები უფრო მიჯაჭვულნი არიან ტრადიციულ ღირებულებებს. მნიშვნელოვანია, რომ 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოს ახალგაზრდობის 40% სოფლად ცხოვრობს. ეს მონაცამები საკმაოდ საგანგაშოა, თუ ახალგაზრდებს განვიხილავთ, როგორც ქვეყნის მომავლის ფორმირებაში მონაწილე საზოგადოების განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ახალგაზრდების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ძალისხმევის მობილიზება.

გამოყენებული ლიტერატურა

Bagnasco, A., 2004. Trust and Social Capital. In: Kate Nash and Alan Scott (eds.) The Blackwell companion to political sociology. Oxford, 2004.

Bengston, V., L., Generation and Family Effects in Value Socialization, American Sociological Review, Vol. 40, No. 3, American Sociological Association Available at: http://www.jstor.org/stable/2094463 [Accessed: 30 October 2010]

Boneham, M., and Sixsmith, J., 2003. Volunteering and the concept of social capital. Social Sciences: Journal Articles No.4.

Chelidze, N., 2005. Labor Emigration of Georgian Youth. Migration Processes in Modern Globalized World. Tbilisi University Press.

Coleman, J. S. 1961 The Adolescent Society. Glencoe, Free Press.

Eimer, B. N., Mancuso, J. and Lehrer, R. 1981. A constructivist theory of reprimand as it applies to child rearing. Eleventh Annual Interdisciplinary UAP-USC, Los Angeles

Eurasia Partnership Foundation, 2015. Knowledge of and Attitudes towards the EU in Georgia: Trends and Variations. [online] Available at: http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2016/09/Knowledge-of-and-Attitudes-towards-the-EU-in-Georgia_Trends-and-Variations-2009-2015-survey-report-ENG.pdf [Accessed at: 25 October 2016]

European Bank for Reconstruction and Development (EBRD), 2010. Life in Transition After the Crisis

European Comission, 2013. European Policy Brief, MYPLACE: Memory, Youth, Political Legaly and Civic Engagement. [online] Available at: http://www.fp7-myplace.eu/documents/policybriefsjune2014/MYPLACE%20Policy%20Brief%202%20GEORGIA%20%20English.pdf [Accessed at: 30 September 2016]

Furman, W., Brown, B. B., & Feiring, C. 1999. The development of romantic relationships in adolescence. Cambridge University Press. New York

Gensicke T., 1995. Pragmatisch und Optimistisch: Ueber die Beweltigung des Umbruchs in den neuen Bndeslaendern. In Bertram Hans ed. Ostdeutschland im Wandel: Lebensverhaeltnisse – politische Einstellungen. Leske + Budrich, Opladen.

Government of Georgia, 2014. # 553 Decree, The Georgian National Youth Policy Document [online] Available at: http://msy.gov.ge/files/veko/2014%20weli/marti/_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D_%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.pdf [Accessed at: 25 September 2016]

Gvalia,G., Siroky D., Lebanidze, B., Iashvili, Z., 2013. Thinking Outside the Bloc: Explaining the Foreign Policies of Small States. Security Studies, 22:98–131

Horbal, I., 2012. Happy and Healthy: The hypothesis of correlation between subjective well-being and psychological health and its role in late adulthood. Journal of Education Culture and Society. http://jecs.pl/doi/10-15503-jecs20122-36-48/

Horst, M., Coffé H., 2012. How Friendship Network Characteristics Influence Subjective Well-Being. Social Indicators Research, Vol. 107, No. 3, Springer [online] Available at: http://www.jstor.org/stable/41476591 Accessed at: 30 October 2016

Inglehart, R., and Welzel, C., 2005. Modernization, Cultural Change, and Democracy: The Human Development Sequence. Cambridge University Press.

Inglehart, R., and Welzel, C., 2016. Global map of values. [online] Available at: http://www.worldvaluessurvey.org/WVSContents.jsp

International Center for Migration Policy Development, 2015. The State of Migration in Georgia. [online] Available at: http://www.enigmma.ge/wp-content/uploads/2015/08/ENIGMMA-State-of-Migration_Electronic_Version2.pdf [Accessed at: 28 November 2016]

International Foundation for Electoral Systems (IFES). Election Guide, Democracy Assistance and Elections News. [online] Available at: http://www.electionguide.org/countries/id/81/ [Accessed at: 28 November 2016]

Kakachia, K., Minesashvili, S., 2015. Identity politics: Exploring Georgian foreign policy behavior. Journal of Eurasian Studies, Volume 6, Issue 2

Kelly J., R., 1975. Life Styles and Leisure Choices. The Family Coordinator, Vol. 24, No. 2. National Council on Family Relations [online] Available at:

http://www.jstor.org/stable/582283 Accessed at: 5 October 2016

Larson R., W., 1983.Adolescents' Daily Experience with Family and Friends: Contrasting Opportunity Systems, Journal of Marriage and Family, Vol. 45, No. 4. National Council on Family Relations [online] Available at: http://www.jstor.org/stable/351787 Accessed at: 6 October 2016

Ministry of Education and Science of Georgia. Higher Education. [online] Available at: http://www.mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo [Accessed at: 5 November 2016]

Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia, 2015. The Survey Report of Labour Market Demand Component. [online] Available at: http://www.moh.gov.ge/files/01_GEO/Shroma/kvleva/4.pdf [Accessed at: 22 November 2016]

National Statistics Office of Georgia, 2014. National Census. [online] Available at: http://census.ge/ge/results/census [Accessed at: 15 November 2016]

National Statistics Office of Georgia, 2015. Women and Men In Georgia. [online] Available at: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/health/Women%20and%20Men_2015.pdf [Accessed at: 11 November 2016]

National Statistics Office of Georgia. [online] Available at: http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo [Accessed at: 2 October 2016]

Parsons, T. 1942 Age and sex in the social structure of the United States. American Sociological Review 7:604-616.

Print, M. 2007. Citizenship Education and Youth Participation in Democracy. British Journal of Educational Studies, Vol. 55, No. 3

Putnam, R. 1993, Making democracy work: civic traditions in modern Italy, Princeton University Press.

State Commission of Migration Issues, 2015. 2015 Migration Profile of Georgia

Sumbadze, N., 2010. Participation of Youth in Democratic Processes. Tbilisi, Institute for Policy Studies

Sumbadze, N., 2012. Generations and Values. Tbilisi, Institute for Policy Studies

Sumbadze, N., Tarkhan Mouravi, G., 2003. Transition to adulthood in Georgia: Dynamics of generational and gender roles in post-totalitarian society. [online] Available at: https://www.researchgate.net/publication/266162357_

Transition_to_adulthood_in_Georgia_Dynamics_of_generational_and_gender_roles_in_post-totalitarian_society [Accessed at: 20 November, 2016]

The Caucasus Research Resource Centers. 2015. Caucasus Barometer. Retrieved through ODA - http://caucasusbarometer.org [Accessed at: 13 November 2016]

United Nations Children's Fund (UNICEF), 2014. National Youth Survey in Georgia, Analysis of the Situation and Needs of Youth in Georgia.

United Nations Development Program (UNDP), 2013. Public Perception on Gender Equality in Politics and Business.

United Nations Population Fund, 2012. Marrying Too Young, End Child Marriage [online] Available at: https://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/MarryingTooYoung.pdf [Accessed at: 30 October 2016]

United States Agency for International Development (USAID) International Organization for Migration (IOM), 2011. Supplying Workforce to the Georgian Labor Market. [online] Available at: http://iom.ge/1/sites/default/files/pdf/SWG_ENG_2011.pdf [Accessed at: 2 November 2016]

Valerie, A. S., Aikins, J.W., Prinstein M. J., 2008. Romantic Partner Selection and Socialization during Early Adolescence, Child Development, Vol. 79, No. 6, Wiley on behalf of the Society for Research in Child Development [online] Available at: http://www.jstor.org/stable/27563585 Accessed at: 6 October 2016

Verkuyten, M. and Kinket, B., 2000. Social Distances in a Multi Ethnic Society: The Ethnic Hierarchy among Dutch Preadolescents. Social Psychology Quarterly, Vol. 63, No. 1.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისი
რამიშვილის ქუჩა 4, 0179
თბილისი, საქართველო

T: +995 32 225 07 28
F: +995 32 222 67 26

http://www.fes-caucasus.org
stiftung@fesgeo.ge

სხვა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების მსგავსად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიც გარდამავალ ფაზაშია. ამ რეგიონში საქართველო, ბევრი ფაქტორის გამო, მოწინავედ ითვლება. მან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა როგორც დემოკრატიზაციის, ისე საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლის კუთხით. აღნიშნული პროცესების მთავარ მამოძრავებელ ძალას ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობა წარმოადგენს. ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს საგარეო ურთიერთობების პოლიტიკის მთავარი ნაწილია და რუსეთთან არსებულ მწვავე ურთიერთობის დაბალანსების მიზანს ემსახურება. პოლიტიკური კულტურის კუთხით, საქართველო ისევ საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობის გავლენის ქვეშაა.

კვლევა მოიცავს საქართველოს ახალგაზრდების პრობლემებსა და მისწრაფებებს, ღირებულებებისა და ცხოვრების სტილის გარშემო არსებულ საკითხებს. 14-29 წლის ასაკის ახალგაზრდები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ საქართველოში გაიზარდნენ. ისინი მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, საბჭოთა მემკვიდრეობასთან მიმართების და, მეორე მხრივ, საზოგადოების მომავალი განვითარების კუთხით.

ISBN 978-9941-0-9603-7